სოციალური დემოკრატიის კურსი 1

ტობიას გომბერტი და სხვები

სოციალური დემოკრატიის საფუძვლები

ISBN 978-9941-0-3792-4

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

გამომცემელი:

ფრიდრიხ ებერტის ფონდი

თბილისი

პუბლიკაცია არ გამოხატავს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მოსაზრებას.
პასუხისმგებლობა სტატიების შინაარსზე ეკისრებათ ავტორებს.

სოციალური დემოკრატიის კურსი 1

ტობიას გომბერტი და სხვები

სოციალური დემოკრატიის საფუძვლები

შინაარსი

წინასიტყვაობა	**4**
1. რა არის სოციალური დემოკრატია?	**6**
2. საბაზისო ღირებულებები	**9**
2.1. თავისუფლება	11
2.2. თანასწორობა/სამართლიანობა	19
2.3. სოლიდარობა	37
2.4. რაზე საუბრობენ სხვები?	40
2.5. საბაზისო ღირებულებები პრაქტიკაში	43
3. საზოგადოებრივი მოდელების შედარება	**59**
3.1. საბაზრო კაპიტალიზმი და დემოკრატია	62
3.2. ლიბერალური პოზიციები	67
3.3. კონსერვატიული პოზიციები	70
3.4. სოციალური დემოკრატია და დემოკრატიული სოციალიზმი	72
4. თომას მაიერის სოციალური დემოკრატიის თეორია	**86**
4.1. ათვლის წერტილი	89
4.2. ლიბერტარიზმი თუ... სოციალური დემოკრატია	93
4.3. ექსკურსი: საბაზისო ღირებულებების, ძირითადი უფლებებისა და ინსტრუმენტების ტრიადა	97
4.4. პოზიტიური თუ ნეგატიური თავისუფლებები უფლებები	102
4.5. სახელმწიფოს სამოქმედო ვალდებულებები	105
5. ნაციონალური მოდელები	**107**
5.1. აშშ	108
5.2. დიდი ბრიტანეთი	115
5.3. გერმანია	123
5.4. იაპონია	131
5.5. შვედეთი	138
6. დასკვნა	**146**
ბიბლიოგრაფია	149
საჭირო ლიტერატურა	154
ავტორების შესახებ	159

წინასიტყვაობა

პოლიტიკას მკაფიო ორიენტირები სჭირდება. მხოლოდ ის, ვისაც გარკვევით შეუძლია ჩამოაყალიბოს დასახული მიზნები, მოახერხებს მათ მიღწევას და ამ მიზნების მხარდაჭერასაც მოიპოვებს. ამიტომ ამ წიგნში გვსურს განვიხილოთ ის, თუ რას წარმოადგენს სოციალური დემოკრატია 21-ე საუკუნეში, რა ფასეულობები უდევს მას საფუძვლად, რა მიზნები აქვს და როგორ შეიძლება მათი პრაქტიკაში განხორციელება.

ცხადია, რომ სოციალური დემოკრატია არ გახლავთ ურყევი, ერთხელ და სამუდამოდ გაქვავებული კონსტრუქცია. ის მუდმივად სახეცვლილებას განიცდის და დემოკრატიული ბრძოლის შედეგად მიიღწევა. ამიტომ ამ კრებულში მზა პასუხებს არ გთავაზობთ, ერთობლივ მსჯელობაში მონაწილეობისთვის გიწვევთ.

მოცემული წიგნი, პირველ რიგში, სოციალური დემოკრატიის აკადემიის სასწავლო პროგრამებისთვის არის განკუთვნილი და გამოიყენება, როგორც მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო მასალა, თუმცა ის მათაც დააინტერესებს, ვისაც სურს გაეცნოს სოციალური დემოკრატიის პრობლემატიკას და აქტიურად ჩაებას მისი განხილვის პროცესში.

დასაწყისში ნაშრომი გთავაზობთ სხვადასხვა მიდგომას სოციალური დემოკრატიის მიმართ, რომელიც ისეთ საბაზისო ღირებულებებს ეფუძნება, როგორებიცაა თავისუფლება, სამართლიანობა და სოლიდარობა. შემდგომ განიხილება სოციალურ დემოკრატიასა და სხვა პოლიტიკურ მიმდინარეობებს შორის არსებული განსხვავებები. თომას მაიერის სოციალური დემოკრატიის თეორიის საფუძველზე ავტორები ხუთი ქვეყნის სოციალური დემოკრატიის პრაქტიკულ გამოცდილებას განმარტავენ.

ნაშრომი „სოციალური დემოკრატიის საფუძვლები" სახელმძღვანელოთა სერიის პირველი ნაწილია. წიგნების გამოცემა სოციალური დემოკრატიის აკადემიის სხვა სასწავლო კურსებისთვისაც არის დაგეგმილი.

გვსურს გულითადი მადლობა გადავუხადოთ ტობიას გომბერტსა და მარტინ ტიმპეს. წიგნის უდიდესი ნაწილი ტობიას გომბერტმა შეადგინა, ხოლო რამდენიმე თავის დაწერაში მას მარტინ ტიმპე დაეხმარა. მათვე ითავეს მოცემული წიგნის რედაქტირება, რაშიც ორივემ განსაკუთრებული ცოდნა და გამოცდილება გამოავლინა. მხოლოდ თავდაუზოგავი შრომითა და მონდომებით გახდა შესაძლებელი კრებულის ასეთ მოკლე დროში გამოცემა. მადლობას მოვახსენებთ მათ, ასევე პროექტის მონაწილე ყველა სხვა ავტორს საუცხოო თანამშრომლობისთვის.

სოციალური დემოკრატიის აკადემიის სიმბოლო კომპასია. აკადემიის ბაზაზე ფრიდრიხ ებერტის ფონდი იძლევა შესაძლებლობას, განხილულ იქნეს სხვადასხვა თვალსაზრისი და გაირკვეს ორიენტირები. მოხარული ვიქნებით, თუ ჩვენი ნაშრომი ხელს შეგიწყობთ საკუთარი პოლიტიკური გზის განსაზღვრაში. სოციალური დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობას სწორედ ის განაპირობებს, რომ იგი მოქალაქეთა მუდმივი ინტერესისა და მისწრაფების საგანია.

კრისტიან კრელი
დირექტორი
სოციალური დემოკრატიის აკადემია

იულია ბლეზიუსი
პროექტის ხელმძღვანელი
„სოციალური დემოკრატიის კურსი"

1. რა არის სოციალური დემოკრატია?

რა არის სოციალური დემოკრატია? ოთხი პასუხი

„სოციალური დემოკრატია – ნუთუ ეს ცნება თავისთავად გასაგები არ არის? ცნება, რომელიც გულისხმობს, რომ დემოკრატია საზოგადოების ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომია და სოციალურად დაბალანსებული. ნუთუ ეს ცხადი არ არის?", – ამბობს ზოგიერთი.

„სოციალური დემოკრატია – ეს ხომ უკვე განვახორციელეთ გერმანიაში? ეს სოციალური საბაზრო ეკონომიკა, ე. წ. გერმანული მოდელი არ არის?„, – კითხულობენ სხვები.

„სოციალური დემოკრატია გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ნიშნავს და ეს მხოლოდ სოციალ-დემოკრატების საქმეა, ანუ, ეს მათი თეორიაა", – ფიქრობს მესამე.

„სოციალური დემოკრატია – და რატომ არა დემოკრატიული სოციალიზმი? ეს ხომ უფრო მიღებული ცნებაა?", – ასეთ კითხვას სვამს მეოთხე.

ვინ არის მართალი?

ცნების განსაზღვრისას ამან შესაძლოა გაუგებრობამდე მიგვიყვანოს – ბოლოს და ბოლოს, ვინ არის მართალი? ეს ტერმინოლოგიური კამათი ბაბილონის გოდლის შენებას ჰგავს - საკმაოდ დამღლელია და ნაკლებად შედეგიანიც.

პირველ რიგში, საერთო ენაზე უნდა შევთანხმდეთ, რაც სხვადასხვა თვალსაზრისის გარკვევასა და განმარტებას გაგვიადვილებს. სანამ განსხვავებულ მიმართულებებზე ვიკამათებთ, სჯობს თავდაპირველად საერთო ათვლის წერტილი ვიპოვოთ.

სოციალურ დემოკრატიაზე დასმული ოთხი კითხვა მიგვანიშნებს, რომ ოთხივე მხარე სოციალური დემოკრატიის მნიშვნელოვან ასპექტებს ეხება. ზოგიერთი მათგანი საუბრობს მის საფუძვლებსა თუ წინაპირობებზე, ასევე იმაზე, რას უნდა ველოდოთ ან რა არის მოსალოდნელი სოციალური დემოკრატიისგან.

სხვები სვამენ კითხვას, თუ რისი მიღწევა მოხერხდა, ანუ, არსებული საზოგადოების ემპირიულ შეფასებას ახდენენ.

მესამეს აინტერესებს, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს სოციალური დემოკრატიის შესახებ საზოგადოებრივი წარმოდგენების მატარებლად. ეს კითხვაც სრულიად გამართლებულია.

მეოთხე ინტერესდება, როგორი იქნება შედეგი, თუკი არ გაითვალისწინებს ცნების უკვე დამკვიდრებულ განმარტებას. ანუ, კითხვა ეხება სოციალური დემოკრატიის არსისა და სხვა კონცეფციებისგან განსხვავების დადგენას.

განმარტება აუცილებელია

ასე რომ, თუ ვინმეს „სოციალურ დემოკრატიაზე" საუბარი სურს, ჯერ უნდა განმარტოს, რას გულისხმობს კონკრეტულად და ვინ არის მისი ადრესატი. სოციალური დემოკრატია არ გახლავთ ერთმნიშვნელოვანი ცნება – ის მრავალწახნაგოვანია და განსხვავებული ღირებულებითი წარმოდგენები უკავშირდება. ეს ცნება სოციალური მუხტის მქონეა, ვინაიდან ის ზემოქმედებს საზოგადოებაზე და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფი ითვალისწინებს ან უარყოფს მას.

წარმოდგენილი ოთხი კითხვა მიგვანიშნებს, რომ ცნების გამოყენებამდე საჭიროა მისი მკაფიოდ განსაზღვრა და მასთან დაკავშირებული სოციალური განწყობების ცოდნა.

„სოციალური დემოკრატიის" მეცნიერული დეფინიციები

თეორიულ დისკუსიებში „სოციალური დემოკრატიის" ცნების განსაზღვრება სხვადასხვაგვარია – მისი ერთიანი და ყველასთვის სავალდებულო განმარტება არ არსებობს.

და მაინც, სად მივყავართ ამ განსხვავებულ დეფინიციებს? თუ სამეცნიერო დისკუსიაში ჩავებმებით, ტერმინოლოგიური საფუძვლები და მათი განმარტებები უნდა შევადაროთ, ასევე შევამოწმოთ, რა არგუმენტები არსებობს ცნების ამა თუ იმ განსაზღვრებისთვის. აქვე უნდა მოხდეს არსებული ემპირიული შედეგების შედარება და იმის გარკვევა, არსებობს თუ არა დეფინიციებში გარკვეული წინააღმდეგობები, არის თუ არა ემპირიულ მონაცემებში შეუსაბამობა და სწორად განიმარტება თუ არა წყაროები.

პრაქტიკული მიდგომა

მეცნიერული თვალსაზრისით, ყველა ეს კითხვა ძალზე მნიშვნელოვანია. ადამიანებს, რომლებიც სამეცნიერო კვლევებით პროფესიულად არ არიან დაკავებული და მხოლოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობას ავლენენ (თავისუფალ დროს), არსებული თეორიების საფუძვლიანი შესწავლისთვის საკმარისი დრო არ რჩებათ. როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რომ მეცნიერული დეფინიციები და თეორიული საფუძვლები დავიწყებას არ მიეცეს?

სხვადასხვა მიდგომა

ჩვენ გვსურს სხვადასხვა მიდგომა შემოგთავაზოთ, ხოლო რომელია მათ შორის უფრო დამაჯერებელი, ეს მკითხველისთვის მიგვინდვია. აღნიშნული საკითხებიდან იკვეთება შემდეგი ასპექტები: მეტწილად *ნორმატიული*, ანუ, სოციალური დემოკრატიის პრინციპებსა და საბაზისო ღირებულებებზე დაფუძნებული, *თეორიული*, რომელშიც საუბარია *სოციალური დემოკრატიის თეორიაზე*, და *ემპირიული*, რომელიც დეტალურად განიხილავს სხვადასხვა ქვეყანაში სოციალური დემოკრატიის განხორციელების მაგალითებს.

ნაშრომის სხვადასხვა თავში აღნიშნულ სამ დონეს მიმოვიხილავთ.

თეორიული დონე: თომას მაიერი, სოციალური დემოკრატიის თეორია

ნორმატიული დონე, პირველ რიგში, მომდევნო ორ თავში (მე-2 და მე-3 თავები) აისახება. მათში უფრო დეტალურად განვიხილავთ საბაზისო ღირებულებებს, კერძოდ, თავისუფლებას, სამართლიანობასა და სოლიდარობას, ასევე საკითხს, თუ როგორ რეალიზდებიან ისინი განსხვავებულ საზოგადოებრივ მოდელებში (ლიბერალიზმის, კონსერვატიზმისა და სოციალიზმის/სოციალური დემოკრატიის კონტექსტში).
თეორიული დონე წარმოდგენილია მე-4 თავში, რომელშიც ასახულია თომას მაიერის *სოციალური დემოკრატიის თეორიის* ძირითადი დებულებები. არჩევანი მაიერის თეორიაზე შევაჩერეთ, რადგან ის, ჩვენი აზრით, ზედმიწევნით სრულყოფილი და თანამიმდევრული ნაშრომია, რომელიც, ამასთანავე, სხვადასხვა დონეს აერთიანებს.

მე-5 თავი *ემპირიულ დონეზე* მსჯელობს და სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებს გვთავაზობს. ისიც თომას მაიერის თეორიას ეფუძნება. ისევე, როგორც მის წიგნში *„სოციალური დემოკრატიის პრაქტიკა"*, აქაც ხაზგასმულია ის გარემოება, რომ სოციალური დემოკრატიის განხორციელება სხვადასხვა საშუალებითა და სხვადასხვაგვარი წარმატებითაა შესაძლებელი.

2. საბაზისო ღირებულებები

თავისუფლება! თანასწორობა! ძმობა!

„თავისუფლება! თანასწორობა! ძმობა!" – ეს საფრანგეთის რევოლუციის ლოზუნგი გახლდათ. და დღესაც დემოკრატიული პარტიები მნიშვნელოვანწილად ამ საბაზისო ღირებულებების ერთგულნი არიან. მოცემული ღირებულებები ბურჟუაზიული ეპოქის წიაღში იშვა, მათი „ტრიუმფული სვლა" მსოფლიოს მასშტაბით კი არა უგვიანეს მე-20 საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო. მათ საფუძველზე ჩამოყალიბდა ძირითადი მოთხოვნები სახელმწიფოებისა და საზოგადოებების მიმართ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების შესახებ პაქტები, როგორც საფუძველი

ყოველივე ეს ასახულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამართლებრივ დოკუმენტებში. 1966 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ადამიანის უფლებების შესახებ ორი პაქტი მიიღო, რომლებითაც ძირითადი სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები საყოველთაო გახდა, ვინაიდან მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტურმა უმრავლესობამ მოახდინა მათი რატიფიცირება. ძირითადი უფლებები უნდა უზრუნველყოფდეს საბაზისო ღირებულებების სამართლებრივი მოთხოვნების სახით ჩამოყალიბებას.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო თანამეგობრობის მიერ დადგენილი ძირითადი უფლებები ბევრ ქვეყანაში დაუცველი რჩება. ადამიანის უფლებები უხეშად ირღვევა იმ სახელმწიფოებშიც, რომლებმაც ხსენებულ პაქტებს მოაწერეს ხელი.

საბაზისო ღირებულებები და ძირითადი უფლებები

ამდენად, ბევრ საზოგადოებაში ადამიანის ძირითადი უფლებები არ არის უზრუნველყოფილი და, შესაბამისად, ვერ ხერხდება საბაზისო ღირებულებების რეალიზება. ეს აღარ გახლავთ თეორიული საკითხი, ეს ცალკეულ ქვეყანასა და რეგიონში სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის ურთიერთგაგებისა და ძალთა თანაფარდობის საკითხია.

მიუხედავად ამისა, საბაზისო ღირებულებები და მათი ძირითადი უფლებების სახით უზრუნველყოფა პოლიტიკური კურსის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმი და ორიენტირია; ამიტომ ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური განვითარების მიმართულების ანალიზი სწორედ ამ საკითხით იწყება.

საბაზისო ღირებულებები და პოლიტიკის ძირითადი კურსი გერმანიაში 2007 წელს განსაკუთრებულად ფართოდ განიხილებოდა. ორივე მსხვილმა სახალხო პარტიამ, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა, შეიმუშავა და დაამტკიცა ახალი პარტიული პროგრამები, რომლებშიც სხვა საკითხებთან ერთად განხილულია თანა-

მედროვე ეტაპზე საბაზისო პოლიტიკური ღირებულებების განმარტებისა და რეალიზების საკითხი.

საბაზისო ღირებულებები და ძირითადი უფლებები, როგორც პოლიტიკური კომპასი

ნორმატიულ დონეზე სოციალური დემოკრატიაც საბაზისო ღირებულებებსა და ძირითად უფლებებზეა ორიენტირებული. მათი ნორმატიული სტატუსი და პრაქტიკული განხორციელება პოლიტიკის საკვანძო საკითხია, ერთგვარი პოლიტიკური კომპასი.

მე-18 საუკუნის განმანათლებლობის ეპოქიდან მოყოლებული, საბაზისო ღირებულებების დეფინიცია მუდმივად სახეცვლილებას განიცდიდა. იცვლებოდა ასევე ამ ღირებულებათა ურთიერთდამოკიდებულება.

დღეს ძირითადად საუბარია სამ საბაზისო ღირებულებაზე – თავისუფლებაზე, თანასწორობაზე/სამართლიანობასა და სოლიდარობაზე.

2.1. თავისუფლება

„თავისუფლების" სათავეები

თავისუფლება საბაზისო ღირებულებაა, რომელსაც პოლიტიკური პროცესის ყველა მონაწილე მთლიანად იზიარებს. მას კავშირი აქვს განმანათლებლურ აზროვნებასთან და ბურჟუაზიული ეპოქის დასაწყისთან. ისეთი ფილოსოფოსები, როგორებიც არიან ჯონ ლოკი, ჟან ჟაკ რუსო, იმანუელ კანტი, კარლ მარქსი, ასევე კრიტიკული თეორიის წარმომადგენლები სხვადასხვა ისტორიულ დროში მსჯელობდნენ და წერდნენ თავისუფლების რეალიზების შესაძლებლობებზე.

თავისუფლების შესახებ დისკუსიას, ზოგადად, სამი ძირითადი კითხვა ახლდა თან:

- როგორ უნდა განიმარტოს თავისუფლება?
- როგორ შეიძლება თავისუფლების რეალიზება ან გარანტირება საზოგადოებაში?
- სად არის თავისუფლების ზღვარი საზოგადოებაში?

როგორ განიმარტება „თავისუფლება"? – მაგალითი

„თავისუფლების" ცნების განსაზღვრისთვის, პირველ რიგში, ინგლისელი ფილოსოფოსის, ჯონ ლოკის, დეფინიციას მოიშველიებენ ხოლმე:

> *„ადამიანის ბუნებითი თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ემორჩილება არანაირ ამქვეყნიურ უპირატეს ძალას ან ადამიანის ნებასა თუ საკანონმდებლო ძალაუფლებას და სახელმძღვანელოდ მხოლოდ ბუნების კანონს აღიარებს.*
>
> *ადამიანის თავისუფლება საზოგადოებაში გახლავთ ის, რომ არ დაემორჩილოს სხვა საკანონმდებლო ძალაუფლებას, გარდა იმისა, რომელიც საზოგადოებრივი თანხმობით მიიღწევა, და არ დაემორჩილოს რაიმე ნებას ან არ შეიზღუდოს რაიმე კანონით, გარდა იმისა, რომელსაც კანონმდებელი მისთვის გამოცხადებული ნდობის ფარგლებში მიიღებს" (Locke, 1977, გვ. 213-214)*

ლოკის სწავლებით, ასხვავებენ თავისუფლების. სამ განზომილებას: თავისუფლება საკუთარი პიროვნების მიმართ, თავისუფლება საკუთარი აზრებისა და გრძნობების მიმართ და იმ ნივთების განკარგვის თავისუფლება, რომლებსაც ადამიანი კანონიერად ფლობს. თავისუფლების ეს სამი განზომილება ასახულია უამრავ კონსტიტუციასა და ადამიანის ძირითადი უფლებების ჩამონათვალში. მრავალი თეორია ჯონ ლოკის თავისუფლების დეფინიციას ეფუძნება და მის ინტერპრეტაციას ახდენს.

თავისუფლება, როგორც ბუნებითი უფლება

ლოკი ამოდის იქიდან, რომ აღნიშნული თავისუფლებები ყოველ ადამიანს ბუნებისგან ენიჭება, ანუ, ისინი საზოგადოებაში კი არ წარმოშობილან, არამედ „დასაბამიდან" არსებობენ. თუმცა აღნიშნული „ბუნებითი უფლებები" საზოგადოებაში სახეცვლილებას განიცდის. ისინი ყალიბდებიან მოთხოვნების სახით, რომლებსაც შემდგომ ყოველი ადამიანი საზოგადოებას უყენებს.

ჯონ ლოკი (1632–1704) – ლიბერალიზმის ერთ-ერთი პირველი და თვალსაჩინო წარმომადგენელი.

ლოკმა განავითარა ემპირიზმი, რომლის მიხედვით, ადამიანები გამოცდილების საფუძველზე სწავლობენ. ამ მოძღვრების თანახმად, სხვადასხვა გამოცდილების შედარება თეორიული აზროვნების ამოსავალი წერტილია.

1690 წელს ჯონ ლოკმა გამოაქვეყნა სახელმწიფო მართვის ორი ტრაქტატი, რომლებშიც მან ინგლისის მონარქიის თეორიული საფუძვლები ეჭვქვეშ დააყენა და თავისუფალ ნებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წყობის კონცეფცია წარმოადგინა.

როგორ შეიძლება თავისუფლების გარანტირება და რეალიზება საზოგადოებაში?

ლოკის არგუმენტაციის არსი და სხვადასხვა ფილოსოფიური ვარიაცია დღემდე აქტუალურია და თავისუფლების, როგორც საბაზისო ღირებულების, განმარტებისას მას კვლავ იშველიებენ. ლოკი მიჩნეულია ლიბერალიზმის ერთ-ერთ უდიდეს მოაზროვნედ.

ბუნებრივი თანასწორობა და თანაბარი თავისუფლება

აღნიშნული დეფინიციის პოპულარობის მიუხედავად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქმე გვაქვს ისტორიულ ტექსტთან, რომლის გაგება მისი წარმოშობის კონტექსტის გაუთვალისწინებლად არ არის მართებული და მისი უბრალოდ გადმოტანა თანამედროვე დროში შეუძლებელია. ეს აშკარა ხდება, თუ ვუპასუხებთ კითხვას – როგორ არის შესაძლებელი საზოგადოებაში თავისუფლების გარანტირება ან რეალიზება.

ისტორიული დისკუსიის კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ ლოკი (და შემდგომ განმანათლებლობის ეპოქის ბევრი სხვა ფილოსოფოსი) ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომლის თანახმად, უამრავი არათავისუფალი ადამიანის არსებობა ბუნებრივი უთანასწორობითაა განპირობებული. აბსოლუტისტურ საზოგადოებაში, სადაც მონარქები საკუთარ ძალაუფლებას ღვთაებრივ წარმომავლობას მიაწერდნენ, ბუნებრივი თანასწორობისა და მისგან გამომდინარე თანაბარი თავისუფლების ქადაგება რევოლუციური მოვლენა იყო.
თუმცა ლოკი არ კმაყოფილდება ბუნებისგან მინიჭებული თანაბარი თავისუფლებით და ცდილობს საზოგადოებრივი შეთანხმების გზით დანერგოს საზოგადოებაში ბუნებითი თავისუფლება.

მისი ძირითადი მოსაზრების თანახმად, საზოგადოებაში საკუთარი პიროვნების განკარგვის თავისუფლება ყალიბდება, როგორც საკუთარ პიროვნებაზე საკუთრების უფლება, ხოლო აზრისა და გრძნობის თავისუფლების უზრუნველყოფა ხდება გადაწყვეტილებების მიღებასა და პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელებაში ადამიანის მონაწილეობით. რაც შეეხება კანონიერად მოპოვებული საგნის განკარგვას, ამისთვის საჭიროა ნებისმიერი ადამიანისთვის ხელმისაწვდომი, თავისუფალი ბაზრის არსებობა. *ამგვარად, საზოგადოება უბრალოდ კი არ ინარჩუნებს ბუნებით თავისუფლებებს, არამედ ახდენს მათ რეალიზებას საზოგადოებრივი ნორმების ფარგლებში.*



სურ. 1. ჯონ ლოკის თავისუფლების ცნება

ჯონ ლოკის თავისუფლების ცნების კრიტიკა რუსოს მხრიდან

ლოკის თეორია თავისუფლების რეალიზების საკითხში კრიტიკის ქარცეცხლში ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში გაეხვია. მისი უმნიშვნელოვანესი ოპონენტი ალბათ ჟან ჟაკ რუსო გახლდათ, რომელიც ედავებოდა ან ავრცობდა მის თეორიას ოთხ ძირითად პუნქტში:

ჟან ჟაკ რუსო (1712–1778) – ერთ-ერთი ფილოსოფოსი, რომლის თეორიულმა ნაშრომებმა საფუძველი მოუმზადა საფრანგეთის რევოლუციას.

რუსომ შეიმუშავა ფუნდამენტური ტრაქტატი საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის განვითარების შესახებ, რომელშიც მოცემულია მისი როგორც ფილოსოფიური, ისე ისტორიულ-ემპირიული მიდგომები.

სხვა მნიშვნელოვან ნაშრომებში განხილულია, ერთი მხრივ, დემოკრატიული სახელმწიფოს თეორია და, მეორე მხრივ, აღზრდის პრობლემები.

1. კარგი საზოგადოებრივი შეთანხმების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ საზოგადოების შექმნის პროცესში ყველა ადამიანი დათმობს თავის ბუნებით უფლებებს და სანაცვლოდ სამოქალაქო უფლებებს მიიღებს.
2. თანამედროვე, ბურჟუაზიულ-მონარქიული საზოგადოების საზოგადოებრივი შეთანხმება არ არის კარგი საზოგადოებრივი შეთანხმება.
3. თავისუფლების საიმედოდ რეალიზება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ კანონების შესახებ გადაწყვეტილებები საზოგადოების ყველა წევრის მიერ მიიღება. მხოლოდ მაშინ დაემორჩილება ყოველი ადამიანი საკუთარ ნებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ის თავისუფალი გახდება.
4. რუსოსთვის „თავისუფლება" განვითარების იდეასთანაა დაკავშირებული: ის ყოველ ადამიანში ხედავს „უნარების განვითარების უნარს" („perfectibilité") (Benner/Brüggen, 1996, გვ. 24). ეს „უნარები" არ არის წინასწარ განსაზღვრული მოცემულობა, ისინი სწავლისა და საზოგადოებაში ცხოვრების პროცესში ვითარდებიან.

 идეალი: თავისუფალი და თანასწორი ადამიანების ერთობა

შესაძლოა კრიტიკის პირველმა პუნქტმა გაგაოცოთ: რატომ უნდა დათმოს ადამიანმა ყველა თავისი ბუნებითი უფლება, რათა შემდგომ დაიბრუნოს ისინი საზოგადოებისგან? ხომ არ უღებს ეს კარს ტირანიას? რუსოს ამ მოთხოვნის რადიკალიზმი ბევრში განცვიფრებას იწვევს. ის ამ უკიდურეს ფორმულირებას იმის ხაზგასასმელად ირჩევს, რომ საზოგადოებაში თავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუ მასში აღარ იქნება ე. წ. თბილი ადგილები და სამფლობელოები და, შესაბამისად, არ იქნება სოციალური უთანასწორობა. იდეალად მას თავისუფალი და თანასწორი ადამიანების ერთობა მიაჩნია.

თავისუფლება მხოლოდ მდიდრებისთვის?

რუსო, პირველ რიგში, საზოგადოებაში არსებული რეალური თავისუფლებით ინტერესდება. ის განიხილავს თანამედროვე საზოგადოებას და ასკვნის, რომ გამოცხადებული თავისუფლება მხოლოდ მდიდრებისთვისაა ხელმისაწვდომი. ამის ხაზგასასმელად მას მოჰყავს ერთ-ერთი მდიდრის სიტყვები, რომელიც ღარიბებს საზოგადოებრივი შეთანხმებისკენ მოუწოდებს და ცალმხრივ თავისუფლებას ჰპირდება:

„მოდი გავერთიანდეთ, – მიმართა მან მათ (ღარიბებს. – ავტორის შენიშვნა), – რათა დავიცვათ სუსტები ჩაგვრისგან, შევაკავოთ პატივმოყვარეები და უზრუნველვყოთ ქონება მათთვის, ვისაც ის ეკუთვნის: მოდი შევიმუშაოთ სამართლიანობისა და მშვიდობის დებულებები, რომელთა დაცვის ვალდებულება ყველას დაეკისრება, რომლებიც მიუკერძოებელი იქნება და ერთგვარად გამოასწორებს ბედის უკუღმართობას, ვინაიდან ერთნაირ ურთიერთვალდებულებებს დააკისრებს ძალაუფლების მქონე და სუსტ ადამიანებს. ერთი სიტყვით, იმის მაგივრად, რომ ჩვენი ძალები საკუთარი თავის წინააღმდეგ მივმართოთ, მოდი გავაერთიანოთ ისინი ერთ, უმაღლეს ძალაუფლებაში.„ (Rousseau, 1997, გვ. 215-217)

თავისუფლება, რუსოს სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ერთგვარი „დაზავების შეთანხმება". ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენად რეალიზებულია დაპირებული თავისუფლება საზოგადოების ყველა წევრისთვის.

თავისუფლებისა და ძალაუფლების თანაფარდობა

რუსოს კრიტიკის მესამე პუნქტი შეიცავს თავისუფლების სხვა მნიშვნელოვან ასპექტს – მის დამოკიდებულებას ძალაუფლებასთან. თუ ლოკის (და მანამდე კიდევ უფრო მეტად ტომას ჰობზის) თვალსაზრისით, ხალხი უნდა ახდენდეს კანონმდებლობის ლეგიტიმაციას და არა აუცილებლად მის, რეალიზებას, რუსოს პოზიცია რადიკალურად დემოკრატიულია. მისი არგუმენტაციით, ადამიანი მხოლოდ მაშინ არის თავისუფალი, ანუ, საკუთარი პოლიტიკური ნების გარდა არაფერს ემორჩილება, თუ ექვემდებარება იმ კანონებს, რომელთა მიღებაშიც თავად მონაწილეობდა.

„უნარების განვითარების უნარი"

თავისი კრიტიკის მეოთხე პუნქტში რუსო მნიშვნელოვნად განავრცობს თავისუფლების ლოკისეულ ცნებას: მისი აზრით, ადამიანის თავისუფლება გამომდინარეობს იქიდან, რომ მას ბუნებისგან ენიჭება არა უბრალოდ „უნარები", არამედ ამ უნარების განვითარების უნარი (შდრ. Benner/Brüggen, 1996, გვ. 24). ამდენად, დემოკრატიული საზოგადოების მთავარი ამოცანაა ადამიანის განვითარება და მისი ინდივიდუალობის გამოვლენის ხელშეწყობა.

სად არის თავისუფლების ზღვარი საზოგადოებაში?

საკითხი, თუ სადამდე ვრცელდება თავისუფლება (ინდივიდის თავისუფლება საზოგადოების, ასევე სახელმწიფოს მიმართ), დღემდე საკამათოა. იქნება ეს სატელეფონო საუბრების მოსმენის პრობლემა თუ საგანგებო შემთხვევაში თავდაცვის მინისტრის ბრძანება სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოგდების შესახებ – სხვა მრავალ კითხვასთან ერთად ეს გახლავთ თავისუფლების ზღვრის თაობაზე საზოგადოებრივი დისკუსიის საგანი.

ორი პასუხი

დღემდე თავისუფლების ზღვრის განსაზღვრისას ორ ფილოსოფიურ მოსაზრებას იშველიებენ:

„ერთი შეხედვით, დემოკრატიის პირობებში ხალხს ყველაფრის კეთება შეუძლია, რასაც მოისურვებს. მაგრამ პოლიტიკური თავისუფლება სულაც არ ნიშნავს, აკეთო ის, რაც გინდა. სახელმწიფოში, ანუ, საზოგადოებაში, სადაც კანონები არსებობს, თავისუფლება არის უფლება, აკეთო ის, რისი კეთების უფლებაც გაქვს, და არ იყო იძულებული, აკეთო ის, რაც გეკრძალება. უნდა გაიაზრო, რა არის დამოუკიდებლობა და რა – თავისუფლება. თავისუფლება გახლავთ უფლება, აკეთო ყოველივე ის, რაც კანონით დაშვებულია. თუ მოქალაქე აკეთებს იმას, რაც კანონით ეკრძალება, მაშინ მას აღარ ჰქონია თავისუფლება, ვინაიდან სხვებსაც შეეძლებათ იმავეს კეთება." (Montesquieu, 1992, გვ. 212-213)

„ამდენად, არსებობს ერთადერთი კატეგორიული იმპერატივი, კერძოდ: მოიქეცი მხოლოდ იმ მაქსიმას მიხედვით, რომელსაც ისურვებდი, რომ საყოველთაო კანონი გამხდარიყო." (Kant, 1995, გვ. 51)

მონტესკიე

შარლ ლუი დე მონტესკიე (1689–1755) – სამართალმცოდნე და ფილოსოფოსი-მორალისტი. სახელი გაითქვა, პირველ რიგში, ტრაქტატით „კანონთასულის შესახებ" (1748).

ის მოითხოვდა კონსტიტუციურ მონარქიას და ხელისუფლების გადანაწილებას (საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებზე).

მონტესკიეს მიხედვით, თავისუფლების ზღვარი არის კანონის დაცვის ვალდებულება, რომელიც ეფუძნება უფლებას – მისი დაცვა ყველა სხვა მოქალაქესაც მოეთხოვოს.

კანტი

კანტი თავისუფლების კიდევ უფრო ფართო ფორმულირებას გვთავაზობს და ახალ საფეხურზე აჰყავს ის, ვინაიდან თავისუფლების შეზღუდვას უფრო აბსტრაქტულად აღიქვამს: ნებისმიერი ქმედება იმის მიხედვით უნდა შეფასდეს, თუ რამდენადაა შესაძლებელი მისი, როგორც საყოველთაო კანონის, გამოყენება. ფორმულირების ამგვარი გაფართოება გულისხმობს არა მარტო კანონის დაცვის, არამედ ასევე კანონის ფარგლებში თავისუფლებით სარგებლობის საკითხს. თვალი შევავლოთ მარტივ მაგალითს: ვთქვათ, არ იკრძალება დიდგაბარიტებიანი, მაღალი გამავლობის ავტომანქანის მოხმარება, რომელიც ბევრ საწვავს საჭიროებს და, ამდენად, საზიანოა გარემოსთვის. თუ ამას ერთიანი, საყოველთაო კანონის სახეს მივცემთ, სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემას მივიღებთ.

იმანუელ კანტი (1724–1804) – დღემდე ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გერმანელი ფილოსოფოსი განმანათლებლობის ეპოქისა. მის ნაშრომებში განხილულია პრაქტიკულად ყველა იმდროინდელი ფილოსოფიური სფერო.

ძირითადი ნაშრომები: „წმინდა გონების კრიტიკა" (1781), „პრაქტიკული გონების კრიტიკა" (1788), „მსჯელობის უნარის კრიტიკა" (1790), „საყოველთაო მშვიდობისაკენ" (1795), „მორალის მეტაფიზიკის საფუძვლები" (1796/97).

თავისუფლების ზღვარი განპირობებულია მორალით და დაკავშირებულია საერთო კეთილდღეობასთან

კანტის მიხედვით, თავისუფლების ზღვარი *მორალით* განისაზღვრება, ხოლო ინდივიდის თავისუფლების ზღვრული ნიშნული *საერთო კეთილდღეობაა*. თუმცა ცალკეული პიროვნების თავისუფლების ზღვარი არ არის საკმარისი მთელი საზოგადოების თავისუფლების ზღვრის დადგენისთვის. კერძოდ, აქ საუბარია არა მარტო იმაზე, რომ არ დაიშვას ინდივიდის თავისუფლების შეზღუდვა ან მასში ჩარევა, არამედ იმაზედაც, რომ თავისუფლების საზღვრები გაფართოვდეს მათთვის, ვისი თავისუფლებაც იზღუდება. საზოგადოების ფარგლებში ეს იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუ ყველა ადამიანი თანაბარი თავისუფლებით სარგებლობს. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჰამბურგის პროგრამაში ვკითხულობთ: „ყოველი ადამიანი მოწოდებულია თავისუფლებისკენ და აქვს უნარი, იყოს თავისუფალი. შეუძლია თუ არა მას, იცხოვროს ამ მოწოდების შესაბამისად, საზოგადოება განსაზღვრავს."

უახლეს თეორიებში – მაგალითად, ნობელის პრემიის ლაურეატის, ინდოელი ამარტია სენის, კონცეფციაში – საუბარია „თვითრეალიზაციის შესაძლებლობებზე". ეს გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას, რომელიც საკმაოდ სცილდება ფისკალურ თანასწორობას.[1]

[1] გერმანიის ფედერალური მთავრობის პირველ ორ მოხსენებაში სიღარიბისა და სიმდიდრის შესახებ გამოიყენება სიღარიბის დონის არა მხოლოდ საკუთრივ მატერიალური ინდიკატორი, არამედ მასში გათვალისწინებულია სოციალური ინკლუზიისა და ექსკლუზიის მაჩვენებელიც.

თუ თავისუფლების შესახებ წარმოებულ დისკუსიებს გავითვალისწინებთ, შეიძლება სოციალური დემოკრატიის მიმართ შემდეგი მოთხოვნები ჩამოვაყალიბოთ:

მოთხოვნები სოციალური დემოკრატიის მიმართ, რომლებიც თავისუფლების შესახებ წარმოებულ დისკუსიებში გამოიკვეთა:

- პიროვნების თავისუფლება, ისევე, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მის გადაწყვეტილებებში აქტიური მონაწილეობა, მთლიანობაში, უზრუნველყოფილი და გარანტირებული უნდა იყოს.
- თავისუფლება გულისხმობს, რომ ყოველ ადამიანს რეალურად უნდა შეეძლოს თავისუფლებით სარგებლობა. აუცილებელია საზოგადოებრივი ძალისხმევა და ინსტიტუტები, რომლებიც ამას უზრუნველყოფენ. თავისუფლების, როგორც ძირითადი უფლების, ფორმალური აღიარება საკმარისი არ არის.
- თავისუფლება გულისხმობს პოლიტიკური გადაწყვეტილებების დემოკრატიული გზით მიღებას.
- თავისუფლება გულისხმობს, რომ ადამიანები პასუხისმგებლობით და გონივრულად მოქმედებენ. ეს არის ერთგვარი მოთხოვნა დემოკრატიულ საზოგადოებაში აღზრდისა და განათლების მიმართ.

„თავისუფლება" გსდპ-ის ჰამბურგის პროგრამაში:

„თავისუფლება ნიშნავს, იყო საკუთარი ცხოვრების შემოქმედი. ყოველი ადამიანი მოწოდებულია თავისუფლებისკენ და აქვს უნარი, იყოს თავისუფალი. შეუძლია თუ არა მას, იცხოვროს ამ მოწოდების შესაბამისად, საზოგადოება განსაზღვრავს. ის უნდა იყოს თავისუფალი დამამცირებელი დამოკიდებულებისგან, გაჭირვებისა და შიშისგან,;მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, განავითაროს თავისი ნიჭი და გაცნობიერებული პასუხისმგებლობით მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მხოლოდ მას, ვინც საკმარისადაა უზრუნველყოფილი სოციალურად, შეუძლია ისარგებლოს საკუთარი თავისუფლებით." (ჰამბურგის პროგრამა, 2007, გვ. 15)

2.2. თანასწორობა/სამართლიანობა

როდესაც სურთ დაასახელონ მეორე საბაზისო ღირებულება, ბევრი იბნევა ხოლმე: ეს ღირებულება „თანასწორობაა" თუ „სამართლიანობა"?

ასეთი ორაზროვნება ადვილად აიხსნება ფილოსოფიურ-ისტორიულ კონტექსტში:



სურ. 2. სამართლიანი საზოგადოება და საბაზისო ღირებულებები

საფრანგეთის რევოლუციის დროიდან მოყოლებული, სამ საბაზისო ღირებულებად მიჩნეულია „თავისუფლება, თანასწორობა და სოლიდარობა". ფილოსოფიური თვალსაზრისით, სამართლიან საზოგადოებაზე საუბარი იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ სამივე ღირებულება რეალიზებულია.

იმავდროულად, „თანასწორობის" ღირებულების განხილვისას წარმოიშობა კითხვა, თუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს მატერიალური და არამატერიალური კეთილდღეობის სამართლიანი გადანაწილება. მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან ვრცელდება თვალსაზრისი, რომ „სამართლიანობა", როგორც ძირითადი ღირებულება, გამოყენებულ უნდა იქნეს „თანასწორობის" ცნებისგან გასამიჯნად და მის დასაზუსტებლად. დღეისთვის მიღებულია საუბარი „თავისუფლებაზე, *სამართლიანობასა* და სოლიდარობაზე". თუმცა ღირს, რომ ამ საკითხს ფილოსოფიური კუთხითაც გავეცნოთ.

„თავისუფლების" ცნებისგან განსხვავებით, რომელიც შეიძლება ცალკეულ ადამიანს მიესადაგოს, „თანასწორობა" და "სამართლიანობა" ფარდობითი ცნებებია: ყოველი ადამიანი და მისი ინდივიდუალური თავისუფლება საზოგადოების სხვა წევრებს შეეფარდება.

ამასთანავე, ფილოსოფიური თვალსაზრისით, უფრო ფართო ცნებაა „სამართლიანობა". შემდეგი ციტატით ავტორი „სამართლიანობის" ცნების ზუსტ განსაზღვრას ცდილობს:

„რა არის სამართლიანობა? შეიძლება კი ასეთი კითხვის დასმა? როდესაც ვამბობთ „რა არის", ვგულისხმობთ რაიმე საგანს. სამართლიანობა კი არ გახლავთ საგანი. სამართლიანობა ფარდობითი კატეგორიაა. ის მოიცავს ადამიანების ერთმანეთთან დამოკიდებულებას. გარკვეული ტიპის ურთიერთობები ხასიათდება, როგორც სამართლიანი. შესაბამისად, უნდა ითქვას არა „რა არის სამართლიანობა?", არამედ უნდა დაისვას კითხვა "რაში მდგომარეობს სამართლიანობა?" [...] სამართლიანობა ვლინდება იმაში, თუ როგორია ინდივიდის მდგომარეობა მის ერთობაში, საზოგადოებაში, როგორი დამოკიდებულება აქვს მას სხვა ადამიანებთან, რომლებთანაც ის ურთიერთობს. [...] ადამიანებს აქვთ მოთხოვნილება, გაარკვიონ თავიანთი ადგილი სხვებთან ურთიერთობაში, დაადგინონ, თუ როგორ ხდება მათი აღქმა, მათი შეფასება. [...] თუ ინდივიდის თვითშეფასება ემთხვევა იმას, როგორც აღიქმება ის სხვების მიერ, ამ შემთხვევაში იგი მიიჩნევს, რომ მას სამართლიანად ექცევიან. ამგვარი შეფასება იმის მიხედვით ყალიბდება, მიანიჭებენ, შეუზღუდავენ თუ ჩამოართმევენ ადამიანს მატერიალურ და სულიერ კეთილდღეობას. „ (Heinrichs, 2002, გვ. 207-208)

ამგვარად, სამართლიანობა აშკარად მოითხოვს გარკვეულ წინაპირობებს: ადამიანს შეიძლება მიაჩნდეს, რომ მას უსამართლოდ ექცევიან, თუმცა რეალურად შესაძლებელია, გადანაწილების თვალსაზრისით „სამართლიანი" სიტუაცია იყოს. რა არის სამართლიანი და რა – არა, მხოლოდ ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებით შეიძლება დადგინდეს. ამგვარად, სამართლიანობა გულისხმობს,

- რომ ხდება (სულიერი და/ან მატერიალური) კეთილდღეობის საზოგადოებრივი გადანაწილება
- და რომ კეთილდღეობის გადანაწილება ყველას მიერ აღიარებული, ლეგიტიმური კრიტერიუმების შესაბამისად ხორციელდება.

მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ორივე წინაპირობა შესრულებულია, შეიძლება ვისაუბროთ „სამართლიანობაზე".

თანასწორობა კი მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის გადანაწილების განსაკუთრებული ფორმაა:

„თანასწორობა გახლავთ [სოციალური] [...] წესრიგის ამოსავალი წერტილი და არა შედეგი. გადანაწილების კრიტერიუმების განსაზღვრისას საჭიროა საბაზისო ნორმის დადგენა, რომლის საფუძველზედაც სამართლიანად ჩაითვლება გადანაწილება, რომელიც ნორმას სცილდება. გადანაწილების ეს პირველადი ნორმაა არითმეტიკული ტოლობა, ანუ, გადასანაწილებელი კეთილდღეობის შეფარდება მიმღებთა რაოდენობასთან. სამართლიანობისგან განსხვავებით, თანასწორობას არ ესაჭიროება კრიტერიუმების განსაზღვრა. [...] თუ კონკრეტულ შემთხვევაში კეთილდღეობის გადანაწილების კრიტერიუმები არ არსებობს და არ არსებობს საფუძველი იმისთვის, რომ ერთს მეტი მიეცეს და მეორეს – ნაკლები, მაშინ თვითნებობის გამოსარიცხად თანაბარი გადანაწილება უნდა მოხდეს." (Heinrichs, 2002, გვ. 211-212)

ამდენად, თანასწორობის მოთხოვნა გულისხმობს, რომ არ არსებობს საზოგადოების მიერ აღიარებული არგუმენტები, რომლებითაც შეიძლება კეთილდღეობის არათანაბარი გადანაწილების ლეგიტიმაცია.

ასეთია „თანასწორობისა" და „სამართლიანობის" ცნებების ზოგადი განსაზღვრებანი, რომლებიც არც ერთი სამეცნიერო თეორია არ ეწინააღმდეგება. ამასთანავე, საინტერესოა, თუ როგორ ხდება ამ თეორიებში „არათანაბარი გადანაწილების" სამართლიანობის დასაბუთება. არსებობს დასაბუთებისა და დეფინიციის საკმაოდ განსხვავებული ვარიანტები, რომელთა საფუძვლიანი განხილვა ამჟამად შეუძლებელია. მაგრამ პოლიტიკით დაინტერესებული ადამიანი, ცხადია, დასვამს კითხვას, თუ როგორ დგინდება მიმდინარე პოლიტიკაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, რამდენად „სამართლიანი" ან „უსამართლოა" ესა თუ ის პოლიტიკური წინადადება.

ქვემოთ გთავაზობთ „სამართლიანობის" ცნებისადმი ოთხ სხვადასხვა მიდგომას, რომელთა შესახებ მე-20 საუკუნის 80-იან და 90-იან წლებში თეორიული თუ პოლიტიკური დისკუსიები იმართებოდა. განსხვავებული დეფინიციებისა და მიდგომების მიხედვით აშკარაა, რომ სამართლიანობის ერთმნიშვნელოვანი დასაბუთება არ არსებობს და საქმე გვაქვს საკამათო პოლიტიკურ მოტივაციასთან. ეს ოთხი მიდგომა გახლავთ:

- ჯონ როულზის *სამართლიანობის* ლიბერალური *თეორია*,
- სამართლიანობის ლიბერალური თეორიების სოციალისტური კრიტიკა,
- აღიარება და გადანაწილება – ნენსი ფრეზერის განსაზღვრება,
- სამართლიანობის პოლიტიკური განზომილებები.

2.2.1. ჯონ როულზის სამართლიანობის თეორია[2]

ჯონ როულზი

ფილოსოფიურ დებატებში, როგორც წესი, ჯონ როულზის *სამართლიანობის თეორია* განიხილება ხოლმე.

ჯონ როულზი (1921–2002) – ლიბერალური მიმართულების ერთ-ერთი ცნობილი ფილოსოფოსი-მორალისტი. ჰარვარდში პოლიტიკურ ფილოსოფიას ასწავლიდა.

1971 წელს გამოაქვეყნა ყველაზე გახმაურებული ნაშრომი „სამართლიანობის თეორია".

მე-20 საუკუნის 80-იან და 90-იან წლებში მისმა თეორიამ დასაბამი მისცა ფართო დისკუსიას, მათ შორის, სოციალ-დემოკრატთა წრეებში

ლიბერალურ ტრადიციაზე დაფუძნებული თეორია მან ჯერ კიდევ 1971 წელს გამოაქვეყნა. ამ ნაშრომს განსაკუთრებული პოლიტიკური რეზონანსი მე-20 საუკუნის 80-იან და 90-იან წლებში მოჰყვა. ის ტეტჩერისა და რეიგანის ეპოქის საბაზრო რადიკალიზმის, ასევე ჰელმუტ კოლის მთავრობის მიერ გამოცხადებული „სულიერ-მორალური გარდატეხის" ალტერნატივად განიხილებოდა (ისტორიული კონტექსტის შედარებისთვის: Nida-Rümelin, 1997, გვ. 15-16). ჯონ როულზის თეორიამ მწვავე დისკუსია სოციალ-დემოკრატიულ წრეებში გამოიწვია.

„სამართლიანი საბაზისო წესრიგის" შექმნა

თავის თეორიაში როულზი შეისწავლის ინტერესთა კონფლიქტის რეგულირების საკითხს საზოგადოებაში, რომლის წევრები სამართლიანად და თანამშრომლობის საფუძველზე უნდა ცდილობდნენ დეფიციტური კეთილდღეობის გადანაწილებას. ამისთვის საჭიროა ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების ტრანსფორმაცია „სამართლიან საბაზისო წესრიგად„, რომელსაც აქვს სპეციფიკური ინსტიტუტები (კონსტიტუცია, პოლიტიკურ-ეკონომიკური ჩარჩოები და ა. შ.). თავის თეორიაში როულზს სურს განმარტოს სამართლიანი წესრიგის კრიტერიუმები და პრინციპები.

ის ეყრდნობა შემდეგს:

- *შესაძლებელია სამართლიანობის ისეთი ძირითადი იდეებისა და საერთო პრინციპების ჩამოყალიბება, რომლებიც ყველასთვის მისაღები იქნება;*
- *თანამედროვე დემოკრატიების მნიშვნელოვანი ნიშანია ის, რომ მოქალაქეებს ერთმანეთი თავისუფალ და თანასწორ ადამიანებად მიაჩნიათ;*
- *ამ საფუძველზე შესაძლებელია სოციალური თანამშრომლობის პრინციპების ჩამოყალიბება.*

[2] ავტორებს არ აქვთ განზრახული, სრულად წარმოადგინონ ჯონ როულზის თეორია. მათი მიზანია, პრაქტიკული მაგალითებით განიხილონ სამართლიანობის განმარტების პრობლემები, რომლებიც ხშირად წარმოიშობა მიმდინარე პოლიტიკის ფარგლებში.

ჯონ ლოკის მსგავსად, როულზი ერთგვარ საწყის მდგომარეობაზე საუბრობს. ამასთანავე, ის გულისხმობს ადამიანების არა ბუნებრივ მდგომარეობას, რომელიც ოდესღაც რეალურად არსებობდა, არამედ ჰიპოთეზურ მდგომარეობას, როდესაც ერთმანეთს მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის მებრძოლი, თავისუფალი და თანასწორი ადამიანები ხვდებიან და სამართლიანობის ერთიან პრინციპებზე თანხმდებიან.

წარმოსახვითი ექსპერიმენტი: თავისუფალი, თანასწორი და მიზანმიმართული ინდივიდების „საწყისი მდგომარეობა"

როულზს მიაჩნია, რომ სამართლიანია საბაზისო წესრიგი და მიდგომები, რომლებზედაც ერთობის (ან საზოგადოების) წევრები სამართლიანობის პირობებში კონსენსუსის საფუძველზე თანხმდებიან.

„მაქსიმინის წესი"

წარმოსახვითი ექსპერიმენტი იმასაც გულისხმობს, რომ ინდივიდის საზოგადოებრივი მდგომარეობა ჯერ გაურკვეველია. ამიტომ, როულზის აზრით, ადამიანები დაინტერესებული უნდა იყვნენ, რომ საზოგადოების ყველაზე დაუცველმა წევრმა მაქსიმალურად გაიუმჯობესოს მდგომარეობა („მაქსიმინის წესი").

დავალება დისკუსიისა და შემდგომი მუშაობისთვის

ჯონ როულზი გვთავაზობს, ჩავატაროთ წარმოსახვითი ექსპერიმენტი. იღებთ მის წინადადებას?

მაშინ წარმოიდგინეთ, რომ თავისუფალი, თანასწორი და რაციონალურად მოაზროვნე ადამიანების კრებაში მონაწილეობთ:

- *რომელ პრინციპებზე შეგიძლიათ შეთანხმდეთ?*
- *რომელი პრინციპებია საკამათო?*
- *რა არგუმენტებით შეიძლება საკამათო პუნქტების გაქარწყლება?*
- *რომელი პრინციპებია განხორციელებული თანამედროვე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში? რომელი არ არის?*

როულზის რთული თეორიიდან გვსურს გამოვყოთ ორი, ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელთა მეშვეობითაც შევეცდებით შევამოწმოთ, თუ რას შეიძლება ეწოდოს სამართლიანი.

გადანაწილების სამართლიანობის ახალი განმარტება

როულზის ერთ-ერთი დამსახურება ის არის, რომ მან საზოგადოებრივი კეთილდღეობის გადანაწილების შესახებ კლასიკური ლიბერალური დისკუსია განავითარა თეორიის სახით, რომელიც გადანაწილების სამართლიანობას ახლებურად განსაზღვრავს. ამით როულზმა თავისუფლებების უზრუნველყოფის პრეტენზიის მქონე ლიბერალური ტრადიცია თანასწორობისა და სამართლიანობის სოციალ-დემოკრატიულ იდეებს დაუკავშირა.

ორი ძირითადი პრინციპი

თავის „სამართლიანობის თეორიაში" ჯონ როულზი ორ პრინციპს აყალიბებს:

1-ლი პრინციპი:

„ყოველ ინდივიდს თანაბარი უფლება უნდა ჰქონდეს თანაბარი ძირითადი თავისუფლებების ზოგად სისტემაზე, რომელიც ყველა დანარჩენი ადამიანისთვის არსებულ მსგავს სისტემებს ესადაგება." (Rawls, 1979, გვ. 81)[3]

მე-2 პრინციპი:

„სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა შემდეგნაირად უნდა იყოს ორგანიზებული: ა) მან ყველაზე დიდი სარგებელი ნაკლებად წარმატებულებს უნდა მოუტანოს და ბ) ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს თანამდებობა და საზოგადოებრივი მდგომარეობა, რაც შანსების სამართლიანი თანასწორობის პირობებში მიიღწევა." (, Rawls, *1979, გვ. 336)*

ძირითადი თავისუფლებები

პირველი პრინციპი ეხება ძირითადი თავისუფლებების ერთობლიობას, რომლებიც ყოველ პიროვნებაზე უნდა ვრცელდებოდეს, რათა მან შეძლოს საკუთარი თავისუფლებების გამოყენება. „თანაბარი თავისუფლებების სისტემის" ცნება მიუთითებს, რომ ნებისმიერი ქმედება უნდა გაიმიჯნოს კონკრეტული პიროვნებისგან. ამ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ „კანონის წინაშე თანასწორობაზე" და პიროვნების გარანტირებულ უფლებებზე. პირველ პრინციპს პრაქტიკულად ყველა ავტორი აღიარებს.

როულზი (ლიბერალური ტრადიციის თანახმად) ამოდის იქიდან, რომ პირველ პრინციპს მეორის მიმართ აბსოლუტური უპირატესობა ენიჭება.[4]

დიფერენციაციის პრინციპი

პირველი პრინციპისგან განსხვავებით, რომელიც, მთლიანობაში, არ იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, მეორე პრინციპი, ე. წ. დიფერენციაციის პრინციპი, საკამათოა. აქ როულზი გვთავაზობს აბსტრაქტულ ნორმას, რომლის თანახმად, უთანასწორო მიდგომა შეიძლება სამართლიანად ჩაითვალოს. არათანაბარი, მაგრამ სამართლიანი გადანაწილება უნდა უკავშირდებოდეს ორ წინაპირობას:

1. მან სარგებელი ნაკლებად წარმატებულებს უნდა მოუტანოს,
2. თანამდებობა და საზოგადოებრივი მდგომარეობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანისთვის.

[3] ეს ფორმულირება აზრობრივად ეხმიანება კანტის იდეას: "სწორია ნებისმიერი ქმედება, რომლითაც, ან რომლის მაქსიმას მიხედვითაც, ყოველი ადამიანის თვითნებობის თავისუფლება შეეთავსება ყოველი ადამიანის თავისუფლებას, საყოველთაო კანონის შესაბამისად." (Kant, 1963, გვ. 33)

[4] მაიერს მიაჩნია, რომ ეს შეხედულება პრობლემურია როგორც შინაარსობრივად, ისე ლოგიკურად (შდრ. გვ. 93 და მომდევნო გვერდები).

„არათანაბარი, მაგრამ სამართლიანი გადანაწილების" წინაპირობები

„არათანაბარი, მაგრამ სამართლიანი გადანაწილების" პირველ წინაპირობას როულზი არათანაბარი გადანაწილების შესაძლო შედეგებთან აკავშირებს: როდესაც ამით ყველა მოგებული რჩება, მათ შორის, საზოგადოების ყველაზე სუსტი წევრი, მაშინ არათანაბარი გადანაწილება (მისი შედეგიდან გამომდინარე) შეიძლება დავახასიათოთ, როგორც სამართლიანი. ამდენად, საუბარია დროში გახანგრძლივებულ ეფექტზე.
მეორე წინაპირობა დაკავშირებულია „სამართლიან ხელმისაწვდომობასთან": არათანაბარი გადანაწილება მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ თანამდებობა და საზოგადოებრივი მდგომარეობა ყველასთვის ხელმისაწვდომია, ანუ, „ყველა ადამიანს თანაბარი შანსი უნდა ჰქონდეს„.

პრაქტიკული მაგალითი

„დიფერენციაციის პრინციპი" მეტად საკამათოა როგორც სამეცნიერო, ისე პოლიტიკურ წრეებში. თუმცა სანამ შევეცდებით, ვუპასუხოთ კითხვას, რამდენად მართებულია სამართლიანობის დეფინიცია, კარგი იქნებოდა, როულზის არგუმენტები პრაქტიკული მაგალითებით შეგვემოწმებინა. ქვემოთ, ჩარჩოში, წარმოდგენილია პოლიტიკური არგუმენტები, რომელთა „სამართლიანობის" შემოწმება როულზის „პრინციპების" გათვალისწინებით შეიძლება.[5] შეეცადეთ წარმოიდგინოთ, რას მიიჩნევდით სამართლიანად შეგრძნებების დონეზე.

დისკუსია: პროგრესირებადი საშემოსავლო გადასახადი – კი თუ არა?

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ნაწილი პაულ კირხჰოფის და ულტრალიბერალების არგუმენტაციის წინააღმდეგია, მსგავსი მოსაზრებაც იმსახურებს კრიტიკულ ანალიზს.

პაულ კირხჰოფმა, როგორც გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის "ჩრდილოვანი კაბინეტის" ფინანსთა მინისტრმა, ბუნდესტაგის 2005 წლის საარჩევნო კამპანიის დროს 25%-იანი ერთიანი საშემოსავლო გადასახადის შემოღება მოითხოვა, მაშინ, როცა გერმანიაში უკვე რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში პროგრესირებადი დაბეგვრა მოქმედებს: პირველ რიგში, არსებობს დაუბეგრავი საბაზისო თანხა, ხოლო ამ თანხაზე მაღალ შემოსავალზე პროგრესირებადი დაბეგვრა ვრცელდება. ეს იმას ნიშნავს, რომ გადასახადს ყოველი ადამიანი იმ განაკვეთის მიხედვით იხდის, რომელსაც მისი მთლიანი შემოსავლის ოდენობა შეესაბამება.

კითხვა:

რამდენად სამართლიანია ორივე მოდელი, თუ მათ ჯონ როულზის მიხედვით განვიხილავთ?

[5] როულზის უთანასწორო მიდგომის მხოლოდ დიფერენციაციის პრინციპის საფუძველზე ახსნა არ იქნებოდა მართებული. როულზი ამოდის იქიდან, რომ სამართლიანობა ორივე პრინციპის ერთდროულად დაცვას გულისხმობს.

2.2.2. სამართლიანობის ლიბერალური კონცეფციების სოციალისტური კრიტიკა

„აქ ბატონობს მხოლოდ თავისუფლება, თანასწორობა, საკუთრება [...]...თავისუფლება! ვინაიდან საქონლის, ვთქვათ, სამუშაო ძალის, მყიდველი და გამყიდველი მხოლოდ საკუთარ თავისუფალ ნებას ემორჩილებიან. ისინი დებენ ხელშეკრულებას, როგორც თავისუფალი, სამართლებრივად თანასწორი ადამიანები. [...] თანასწორობა! ვინაიდან ისინი ურთიერთობენ ერთმანეთთან, როგორც საქონლის მესაკუთრეები, და ეკვივალენტს ეკვივალენტზე ცვლიან. საკუთრება! ვინაიდან ყოველი მათგანი ფლობს იმას, რაც ეკუთვნის." (Marx, 1998, გვ. 189-190)

საზოგადოებრივი რეალობა

ჰაინრიხსის და როულზის მიერ ჩამოყალიბებული სამართლიანობისა და თანასწორობის ცნებების ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებანი ფილოსოფიური ხასიათისაა.[6] ამდენად, ისინი მოიცავენ ცნებებს და არა საზოგადოებრივ რეალობას. დეფინიციის თვალსაზრისით, არ არის მნიშვნელოვანი, რამდენად რეალიზებულია სამართლიანობა საზოგადოებაში.
თუმცა საბაზისო ღირებულებების სოციალური განხორციელება, რასაკვირველია, არსებითი საკითხია; ამიტომ მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამართლიანობის სოციალისტურ კონცეფციებში.

როგორც წესი, ეს კონცეფციები გაბატონებული უთანასწორობისა და უსამართლობის განმარტების აუცილებლობიდან ამოდის. ის ფაქტი, რომ საზოგადოების მოწყობის პრინციპებს არ მივყავართ თანასწორ და სამართლიან გადანაწილებასთან, სიღარიბისა და სიმდიდრის სტატისტიკით დასტურდება. ამგვარად, უთანასწორობა და უსამართლობა არ არის საწარმოო უბედური შემთხვევა ან ერთჯერადად წარმოქმნილ დისბალანსზე რეაქცია, ის სისტემური სოციალური პრობლემაა. უთანასწორობისა და უსამართლობის საწყისად, პირველ რიგში (და არა მარტო), კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის საწარმოო პირობებია მიჩნეული.

როგორ შეიძლება საზოგადოებაში გაბატონებული უთანასწორობისა და უსამართლობის ახსნა?

აქედან გამომდინარე, ბოლო 150 წლის განმავლობაში სოციალისტური კონცეფციების არგუმენტაცია ორ ძირითად ღერძს ეფუძნება: ისინი ითხოვენ, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი სიმდიდრის გადანაწილებას და, მეორე მხრივ, დოვლათის წარმოებისა და მოპოვების საშუალების შეცვლას, რათა ყველას შეეძლოს თავისუფლებით სარგებლობა. ყველა ადამიანის თავისუფლების მისაღწევად აუცილებელია თანასწორობა – ეს არის მათი ძირითადი იდეა.

შეიძლება კი

როულზი არ ეთანხმება ამას და თავის კონცეფციაში მიუთითებს, რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკა საუკეთესო პირობებს ქმნის ნაკლებად წარმატებული ადამიანებისთვის.

[6] ამასთანავე, ჰაინრიხსი წარმოადგენს არა რაიმე ლიბერალურ თეორიას, არამედ რადიკალური ფილოსოფიის საზოგადოებრივ-ფილოსოფიურ ასპექტს.

უსამართლობა ყველასთვის მოგებიანი გახდეს?

სოციალისტური პოზიციების დამცველნი ეწინააღმდეგებიან როულზის ვარაუდს, რომ ეკონომიკურ უთანასწორობას ყველასთვის (და, პირველ რიგში, საზოგადოების ყველაზე სუსტი წევრებისთვის) შეუძლია სარგებლობის მოტანა. მათი მოსაზრებით, ამით უთანასწორობა და უსამართლობა კიდევ უფრო მატულობს. ბოლო წლების კვლევების ემპირიული შედეგები სწორედ ამაზე მიუთითებს.[7]

გადანაწილების სამართლიანობა თუ ხელმისაწვდომობის სამართლიანობა

მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან როულზი მუშაობდა სოციალური დემოკრატიის თეორიის შექმნაზე და ზრუნავდა შესაბამისი დისკუსიების ჩატარებაზე.

აზრთა სხვადასხვაობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისიც სძენს, რომ მას შეუძლია გამოიწვიოს განხეთქილება სოციალური დემოკრატიისთვის მეტად არსებით მიზნობრივ ჯგუფებს შორის, როგორებიც არიან დასაქმებულები და უმუშევრები. შესამჩნევია, რომ ეს მიზნობრივი ჯგუფები დღესაც – ისევე, როგორც ისტორიულად – ემიჯნებიან ერთმანეთს თავისუფლებისა და თანასწორობის საკითხში.

მემარცხენე პოლიტიკოსთა შორის განსხვავებები თეორიულ დონეზედაც იკვეთება. სამართლიანობის შესახებ დისკუსიაში, პირველ რიგში, ორი საწინააღმდეგო მოდელი უპირისპირდება ერთმანეთს: ერთი მხრივ, სოციალური და მატერიალური კეთილდღეობის სამართლიანი გადანაწილება და, მეორე მხრივ, სოციალური შესაძლებლობების სამართლიანი ხელმისაწვდომობა, ანუ, სხვადასხვა ჯგუფის საზოგადოებრივი აღიარების საკითხი – თუ რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის საზოგადოებრივი მდგომარეობა (ანუ, სოციალური სტატუსის საკითხი). ეს გახლავთ დისკუსია, რომელიც თეორიულ დონეზე მიმდინარეობს და პოლიტიკაშიც აისახება. ნებისმიერ შემთხვევაში, მკაფიო წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, გადანაწილების სამართლიანობასა და, მეორე მხრივ, ხელმისაწვდომობის სამართლიანობას შორის არსებითად ერთმანეთის მიმართ წინასწარ არაკეთილგანწყობას ეფუძნება.

სწორედ ის თეორეტიკოსები, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავენ ხელმისაწვდომობის სამართლიანობას, პრინციპში, არ უარყოფენ გადანაწილების აუცილებლობას. აქ მეტწილად საუბარია სამართლიანობის ცნებისადმი კომპლექსურ მიდგომაზე, რომლის კონტექსტშიც ეკონომიკური უთანასწორობა სამართლიანობის პრობლემაა.
აქვე გთავაზობთ ნენსი ფრეზერის სამართლიანობის ორგანზომილებიანი ცნების მოკლე მიმოხილვას, რომელშიც განსაკუთრებით ეთავსება ერთმანეთს სამართლიანობის ორი განზომილება.

[7] ამგვარ კვლევებს განეკუთვნება: Bourdieu et al., 1997; Castel, 2000; Schultheis/Schulz, 2005.

2.2.3. ნენსი ფრეზერის სამართლიანობის ორგანზომილებიანი ცნება

სამართლიანობის ორგანზომილებიანი ცნება

სამართლიანობის კონცეფციაში ნენსი ფრეზერი შეეცადა შეერბილებინა დაპირისპირება განაწილების/გადანაწილების სამართლიანობის მომხრეთა და ხელმისაწვდომობის სამართლიანობის ლიბერალურ არგუმენტაციას შორის და სამართლიანობის ორგანზომილებიანი ცნება შემოგვთავაზა:

„საჭიროა თეორიულ დონეზე შემუშავდეს სამართლიანობის ორგანზომილებიანი კონცეფცია, რომელიც შეძლებს სოციალური თანასწორობის ლეგიტიმური მოთხოვნების შეთანხმებას არსებული განსხვავებების აღიარების ლეგიტიმურ მოთხოვნებთან. პრაქტიკულ დონეზე, საუბარია ორიენტირების საპროგრამო პოლიტიკური სქემის შექმნაზე, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, გადანაწილების პოლიტიკის უპირატესობები შეთანხმდეს აღიარების პოლიტიკის უპირატესობებთან." (Fraser, 2003, გვ. 17-18)

ფრეზერის თეზისი იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი უსამართლობა ან დისკრიმინაცია გულისხმობს როგორც ეკონომიკური ინტერესების შელახვას, ისე არასაკმარის აღიარებას, ოღონდ სპეციფიკური თანაფარდობით:



სურ. 3. ნენსი ფრეზერის სამართლიანობის ცნება

პრაქტიკული მაგალითები

მაგალითად, ჰომოსექსუალისტების დისკრიმინაცია, პირველ რიგში, სტატუსისა და საზოგადოებრივი აღიარების კონტექსტში მიმდინარეობს. ამავე დროს, ის დაკავშირებულია ფინანსური დაბეგვრის დროს რეგისტრირებული ერთსქესიანი ოჯახური წყვილების დისკრიმინაციასთან. ამგვარად, „სამართლიანობის" მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ გათვალისწინებული იქნება სტატუსისა და ეკონომიკური ინტერესების შელახვის სპეციფიკური თანაფარდობა.

ნენსი ფრეზერი (დაბ. 1947) – პოლიტოლოგიის პროფესორი ნიუ-იორკის სპეციალური კვლევების ახალ სკოლაში. მიჩნეულია ფემინიზმის ერთ-ერთ თვალსაჩინო თეორეტიკოსად.

აქვს ნაშრომები ფემინიზმის, სამართლიანობისა და კრიტიკული თეორიების სფეროში.

სამართლიანობას მრავალგანზომილებიანი სტრატეგია ესაჭიროება

მეორე მაგალითისთვის შეიძლება გამოვიყენოთ უმუშევართა სტიგმატიზაცია და იზოლაცია ჩვენს საზოგადოებაში. მათი იზოლაცია მეტწილად ცუდი მატერიალური მდგომარეობით არის განპირობებული. თუმცა ემპირიული კვლევები გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი აღიარება და პატივისცემა, ანუ, საზოგადოებრივი სტატუსი, ამ ადამიანებისთვის ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა.
სამართლიანობისა და საზოგადოებრივ პროცესებში მისი ყველა წევრის თანამონაწილეობის მისაღწევად საჭიროა ისეთი სტრატეგიების შემუშავება, რომლებშიც ორივე განზომილება საკმარისად იქნება გათვალისწინებული.

„პარტიციპატორული (მონაწილეობის) პარიტეტის" იდეა

თავდაპირველად ფრეზერი აღწერს ანალიტიკურ მეთოდს, რომლითაც უთანასწორობისა და უსამართლობის შესწავლა შეიძლება. ამასთანავე, ის ახდენს სამართლიანობის საკუთარი ხედვის ნორმატიულ ფორმულირებას. სამართლიანობად იგი „პარტიციპატორულ პარიტეტს" განიხილავს.

„ჩემი კონცეფციის არსი პარტიციპატორულ პარიტეტში მდგომარეობს. ამ ნორმის თანახმად, სამართლიანობა მოითხოვს საზოგადოებრივ ძალისხმევას, რომელიც საზოგადოების ყველა (ზრდასრული) წევრის თანასწორ ურთიერთდამოკიდებულებას უზრუნველყოფს. იმისთვის, რომ პარტიციპატორული პარიტეტი რეალური გახდეს, საჭიროა ორი პირობის შესრულება. პირველი პირობა გულისხმობს იმას, რომ მატერიალური რესურსების გადანაწილება უნდა უზრუნველყოფდეს ყოველი მონაწილის „ხმის უფლებას" და დამოუკიდებლობას. მე ამას ობიექტურ პირობას ვუწოდებდი. ის თავიდანვე გამორიცხავს ეკონომიკური დამოკიდებულებისა და უთანასწორობის ისეთ ფორმებსა და დონეებს, რომლებიც აფერხებს პარიტეტულ თანამონაწილეობას. [...] მეორე პირობა გულისხმობს ინსტიტუციონალიზებულ კულტურულ-ღირებულებით მოდელებს, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა მონაწილის თანასწორ პატივისცემას და საზოგადოებრივი პატივისცემის მოპოვებისთვის საჭირო შანსების თანასწორობას. მე ამას პარტიციპატორული პარიტეტის ინტერსუბიექტურ პირობას ვუწოდებდი." (Fraser, 2001, გვ. 54-55)

კრიტერიუმი სამართლიანი (უსამართლო) უთანასწორობისთვის

ახლა ფრეზერმა – როულზის მსგავსად – უნდა დაასახელოს კრიტერიუმი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია დადასტურდეს ან გამოირიცხოს სამართლიანი ან უსამართლო უთანასწორობა ორივე განზომილებაში. ის შემდეგ კრიტერიუმს გვთავაზობს:

„ამიტომ ორივე განზომილებისთვის მოქმედებს ერთი და იგივე კრიტერიუმი, რომლითაც ერთმანეთისგან განასხვავებენ გამართლებულ და გაუმართლებელ პრეტენზიებს. მიუხედავად იმისა, თუ რასთან არის დაკავშირებული პრობლემა – გადანაწილებასთან თუ აღიარებასთან, ორივე შემთხვევაში პრეტენზიის მქონე ადამიანებმა უნდა დაადასტურონ, რომ მიღებული ზომები არ აძლევს მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორუფლებიანი მონაწილეობის შესაძლებლობას." (Fraser, 2003, გვ. 57-58)

ნაბიჯები:

1. *ანალიზი:* რა უთანასწორობასთან გვაქვს საქმე? რაში გამოიხატება ორივე განზომილება?
2. *კრიტერიუმის გამოყენება:* როგორ უშლის ხელს პარტიციპატორული პარიტეტის განხორციელებას საზოგადოებაში მიღებული ზომები/წესები?
3. *ალტერნატივები:* რა ცვლილებებითა და სტრატეგიებით შეიძლება პარტიციპატორული პარიტეტის უზრუნველყოფა?

ეს ნაბიჯები (ორივე განზომილების ანალიზი კონკრეტულ უსამართლობასთან, კრიტერიუმის გამოყენებასთან და ალტერნატივებთან მიმართებით) ფრეზერისთვის, პირველ რიგში, დემოკრატიული მოლაპარაკებისა და შეთანხმების საკითხია.

ცხადია, აქ სასარგებლო იქნებოდა პრაქტიკული ტესტი, მაგალითად, „სამოქალაქო დაზღვევის" ან „ფიქსირებული (პაუშალური) გადასახადის" შესახებ დისკუსიის (შდრ. გვ. 47 და მომდევნო გვერდები) ანალიზი.

სამართლიანობის უზრუნველყოფის ორი სტრატეგია

ფრეზერი განიხილავს უსამართლობასთან ბრძოლის ორ განსხვავებულ საზოგადოებრივ სტრატეგიას (Fraser, 2003, გვ. 102-103): აფირმაციას (არსებულ პირობებთან შეგუება) და ტრანსფორმაციას (გარდაქმნა).

ასე, ლიბერალური საერთო კეთილდღეობის სახელმწიფო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ნაკლოვანებების კომპენსირებისთვის აფირმაციულ სტრატეგიას იყენებს. ამით კაპიტალისა და შრომის ეკონომიკური უთანასწორობა არ უქმდება, თუმცა სუსტდება.

ტრანსფორმაციული სტრატეგიისკენ მოგვიწოდებენ სოციალისტები: ისინი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის სოციალისტური ეკონომიკური წყობით ჩანაცვლებას გვთავაზობენ.

„არარეფორმატორული რეფორმების" ამოსავალი წერტილი

ფრეზერი არც ერთ ამ სტრატეგიას არ ეთანხმება და მათ უპირისპირებს მესამე სტრატეგიას, რომელსაც იგი (ანდრე გორცის კვალდაკვალ) „არარეფორმატორულ რეფორმებს" უწოდებს. ამ გრძელ და არცთუ გასაგებ ტერმინს ის სოციალ-დემოკრატიულ პროექტს უკავშირებს:

„ფორდიზმის პერიოდში [ამ სტრატეგიამ] მემარცხენე პოლიტიკოსთა ნაწილის სოციალ-დემოკრატიულ ხედვას დაღი დაასვა. ასეთ პერსპექტივაში სოციალ-დემოკრატია გამოჩნდა არა მხოლოდ როგორც მარტივი კომპრომისი – ერთი მხრივ, აფირმაციულ ლიბერალურ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს და, მეორე მხრივ, ტრანსფორმაციულ სოციალისტურ სახელმწიფოს შორის, არამედ ის მეტწილად აღიქმებოდა დინამიკურ რეჟიმად, რომელიც პერსპექტივაში ტრანსფორმაციული გახდებოდა. თავდაპირველი იდეა ის იყო, რომ მომხდარიყო გადანაწილების აშკარა აფირმაციული რეფორმების ინსტიტუციონალიზაცია, მათ შორის, ისეთების, როგორებიცაა სოციალური დახმარების მიღების საყოველთაო უფლება, ძლიერ პროგრესირებადი დაბეგვრა, მაკროეკონომიკური პოლიტიკური ღონისძიებები სრული დასაქმების უზრუნველსაყოფად, ფართო, არასაბაზრო სახელმწიფო სექტორი და სახელმწიფო და/ან კოლექტიური საკუთრების არსებითი ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ეს პოლიტიკური ღონისძიება პრინციპულად არ ცვლიდა კაპიტალისტური საზოგადოების სტრუქტურას, მოსალოდნელი იყო, რომ, მთლიანობაში, ისინი კაპიტალისა და შრომის ძალთა თანაფარდობაზე ამ უკანასკნელის სასარგებლოდ იმოქმედებდნენ და პერსპექტივაში ხელს შეუწყობდნენ ტრანსფორმაციას. ცხადია, ეს მოლოდინი სულაც არ არის საფუძველს მოკლებული. მაგრამ საბოლოოდ მას არ ეწერა განხორციელება, ვინაიდან სულ მალე ნეოლიბერალიზმმა ამ ექსპერიმენტს ბოლო მოუღო." (Fraser, 2003, გვ. 110-111)

„არარეფორმატორული რეფორმების" სტრატეგია არის ცდა ერთგვარი ხიდის გადებისა სამართლიანობის სოციალურ-ლიბერალურ და სოციალისტურ კონცეფციებს შორის.

2.2.4. სამართლიანობის პოლიტიკური განზომილება – „შრომითი წვლილის შესაბამის სამართლიანობასა" და „მოთხოვნილება შესაბამის სამართლიანობას" შორის

უთანასწორო გადანაწილების პოლიტიკური არგუმენტები

ფილოსოფიურმა დისკუსიამ დაგვანახვა, რომ სამართლიანობის განმარტება სხვადასხვაგვარად შეიძლება და ფილოსოფიური დეფინიციების ეფექტიც შეზღუდულია, ვინაიდან საქმე გვაქვს ცნების პირობით განსაზღვრებასთან, რომელიც მიმდინარე საზოგადოებრივი დისკუსიების ფარგლებში საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფში (პროფკავშირები, დამსაქმებელთა ასოციაციები ან პარტიები) ყალიბდება.

საბოლოოდ – და ფილოსოფიურ დისკუსიაში ეს უკვე გამოიკვეთა – სამართლიანობის საკითხი უკავშირდება მატერიალური და არამატერიალური კეთილდღეობის გადანაწილებას („გადანაწილების სამართლიანობა"), რომელიც ფასდება, როგორც სამართლიანი ან უსამართლო.

ამავე დროს, პოლიტიკურ დისკუსიებში დამკვიდრდა სამართლიანობის კიდევ ორი ცნება, რომლებიც კეთილდღეობის გადანაწილებას სხვადასხვა კუთხით განიხილავს და მის ლეგიტიმაციას ახდენს.

შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობა

სამართლიანობა შრომითი წვლილის შესაბამისად თუ „შრომა კვლავ მოგებიანი უნდა გახდეს?" ბურჟუაზიული ბანაკის წარმომადგენლები – პირველ რიგში, თავისუფალ დემოკრატთა პარტია და ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი/ქრისტიან-სოციალური კავშირი – მუდამ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ შრომითი წვლილი ამართლებს კეთილდღეობის გადანაწილებისას არსებულ უპირატესობებს. ამდენად, შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობა გულისხმობს, რომ *გადანაწილების სამართლიანობა* ინდივიდის წვლილის მიხედვით შეიძლება შეფასდეს.

მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ სამედიცინო დაზღვევის შენატანის ზედა ზღვარი: წლიური შემოსავლის გარკვეული ოდენობის მიღწევის შემდეგ შესაძლებელი ხდება კერძო კომპანიაში დაზღვევა (და, ამდენად, ავადმყოფობის შემთხვევაში უკეთესი მომსახურების მიღება). მემარცხენე პოლიტიკოსების უმრავლესობა ამგვარ არგუმენტებს სკეპტიკურად აღიქვამს ან საერთოდ უარყოფს.

თუმცა მემარცხენეებიც იყენებენ არგუმენტად შრომითი წვლილის ფაქტორს, როგორც სამართლიანობის კრიტერიუმს: „ღონიერი მხრები უფრო მეტ ტვირთს უნდა ეზიდებოდნენ", – ასეთია კარგად ცნობილი არგუმენტი შრომითი წვლილის შესახებ. ვისაც მეტი აქვს, მეტი უნდა გაიღოს საერთო კეთილდღეობისთვის. სოციალური დაზღვევის სისტემაში (უმუშევრობისა და საპენსიო დაზღვევა) ამას უკავშირდება სოციალური სტატუსის შენარჩუნების გარანტიაც: ვისაც მეტი აქვს გადახდილი სოციალურ ფონდში, მეტს მიიღებს საჭიროების შემთხვევაში.

ანალოგიური არგუმენტი შესაძლოა კრიტიკულად იქნეს გამოყენებული საწარმოში შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით: შეიტანა კი გამგეობის თავმჯდომარემ საწარმოს ეკონომიკურ წარმატებაში მეტი წვლილი, ვიდრე კონვეიერზე მომუშავე ქალბატონმა? საბირჟო ანალიტიკოსის შრომა ნამდვილად უფრო ეფექტიანია, ვიდრე მედდის?

ამგვარად, აშკარაა, რომ შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობის კრიტერიუმს სხვადასხვა პოლიტიკური ბანაკის წარმომადგენლები იყენებენ. შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობა დამკვიდრდა, როგორც არათანაბარი გადანაწილების სასარგებლო არგუმენტი. თუმცა ეს, პირველ რიგში, პირობითი არგუმენტაციაა, რადგან საზოგადოებაში ძალთა თანაფარდობასა და მოლაპარაკების პროცესის შედეგებზეა დამოკიდებული.

მოთხოვნილების შესაბამისი სამართლიანობა

მოთხოვნილების შესაბამისი სამართლიანობის ფარგლებში ისმება კითხვა – რა სახის კეთილდღეობა უნდა მიიღონ ადამიანებმა თავიანთი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე. მაგალითად, ავადმყოფ ადამიანს გარკვეული დონის მოვლა-პატრონობა ესაჭიროება. ჯანმრთელ ადამიანს არ შეუძლია მიიღოს ეს მომსახურება, ვინაიდან არ სჭირდება ან მისი მოთხოვნილება არ არის საზოგადოების მიერ აღიარებული. სოციალური სერვისების უმეტესობა, სოციალური სამართლის კოდექსის თანახმად, მოთხოვნილების შესაბამის სამართლიანობაზეა ორიენტირებული. ამდენად, ჩვენს საზოგადოებრივ სისტემაშიც მოთხოვნილების შესაბამისი სამართლიანობა გამოიყენება, როგორც ლეგიტიმური საფუძველი.

ორივე არგუმენტაცია კვლავ იკვეთება პოლიტიკურ დისკუსიებში.

2.2.5. ექსკურსი: თანასწორობა და სამართლიანობა, როგორც სოციალ-დემოკრატიული ცნებები

აქცენტების გადანაცვლება სამართლიანობის ირგვლივ წარმოებულ დისკუსიებში

"სამართლიანობის" ცნების ფილოსოფიურ განმარტებებთან ერთად საინტერესოა გადავხედოთ საკვანძო პოლიტიკური ცნებების მონაცვლეობას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიის ისტორიის განმავლობაში. ეს დაკვირვება შესაძლებლობას გვაძლევს დავინახოთ, თუ როგორ ხდებოდა აქცენტების გადანაცვლება სამართლიანობის შესახებ წარმოებულ დისკუსიებში, რომლებიც, მართალია, თეორიული დისკუსიებისგან დამოუკიდებლად, მაგრამ საბოლოოდ მათი გათვალისწინებით მიმდინარეობდა.

პოლიტიკურ ცნებათა განსაზღვრისას ყურადღება სოციალ-დემოკრატიულ გამოცდილებაზე შევაჩერეთ, ვინაიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარტიულ ლანდშაფტში სწორედ სოციალ-დემოკრატები აღიქმებიან სოციალური სამართლიანობის პარტიად.

რაც შეეხება სოციალ-დემოკრატთა ხელისუფლებაში ყოფნის სხვადასხვა პერიოდს, საკვანძო ცნებების მონაცვლეობა შეესაბამება ამა თუ იმ ეტაპზე წარმოდგენილ განსხვავებულ მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება სამართლიანობის პოლიტიკის განხორციელება ან ჩამოყალიბება სახელმწიფო სახსრების საშუალებით. შემდეგ ცნება „თანასწორობა" შეიცვალა „შანსების თანასწორობით", რომელსაც მოგვიანებით „შანსების სამართლიანობა" ჩაენაცვლა.

„თანასწორობა"

განსაკუთრებით 1959 წლამდე, როდესაც გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა ბად-გოდესბერგში პარტიის ყრილობაზე ამომრჩეველთა ახალ ფენებს მიმართეს, „თანასწორობის" ცნება მემარცხენე იდეოლოგიის ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. ის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავდა. ამასთანავე, მათი ყურადღების ცენტრში შრომის საკითხი იყო. თანასწორობა, უპირველეს ყოვლისა, საწარმოო ურთიერთობებში არსებული არათავისუფლებისა და ექსპლუატაციის დაძლევად აღიქმებოდა. სამთო მეტალურგიული წარმოების მართვაში დასაქმებულთა თანამონაწილეობის რეგულაციების დამტკიცებით დაწყებული, 1950-იანი წლების საგაფიცვო მოძრაობით დამთავრებული, რომლებსაც დღეს იშვიათად თუ იხსენებენ, სოციალ-დემოკრატები იღვწოდნენ მეტი თანასწორობისთვის, ანუ, დასაქმებულთა მეტი თანამონაწილეობისთვის, შრომისა და ცხოვრების პრობლემების გადაჭრის მიზნით. საბოლოო შედეგი ერთმნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს თუ კომპანიის მართვაში თანამონაწილეობის კუტხიტ ნაწილობრივი წარმატება იქნა მირწეული,შრომით ურთიერთობებში თანასწორობის შესახებ მოთხოვნები შეუსრულებელი დარჩა.

„შანსების თანასწორობა"

ვილი ბრანდტისა და სოციალ-ლიბერალური კოალიციის ეპოქაში დამკვიდრდა „შანსების თანასწორობის" ცნება, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მომხიბვლელობა (არა მხოლოდ სოციალ-დემოკრატებისთვის) და დადებითად ახასიათებს ბრანდტის ეპოქის პროგრესულ პოლიტიკას. ეს ახალშექმნილი ცნება, პრინციპში, აღიარებდა საზოგადოებაში არსებულ უთანასწორობას და ყურადღებას ძირითადად განათლების პოლიტიკაზე ამახვილებდა. განათლების სისტემისა და ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის გაფართოება მნიშვნელოვანი არგუმენტი იყო მოსახლეობისა და ამომრჩეველთა ახალი ფენების მიზიდვისთვის. ამასთანავე, უთანასწორობა განიხილებოდა არა მარტო მატერიალური კეთილდღეობის გადანაწილების, არამედ საზოგადოებაში განათლების შანსების არსებობის კუთხითაც. იმას, რომ მატერიალური რესურსების არათანაბარი გადანაწილება და განათლების არათანაბარი შესაძლებლობები ერთმანეთს ავსებდა, სოციალ-დემოკრატები კარგად ხედავდნენ. ლიბერალები კი აქცენტს არა „თანასწორობისა" და „შანსების თანასწორობის" ცნებების გადაკვეთაზე, არამედ მეტწილად „თანასწორობის" „შანსების თანასწორობით" ჩანაცვლებაზე აკეთებდნენ. სწორედ შანსების თანასწორობა შეესაბამებოდა ლიბერალურ ხედვას და სწორედ ამგვარად გახდა შესაძლებელი სოციალ-ლიბერალური პოლიტიკის განხორციელება.

„შანსების სამართლიანობა"

ახალი მიდგომა ახალ საზოგადოებრივ ვითარებასა და ახალ პოლიტიკურ ტენდენციებს მოასწავებდა. ამ თვალსაზრისით, „შანსების თანასწორობის" ცნება საკმაოდ დამახასიათებელი გახდა. ის იმ ეტაპზე დაინერგა, როდესაც სოციალური სახელმწიფოს პოზიტიურმა გაგებამ ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზაცია მოიტანა.

სოციალ-დემოკრატთა მმართველობის მესამე პერიოდში, კანცლერ გერჰარდ შრედერის დროს, ცნება „შანსების თანასწორობა" შეიცვალა. ცნებით „შანსების სამართლიანობა", რომელიც ყურადღებას ძირითადად გადანაწილების ასპექტებზე ამახვილებს. მოცემული ცნება ხაზს უსვამს, რომ საზოგადოებაში არსებული შანსები მატერიალური და არამატერიალური რესურსების გადანაწილებაზეა დამოკიდებული. ეს რესურსები კი – ეს მაშინდელი ხელისუფლების არგუმენტი იყო – ეკონომიკური თვალსაზრისით, შეზღუდული გახლავთ.

შანსების სამართლიანობის დეფინიცია მემარცხენე ბანაკში განხეთქილებას იწვევს

შეზღუდული შანსები „სამართლიანად" უნდა გადანაწილებულიყო. აქ შრედერის პოლიტიკა „შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობის" პრინციპს ეყრდნობოდა: ფორმულა „მხარდაჭერა და მომთხოვნელობა" გულისხმობს, ერთი მხრივ, შანსებისა და მატერიალური რესურსების გადანაწილებას, და, მეორე მხრივ, შესაბამის შეტანილ წვლილს,
პოლიტიკური დისკუსიების დროს სწორედ შანსების სამართლიანობის დეფინიციას შეაქვს განხეთქილება მემარცხენე ბანაკში. განსაკუთრებულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, პირველ რიგში, კითხვები:

- რეალურად არსებობს თუ არა – და თუ არსებობს, რა მოცულობით – რესურსების ვითომ ობიექტური შეზღუდვები? თუ საუბარია პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც სხვაგვარიც შეიძლებოდა ყოფილიყო (მაგ., სა-

ხელმწიფო ფინანსებისა და სოციალური დაზღვევის სისტემის სფეროებში)?

- შეიძლება თუ არა სამართლიანად ჩაითვალოს საზოგადოებაში არსებული ვალდებულებებისა თუ შეღავათების არჩეული ფორმა (მაგ. ერთი მხრივ, საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება მეწარმეებისთვის, და მეორე მხრივ) სოციალური ხარჯების შემცირება?

იმის მიუხედავად, თუ როგორი პასუხები გაეცემა ამ კითხვებს, აშკარაა, რომ სამართლიანობის ცნება საკამათო რჩება როგორც თეორიული, ისე პოლიტიკური კუთხით.

მოთხოვნები სოციალური დემოკრატიის მიმართ, რომლებიც სამართლიანობის შესახებ წარმოებულ დისკუსიებში გამოიკვეთა:

- *სამართლიანობა ფუნდამენტური ღირებულებაა, რომელიც მატერიალური და არამატერიალური რესურსების გადანაწილებასთან არის დაკავშირებული. ამასთანავე, სოციალური დემოკრატია ვერ თანხმდება სამართლიანობის ერთიან განმარტებაზე. როგორც ლეგიტიმაციის საფუძველი, „სამართლიანობა" საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი არგუმენტია, თუმცა თეორიული თვალსაზრისით ის საკამათო გახლავთ.*
- *ცხადია, რომ „სამართლიანობა" საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან მიმართებით სხვადასხვაგვარად უნდა განიხილებოდეს.*
- *თანასწორობა, როგორც კეთილდღეობის თანაბარი გადანაწილება, თავისთავად არ საჭიროებს დასაბუთებას. მისი შეზღუდვა სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე უნდა განიხილებოდეს.*
- *შეუძლებელია რეალური თავისუფლების წარმოდგენა თანასწორობის გარეშე.*

„სამართლიანობა" გსდპ-ის ჰამბურგის პროგრამაში:

„სამართლიანობა ეფუძნება ყოველი ადამიანის თანასწორ ღირსებას. ის გულისხმობს თანაბარ თავისუფლებას და ცხოვრების თანაბარ შანსებს, წარმომავლობისა და სქესის მიუხედავად, რაც ნიშნავს მონაწილეობის თანაბარ შესაძლებლობებს განათლების, შრომის, სოციალური უსაფრთხოების, კულტურისა და დემოკრატიის კუთხით, ასევე საზოგადოებრივი კეთილდღეობის თანაბარ ხელმისაწვდომობას. იქ, სადაც შემოსავლებისა და საკუთრების არათანაბარი გადანაწილება ყოფს საზოგადოებას მათზე, ვინც სხვებს განკარგავს, და მათზე, ვინც სხვის განკარგულებაშია, იგი ლახავს თანაბარ თავისუფლებას და, ამდენად, უსამართლოა. აქედან გამომდინარე, სამართლიანობა მოითხოვს მეტ თანასწორობას შემოსავლების, საკუთრებისა და ძალაუფლების გადანაწილებაში. [...] ყოველი ადამიანის წვლილი აღიარებული და პატივცემული უნდა იყოს. სამართლიანად ითვლება შემოსავლებისა და საკუთრების გადანაწილება, რომელიც შეტანილი წვლილის შესაბამისად ხორციელდება. საკუთრება ავალდებულებს: ვისაც საშუალოზე მეტი შემოსავალი აქვს, ფლობს მეტ საკუთრებას, ვიდრე სხვები, უფრო მეტად უნდა იზრუნოს საზოგადოების კეთილდღეობისთვის." (ჰამბურგის პროგრამა, 2007, გვ. 15-16)

2.3. სოლიდარობა

„სოლიდარობის" (ან საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში „ძმობის") ცნება ყველაზე ნაკლებ კამათს იწვევს. სავარაუდოდ, ეს იმას უკავშირდება, რომ სოლიდარობა, ზოგადად, ადამიანობასთან არის გაიგივებული და რთულია მისი თეორიულ ჭრილში განხილვა.

თუ სხვადასხვა ავტორს[8] დავესესხებით, სოლიდარობის ზოგადი განმარტება შემდეგნაირად შეიძლება:

- კოლექტიური ურთიერთპასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც
- განპირობებულია საერთო ინტერესებით,
- გამოიხატება თანამეგობრობისთვის სასიკეთო ქცევაში, თუნდაც ზოგჯერ საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგოდ,
- და სცილდება ურთიერთსამართლიანობის ფორმალური მოთხოვნის ფარგლებს.

ამდენად, „სოლიდარობა" ერთიანი „სოციალური ცნობიერებაა", რომელიც მსგავს ცხოვრების წესსა და საერთო ღირებულებებს ეფუძნება.

ამერიკელი სოციოლოგი და ფილოსოფოსი-მორალისტი უოლზერი იმასაც მიუთითებს, რაც შეიძლება ერთგვარად მართებულიც კი იყოს – სოლიდარობა შესაძლოა გარკვეულ ხიფათსაც შეიცავდეს, „თუ ის მხოლოდ გრძნობა, თანამშრომლობის ემოციური სუროგატია და არა ნამდვილი, ცოცხალი, ყოველდღიური თანამშრომლობის განსახიერება" (Walzer, 1997, გვ. 32).

ეს ყოველდღიური თანამშრომლობა მოიცავს საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და სტრუქტურებს, სადაც შესაძლებელია სოლიდარობის მიღწევა, რაც ხელს უწყობს სოციალური უსაფრთხოების დამყარებას.

სოლიდარობამ, თავისთავად, შეიძლება ექსკლუზიური, დისკრიმინაციული ფორმა მიიღოს. ამის მაგალითია მემარჯვენე ექსტრემისტული კორპორაციული სულისკვეთება. დემოკრატიული საზოგადოებისთვის, რომელიც ღია, პლურალისტურ სამოქალაქო საზოგადოებას ეფუძნება და მასთან ერთად ვითარდება, სოლიდარობის ეს მანკიერი ფორმა უდიდესი საშიშროებაა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შეფასებული.

[8] მაგალითად, **Hondrich** და სხვები, **1994; Carigiet, 2003.**

დასაშვები ზღვრის გადალახვა მაშინ ხდება, როცა გარკვეული თანამეგობრობის ერთიანობა სხვათა დისკრიმინაციით საზრდოობს.

ამიტომ სოლიდარობა დემოკრატიულ საზოგადოებაში თავისუფლებისა და თანასწორობის რეალიზების გარეშე არ უნდა განიხილებოდეს.

ცნების განსაზღვრის ერთგვარი სირთულის მიუხედავად, მას სოციალურ ისტორიაში მუდამ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მოქალაქეთა ურთიერთდამოკიდებულების კონტექსტში. ამ კუთხით, მსხვილი სადაზღვევო სტრუქტურები (უმუშევრობის, ჯანმრთელობის, საპენსიო და უბედური შემთხვევისგან დაზღვევა) დასაქმებულთა სოლიდარული ინსტიტუტები არიან. მათი შექმნა მე-19 საუკუნის 90-ინ და მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, პირველ რიგში, დასაქმებულთა და სოციალისტთა/სოციალ-დემოკრატთა უდიდეს ზეწოლას უკავშირდებოდა. თვით ბისმარკის კონსერვატიული მთავრობაც იძულებული იყო, ანგარიში გაეწია მათთვის.

კოოპერაციული თანამშრომლობაც სოლიდარობის პრინციპს ეფუძნება, როდესაც მისი წევრები, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ქმნიან თანამეგობრობას, რომელსაც შესწევს უნარი, მნიშვნელოვანწილად შეასუსტოს საბაზრო კონკურენციის გავლენა.

სოლიდარობა განაპირობებს იმასაც, რომ ყველა წევრის ინტერესთა შეთანხმება ქმედითობის ზრდას იწვევს. ამდენად, სოლიდარობა წარმოიქმნება იმ პირობით, თუ პოლიტიკური არგუმენტირების დროს გათვალისწინებულია განსხვავებული, მაგრამ, პირველ რიგში, საერთო ინტერესები.

მოთხოვნები სოციალური დემოკრატიის მიმართ, რომლებიც სოლიდარობის შესახებ წარმოებულ დისკუსიებში გამოიკვეთა:

- *საზოგადოებრივ ინსტიტუტებს შეუძლიათ სოლიდარობის, როგორც საზოგადოების სოციალური ერთიანობის, სტიმულირება და არა მისი წარმოქმნა.*
- *სოციალური დემოკრატიის ფარგლებში შესწავლილ უნდა იქნეს, თუ რა სახით მოქმედებენ საზოგადოებაში სოლიდარობაზე სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები.*
- *სოლიდარობა ყოველთვის თავისუფლებისა და თანასწორობის რეალიზებასთან კავშირში უნდა განიხილებოდეს.*

„სოლიდარობა" გსდპ-ის ჰამბურგის პროგრამაში:

„სოლიდარობა ნიშნავს ურთიერთდამოკიდებულებას, ერთიანობასა და დახმარებას. ეს გახლავთ ადამიანების მზადყოფნა, მხარში ამოუდგნენ ერთმანეთს და დახმარების ხელი გაუწოდონ. ის ვლინდება ძლიერთა და სუსტთა, თაობათა და ხალხთა შორის ურთიერთობებში. სოლიდარობა წარმოშობს ძალას ცვლილებებისთვის – ასეთია მუშათა მოძრაობის გამოცდილება. სოლიდარობა უზარმაზარი ძალაა, რომელიც აერთიანებს ჩვენს საზოგადოებას სპონტანური და ინდივიდუალური დახმარებისთვის მზადყოფნაში, ერთიანი წესებითა და ორგანიზაციებით, სოციალურ სახელმწიფოში, როგორც პოლიტიკურად გარანტირებული და ორგანიზებული სოლიდარობის ფორმაში." (ჰამბურგის პროგრამა, 2007, გვ. 16)

2.4. რაზე საუბრობენ სხვები?

ავტორი: მარტინ ტიმპე

პოლიტიკურ პრაქტიკაში საბაზისო ღირებულებების საკითხს მხოლოდ სოციალ-დემოკრატები არ მიმართავენ, სხვა პარტიებიც ახდენენ ამ ღირებულებების ინტერპრეტაციას თავიანთ პროგრამებში ან მსგავს ძირითად დოკუმენტებში. გვსურს მოკლედ გაგაცნოთ მათი ზოგიერთი მიდგომა. ამასთანავე, არ გვაქვს სრულყოფილების პრეტენზია და არ ჩავწვდებით სემანტიკურ დეტალებს, შევეცდებით მხოლოდ ზოგადად წარმოგიდგინოთ გერმანიის რამდენიმე პარტიის პროგრამა.

ყურადღების ცენტრშია „ღვთის შემოქმედება"

ყურადღების ცენტრშია „ღვთის შემოქმედება": ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი (ქდკ/CDU)

ქდკ-ის საბაზისო ღირებულებებს განეკუთვნება თავისუფლება, სამართლიანობა და სოლიდარობა. მის ახალ ძირითადი პრინციპების პროგრამაში, რომელიც 2007 წლის დეკემბერში, ჰანოვერში, პარტიის ყრილობაზე მიიღეს, ეს სამი ღირებულება დეტალურადაა განმარტებული. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, აღნიშნული ღირებულებები გსდპ-ის ჰამბურგის პროგრამის იდენტურია, დეტალური შესწავლისას გარკვეული განსხვავებები იკვეთება. ქდკ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანის ქრისტიანულ არსს, როგორც ღვთის შემოქმედებას. ქდკ-ისთვის *მთავარი* ამოსავალი წერტილი ქრისტიანული რელიგიაა, ხოლო სოციალ-დემოკრატთათვის რელიგია *ერთ-ერთი* საბაზისო ღირებულება გახლავთ. (ბავარიის ქრისტიან-სოციალური კავშირი ამ ძირითად ორიენტაციას კიდევ უფრო გამოკვეთილად წარმოაჩენს და მას ერსა და პატრიოტიზმზე მემარჯვენე კონსერვატიული ორიენტაციით ავრცობს.)

ამის გარდა, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ქდკ თავისუფლების ცნებას გსდპ-ისგან განსხვავებულად განსაზღვრავს. პირველ რიგში, ქდკ თავისუფლების უფრო დეტალურ ფორმულირებას ახდენს, ვიდრე დანარჩენი ორი საბაზისო ღირებულებისას; ამასთანავე, ძირითადი პრინციპების პროგრამის შექმნის მთელი პროცესი წარიმართა ლოზუნგით: „ახალი სამართლიანობა მეტი თავისუფლების ხარჯზე". აშკარაა, რომ ქდკ-ის პრიორიტეტი სწორედ თავისუფლებაა, გსდპ-ის შემთხვევაში კი საბაზისო ღირებულებებს თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება. გარდა ამისა, ქდკ-ის პროგრამაში უფრო მეტი ყურადღება ეთმობა დამცავ, ანუ, ნეგატიურ თავისუფლებებს, ვიდრე შესაძლებლობების, პოზიტიურ თავისუფლებებს.

თავისუფალ დემოკრატთა პარტიის (თდპ/FDP) სამი საბაზისო ღირებულება: თავისუფლება, თავისუფლება და თავისუფლება

თავისუფლება, თავისუფლება, თავისუფლება

თდპ-ს არ გააჩნია ძირითადი პრინციპების პროგრამა. თუმცა თუ პარტიის 1977 წლის ყრილობის „ვისბადენის პრინციპებს" გადავხედავთ, დავინახავთ, რომ აშკარაა მათი ცალმხრივი ორიენტაცია თავისუფლებაზე, როგორც საბაზისო ღირებულებაზე. ეს არც არის გასაკვირი იმ პარტიისგან, რომელიც პოლიტიკური ლიბერალიზმიდან იღებს სათავეს. თუმცა ეს საკმაოდ ცალმხრივი კონცეფციაა. თუ გავიხსენებთ ჯონ ლოკის, პოლიტიკური ლიბერალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, სწავლებას, დავრწმუნდებით, რომ საზოგადოების შესახებ მის მოძღვრებაში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი სამართლიანობის ასპექტებს უკავია. თდპ კი ცდილობს თავისი პრინციპები თავისუფლების ცნებას დაუკავშიროს. ისეთი ფორმულირებები, როგორებიცაა „თავისუფლება პროგრესია" ან „თავისუფლება მომავლის საწინდარია", მიანიშნებს თავისუფალ დემოკრატთა ხელოვნურ მცდელობაზე, მოიშველიონ საბაზისო ღირებულება, რომლის მნიშვნელობა ისედაც აღიარებულია. ასევე აშკარაა, რომ საზოგადოება, რომელიც მხოლოდ თავისუფლებას ეყრდნობა, ამასთანავე, სამართლიანობისა და სოლიდარობის მნიშვნელობას აკნინებს, ძალიან მალე თავისი სოციალური ერთიანობის შენარჩუნების პრობლემას შეეჯახება.

ჭრელ თაიგულში ყველასთვის რაიმე მოიძებნება

ჭრელ თაიგულში ყველასთვის რაიმე მოიძებნება: „კავშირი 90/მწვანეები" (Bündnis 90 /Die Grünen)

„მწვანეები" ძირითად ადგილს ადამიანის თვითგამორკვევის საკითხს უთმობენ. ისინი გვთავაზობენ სამართლიანობის მრავალკომპონენტიან ცნებას, რაც დეფინიციას ბუნდოვანს ხდის. გადანაწილების სამართლიანობას, რომელიც უცვლელი რჩება, ემატება მონაწილეობის სამართლიანობა, თაობათა შორის სამართლიანობა, სქესთა შორის სამართლიანობა და საერთაშორისო სამართლიანობა. თითოეული მათგანი, ცხადია, მართებულია, მაგრამ როდესაც ყველა ამ ასპექტის ჩამოთვლა ერთნაირი რანგირებითა თუ პრიორიტეტულობით ხდება, კეთილგანწყობილი ან კრიტიკული მკითხველი ვერ იღებს მკაფიო განმარტებას, რა არის სამართლიანობა.

როგორც ეკოლოგიურ პარტიას შეეფერება, „მწვანეები" საბაზისო ღირებულებებს ავრცობენ დამატებითი მოთხოვნით – ხელი შეეწყოს მდგრად განვითარებას პოლიტიკის ყველა სფეროში. მაგრამ როდესაც მდგრადი განვითარების მოთხოვნა, რომელიც თავისთავად მნიშვნელოვანია, ექცევა ისეთი საბაზისო ღირებულებების გვერდით, როგორებიცაა თავისუფლება, სამართლიანობა და სოლიდარობა, ყოველივე ეს ნაკლებად დამაჯერებელი ხდება.

ჯერ კიდევ ძიების სტადიაში: პარტია „მემარცხენეები" (Die Linke)

პარტია „მემარცხენეებს„, რომელიც პოლიტიკური ორგანიზაციების – „მემარცხენეები. დემოკრატიული სოციალიზმის პარტია" (Die Linke.PDS) და „შრომა და სოციალური სამართლიანობა – საარჩევნო ალტერნატივა" (WASG) – შერწყმის შედეგად წარმოიშვა, ჯერ არ გააჩნია საკუთარი ძირითადი პრინციპების პროგრამა. დოკუმენტში „საპროგრამო თეზისები", რომელიც საფუძვლად დაედო ამ ორი პარტიის გაერთიანებას, მოცემულია საბაზისო ღირებულებების რამდენიმე ზოგადი განმარტება. მასში საუბარია დემოკრატიაზე, თავისუფლებაზე, თანასწორობაზე, სამართლიანობაზე, ინტერნაციონალიზმსა და სოლიდარობაზე, როგორც ფუნდამენტურ ღირებულებით ორიენტირებზე. ისტორიული თვალსაზრისით, სანუგეშო ის არის, რომ „მემარცხენეები„ აშკარად აღიარებენ ინდივიდუალურ თავისუფლებას, რომლის გარეშეც თანასწორობას პიროვნების უუნარობასთან და გარე ფაქტორებზე დამოკიდებულებასთან მივყავართ. ასევე ერთმნიშვნელოვანია განცხადება – და აქ სოციალური დემოკრატიის მომხრენი დაგვეთანხმებიან – რომ თავისუფლება თანასწორობის გარეშე ნიშნავს თავისუფლებას მხოლოდ მდიდრებისთვის. სწორედ თავისუფლებისა და თანასწორობის ურთიერთდამოკიდებულება გახლავთ პარტია „მემარცხენეების" საპროგრამო დისკუსიის საგანი, რომელიც ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი.

2.5. საბაზისო ღირებულებები პრაქტიკაში

მას შემდეგ, რაც დაწვრილებით შევჩერდით საბაზისო ღირებულებებზე თეორიული კუთხით, თქვენი ყურადღება პრაქტიკაზედაც გვსურს შევაჩეროთ. რა როლი ენიჭება საბაზისო ღირებულებებს სოციალური დემოკრატიისთვის ყოველდღიურ პოლიტიკურ დისკუსიაში? სხვადასხვა დარგიდან მოყვანილი მაგალითები მკითხველს ახალ იდეებს შთააგონებს და მსჯელობის სტიმულს მისცემს.

2.5.1. განათლების პოლიტიკა

მასტერგეგმა „სკოლა ქმნის მომავლის პერსპექტივას" – პროგრესული საგანმანათლებლო პოლიტიკის რეალიზება მუნიციპალურ დონეზე[9]

ავტორი: მარკ ჰერტერი

მას შემდეგ, რაც 2003 წლიდან, მოსწავლეთა საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) კვლევების პირველი შედეგებით, გერმანიის განათლების სისტემაში არსებული ხარვეზები გამოვლინდა, ფედერალურ, ცალკეული მიწისა და მუნიციპალურ დონეზე არ ცხრება დისკუსია თემაზე, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის განათლების სისტემა. ამ დებატებში განიხილება ის ფაქტი, რომ გერმანიაში, პირველ რიგში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ბავშვებისა და მოზარდების აკადემიური მოსწრება მჭიდროდაა დაკავშირებული მათ სოციალურ წარმომავლობასთან. და მაინც, როგორი უნდა იყოს სოციალურად სამართლიანი და სოლიდარულ პრინციპებზე დაფუძნებული სკოლა, რომელიც ყველას ერთდროულად სთავაზობს განათლებისა და პროფესიის არჩევნის თავისუფლებას?

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ჰამში განიხილა აღნიშნული საკითხი და შეიმუშავა ინტეგრირებული, სოციალ-დემოკრატიული მასტერგეგმა „სკოლა ქმნის მომავლის პერსპექტივას". ჰამში, როგორც უშუალოდ ფედერალური მიწისადმი დაქვემდებარებულ ქალაქში, რამდენიმე სკოლა ფუნქციონირებს და, ამდენად, ის პასუხისმგებელია „სასკოლო განათლების მომავალზე ორიენტირებულ განვითარებაზე".

რატომ მასტერგეგმა?

ჰამში, სადაც მმართველი ძალა ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისა და თავისუფალ დემოკრატთა პარტიის კოალიცია გახლავთ, სასკოლო პოლიტიკა დღემდე კონკრეტული გარემოების შესაბამისად ყალიბდება, რაც იმას ნიშნავს,

[9] მაგალითი ეყრდნობა სკოლის განვითარების გეგმას, რომელიც გსდპ-ის მიერ ჰამში შემუშავდა.

რომ თუ რომელიმე სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა საგრძნობლად იზრდება ან მცირდება, ხდება მიშენება, კლასების დახურვა ან გადატანა და ა. შ., სანამ სიტუაცია არ დარეგულირდება. ამის შემდეგ სკოლა ახალი გარემოების შესაბამისად მოქმედებს.

ეს ნამდვილად ვერ გამოდგება მუნიციპალური სასკოლო სისტემის სტაბილური განვითარების საფუძვლად.

ახალი სასკოლო კონცეფციის შემუშავების კიდევ ერთი მოტივაცია გახლდათ იმის აღიარება, რომ არა მარტო სასკოლო სისტემა, არამედ ბავშვებისა და მოზარდების დახმარების სამსახურები, პროფესიული განათლებისა და შრომითი ბაზრის ხელშეწყობის დაწესებულებები, ასევე ახალგაზრდობის ინტეგრაციის მხარდაჭერა მნიშვნელოვანი ფაქტორებია ბავშვებისა და მოზარდების წარმატებული განათლების მისაღწევად. მასტერგეგმა რეალური სიტუაციის ანალიზს ეყრდნობა და განიხილავს გრძელვადიან მიზნებსა და ოპერატიული მოქმედების სფეროებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება განათლების ეფექტიანობის გაზრდა და შედეგების გაუმჯობესება.

სოციალ-დემოკრატიული მასტერგეგმა

დასახული ამოცანა გულისხმობდა სკოლების მართვის სოციალ-დემოკრატიული ალტერნატიული კონცეფციის წარდგენას საქალაქო საბჭოს მმართველი უმრავლესობისთვის. მის აუცილებლობაზე მეტყველებს არა მარტო ყოვლისმომცველი PISA-კვლევების შედეგები, არამედ შემდეგი ორი ინდიკატორიც, რომლებიც მკაფიოდ მიუთითებს არსებული სასკოლო პოლიტიკის წარუმატებლობაზე:

- ყოველწლიური გამოშვების აბიტურიენტთა წილი, რომლებმაც სიმწიფის ატესტატი მიიღეს, ჰამში 30%-ზე ნაკლებს შეადგენს, რაც ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიისადმი დაქვემდებარებულ სხვა ქალაქებთან შედარებით საგრძნობლად დაბალი მაჩვენებელია. მეზობელ ქალაქ მიუნსტერში ეს წილი 50%-ს შეადგენს.
- მაშინ, როცა ქალაქის მდიდარ კვარტალებში გიმნაზიაში გადასულ მოსწავლეთა რაოდენობა დაახლოებით 50%-ია, მუშათა ისეთ კლასიკურ რაიონში, როგორიცაა ჰერინგენი, ეს წილი მხოლოდ 19,5%-ს აღწევს.

იმავდროულად, პირველ რიგში, სოციალურ-დემოგრაფიული მდგომარეობა ითხოვს ჩარევას. 2015 წლისთვის მოსალოდნელია, რომ იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც დაწყებითიდან საშუალო სკოლაში გადავლენ, 2005 წელთან შედარებით თითქმის მეოთხედით შემცირდება. უკვე 2010 წელს ჰამში დაბადებული ყოველი მეორე ბავშვი ემიგრანტთა ოჯახიდან იქნება. ახალგაზრდობის ინტეგრაცია და მისი ყველა უნარის მაქსიმალური გამოყენება მხოლოდ

პროგრესული პოლიტიკური ძალების სატკივარი არ გახლავთ; ეს არის წარმატებული განვითარების გადამწყვეტი წინაპირობა ქალაქის სტრუქტურული გარდაქმნის კონტექსტში.

თავისუფლება, რომელსაც ჩვენ ვგულისხმობთ, არის ყველა ბავშვზე ზრუნვა მთელი დღის განმავლობაში

მასტერგეგმის პირველი საკვანძო პრინციპი მოიცავს მომსახურების უზრუნველყოფას მთელი დღის განმავლობაში. *ხარისხიანი ზრუნვა* იწყება ჯერ კიდევ ბაგა-ბაღის ასაკში – ერთიდან სამ წლამდე – და მშობელთა მოთხოვნილებებს ითვალისწინებს, შემდეგ გრძელდება კვალიფიციური პედაგოგიური აღზრდით საბავშვო ბაღებში – სამიდან ექვს წლამდე – და ბოლოს მოიცავს შემდგომ სასკოლო განათლებას – ღია გახანგრძლივებული დღის ფორმით, არა მარტო დაწყებით სკოლებში, არამედ 14 წლის ასაკამდე. ყოველივე ეს მშობლებს შესაძლებლობას აძლევს, შეათავსონ ოჯახური და პროფესიული საქმიანობა. ქალაქის ხელისუფლება ბავშვთა აღზრდის წესებს არ ადგენს, ის ქმნის ზოგად პირობებს იმისთვის, რომ მშობლებს თავისუფალი არჩევნის შესაძლებლობა მიეცეთ. ამგვარად, *თავისუფლება* არის არა შეძლებული ოჯახების თავისუფლება, ჰქონდეთ ძიძის აყვანის შესაძლებლობა, არამედ ნიშნავს თავისუფლებას ყველა ოჯახისთვის, რათა მათ შეძლონ საკუთარი ჩანაფიქრის განხორციელება.

სოციალური სამართლიანობა მოქმედებაში – რაიონული ზოგადი სკოლები ახალ შესაძლებლობებს ქმნიან

მასტერგეგმის კიდევ ერთი საკვანძო პრინციპი გულისხმობს უფრო ღია და მოქნილი სასკოლო სისტემის შექმნას ქალაქ ჰამის შვიდივე რაიონში. ყოველ რაიონს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გასცეს ნებისმიერი სახის ატესტატი. ამის მიზანია დაიძლიოს მოსწავლეთა მოსწრების მათ სოციალურ წარმომავლობაზე დამოკიდებულება. სოციალური სამართლიანობა განათლების სფეროში თანასწორობით და რეალური სამომავლო პერსპექტივით იწყება, რაც სწავლის მომდევნო საფეხურზე გადასვლისას ერთნაირად ხელმისაწვდომ შესაძლებლობებს ქმნის. ამგვარად, ინტეგრაცია და ინდივიდუალური უნარების სტიმულირება არ არის ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენები, ისინი უფრო ავსებენ ერთმანეთს. ე. წ. რაიონულ ზოგად სკოლებში (სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოდელი ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიისთვის) მეხუთე და მეექვსე საერთო კლასების დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს ეძლევათ არჩევნის საშუალება – განაგრძონ ინტეგრირებული სწავლა მეათე კლასის ჩათვლით, ან ისწავლონ სასწავლებელში, რომელიც დაიყოფა ძირითადი სკოლის, რეალური სკოლისა და გიმნაზიის ნაკადებად, თუმცა ყოველივე ეს რჩება სკოლის ფარგლებში, ერთიანი პედაგოგიური კოლექტივის შენარჩუნებით. ბევრი რამ არის შესაცვლელი ადგილებზე: აღნიშნული მუშათა რაიონის, ჰერინგენის, რა-

იონული ზოგადი სკოლა პირველად მისცემს ადგილობრივ ბავშვებს რეალური სკოლისა თუ გიმნაზიის დონის განათლების მიღების შესაძლებლობას. ქალაქის კიდევ სამი სხვა რაიონი ასევე პირველად შეძლებს გიმნაზიის კურსის სწავლებას. მთლიანობაში, დღევანდელი დემოგრაფიული ტენდენციების გათვალისწინებით, ზოგადი სკოლების დამკვიდრების გარეშე ქალაქის ვერც ერთი რაიონი ვერ შეინარჩუნებდა არსებულ საგანმანათლებლო სისტემას.

სოლიდარობის რეალური აზრი – სოციალური დახმარების ბიუჯეტი

საგანმანათლებლო კონცეფციის მესამე საკვანძო ელემენტია *სოციალური დახმარების ბიუჯეტი*. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ სხვადასხვა სკოლაში მხარდაჭერის განსხვავებული მოთხოვნილებები და წინაპირობებია. იქ, სადაც დიდია იმ მოსწავლეების წილი, რომლებიც მიგრანტთა ოჯახებიდან არიან, და სოციალური პრობლემები ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში აისახება, სკოლის ბიუჯეტები მიმართულია ჩვეული სასკოლო პროცესის შენარჩუნებისკენ, მაგალითად, სასკოლო წიგნების შეძენის, ექსკურსიებში მონაწილეობის, კვებისა და აღმზრდელობითი საქმიანობის მხარდასაჭერად, მაშინ, როცა სხვა სკოლებში აღნიშნული სახსრები სწავლების ხარისხის ამაღლებას, გახანგრძლივებულ კლასებს, სხვადასხვა პროექტსა თუ აღჭურვილობას ხმარდება. ამას აბსურდულ შედეგებამდე მივყავართ: იქ, სადაც მხარდაჭერის უზარმაზარი მოთხოვნილებაა, რეალური შესაძლებლობები მეტად მწირია. *სოციალური დახმარების ბიუჯეტი* ზედმეტი ბიუროკრატიის გარეშე უნდა მოქმედებდეს: ყოველი მოსწავლისთვის, რომელიც დახმარებას საჭიროებს, სკოლა იღებს დამატებით ბიუჯეტს, რომელიც განსაკუთრებულად რთულ შემთხვევაში შესაძლოა 10%-ით გაიზარდოს. ამ ბიუჯეტიდან ფინანსდება სპეციალური მოთხოვნილებები და სკოლას ეძლევა შესაძლებლობა, ძირითადი სასკოლო ბიუჯეტი ისე განკარგოს, როგორც ამას სხვა სკოლები აკეთებენ. ეს კონცეფცია ძირეულად განსხვავდება მანამდე მიღებული პრინციპისგან, ანუ, ერთ მოსწავლეზე გათვლილი ბიუჯეტირებისგან. საუბარია *სოლიდარობაზე*, რომელსაც ფინანსურად ძლიერი სკოლები სუსტი სკოლების მიმართ უნდა იჩენდნენ, რათა მოსწავლეებს მხარდაჭერისა და წარმატებული განათლების მიღების ერთნაირი შანსი მიეცეს მთელი ქალაქის მასშტაბით.

დიალოგში

ერთობლივი პროექტი, რომელიც პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციებისა და საქალაქო საბჭოს ფრაქციის მიერ შემუშავდა, განსახილველად წარედგინა ქალაქის შვიდ რაიონში მოწყობილი შეხვედრების ფარგლებში შეკრებილ მშობლებს, პედაგოგებს, მოსწავლეებს, ასევე დაინტერესებულ მოქალაქეებს. ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა საკითხი, თუ როგორ უნდა იქნეს რეალიზებული წარმოდგენილი ღონისძიებები ქალაქის თითოეულ რაიონში.

2.5.2. სოციალური პოლიტიკა

„სამოქალაქო დაზღვევა" თუ „ფიქსირებული (პაუშალური) გადასახადი" – ჯანდაცვის სამართლიანი პოლიტიკის საკითხი

ავტორები: კრისტინა რენტცში და მარტინ ტიმპე

2004 წლის ჯანდაცვის მოდერნიზაციის კანონში (GMG) – ისევე, როგორც მანამდე მიღებულ კანონებში ჯანდაცვის სისტემის „რეფორმირების" შესახებ – თითქმის მთელი ყურადღება სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის (სსდ) სისტემის ხარჯვით ნაწილს დაეთმო. ამჟამად კი მთავარი საფიქრალი ამ სისტემის შემოსავლებია. დიდ დავას იწვევს საკითხი, თუ როგორ უნდა მოხდეს სსდ-ის შემოსავლების სტაბილიზება და აქტუალურ პოლიტიკურ გამოწვევებთან შეთავსება. დაძაბულობის მიზეზი ისაა, რომ, ერთი მხრივ, იზრდება ხანში შესულ დაზღვეულთა რაოდენობა და, მეორე მხრივ, მოსახლეობის შემოსავლების სულ უფრო მეტი ოდენობა მიედინება იმ შემოსავლებში, რომლებიც არ გაითვალისწინება სამედიცინო მომსახურების სოლიდარული დაფინანსების შენატანის დაანგარიშებისას. რაც შეეხება ამ გამოწვევებზე სწორ პოლიტიკურ რეაქციას, აქ ერთიანი აზრი არ არსებობს, პირიქით – ბუნდესტაგის 2005 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ წარმოდგენილი იყო სსდ-ის ორი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მოდელი. ვინაიდან ხშირად საჯარო დისკუსიებში ორივე მოდელი, რომლებიც გაიგივებულია „სამოქალაქო დაზღვევასთან" და „ფიქსირებულ გადასახადთან", სხვადასხვაგვარად განიმარტება, კარგი იქნებოდა გაგვერკვია, თუ რას გულისხმობდა გერმანიის ეს ორი უდიდესი პარტია.

„სამოქალაქო დაზღვევა"

სოციალ-დემოკრატიული პარტია ითხოვს სსდ-ის შემდგომ სრულყოფას „სამოქალაქო დაზღვევის" მიმართულებით, რომლის დროსაც, პერსპექტივაში, ყველა მოქალაქე გადასახადს შემოსავლების შესაბამისად შეიტანს. შენატანის ოდენობის დაანგარიშება უნდა ხდებოდეს არა მარტო დაქირავებული შრომის შედეგად მიღებული ანაზღაურების, არამედ ყველა სახის ხელფასისა თუ შემოსავლის გათვალისწინებით. „სამოქალაქო დაზღვევის" შემთხვევაში სსდ მომავალშიც დაზღვეულთა და დამსაქმებელთა შენატანებით დაფინანსდება. დაზღვეულთა მეუღლეები, რომელთაც საკუთარი შემოსავალი არ გააჩნიათ, მათთან ერთად დაეზღვევიან, ხოლო შვილებს შენატანების გარეშე თავად სადაზღვევო ორგანიზაცია დააზღვევს.

„ფიქსირებული გადასახადი„

ამ მოდელს თავად ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი „ჯანმრთელობის პრემიას" უწოდებს. ის გულისხმობს ყოველთვიურ ერთიან გადასახადს, რომელიც სსდ-ის ყველა წევრისთვის ერთნაირია, ხოლო დამსაქმებლის წილი დასაბეგრი შემოსავ-

ლის 6,5%-ს შეადგენს. დამსაქმებელთა შენატანები – ისევე, როგორც სოციალური სადაზღვევო ორგანიზაციების შენატანები – მიედინება სპეციალურ ფონდში, საიდანაც ფინანსდებიან ის დაზღვეულები, რომელთა „ფიქსირებული გადასახადი" შემოსავლების 7%-ს აღემატება. გარდა ამისა, ამ ფონდიდან ფინანსდება დამსაქმებელთა მიერ სამედიცინო დაზღვევის ფონდში შეტანილი გადასახადები. სსდ-ის წევრთა შვილების დაზღვევა საგადასახადო სახსრებიდან დაფინანსებას გულისხმობს.

კერძო სამედიცინო დაზღვევის (კსდ) მომავალი

გერმანიის სამედიცინო დაზღვევის სისტემის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანი გახლავთ ის, რომ მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი არ მონაწილეობს სოლიდარულ დაფინანსებაში. ესენი არიან სახელმწიფო მოხელეები, რომელთა სამედიცინო დაზღვევას სახელმწიფო უზრუნველყოფს, და დამოუკიდებელი მეწარმეები, რომლებსაც სავალდებულო დაზღვევა არ მოეთხოვებათ, მიუხედავად მათი შემოსავლების ოდენობისა. დაქირავებულ დასაქმებულებს, რომელთა შემოსავალი სავალდებულო დაზღვევის ზღვარს აღემატება, შეუძლიათ კსდ-ით ისარგებლონ. ყოველივე ამას იმასთან მივყავართ, რომ მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების შენატანები ჯანდაცვის სისტემის სოლიდარული დაფინანსების თვის ხელმიუწვდომელი რჩება. სხვადასხვა პოლიტიკური მიდგომით, საქმე გვაქვს პრობლემასთან ან, პირიქით, ჯანდაცვის სისტემაში არსებული კონკურენციის პოზიტიურ გამოვლინებასთან.

„სამოქალაქო დაზღვევის" ან „ფიქსირებული გადასახადის" შემოღება კსდ-ზე სხვადასხვაგვარად იმოქმედებს. მაშინ, როცა „სამოქალაქო დაზღვევის" მიზანი კსდ-ის სოლიდარული დაფინანსების სისტემაში ჩართვაა, „ფიქსირებული გადასახადი" ცდილობს არ შეეხოს კსდ-ის პრივილეგიებს. უფრო მეტიც, სავარაუდოა, რომ კერძოდ დაზღვეულ პირთა შვილები დაფინანსდებიან მოხდება სახელმწიფო გადასახადების ხარჯზე.

სოლიდარული დაფინანსება – სამართლიანი თანამონაწილეობა შემოსავლების შესაბამისად

ცხადია, რომ „სამოქალაქო დაზღვევის" ძირითადი მახასიათებელი *სოლიდარობის* გაძლიერებაა: საერთო სადაზღვევო სისტემის ფარგლებში ყველა მოქალაქე მონაწილეობს ჯანდაცვის დაფინანსებაში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონკურენცია აღარ იქნება. უქმდება სხვადასხვა დამზღვევის კალკულაციის განსხვავებული მოდელების თანაარსებობა. ამის მაგივრად მკვიდრდება „სამართლიანი კონკურენცია" სავალდებულო ნორმებისა და ერთიანი პირობების დანერგვით. დამზღვევთა კონკურენცია უნდა მიმდინარეობდეს უკეთესი მომსახურების მიზნით და არა „მოგებიანი რისკების" (უფრო ახალგაზრდა და ჯანმრთელი დაზღვეულების) არჩევის ხარჯზე.

ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის მტკიცებით, მისი მოდელიც *სოლიდარულია*. მისი აზრით, „ფიქსირებული გადასახადის" მნიშვნელოვანი ელემენტი გახლავთ საგადასახადო რესურსების მოზიდვა, რომლის საშუალებითაც ჯანდაცვის სისტემის დაფინანსებაში გადასახადების ყველა გადამხდელი მონაწილეობს. ნიშნავს კი ეს ფინანსური ვალდებულებების *სამართლიან* გადანაწილებას? საგადასახადო სისტემის საშუალებით დაფინანსება მცირე და საშუალო შემოსავლების მქონე ადამიანების მეტ დაბეგვრას გულისხმობს, მაშინ, როცა მაღალშემოსავლიანი მოქალაქეების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში მუდმივად იკლებს, რაც, სხვათა შორის, ბოლო ათწლეულში წარმოებული ფინანსური პოლიტიკის შედეგიცაა. ანალოგიური სურათია „ფიქსირებული გადასახადის" შემთხვევაში. ვინაიდან ყოველი მოქალაქე ერთი და იმავე ოდენობის „ჯანმრთელობის პრემიას" იხდის, დაბალშემოსავლიანი მოქალაქეები მეტი ფინანსური წნეხის ქვეშ ექცევიან. ცხადია, ბევრად სამართლიანი იქნებოდა პრინციპი, რომლის მიხედვითაც, თანამონაწილეობა ფინანსური მდგომარეობით განისაზღვრება, რაც უფრო მეტად „სამოქალაქო დაზღვევის" არსს მიესადაგება: ერთი მხრივ, შენატანების (პროგრესირებადის და არა ფიქსირებულის) საშუალებით დაფინანსების შენარჩუნებით და, მეორე მხრივ, დამატებითი სახის შემოსავლების (დაქირავებული შრომით მიღებული შემოსავლების გარდა) მოზიდვით. *სოლიდარობის* პრინციპს ეწინააღმდეგება ის გარემოებაც, რომ „ფიქსირებული გადასახადის" მოდელში სახელმწიფო მოხელეები განსაკუთრებულ მდგომარეობას მომავალშიც ინარჩუნებენ და კსდ-ში არსებული კონკურენტული სტრუქტურები უცვლელად რჩება (ფორმალურად მაინც).

სამართლიანობას უკავშირდება ასევე ფინანსური ვალდებულების საკითხი, ანუ, მოსახლეობის რომელი ჯგუფებისთვისაა მოსალოდნელი მისი შემცირება თუ მომატება. ამ კუთხით ეს ორი მოდელი საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან: „სამოქალაქო დაზღვევის" მოდელის პირობებში ორშვილიანი ოჯახი საკმაო ფინანსურ შეღავათს მიიღებდა, ხოლო „ფიქსირებული გადასახადის" შემოღების შემთხვევაში იმავე ოჯახის წლიური დანაკარგი 900 ევრომდე იქნებოდა. განსხვავებული სურათია მარტოხელა მოქალაქეთა ჯგუფში: „ფიქსირებული გადასახადი" მათ შესაძლებლობას მისცემდა, წელიწადში 1.300 ევროზე მეტი დაეზოგათ, ხოლო „სამოქალაქო დაზღვევით" მათ ფინანსური ტვირთი შეუმსუბუქდებოდათ, თუმცა საკმაოდ უმნიშვნელოდ.

სოლიდარობის კუთხით, ადვილი ასახსნელია, თუ რატომ ენიჭება „სამოქალაქო დაზღვევას" უპირატესობა „ფიქსირებულ გადასახადთან" შედარებით. *სამართლიანობის* პრინციპიდან გამომდინარე კი მნიშვნელოვანია, რომელი განზომილებაა ჩვენთვის უპირატესი: გადანაწილების სამართლიანობა, მონაწილეობის სამართლიანობა, მოთხოვნილების შესაბამისი სამართლიანობა თუ შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობა? ჩვენ არ გვსურს და არც გვაქვს განზრახული, წავართვათ მკითხველს შესაძლებლობა, თავად უპასუხოს ამ კითხვას.

2.5.3. შრომითი ბაზრის პოლიტიკა

ხანგრძლივი უიმედობის მდგომარეობაში? შრომის ახალი სამყარო და სოციალური დემოკრატიის ღირებულებები

ავტორი: მატ1ას ნაისი

როგორც მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ჩანდა, გერმანიამ მოახერხა კაპიტალისა და შრომის ინტერესებს შორის კომპრომისის მიღწევა. 1949 წლიდან მოყოლებული, ანუ, ეკონომიკური ზრდის პერიოდში, რომელიც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, დაქირავებული შრომა ნორმალურ მოვლენად ჩამოყალიბდა. დაქირავებული შრომის შესაძლებლობასთან ერთად ადამიანმა მოიპოვა სოციალური უზრუნველყოფის უფლება, რაც გულისხმობს გარანტირებულ საპენსიო უფლებებს, სამსახურიდან დათხოვნისგან დაცვას, შრომის დაცვას, საწარმოების მართვაში თანამონაწილეობის უფლებას, ასევე უფლებას სავალდებულო სატარიფო ნორმების დაცვაზე (Dörre 2005).

სახელმწიფოს მხრიდან დაცულ ამგვარ დაქირავებულ შრომას, ე. წ. ნორმალურ შრომით ურთიერთობებს (ნშუ), მოჰყვა არა მარტო მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, არამედ გარკვეული საზოგადოებრივი აღიარებაც. ეს პერიოდი, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან ჰარმონიულად გამოიყურება, სულაც არ ყოფილა უკონფლიქტო. კომპრომისი უმკაცრეს ბრძოლაში მიიღწეოდა და, საუკეთესო შემთხვევაში, იგი სულ მცირედით ახერხებდა საზოგადოებრივი სიმდიდრის არათანაბარი გადანაწილების თანდათანობით დაძლევას. მაგრამ, მთლიანობაში, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მიაჩნდა, რომ საკუთარი შრომის ხარჯზე ნელა, მაგრამ უეჭველად შეძლებდა ცხოვრების დონის ამაღლებას.

თუმცა, მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, ნშუ თანდათანობით იკლებს. მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებულთა უმრავლესობა დღემდე ნორმალური სახელშეკრულებო პირობებით სარგებლობს, მათი რაოდენობა სწრაფად მცირდება. დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა შეინიშნება აბსოლუტურად სხვა ტიპის დასაქმებაში, როგორიცაა: არასრული სამუშაო დღის განმავლობაში მუშაობა, დაქირავებული შრომა, მოკლევადიანი ან ერთჯერადი დასაქმება.[10] წნეხის ქვეშ მოექცა არა მარტო მუდმივი და სრულგანაკვეთიანი დასაქმება, არამედ სოციალური უზრუნველყოფის სისტემაც. საპენსიო უზრუნველყოფის ნაწილობრივი პრივატიზაცია, სამსახურიდან დათხოვნისგან დამცავი მექანიზმების შესუსტება და სატარიფო ხელშეკრულებების ნაწილობრივი უგულებელყოფა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ გერმანიაში, ამ პროცესის ყველაზე აშკარა მახასიათებელი გახლავთ.

[10] თუ არასრულ განაკვეთზე დასაქმებულთა რაოდენობა 1991 წელს 5 მლნ იყო, 2003 წელს 9 მლნ-ს გადააჭარბა.

განვიხილავთ ამ ტენდენციის რამდენიმე მიზეზს. მაგალითად, მომსახურებისა და ინფორმაციის სფეროების მნიშვნელობის ზრდა ითხოვს შრომის სხვაგვარ, უფრო მოქნილ ორგანიზებას, ვიდრე წარმოების ადრინდელი მეთოდი მოითხოვდა. კონკურენციის პირობებში, რომელიც არა მარტო საწარმოებს შორის, არამედ საწარმოს შიგნით, სხვადასხვა ჯგუფსა თუ განყოფილებას შორისაც მიმდინარეობს, სოციალური უზრუნველყოფის სფერო სწრაფად იქცევა ერთგვარ „მოქნილობის რეზერვად". საწარმოები, რომლებიც ახერხებენ დასაქმებულთა სოციალური უფლებების შეზღუდვას ან სრულ იგნორირებას, კონკურენტულ, თუმცა ხანმოკლე უპირატესობას იღებენ.

ადამიანთა უმრავლესობა დიდი წუხილით ადევნებს თვალს ამ ტენდენციას. ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 63%-მა განაცხადა, რომ საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები მათში შიშს იწვევს (Neugebauer 2007). ამ მდგომარეობას, როდესაც ეკონომიკაში და შრომით ბაზარზე მიმდინარე ცვლილებების გამო საზოგადოების ფართო წრეებში საერთო უიმედობა ვრცელდება, ფრანგმა სოციოლოგმა პიერ ბურდიემ „პრეკარიტეტი" უწოდა. ამასთანავე, მხოლოდ შემცირებულ ხელფასებზე ან მოკლევადიან შრომით ხელშეკრულებებზე არ არის საუბარი; არანაკლებ საგულისხმოა, თუ როგორ განიცდიან ადამიანები მომავალთან დაკავშირებულ გაურკვევლობას.

„პრეკარიტეტი" არ არის მარტო იქ, სადაც „პრეკარულად" მომუშავენი არიან. საწარმოში დროებით დასაქმებულთა არსებობის გამო მუდმივი სამუშაო ადგილის მქონე ადამიანები ძალიან დაუცველად გრძნობენ თავს. მათ წინაშეა შრომითი ურთიერთობების განსხვავებული ფორმა, რომელიც მათ შეშფოთებას იწვევს; ამიტომ ისინი მზად არიან წავიდნენ დათმობებზე შრომის ანაზღაურების ან სამუშაო პირობების კუთხით, რასაც სხვა შემთხვევაში არ დასთანხმდებოდნენ. მუდმივი სამუშაო ადგილის მქონე ადამიანებსა და უმუშევართა შორის მყოფი „პრეკარულად" დასაქმებულები თავს ჰაერში გამოკიდებულად გრძნობენ. მათ კიდევ უფრო დაქვეითების ეშინიათ და ნორმალური შრომითი ურთიერთობების დონის მიღწევაზე ოცნებობენ.
რეალობა კი ხშირად ისეთია, რომ ამ ადამიანებს მუდმივი არასტაბილურობის შეგრძნებით უწევთ ცხოვრება.

რა გავლენას ახდენს ეს ტენდენცია სოციალური დემოკრატიის პროექტზე? ძნელია გადააფასო ის მნიშვნელობა, რომელსაც ადრე სოციალური დემოკრატია ნორმალურ შრომით ურთიერთობებს ანიჭებდა. მის წარმოდგენაში

ეს გახლდათ სოციალური სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი სამი საბაზისო ღირებულების ფორმირებისთვის. ის მრავალ ადამიანს (არა ყველას) უღვიძებდა უსაფრთხოების შეგრძნებას და პოზიტიური თავისუფლებების რეალიზების აუცილებელი წინაპირობა იყო. ის, რაც რეალურად ხდებოდა გადანაწილების კუთხით (სამართლიანობისთვის), ძირითადად დასაქმების სისტემაზე იყო დამოკიდებული. მთლიანობაში, სოციალური უზრუნველყოფის სისტემა ცხოვრებისეული რისკების სოლიდარულ დაძლევაზე გახლდათ ორიენტირებული. სოციალურმა უსაფრთხოებამ, რომელიც ნორმალური შრომითი ურთიერთობების საფუძველზე იქნა მიღწეული, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში დააჩქარა სოციალური დემოკრატიის სამი საბაზისო ღირებულების იდენტიფიკაცია. სწორედ ამიტომ თავის საპროგრამო დოკუმენტებში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ნშუ-ს და, პირველ რიგში, სრულ დასაქმებას მიანიჭა. ერთ-ერთი ძირითადი ჩანაფიქრი პარტიისა, რომელიც სოციალური დემოკრატიისკენ მიისწრაფოდა, გახლდათ ყველა შრომისუნარიანი ადამიანისათვის ნორმალური შრომითი ურთიერთობების შექმნა.

ამასთანავე, ნშუ-ის მოშლას შემდეგ სიტუაციამდე მივყავართ: სოციალური დემოკრატიის ღირებულებებს კვლავ მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა აქვს, თუმცა ისინი ერთმნიშვნელოვნად აღარ ასოცირდებიან გარკვეულ პოლიტიკურ ძალასთან. ამის ძირითადი მიზეზია შრომის სამყაროში მომხდარი ცვლილებები და გადაუჭრელი პოლიტიკური ამოცანები, რომლებშიც იგულისხმება მოქნილი სოციალური უსაფრთხოების მიღწევა. რას ნიშნავს ყოველივე ეს სოციალური დემოკრატიის კონცეფციისა და მის მიერ აღიარებული საბაზისო ღირებულებებისთვის?

თავისუფლება

შრომის ახალი სამყარო, ცხადია, ახალ პოტენციურ თავისუფლებებს შეიცავს. დასაქმებულთა მცირე, თუმცა შესამჩნევი ჯგუფისთვის, ე. წ. ფრილანსერებისა და თვითდასაქმებულებისთვის, რომლებიც ზემდგომთა მითითებების გარეშე ასრულებენ სამუშაოებს პროექტების სახით, ფართო თავისუფლებით სარგებლობა შეიძლება საკმაოდ მოგებიანი აღმოჩნდეს. მათ შეუძლიათ თავიანთი მოქნილობისთვის შრომით ბაზარზე საკმაოდ კარგი ანაზღაურებაც მოითხოვონ. საკმარისი რესურსების არსებობის შემთხვევაში ისინი შეძლებენ მოკლევადიანი უმუშევრობა გამოიყენონ, როგორც საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლების საშუალება. მაგრამ „პრეკარულად" დასაქმებულთა უმრავლესობისთვის, ვინც ვერ სარგებლობს ნორმალური შრომითი პირობებით, მსგავსი სიტუაცია გულისხმობს ღრმა კრიზისს, რომელიც ძლიერ ზღუდავს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ თავისუფლებებს.

სოციალური დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანია თავისუფლებების პოზიტიური, რეალისტური და სოციალური პერსპექტივების განვითარება. ამისთვის საჭიროა თავისუფლებების უზრუნველყოფის ახალი კოლექტიური ინსტრუმენტები. მოქნილი შრომითი ურთიერთობების თავისუფლებების პოტენციალის რეალიზება ფართო საზოგადოების საკეთილდღეოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ის გარდაუვალი ცხოვრებისეული რისკების პირისპირ ბედის ანაბარა არ იქნება მიტოვებული.

სამართლიანობა

ძირითადად სწორედ შრომითი საქმიანობა განსაზღვრავს, რა არის სამართლიანი, ვის რა უფლება აქვს და რაზე. დიდი ხნის განმავლობაში ადამიანის შრომითი წვლილი გადანაწილებაში მისი მონაწილეობის უფლებას განსაზღვრავდა. ჯერ კიდევ მაშინ სამართლიანობის განმარტებისას დგინდებოდა მკაფიო ზღვარი, მაგალითად, სქესთა შორის, რასაც თავისთავად მივყავდით პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის ტენდენციამდე.

ეს ნორმები საკმაოდ სტაბილური აღმოჩნდა, თუმცა შრომის თანამედროვე სამყაროში წარმოიშვა აბსოლუტურად აფეთქებასაშიში უსამართლობა, როდესაც შრომის მიხედვით გადანაწილების პრინციპი კვლავ მოქმედებს, შრომითი შემოსავლები კი სულ უფრო ნაკლებად ხელმისაწვდომი ხდება. ის, რომ ადამიანი დროებით ან ხშირად კარგავს სამუშაო ადგილს, ჩვეულებრივი მოვლენაა დღევანდელი ე. წ. ალტერნატიული („პრეკარული") დასაქმებისთვის. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სიტუაცია ლეგიტიმურია. „პრეკარულად" მომუშავეთაგან ბევრი მზადაა იბრძოლოს სამუშაო ადგილის მოსაპოვებლად. თუ მათ ეს არ გამოსდით, იმ დასკვნამდე მიდიან, რომ მეტი ძალისხმევაა საჭირო. ამგვარი ინდივიდუალიზაცია ართულებს საზოგადოებაში მზარდი უთანასწორობის აღქმას. ასე შესაძლოა „სამართლიანობა" „თანასწორობის" საპირისპირო ცნებად იქცეს.

სოციალური დემოკრატიის პროექტის ერთ-ერთი მოთხოვნა სამართლიანობისა და თანასწორობის პოზიტიური თანხმობის მიღწევაა. პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს იმას ნიშნავს, რომ ინდივიდუალური ძალისხმევა მანამ უნდა იზრდებოდეს, სანამ ადამიანს რეალურად ძალუძს სიტუაციაზე ზემოქმედება. მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს აზრი მეტი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მოთხოვნას.

სოლიდარობა

კოლექტიური სოციალური უსაფრთხოების სისტემის რესტრუქტურიზაცია, სადაც ინსტიტუციონალური სოლიდარობა დასაქმების ძველ სისტემაში აისახებოდა, შეიძლება განვიხილოთ, როგორც სოლიდარული ქმედებების საერ-

თო კრიზისის ელემენტი. დღევანდელ სიტუაციაში „ზედა" და „ქვედა" დონეების საზოგადოებრივი დისკუსია, რომლის ფარგლებშიც ეს სისტემები შეიქმნა, იცვლება ხშირი დაპირისპირებით „შიდა" და „გარე" დონეებს შორის. ეს გამიჯნული მხარეები ერთმანეთს არ გამორიცხავენ, თუმცა მათ სრულიად განსხვავებულ საზოგადოებრივ დაპირისპირებებამდე მივყავართ.

საწარმოში არსებული კონკურენცია დაკავშირებულია განცდასთან, რომ შესაძლებელია ნებისმიერ მომენტში შეგცვალონ უფრო დამყოლი, ჭიშკრის წინ მომლოდინე ადამიანით. ყოველივე ეს სულაც არ იძლევა კარგ საფუძველს სოლიდარობისთვის. „შიგნით" მყოფი ადამიანები „გარეთ" მყოფებს საფრთხედ აღიქვამენ და პირიქით, სწორედ კოლექტიური სოციალური უსაფრთხოების ელემენტები ბადებს „პრეკარულად" მომუშავეებსა და უმუშევრებში იმის შეგრძნებას, რომ ისინი წარმოქმნიან ბარიერებს, რომელთა გამოც მათ „გარეთ" ყოფნა მოუწევთ.

განვითარების თანამედროვე ტენდენცია წარმოშობს კითხვას - რამდენად შესაძლებელია კიდევ სოლიდარობა შრომის ახალ სამყაროში. ახლებური სოლიდარობის პერსპექტივის თვალსაზრისით, მომავალი სოციალური დემოკრატიის არსებით ელემენტად სოციალური უსაფრთხოების ქმედითი ინსტრუმენტები უნდა მოიაზრებოდეს. მოსახლეობის თვალში ის უნდა გახდეს ახალი სოციალური დაცვის ნდობის ფაქტორი. ეს ინსტრუმენტები უფრო მეტად შრომითი პროცესებიდან გარიყული ადამიანების მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული, რაც თავისთავად შეამსუბუქებს დაძაბულობას „შიგნით" და „გარეთ" მყოფთა შორის.

შრომის თანამედროვე სამყაროში სოციალური დემოკრატიის საბაზისო ღირებულებები აღარ არის ერთმნიშვნელოვნად დაკავშირებული შრომასთან, როგორც ასეთთან, თუმცა ეს ურთიერთდამოკიდებულება ჯერ კიდევ საკმარისია იმისთვის, რომ მოცემული სამი ცნების არსის შესახებ ახალი დებატები გაიმართოს.

შრომის ახალ სამყაროში თავისუფლების, სამართლიანობისა და სოლიდარობის ადგილის განსაზღვრა სოციალური დემოკრატიის სულისკვეთების მქონე პოლიტიკური ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გახლავთ. ბოლოს და ბოლოს, არაფერი არ მიანიშნებს იმაზე, რომ მომავალში შრომითი საქმიანობა დაკარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც საზოგადოებრივი თანამონაწილეობისა და აღიარების საგულისხმო ფაქტორი. სოციალური დემოკრატიის სახე შემდგომშიც არსებითად იმით განისაზღვრება, თუ როგორ იშრომებენ ადამიანები საზოგადოებაში.

2.5.4. უმაღლესი განათლების პოლიტიკა

სწავლის გადასახადი – სოციალური დემოკრატიის საბაზისო ღირებულებების შეურაცხყოფა?

ავტორი: ფრედერიკე ბოლი

უმაღლესი განათლების ჩარჩო კანონის (HRG) მიხედვით, 2005 წლამდე სტუდენტებისთვის გარანტირებული იყო უფასო უმაღლესი განათლება. ეს კანონი გახლავთ უმაღლესი განათლების ფედერალური სამართლებრივი ბაზა, რომლის განხორციელებისთვის პასუხისმგებელი არიან ფედერალური მიწები.

ფედერალურმა მიწებმა, რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება საგანმანათლებლო პოლიტიკა, სწავლის გადასახადის შემოღების მოთხოვნა საკუთარი უფლებამოსილების შეზღუდვად აღიქვეს. ამიტომ 2002 წელს ბავარიის, ბადენ-ვიურტემბერგის, ჰამბურგის, ზაარის, საქსონიისა და საქსონია-ანჰალტის მიწებმა ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში (ფსს) შეიტანეს საჩივარი, რომელიც 2005 წელს დაკმაყოფილდა. ამ გადაწყვეტილების თანახმად, ყოველ მიწას ენიჭება უფლება, თავად აირჩიოს სასურველი მოდელი: ფასიანი ან უფასო უმაღლესი განათლება. სხვადასხვა ფედერალურ მიწაზე განსხვავებული მოდელები მოქმედებს და ისინი მომდევნო წლებში, სავარაუდოდ, კვლავ შეიცვლებიან. 16-იდან შვიდმა ფედერალურმა მიწამ (ბადენ-ვიურტემბერგი, ბავარია, ჰამბურგი, ჰესენი, ქვემო საქსონია, ზაარი და ჩრდილოეთი რაინი-ვესტფალია) ბოლო ორი წლის განმავლობაში პირველივე სემესტრიდან ფასიანი უმაღლესი განათლება შემოიღო. გადასახადის ოდენობები სხვადასხვა მიწაზე განსხვავებულია და ერთი სემესტრისთვის 500 ევროს აღწევს.

თიურინგიის, რაინლანდ-პფალცისა და საქსონიის მიწებზე პირველი უმაღლესი განათლება უფასო რჩება. სტუდენტებისთვის, რომლებიც ასრულებენ ჩვეულებრივ საგანმანათლებლო კურსს და განაგრძობენ სწავლას, სხვადასხვაგვარი წესები მოქმედებს. მაგალითად, რაინლანდ-პფალცის მიწამ მიიღო სპეციალური კანონი სწავლის საფასურის შესახებ. ამ კანონის თანახმად, სტუდენტებს შეუძლიათ დადგენილი სასწავლო ვადა არა უმეტეს 1,75-ჯერ გააგრძელონ, რის შემდეგაც მათ ერთი სემესტრისთვის 650 ევროს გადახდა მოუწევთ. საქსონია, შლეზვიგ-ჰოლშტაინი, მეკლენბურგ-წინა პომერანია, ბერლინი და ბრანდენბურგი უარს ამბობენ სწავლის ყოველგვარ გადასახადზე.

სწავლის გადასახადის შემოღების საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული იმასთან, თუ რომელი პარტიაა ფედერალური მიწის ხელისუფლების სათავე-

ში. ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა/ქრისტიან-სოციალურმა კავშირმა და თავისუფალ დემოკრატთა პარტიამ მხარი დაუჭირეს სწავლის გადასახადის პირველივე სემესტრიდან შემოღებას. სოციალ-დემოკრატები, „მწვანეები" და „მემარცხენეები" კი მოითხოვენ, რომ პირველი უმაღლესი განათლება უფასო იყოს.

თუ სწავლის მოსურნე ახალგაზრდობას უმაღლესი განათლების მიღების თავისუფლება შეეზღუდება და სწავლის გადასახადი ყველგან იქნება შემოღებული, სოციალური დემოკრატიის თვალსაზრისით, დადგება საბაზისო ღირებულებების – თავისუფლების, სამართლიანობისა და სოლიდარობის – შეზღუდვის საკითხი, თუმცა ამ უკანასკნელს ამ კონტექსტში ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება.

თავისუფლება

გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში არსებული სიტუაცია მასმედიაში საკმაოდ მუქი ფერებითაა წარმოდგენილი. ეს გახლავთ პედაგოგიური კადრების ქრონიკული დეფიციტი, არასაკმარისი სასწავლო ფართობი და ცუდი აღჭურვილობა, რისი დაძლევაც, ფასიანი განათლების მომხრეთა აზრით, მხოლოდ სწავლის გადასახადითაა შესაძლებელი. სტუდენტებს, რომლებიც თავად იხდიან სწავლის საფასურს, ენიჭებათ უფლება, უფრო ხარისხიანი განათლება მოითხოვონ. პედაგოგები მეტ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდნენ მათ შინაშე, ვინაიდან სწორედ სტუდენტების წყალობით იღებენ შრომის ანაზღაურებას. იმავდროულად, არსებული არგუმენტების მიხედვით, ყოველივე ეს კვლავ მოაქცევს სტუდენტებს უმაღლესი სასწავლებლების ყურადღების ცენტრში და ამ სასწავლებლებს უფრო მოქნილი და მომხიბვლელი მეთოდების გამოყენება მოუწევთ, რათა მეტი სტუდენტი მიიზიდონ. ამ თვალსაზრისით, სტუდენტებს მეტი თავისუფლება ეძლევათ, რათა ზეგავლენა მოახდინონ უნივერსიტეტების პოლიტიკაზე.

დისკუსიის მეორე მხარეს ფასიანი განათლების მოწინააღმდეგენი დგანან. მათი აზრით, განათლება ყველა ადამიანისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. უმაღლეს სასწავლებლებს აკისრიათ ვალდებულება, საზოგადოების სასიკეთოდ იმოქმედონ და ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში თავიანთი წვლილი შეიტანონ. გლობალიზებულ მსოფლიოში ნებისმიერი ადამიანის წარმატება საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათ შორის, უმაღლესი სასწავლებლების, თავისუფალ ხელმისაწვდომობაზეა დამოკიდებული. კარგი და თავისუფალი განათლება ქმედითი და წარმატებული საზოგადოების საწინდარია. მის გარეშე შეუძლებელია მოქალაქეთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გერმანიის წინაშე დგას პრობლემა, რომელზედაც, სხვათა შორის, PISA-კვლევის შედეგები მიანიშნებს – განათლება მოსწავლეთა სოციალურ ფენაზე და შემოსავლების ოდენობაზეა დამოკიდებული. სწავლის გადასახადის შემოღებით პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება უფრო მჭიდროდ უკავშირდება ფინანსურ ფაქტორს.

ამის გარდა, ფასიანი განათლება არ არის მისი უკეთესი ხარისხის გარანტია. ამდენად, სახელმწიფომ არ უნდა მოიხსნას ფინანსური პასუხისმგებლობა გერმანიის უმაღლესი სასწავლებლების წინაშე. წლების განმავლობაში გერმანიაში განათლების დაფინანსების დონე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. განათლებაში შექმნილი მდგომარეობა არ არის გამოწვეული სახსრების უქონლობით, ეს მათი გადანაწილებისა და პოლიტიკური ნების საკითხია. არსებობს საშიშროება, რომ სწავლის გადასახადის შემოღების შემდეგ სახელმწიფო კიდევ უფრო შეამცირებს თავის წვლილს უმაღლესი განათლების დაფინანსებაში, ვინაიდან სტუდენტებს დაფინანსების ახალ წყაროდ განიხილავს. ეს გამოიწვევს მხოლოდ ფინანსური ტვირთის გადაბარებას და არა გერმანიის უმაღლესი სასწავლებლების აღჭურვის დონისა და განათლების ხარისხის ამაღლებას.

სამართლიანობა

ფასიანი განათლების მომხრენი სახელმწიფო რესურსების კლებაზე მიუთითებენ და აღნიშნავენ, რომ დადგა დრო, უმაღლესი განათლების დაფინანსება სტუდენტებმა იკისრონ. მათი არგუმენტაცია იმას ეყრდნობა, რომ უმაღლეს სასწავლებლებს აფინანსებენ გადასახადების გადამხდელები, რომლებმაც შესაძლოა თავის დროზე ვერც კი მიიღეს უმაღლესი განათლება. ყველა სტუდენტმა ერთნაირი გადასახადი უნდა გადაიხადოს და, ვინაიდან გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში მეტწილად უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების შვილები სწავლობენ, პირველ რიგში, სწორედ ამ უკანასკნელთ უნდა დაეკისროთ ფინანსური ვალდებულება.

ამის მოწინააღმდეგენი კი გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ უმაღლესი განათლება არ უნდა იყოს დამოკიდებული მოქალაქეთა სოციალურ წარმომავლობაზე და/ან ეკონომიკურ მდგომარეობაზე; ეს ფაქტორები არ უნდა განსაზღვრავდეს ადამიანის სამომავლო პერსპექტივას. სწავლის გადასახადი, პირველ რიგში, სოციალურად დაუცველ ადამიანებს ამძიმებს. მაშინაც კი, თუ მათ კრედიტის აღების შესაძლებლობას მივცემთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სოციალურად ცუდად უზრუნველყოფილი ფენები ნაკლებად არიან მზად ვალების აღებისთვის და, ამდენად, ხშირად თავს არიდებენ ფასიან განათლებას. შანსების თანასწორობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ყველასთვის გარანტირებული იქნება პოზიტიური თავისუფლებები, რომლებსაც უნივერსიტეტების ხელმისაწვდომობაც განეკუთვნება. თუ სამომავ-

ლოდაც ძალაში დარჩება ფასიანი განათლების მომხრეთა მოსაზრება, რომ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებს მეტი შემოსავალი აქვთ, ვიდრე მათ, ვისაც ეს განათლება არ მიუღია, მაშინ სამართლიანი საგადასახადო სისტემა უზრუნველყოფს, რომ ღონიერმა მხრებმა უფრო მეტი ტვირთი ზიდონ.

სახელმწიფომ განათლება რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის უნდა გახადოს ხელმისაწვდომი. ეს დაფიქსირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1966 წლის ქარტიაში, რომელიც ხელმოწერილი და რატიფიცირებულია გერმანიის მიერ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მოთხოვნით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა უფასო უნდა იყოს.

სოციალური დემოკრატია და უმაღლესი განათლების დაფინანსების მომავალი

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თავის ყრილობაზე ჰამბურგში მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, „პირველი უმაღლესი განათლება გერმანის ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში, მთლიანობაში, უფასო უნდა გახდეს". ამის გარდა, „გსდპ ემხრობა განათლების თანაბარ შანსებს, სოციალური წარმომავლობისა და ფინანსური შესაძლებლობების მიუხედავად". ეს გადაწყვეტილება ჰამბურგში მიღებულ პარტიის ახალ ძირითადი პრინციპების პროგრამაში აისახა. პროგრამაში წერია, რომ გსდპ-ს განზრახული აქვს, „გაზარდოს უმაღლესი განათლების თავისუფალი ხელმისაწვდომობა და იმ სტუდენტების წილი, რომლებიც განათლების დაბალი დონის მქონე ოჯახებიდან არიან". გარდა ამისა, მასში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „აუცილებელია განათლების სფეროში სახელმწიფო მხარდაჭერის [...] შემდგომი გაზრდა მოთხოვნილების შესაბამისად".

საჭიროა ფედერაციისა და მიწების ერთობლივი ძალისხმევა, რათაA გერმანიის უნივერსიტეტებში გაიზარდოს სტუდენტების, ასევე პედაგოგთა რაოდენობა. სოციალ-დემოკრატები ემხრობიან განათლების ხელშეწყობის შესახებ ფედერალური კანონით გათვალისწინებული სისტემის (BAföG-System) გაფართოებას და სტიპენდიების პროგრამების მხარდაჭერას.

გერმანიამ უნდა გაზარდოს განათლების დაფინანსება, ვინაიდან, როდესაც საუბარია სწავლის გადასახადის შემოღებაზე, ხშირად პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან და ძალთა გადანაწილებასთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე საზოგადოების ობიექტურ საჭიროებებთან. სწავლის გადასახადის შემოღებით პრობლემა ვერ გადაწყდება, ვინაიდან, სოციალური დემოკრატიის გაგებით, ეს, პირველ რიგში, თავისუფლებისა და სამართლიანობის რეალიზებას აყენებს ზიანს.

3. საზოგადოებრივი მოდელების შედარება

ჟურნალ „შპიგელის" 2007 წლის 22 ოქტომბრის გამოცემას პროვოკაციული ყდა ჰქონდა:

„შპიგელი": ნომერი 43/2007, წყარო: ***www.spiegel-online.de****, 22.10.2007*

კარიკატურაზე გამოსახულია გსდპ-ის ზოგიერთი ლიდერი, რომლებიც, სავარაუდოდ, შტორმში მოხვდნენ და თავი სამაშველო ნავს შეაფარეს. კაპიტანი გერჰარდ შრედერი ჩასაძირად განწირულ გემზე რჩება, გრეგორი გიზიმ და ოსკარ ლაფონტენმა კი სხვა სამაშველო ნავის მოძებნა მოახერხეს. სათაურში „როდესაც ჩვენ გვერდიგვერდ ვცურავთ" სიტყვების თამაშია, ვინაიდან სიტყვას „ვცურავთ" მეორე მნიშვნელობაც აქვს – „არ ვიცით", კერძოდ, ამ შემთხვევაში „არ ვიცით", საით მივცურავთ; უფრო მეტიც, სურათზე ასახულია კატასტროფა, რომლის შედეგადაც ადამიანები ყოველგვარ ორიენტაციას კარგავენ.

რა არის გამოსახული ყდაზე?

რას ფიქრობთ „შპიგელის" ამ ყდაზე? როგორაა მასზე წარმოდგენილი პარტიის (ამ შემთხვევაში, გსდპ-ის) მდგომარეობა?

ის, რაც ყდაზე ნაჩვენები არ არის – რამდენიმე კომენტარი ინტერპრეტაციაზე კოორდინატებზე კა-

საგულისხმოა, რომ „შპიგელი", თუ ინდივიდუალურ შეფასებებს თავს ავარიდებთ, აქ მოხერხებულად იყენებს მეტაფორას: ის მიუთითებს პოლიტიკაში არსებულ შიშზე და მკაფიო ორიენტაციის დეფიციტზე, რის

მათი აუცილებელია

გამოც კატასტროფა გარდაუვალია. ამგვარი მოსაზრება, რომელიც ხშირად გვხვდება, ისევე, როგორც ჟურნალის შარჟი, ცხადია, გადაჭარბებული შეფასებაა. ყოველ ადამიანს საკუთარი „პოლიტიკურ-საზოგადოებრივი კომპასი" აქვს, ხოლო დემოკრატიულ პარტიებში (სულერთია, რომელში) არა მხოლოდ დაშვებულია, არამედ აუცილებელიცაა კოორდინატებზე კამათი, რის შემდეგაც გადაწყვეტილება დემოკრატიულად მიიღება.

თანაც გსდპ-ის „ჩაძირვასა" თუ კატასტროფაზე საუბარი გადაჭარბებულია: პოლიტიკური გარდატეხა – რომელიც ხელმძღვანელობის შეცვლისა და ბუნდესტაგის არჩევნებში წარუმატებლობის შემდეგ არათუ ჩვეულებრივი მოვლენაა, არამედ აუცილებელიც კია – სულაც არ არის კატასტროფა.

არც ბრძანებების ენით საუბარი შეესაბამება პარტიაში გადაწყვეტილებების მიღების დემოკრატიულ პრინციპს. დასაშვებია, თუ ადამიანები, საჭიროებისამებრ, კოორდინატებზე კამათობენ და მათ საკუთარ „საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კომპასს" უსადაგებენ. ყდაზე ასახული სიტუაცია კი პოლიტიკის ავტორიტარული გაგებაა, რაც სრულიად არ შეესაბამება დემოკრატიის მოთხოვნებს.

„საზოგადოებრივ-პოლიტიკური კომპასი"

„საზოგადოებრივ-პოლიტიკური კომპასი" გახლავთ ის, რასაც სურათზე ვერ დაინახავთ – თუმცა სწორედ ის არის პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელი წინაპირობა. ახლა მოდი „ნავიგაციას" შევუდგეთ.

„საზოგადოებრივ-პოლიტიკური კომპასი" გულისხმობს პოლიტიკური მიმართულებების ცოდნას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია საკუთარი ადგილმდებარეობის აღწერა და „ნავიგაცია".

კითხვა კოორდინატებისა და ნავიგაციის შესახებ

ხშირად ეს „ნავიგაცია", ხატოვნად რომ ვთქვათ, მიმდინარე პოლიტიკური გადაწყვეტილებების აღელვებულ ზღვაში ხდება: მაშინაც კი, როდესაც საქმე ნაკლებად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს შეეხება, მათი მიღებისას ყოველთვის გათვალისწინებულია პოლიტიკური პროცესის მონაწილეთა პირადი პოზიციები.

ამის უპირატესობა (და, იმავდროულად, აღწერის სირთულე) ის არის, რომ ყოველ ჩვენგანს საკუთარი კომპასი აქვს. ამგვარად, არ გამოვა, მარტივად „ჩამოვურიგოთ ყველას კომპასი". უნდა მოვახერხოთ შეთანხმება ზოგიერთ კოორდინატზე. რა სახით იქნება ეს გამოყენებული „ნავიგაციის" პროცესში, თითოეული ადამიანი თავად განსაზღვრავს. დემოკ-

რატიულ პარტიებსა და ორგანიზაციებში ამ საკითხზე მუდმივი დისკუსიები მიმდინარეობს.

რა არის საჭირო ნავიგაციისთვის?

ნავიგაციისთვის საჭიროა ორი არსებითი წინაპირობა: უნდა იცოდეთ საკუთარი პოზიცია – გადატანითი მნიშვნელობით, უნდა გესმოდეთ, რა მდგომარეობაშია საზოგადოება და პირადად თქვენ რა ადგილი გიკავიათ ამ საზოგადოებაში.

მეორე წინაპირობა გულისხმობს შეთანხმებას იმ პოლიტიკურ კურსზე, რომლითაც გსურთ იაროთ.

ორივე – საწყისი წერტილიც და მიზანიც (ანდა რეალობა და ორიენტირი) – კონკურირებადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონცეფციების ფარგლებში განიხილება. როგორც ლიბერალებს, კონსერვატორებს, სოციალისტებს, ისე სოციალ-დემოკრატებს საკუთარი არგუმენტები მოჰყავთ, რათა საწყისი წერტილისა და მიზნის იმგვარი ფორმულირება მოახერხონ, რომელიც შესაძლებელს გახდის მათ „ნავიგაციას" სასურველი მიმართულებით.

როდესაც ვსაუბრობთ სოციალ-დემოკრატიაზე, როგორც საზოგადოებრივ მოდელზე, კოორდინატთა შესაძლო სისტემაზე ან საზოგადოებრივ მიმართულებაზე, აუცილებელია იგი სხვა საზოგადოებრივი მოდელების კონტექსტში იქნეს განხილული.

3.1. საბაზრო კაპიტალიზმი და დემოკრატია

ორი საკვანძო ცნება: „საბაზრო კაპიტალიზმი" და „დემოკრატია"

სანამ სხვადასხვა კოორდინატს განვიხილავთ, დამატებით უნდა განვსაზღვროთ ორი ცნება, რომლებიც ჩვენს დღევანდელ საზოგადოებრივ მოწყობაზე არსებით ზეგავლენას ახდენს: საბაზრო კაპიტალიზმი და დემოკრატია.

საბაზრო კაპიტალიზმი აღიქმება სისტემად, სადაც

- შეიძლება საქონლის თავისუფალი გაცვლა ბაზარზე;
- პროდუქციის წარმოება ეფუძნება კაპიტალისტურ სისტემას, ანუ, პირველ რიგში, საწარმოო საშუალებათა კერძო ეკონომიკურ განკარგვას;
- არსებობს, ერთი მხრივ, დაქირავებული შრომა და, მეორე მხრივ, კაპიტალის მფლობელები;
- თავად ბაზრის გარდა, არ არსებობს რაიმე ინსტიტუტი, რომელიც მას არეგულირებს და ზოგადი თამაშის წესებს ადგენს.

დემოკრატია ისტორიული მონაპოვარია, რომელიც

- ეფუძნება სახელმწიფოს ფარგლებში საზოგადოების ყველა წევრისთვის თანაბარი თავისუფლების იდეას;
- უზრუნველყოფს პოლიტიკურ ავტონომიას უმრავლესობის დემოკრატიულად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე;
- საჭიროებს ძლიერ საზოგადოებას (სახელმწიფოს), რათა მან უზრუნველყოს საყოველთაო ჩართულობა.

წინააღმდეგობები დემოკრატიასა და საბაზრო კაპიტალიზმს შორის

ეს მცირე განმარტებებიც კი გვიჩვენებს, რომ საზოგადოებაში, რომელსაც სურს როგორც საბაზრო კაპიტალიზმი, ისე დემოკრატია, გარდაუვალია წინააღმდეგობები წმინდა საბაზრო კაპიტალიზმის გამოვლინებებსა და საზოგადოებრივი მოწყობის დემოკრატიულ პრინციპებს შორის.

საბაზრო კაპიტალიზმი ეწინააღმდეგება *დემოკრატიას*, როდესაც

- გარკვეული ჯგუფის მიერ საწარმოო საშუალებების კერძო განკარგვა განაპირობებს სიმდიდრის არათანაბარ გადანაწილებას, რაც ეწინააღმდეგება „თანაბარ თავისუფლებას" და საზოგადოებრივ ცხოვრებაში საყოველთაო ჩართულობას;
- დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის ძალაუფლებრივი უთანასწორობა იმდენად მძაფრდება, რომ ის ეწინააღმდეგება დასაქმებულთა ცხოვრებისეულ თვითგამორკვევას;
- საბაზრო კაპიტალიზმი წარმოშობს დაპირისპირებას, ერთი მხრივ მათ, ვინც მოგებისკენ მიილტვის და, მეორე მხრივ, მთელი საზოგადოების კეთილდღეობას შორის, რომლის მიღწევა დემოკრატიული პრინციპების საფუძველზეა შესაძლებელი;
- სახელმწიფოს რჩება მხოლოდ ამოცანა – უზრუნველყოს სიმშვიდე და წესრიგი.
- *დემოკრატია* ეწინააღმდეგება *საბაზრო კაპიტალიზმს*, როდესაც თავისუფალი მეწარმეობა არსებითად იზღუდება ან იკრძალება დემოკრატიულად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე;
- სახელმწიფოს ჩარევა დემოკრატიულად მიღებული გადაწყვეტილებების ფარგლებში – მაგალითად, კერძო საკუთრების ექსპროპრიაცია საზოგადოების სასიკეთოდ – ზღუდავს პიროვნების განვითარებასა და თავისუფლებას, ანუ, ერევა ადამიანის პირად სფეროში.

დაძაბულობა ეკონომიკის ფორმასა და საზოგადოებრივ ფორმას შორის

თვალსაჩინოებისთვის შეიძლება დემოკრატიასა და საბაზრო კაპიტალიზმს შორის დაძაბულობა შემდეგნაირად ავსახოთ:



სურ. 4. კოორდინატთა სისტემა საზოგადოებრივი მოდელების კლასიფიცირებისთვის

რაც შეეხება ეკონომიკის ფორმასა და ბაზარს, იკვეთება ორი პოლუსი – „კოორდინირებული" და „არაკოორდინირებული": ერთი მხრივ, არაკოორდინირებული, თავის თავს მინდობილი ბაზარი და, მეორე მხრივ, რეგულირებული ბაზარი და კოორდინირებული ეკონომიკა.

მეორე ღერძი – ეს არის დაძაბულობა, ერთი მხრივ, ავტორიტარული მმართველობის მქონე სახელმწიფოსა და, მეორე მხრივ, ყოველი მოქალაქის თავისუფლებებზე დაფუძნებულ, დემოკრატიულ წყობას შორის.

„საბაზრო კაპიტალიზმი" და „დემოკრატია" გახლავთ ორი მნიშვნელოვანი ცნება, რომელთა საშუალებითაც შეიძლება საზოგადოების კოორდინატების აღწერა. პოლიტიკური თეორიების კლასიფიკაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განმარტავენ ისინი აღნიშნულ კოორდინატებს და რა მიმართულებით უნდა ვითარდებოდეს საზოგადოება ამ თეორიების შესაბამისად.

როგორ კლასიფიცირდება საზოგადოებრივი მოდელები?

აქ ჩნდება კითხვა, თუ როგორ შეიძლება დავალაგოთ საზოგადოებრივი მოწყობის განსხვავებული კონცეფციები და მოდელები კოორდინატთა მოცემულ სისტემაში:

- ლიბერალური პოზიცია,
- კონსერვატიული პოზიცია,
- სოციალისტური პოზიცია,
- სოციალ-დემოკრატიული პოზიცია.

დავალება დისკუსიისა და შემდგომი მუშაობისთვის:

დაალაგეთ კოორდინატთა სისტემაში ზემოთ აღნიშნული საზოგადოებრივი მოდელები. მოიფიქრეთ თქვენი არგუმენტები და კონტრარგუმენტები. სანამ კითხვას განაგრძობთ, მონიშნეთ კოორდინატთა სისტემაში შესაბამისი წერტილები.

იქნებ რამემ შეგაყოვნათ? თუ სწრაფად შეძელით დავალების შესრულება?
თუ ცოტა შეყოვნდით, ეს შეცდომად არ ჩათვალოთ. შესაძლოა ამას თავისი მიზეზები ჰქონდეს. დავინახავთ, რომ საქმე სისტემურ პრობლემასთან გვაქვს.

შესაძლოა შემდეგი დიფერენცირება გამოგადგეთ: შეეცადეთ თავდაპირველად კოორდინატთა სისტემა იმის მიხედვით შეავსოთ, თუ რა ჩანაფიქრი შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოდელს. შემდეგ კი დაფიქრდით, როგორია ამ მოდელების „რეალური პოზიცია", პოლიტიკის თქვენეული გაგებიდან გამომდინარე.



სურ. 5. ჩანაფიქრი და რეალური პოზიცია

თუ საზოგადოებრივი მოდელის ჩანაფიქრი და რეალობა ერთმანეთს სცილდება, რითია ეს გამოწვეული?

აქ ისმება საინტერესო კითხვა: თუ კონკრეტული საზოგადოებრივი მოდელის პოზიციის იდეალური და რეალური ვერსიები ერთმანეთს სცილდება, რითია ეს გამოწვეული? (ამ შემთხვევაში ჩვენ გამოვრიცხავთ შეცდომას აღქმაში.)

აჯობებს, დაიმახსოვროთ კოორდინატთა ორივე სისტემა, სადაც წარმოდგენილია საზოგადოებრივი მოდელების კლასიფიკაცია, რომ შემდეგ შეძლოთ იმის შემოწმება, დაგეხმარებათ თუ არა ქვემოთ მოცემული განმარტებები.

იმისთვის, რომ ვუპასუხოთ შეკითხვას ჩანაფიქრსა და რეალობას შორის არსებული განსხვავების შესახებ, საჭიროა, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი მოდელების უფრო დეტალური შესწავლა და, მეორე მხრივ, ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით შემოწმება იმისა, თუ რას მიაღწიეს რეალურად ქვეყნებმა, რომლებიც კონკრეტულ მოდელებზე იყვნენ ან არიან ორიენტირებული. თუ ჩანაფიქრსა და სინამდვილეს შორის დიდი უფსკრულია, ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს მცდარი რიტორიკით (მაგალითად, ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით), როდესაც ცალკეული ადამიანის კერძო ინტერესებისკენ მიმართული ქმედებები წარმოჩნდება, როგორც საყოველთაო კეთილდღეობისთვის ზრუნვა. იმისთვის, რომ ანკესზე არ წამოეგო, უნდა დაისვას შეკითხვა: Cui bono? ვისთვის არის ეს მოგებიანი? ვის ინტერესებს იცავს აღნიშნული არგუმენტაცია?

ერთი მხრივ: Cui bono? ვისთვის არის ეს მოგებიანი?

ან ეს არის თეორიული ხარვეზი, როდესაც თანამედროვე საზოგადოებრივ პირობებში ემპირიული მონაცემები არ შეესაბამება თეორიულ მოთხოვნებს.

მეორე მხრივ: უტოპიზმი, როგორც დიაგნოზი?

ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ აღნიშნული საზოგადოებრივი მოდელი გრძელვადიან პერსპექტივაშიც კი განუხორციელებელია, ე. ი., დღევანდელი თვალთახედვით, ის უტოპიური გახლავთ. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იდეალების კრიტიკაა საჭირო. კრიტიკას იმსახურებს ისეთი პოლიტიკური უტოპიზმი, რომელიც ხელს უშლის იმას, რისი ხორცშესხმაც დღევანდელ პირობებში რეალური იქნებოდა. ამ შემთხვევაში შეიძლება საუბარი მეორე რიგის ვალდებულებაზე, კერძოდ, როდესაც პოლიტიკური იდეების დემოკრატიული საშუალებებით განხორციელება რეალურია.

უტოპიზმი, როგორც ფუფუნება

უტოპიზმი საზოგადოებრივი ქმედებების გარეშე – ეს არის წმინდა წყლის ფუფუნება, რომელიც მხოლოდ მეტ-ნაკლებად შეძლებული ადამიანებისთვისაა ხელმისაწვდომი. შეცდომა იქნება, რომელიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური თეორია უტოპიად მხოლოდ იმიტომ შეფასდეს, რომ მისი განხორციელების ნება არც ყოფილა. უტოპიასთან საქმე მაშინ გვაქვს, თუ კონკრეტული სტრატეგიის ფარგლებში ცალკეული პოლიტიკური ჯგუფის ქმედებებს განვიხილავთ.

ამდენად, ჩვენ განვიხილეთ თქვენი „კომპასი" და ის, თუ როგორ შეიძლება პოლიტიკურ დეკლარაციებსა და რეალურ პოლიტიკას შორის არსებული ზღვრის შეფასება. პოლიტიკური მიმდინარეობებისა და თეორიების შესახებ ქვემოთ მოცემული მიმოხილვითი ტექსტების კითხვისას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კოორდინატთა სისტემაში საკუთარი წარმოდგენების ადგილმდებარეობის განსაზღვრას გირჩევთ.

საზოგადოებრივი მოწყობის ოთხი კონცეფცია

აქვე გთავაზობთ სხვადასხვა საზოგადოებრივი მოწყობის აღწერილობას, რომლებიც დამახასიათებელია ლიბერალიზმის, კონსერვატიზმის, სოციალიზმისა და სოციალური დემოკრატიისთვის. თუმცა საზოგადოებრივი მოდელების მოკლე მიმოხილვა შესაძლოა ერთგვარად გამარტივებულ სურათს იძლეოდეს; შევეცდებით წარმოვადგინოთ თითოეული მიმდინარეობის არსებითი არგუმენტები. აღწერის ბოლოს შემოგთავაზებთ ასევე კონცეფციების რეალისტურ შემადგენელს.

ვინაიდან წარმოდგენილი დახასიათებები მცირე ზომის გამო მხოლოდ სქემატურ სურათს იძლევა, ყოველი მოდელის შემდეგ დამატებითი ლიტერატურის სიას გთავაზობთ.

3.2. ლიბერალური პოზიციები

ბაზრისა და დემოკრატიის ურთიერთკავშირის ფარგლებში ლიბერალები ყურადღებას თავისუფალ ბაზარზე ამახვილებენ და აქცენტი თავისუფალ მეწარმეობაზე გადააქვთ. დემოკრატიული გადაწყვეტილებები მიიღება ძირითადად სახელმწიფოს დონეზე, რომლის ამოცანა მხოლოდ თავისუფალი ბაზრის უზრუნველყოფაა. ლიბერალური კონცეფციის ზოგიერთი ძირითადი დებულება ასეთია:

ლიბერალური კონცეფციის ძირითადი დებულებები

- ბაზარი ძირითადად თვითრეგულირებას ახდენს, რათა მატერიალური და არამატერიალური კეთილდღეობა საზოგადოებაში არსებული მოთხოვნილებისკენ იყოს მიმართული.
- თავისუფლებას აბსოლუტური პრიორიტეტი ენიჭება თანასწორობისა და სოლიდარობის მიმართ, ხოლო პიროვნებას – საზოგადოების მიმართ.
- თავისუფლება უშუალოდ ბაზრის მეშვეობით რეალიზდება. თავისუფალი ბაზრის (არსებითი) შეზღუდვა ზოგადად თავისუფლების შეზღუდვასთანაა გაიგივებული და, ამდენად, დაუშვებელია.
- სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, შექმნას ბაზრისთვის უსაფრთხო გარემო და მინიმალური სოციალური დახმარება აღმოუჩინოს ადამიანებს, რომლებიც უნებურად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, თუმცა ძირითადი სოციალური უფლებების დაცვაზე საუბარი არ არის. ეს ვიწრო პოლიტიკური სფერო დემოკრატიულად რეგულირდება. სახელმწიფო საზოგადოებაში მხოლოდ ზოგადი წესრიგის შენარჩუნებისთვისაა პასუხისმგებელი.
- ადამიანის არსი, პირველ რიგში, გულისხმობს ადამიანების თავისუფლებას, რომლებიც ერთმანეთისგან შრომითი წვლილით განსხვავდებიან და სარგებლის გაზრდის მიზნით ცხოვრობენ. ბაზრის თავისუფლებას სახელმწიფოსგან თავისუფლება ემატება: სახელმწიფოს მხოლოდ იმის გარანტირება ევალება, რომ საზოგადოება არ ხელყოფდეს პიროვნების ავტონომიას. სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს თავისუფალი ადამიანების დაცვას, თუმცა არ უნდა ზღუდავდეს მათ თავისუფლებას.
- ლიბერალური კონცეფციები მხარს უჭერს დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკის არსებობას, რომლის ამოცანაა ვალუტის სტაბილურობის უზრუნველყოფა („მონეტარიზმი").

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნეოლიბერალი: ფ. ა. ფონ ჰაიეკი

ისტორიული თვალსაზრისით, ლიბერალიზმი ბურჟუაზიული საზოგადოების საკმაოდ ადრეულ სტადიაზე ჩამოყალიბდა. ამ მიმართულების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფილოსოფოსი და „მამამთავარი" გახლდათ ჯონ ლოკი (1632–1704) (შდრ. გვ. 11 და მომდევნო გვერდები).
ლიბერალიზმის კლასიკურმა ფორმამ სახელმწიფოებრივი მოწყობის (და

არა ეკონომიკური წყობის!) სფეროში დღევანდელ სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიაზე დიდი გავლენა მოახდინა (შდრ. ქვევით, გვ. 72 და მომდევნო გვერდები).

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ასპარეზზე გამოჩნდნენ ნეოლიბერალები[11], რომლებმაც – თუ ისტორიულ ჭრილში შევხედავთ – გაამძაფრეს ლოკის გაწონასწორებული პოზიცია.

ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკი (1899–1992) – ავსტრიელი ეკონომისტი და ლიბერალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი მე-20 საუკუნეში.

თავისუფალი ბაზრის მუდმივი დამცველი და სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი ჩარევის წინააღმდეგი; ამდენად, სოციალიზმის სასტიკ მოწინააღმდეგედ მიიჩნევა.

ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკს[12] მიაჩნია, რომ თავისუფლებისა და დემოკრატიის რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური სისტემის ფარგლებში, რომელიც შეუზღუდავ კერძო საკუთრებასა და კონკურენციას ეფუძნება. საზოგადოება, მისი აზრით, წარმოიშობა, როგორც „სპონტანური წესრიგი", რომელშიც ეკონომიკური სუბიექტები ბაზრის საშუალებით თავისუფლად შედიან კონტაქტში და კონკურირებენ ერთმანეთთან. ამასთანავე, სახელმწიფოს ამოცანა მხოლოდ ის არის, რომ დაადგინოს ცალკეული პიროვნების ქცევის ზოგადი წესები სხვა ადამიანებთან მიმართებით (შდრ. Conert, 2002, გვ. 287). იმ ფაქტს, რომ თავისუფლებითა და დემოკრატიით სარგებლობა რეალურად მხოლოდ უმცირესობას თუ შეუძლია, ჰაიეკის „სპონტანურ წესრიგში" დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება. ის, რომ აღვირახსნილი კაპიტალიზმის ფარგლებში ცალკეული პიროვნების ეკონომიკური თავისუფლება სხვა ადამიანების ეკონომიკურ სიდუხჭირეს და თავისუფლების დეფიციტს იწვევს, ასევე არ განიხილება პრობლემად. ფონ ჰაიეკის არგუმენტაციის უკეთ გაცნობა კონერტის ნაშრომში შეგიძლიათ.

ვილჰელმ რიოპკეს არგუმენტაციაშიც შეიმჩნევა დიდი ზღვარი, რომელიც არსებობს ახალი ლიბერალების იდეალებსა და სინამდვილეს შორის. მისი აზრით, ლიბერალიზმი სოციალიზმის ტირანული საზოგადოებრივი წყობის ერთადერთი ალტერნატივაა: „მას, ვისაც არ უნდა კოლექტივიზმი, უნდა

[11] მომდევნო ტექსტში ჩვენ ვიყენებთ ტერმინს „ახალი ლიბერალური", რომლითაც აღვნიშნავთ თეორიულ მიდგომას, რომელიც მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში კლასიკური ლიბერალიზმის საფუძველზე წარმოიშვა და შემდგომ მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან განვითარდა. ბოლო წლებში მემარცხენე პოლიტიკოსებს შორის ტერმინმა „ნეოლიბერალი" უარყოფითი მნიშვნელობა შეიძინა, როგორც ერთგვარმა „საბრძოლო შეძახილმა". როგორც არ უნდა აღიქვამდეთ ახალ ლიბერალურ კონცეფციებს, არსებობს იმის საშიშროება, რომ თანამედროვე საზოგადოების ყველა ნეგატიურ მოვლენას „ნეოლიბერალურის" იარლიყი მიეკრას. იმისთვის, რომ თავი ავარიდოთ ანალიტიკური თვალსაზრისით არაზუსტ არგუმენტაციას, ჩვენს ნაშრომში გამოვიყენებთ ტერმინს „ახალი ლიბერალური".

[12] აქ უნდა აღინიშნოს, რომ ფონ ჰაიეკის არგუმენტაცია ზოგიერთ ძირითად საკითხში განსხვავდება სხვა ახალი ლიბერალური კონცეფციებისგან (მაგალითად, რაც შეეხება საზოგადოების წყობასა და ისტორიის ინტერპრეტაციას). ასე რომ, ფონ ჰაიეკი, რომელიც მეტად გავლენიან ფიგურად არის მიჩნეული, თავად ახალ ლიბერალებს შორის საკმაოდ საკამათო თეორეტიკოსად რჩება.

სურდეს საბაზრო ეკონომიკა [...] ხოლო საბაზრო ეკონომიკა – ეს არის თავისუფალი ბაზარი, თავისუფალი ფასები და ელასტიკური ხარჯები, რაც ნიშნავს მწარმოებლის უნარს, მიესადაგოს მოთხოვნილებას და დაექვემდებაროს მას. ნეგატიური კუთხით, ეს არის უშუალო დაპირისპირება მონოპოლიასთან, კონცენტრაციასა და იმ ინტერესთა ჯგუფების ანარქიასთან, რომლებიც პენელოპას საქმროების მსგავსადაა გავრცელებული ყველა ქვეყანაში. საბაზრო ეკონომიკა ნიშნავს, რომ კოლექტივიზმის უარყოფილი პრინციპის მაგივრად ვირჩევთ რეგულირების ერთადერთ პრინციპს, რომელიც განსაკუთრებულად დიფერენცირებულ და მაღალტექნოლოგიურ საზოგადოებას ესადაგება. მაგრამ იმისთვის, რომ რეალურად იქნეს უზრუნველყოფილი სამეურნეო პროცესის რეგულირება, ის ნამდვილი, მონოპოლიების მიერ მოსყიდვისგან თავისუფალი უნდა იყოს" (Röpke, 1946, გვ. 74). აქ უკვე იკვეთება წინააღმდეგობა, რომელიც ბევრი ლიბერალური პოზიციისთვისაა დამახასიათებელი: ერთი მხრივ, ხდება (ძირითადად) თვითრეგულირებადი, მარეგულირებელი პოლიტიკის მარწუხებისგან თავისუფალი ბაზრის პროპაგანდირება, მეორე მხრივ კი – მონოპოლიების მკაცრი კრიტიკა და სახელმწიფო კონტროლის მოთხოვნა, რათა მონოპოლიების შექმნის გამო არ შესუსტდეს კონკურენცია. მაგრამ ეს ეწინააღმდეგება „თავისუფალი ბაზრის" არსს: სავარაუდოდ, ბაზარს მივყავართ დაპირისპირებამდე, რომლის რეგულირება მას თავად არ შეუძლია. ამგვარად, სახელმწიფოს ჩარევა მაინც აუცილებელი ხდება.

ამის გარდა, ახალი ლიბერალები ამოდიან იქიდან, რომ თავისუფალი ბაზარი თავისთავად უზრუნველყოფს პიროვნების საკმარის თავისუფლებას. ესაა თვალსაზრისი, რომელიც არ დასტურდება საბაზრო კაპიტალიზმის რეალური შედეგების განხილვისას.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა ახალი ლიბერალური კვლევითი სტრუქტურების, პოლიტიკური კონსულტაციების, ეკონომიკის ინსტიტუტებისა და ლობისტების ფართო ქსელი. ამ ქსელმა არსებითად მოამზადა „ნეოლიბერალური გადატრიალება", რომელიც მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, ტეტჩერისა და რეიგანის დროს მოხდა.[13]

ახალ ლიბერალურ პოზიციებს, როგორც წესი, მხარს უჭერენ კაპიტალის მფლობელები და ისინი, ვისაც უზრუნველყოფილი ცხოვრება აქვს (ანუ, ძირითადად, მეწარმეები და ბურჟუაზიული ინტელიგენცია). ასე რომ, ახალი ლიბერალიზმი ორმაგად ელიტარული საზოგადოებრივი მოდელია: ის მესაკუთრეთა წრეებში ჩამოყალიბდა და სწორედ მათ ინტერესებს იცავს.

[13] შინაარსობრივად საინტერესო სტატია „ნეოლიბერალური ქსელის" წარმოშობის შესახებ იხ. წიგნში: Plehwe/Walpen, 2001.

ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკი, გზა მონობისკენ, ციურიხი, 1946.

ვილჰელმ რიოპკე, თანამედროვე საზოგადოების კრიზისი, ციურიხი, 1942.

ვილჰელმ რიოპკე, **Civitas Humana.** საზოგადოებისა და ეკონომიკის რეფორმირების ძირითადი საკითხები, ციურიხი, 1946.

ჰანსგეორგ კონერტი, ნეოლიბერალიზმის იდეოლოგიის ექსკურსი – ფ. ა. ფონ ჰაიეკის სწავლების მაგალითზე, იხ. კონერტის ნაშრომი, 2002, გვ. 275-296.

დევიდ ჰარვი, ნეოლიბერალიზმის მოკლე ისტორია, ციურიხი, 2007.

3.3. კონსერვატიული პოზიციები

ყველაზე რთული გადმოსაცემი კონსერვატორების პოზიციაა. ამას აქვს როგორც ისტორიული, ისე სისტემური მიზეზები.

კონსერვატიზმი: ორიენტირება არსებულზე

ისტორიული თვალსაზრისით, კონსერვატორები – ამაზე სახელწოდებაც მეტყველებს – არსებულზე და მის შენარჩუნებაზე არიან ორიენტირებული. ასე რომ, რაიმე დამოუკიდებელი, ერთიანი ისტორიული იდეის გამოყოფა საკმაოდ რთულია. მოკლედ რომ ვთქვათ, კონსერვატორები მუდამ არსებობდნენ, თუმცა კონსერვატიზმი – არასდროს.

საფრანგეთის რევოლუციის დროს და რესტავრაციის ეპოქაში მე-19 საუკუნის პირველ მესამედში კონსერვატორები წოდებრივ პრივილეგიებს და დიდგვაროვანთა ინტერესებს იცავდნენ. გერმანიის იმპერიის შექმნის პერიოდში ისინი მცირე გერმანული სახელმწიფოების მხარეს იდგნენ, შემდეგ იმპერიის შენარჩუნებას მოითხოვდნენ, ხოლო ვაიმარის რესპუბლიკის წლებში ძირითადად იმპერიის აღდგენას ემხრობოდნენ და დემოკრატიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მე-20 საუკუნის 80-იან წლებში კონსერვატორები უფრო მეტად ახალი ლიბერალების კლასიკურ ღირებულებებს ეყრდნობოდნენ დამე-19 საუკუნის 70-იანი წლების რეფორმებს ეწინააღმდეგებოდნენ. მათი ქცევის ერთიანი ხაზის განსაზღვრა შეუძლებელია.

კონსერვატიული აზროვნების საფუძვლები

მიუხედავად ამისა, შეიძლება დავასახელოთ კონსერვატიული აზროვნების რამდენიმე არსებითი ელემენტი – ძირითადად, მიმდინარე პერიოდისთვის:

- კონსერვატორები ორიენტირებული არიან, როგორც წესი, ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებზე, როგორებიცაა ოჯახი, პირადი პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერი შრომა. დიდი ყურადღება ეთმობა ტრადიციებს.
- სახელმწიფო, როგორც წესი, არის იმ ღირებულებათა „უმაღლესი წესრიგის" გამოხატულება, რომლებიც ასახულია ერში. ამ „უმაღლესი წესრიგით" განპირობებულია, როგორც წესი, მძლავრი იერარქიული ტიპის აზროვნება და საზოგადოების (შრომითი) ელიტებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება. ამის შედეგად საზოგადოებრივი უთანასწორობა დასაშვები ხდება.

„ახალი ბურჟუაზიულობა"

- გერმანიაში, ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, კონსერვატიული აზროვნება მიმართულია ქრისტიანი ადამიანის ხატისკენ. კათოლიკური სოციალური სწავლების მნიშვნელოვანი დებულებები (ქველმოქმედება, სუბსიდიარობის პრინციპი) კონსერვატიულ ღირებულებებად მოიხსენიება.
- ბოლო წლებში კონსერვატორები იყენებენ ტერმინს „ახალი ბურჟუაზიულობა" (შდრ. Buchstein/Hein/Jörke, 2007, გვ. 201). ის გულისხმობს მოქალაქეს, რომელიც თავის ცხოვრებას ისეთ ღირებულებებზე აგებს, როგორებიცაა ოჯახი, კეთილსინდისიერება, ერთგულება, ზრდილობა, პასუხისმგებლობით ეკიდება საზოგადოებრივ და პროფესიულ ვალდებულებებს. აი, უდო დი ფაბიოს განმარტება: „დღეს, იყო ბურჟუაზიული, ნიშნავს ერთდროულად ტკბობას და ტვირთს, სიყვარულს და დაპირისპირებას, დანაკარგს და კეთილდღეობას, თავისუფლებას – პირველ რიგში, როგორც ვალდებულების შესრულების თავისუფლებას, წარმატებას – როგორც საკუთარი ძალისხმევის შედეგს, ამავე დროს, ზომიერ ტკბობას, ისე, რომ არც ვალდებულება და არც ძალისხმევა არ აგყავდეს აბსოლუტურ ხარისხში. იყო ბურჟუაზიული, ნიშნავს, შეინარჩუნო მუდამ ინდივიდუალური მიდგომა, ყოველთვის გაითვალისწინო საზოგადოებრივი ინტერესები, სუსტებისა და გაჭირვებულთა სატკივარი, ე. ი. თავისუფლებასა და თანასწორობასთან ერთად ძმობასაც იზიარებდე" (di Fabio, 2005, გვ. 138-139). ამდენად, „ახალი ბურჟუაზიულობის" ცნებაში აისახა ინდივიდუალური თავისუფლების გაგება, რომელიც მიმართულია, პირველ რიგში, ინდივიდის მორალისკენ. ესაა მისი მკაფიო განსხვავება ადამიანის სახის სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული, ასევე ლიბერალური გაგებისგან.
- მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან, როდესაც ჰელმუტ კოლის ფედერალურმა მთავრობამ გეზი „სულიერ-მორალური გარდატეხისკენ" აიღო, კონსერვატიზმმა შეისისხლხორცა, ერთი მხრივ, ქრისტიანულ-კონსერვატიული ღირებულებები და, მეორე მხრივ, ეკონომიკური ლიბერალიზმი. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში ანგელა მერკელი მოვიდა, ამ კონცეფციას დაემატა სოციალ-დემოკრატიული ელემენტები და მიდგომები (თუმცა უფრო სუსტი და სახეშეცვლილი ფორმით). ამან ნაწილობრივ განაპირობა – სწორედ ოჯახის პოლიტიკის სფეროში – საგულისხმო პოტენციალი კონფლიქტისა „მოდერნისტებსა" და „კონსერვატორებს" შორის, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის რიგებში.

ამდენად, რთული ამოცანაა, ერთმნიშვნელოვნად მიაკუთვნო კონსერვატიზმი რომელიმე ერთ პარტიას ან ისტორიულ კონსტანტას.

უფრო მკაფიოდ იკვეთება კონსერვატორების მიზნობრივი ჯგუფი: იგულისხმება, პირველ რიგში, შეძლებული ადამიანები მეწარმეთა და ინტელექტუალთა სფეროდან, ასევე საეკლესიო (მეტწილად კათოლიკური) წრეები.

დამატებითი ლიტერატურა კონსერვატიზმის შესახებ:

უდო დი ფაბიო, თავისუფლების კულტურა, მიუნხენი, 2005.

ედგარ იუნგი, გერმანია და კონსერვატიული რევოლუცია, მიუნხენი, 1932.

მარტინ გრაიფენჰაგენი, კონსერვატიზმის დილემა გერმანიაში, მიუნხენი, 1971.

3.4. სოციალური დემოკრატია და დემოკრატიული სოციალიზმი

მოდელის ისტორიული განვითარება

დემოკრატიულ სოციალიზმს, როგორც ლოგიკურ მოდელს, და სოციალ-დემოკრატიას, როგორც პოლიტიკურ ძალას, აქვს ხანგრძლივი (იდეური) ტრადიცია, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მუშათა მოძრაობის წარმოშობასთან. კონსერვატიული და ლიბერალური კონცეფციებისგან განსხვავებით, ეს პოლიტიკური ლოგიკური მოდელი საკმაოდ მოქნილი აღმოჩნდა. საუბარია ლოგიკურ მოდელზე, რომელიც მუდამ ითვალისწინებდა კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტს. გადავხედოთ ამ საზოგადოებრივი მიმდინარეობის იდეის ისტორიას.

3.4.1. მუშათა მოძრაობის იდეოლოგები

როდის დაიწყო მოქმედება „სოციალიზმმა", როგორც იდეამ?

„როდის წარმოიშვა დემოკრატიული სოციალიზმის იდეა?" – ამ შეკითხვისთვის პასუხის გაცემა მეტად რთულია. ჰერმან დუნკერი ამბობს: „სოციალიზმის ისტორია კაცობრიობის ისტორიასთან ერთად იწყება" (Duncker, 1931, გვ. 9). სხვები სოციალისტურ იდეას ადრეულ ქრისტიანობასთან აკავშირებენ. მესამენი კი ამ იდეოლოგიის დამფუძნებლებად ადრეულ ფრანგ ან ინგლისელ სოციალისტებს მოიხსენიებენ.

სოციალიზმის ელემენტებს კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ნახავთ. ყველა მოსაზრებას თავისი საფუძველი და გამართლება აქვს. თუმცა საქმე გვაქვს დამაბნეველ შეკითხვასთან, ვინაიდან ნაკლებად მნიშვნელოვანია, როდის წარმოიშვა რაიმე იდეა; უფრო არსებითია, როდის დაიწყო მან მოქმედება.

ამ შეკითხვისთვის პასუხის გაცემა საკმაოდ ადვილია: სოციალიზმის იდეამ რეალური ძალა მუშათა მოძრაობის დაარსებასთან ერთად შეიძინა – გერმანიაში ეს ინდუსტრიალიზაციის დროს, მე-19 საუკუნეში მოხდა.

მოცემულ წიგნში ვერ შემოგთავაზებთ სოციალისტური იდეოლოგიის მთელ ისტორიას, მხოლოდ მნიშვნელოვან გარდამტეხ და კულმინაციურ მომენტებზე შევჩერდებით.

1848 წლიდან მე-19 საუკუნის ბოლომდე:
პოლიტიკური მიმდინარეობის წარმოშობა

1848 წელი არ არის მხოლოდ გერმანიის ბურჟუაზიული რევოლუციის წელი. ამ წელს შეიქმნა *„კომუნისტური პარტიის მანიფესტიც"*, ნაშრომი, რომელიც კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა ერთობლივად, დაკვეთით დაწერეს.

კარლ მარქსი (1818–1883) – გამოჩენილი სოციალ-ეკონომისტი და მე-19 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფოსი.

დღემდე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ინარჩუნებს მისი კაპიტალიზმის ეკონომიკური ანალიზი, რომელიც სცილდება როგორც მისი კრიტიკოსების, ისე მარქსის თეორიის მიმდევრების გამარტივებული შეფასებების ფარგლებს.

მათ პირველად ჩამოაყალიბეს მუშათა მოძრაობის პროგრამა გასაგები ენით.

ამ პოლიტიკური პროგრამის თეორიული საფუძვლები მოგვიანებით შემუშავდა, პირველ რიგში, კარლ მარქსის ნაშრომებში. იმდროინდელი სოციალიზმის, როგორც ლოგიკური მოდელის, ძირითადი დებულებები ასეთია:

- მარქსი ამოდის იქიდან, რომ (საბაზრო) კაპიტალიზმს მივყავართ მრავალი ადამიანის უთანასწორობასა და არათავისუფლებამდე, მცირე რაოდენობის „თავისუფალთა" მიმართ. ერთ მხარეზე დგანან კაპიტალის მფლობელები, ხოლო მეორეზე – ისინი, ვისაც კაპიტალი არ აქვს და ამიტომ თავისი შრომის გაყიდვა უწევს, როგორც დაქირავებულ ძალას. საბაზრო კაპიტალიზმი იმას ეფუძნება, რომ დაქირავებულები თავიანთი შრომისთვის იმაზე ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე არის ღირებულება იმისა, რასაც საწარმოო პროცესში ქმნიან. ამგვარად, კაპიტალის მფლობელებს სულ უფრო მეტი კაპიტალის დაგროვება („აკუმულირება") შეუძლიათ. ამასთანავე, არ არის მნიშვნელოვანი, ვის ეკუთვნის კაპიტალი – რეალურ პირებს, მსხვილ კომპანიებს თუ ფინანსურ დაწესებულებებს.
- კაპიტალის მფლობელთა შორის არსებული კონკურენციისა და მუდმივი ზეწოლის გამო – მოახდინონ მეტი კაპიტალის აკუმულირება, რათა ხელახალი ინვესტირება განახორციელონ და პროდუქცია კონკურენტებზე იაფად აწარმოონ – დაქირავებულები სულ უფრო მეტ ზეწოლას განიცდიან. ისინი უფრო ინტენსიურად მუშაობენ, თუმცა კვლავ ღარიბებად რჩებიან. იმავდროულად, წარმოიშობა ჭარბი საწარმოო საშუალებები. ამ შემთხვევაში საქონელი არ იქცევა ფულად, არ ხდება კაპიტალის წარმოებაში დაბანდება ანდა ის ნადგურდება ჭარბწარმოების კრიზისების დროს გასაღების ბაზრების ნაკლებობის გამო. მარქსის მიხედვით, ზოგადად, ეს განაპირობებს იმას, რომ ეკონომიკური კრიზისები (საბაზრო) კაპიტალისტური სისტემის არსებითი (და აუცილებელი) შემადგენელია.
- თანასწორობისა და თავისუფლების არარსებობა, რომელიც (საბაზრო) კაპიტალიზმის სისტემურ შედეგად განიხილება, ეწინააღმდეგება ყველა ადამიანის თანაბარი თავისუფლებისკენ სწრაფვას.
- ამდენად, ჭეშმარიტი დემოკრატიის რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ საწარმოო საშუალებები მთელი საზოგადოების

თანასწორობისა და თავისუფლების არარსებობა, როგორც მახასიათებელი

კონკურენცია და დაქირავებულებზე ზეწოლა

მონაპოვარი გახდება, ხოლო კაპიტალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებებს დემოკრატიული სტრუქტურები მიიღებენ. ამასთანავე, კერძო საკუთრებაზე – გავრცელებული აზრის მიუხედავად – ეს განზოგადება არ ვრცელდება.

- ადამიანის მარქსისტული სახე, როგორც წესი, წინააღმდეგობას ეფუძნება: პრინციპში, თავისუფალი, თანასწორი და სოლიდარული ადამიანები უთანასწორო, არათავისუფალ და მაქსიმალურ მოგებაზე ორიენტირებულ სისტემაში ცხოვრობენ. ადამიანის ამგვარი სახე მძლავრ ნორმატიულ ელემენტს შეიცავს.

მარქსისა და ენგელსის თეორიები, სხვა დანარჩენ თეორიებთან და სწავლებებთან ერთად, მუშათა მოძრაობის მნიშვნელოვანი ამოსავალი წერტილია.

ლასალი და გსმკ-ის დაარსება

ფერდინანდ ლასალი (1825–1864) – გერმანიის საყოველთაო მუშათა კავშირის (გსმკ) ერთ-ერთი დამაარსებელი ლაიფციგში 1863 წელს.

თავის ნაშრომში „შეძენილი უფლებების სისტემა" იგი დემოკრატიული სახელმწიფოს მოდელის სასარგებლოდ გამოდის.

თუმცა ამ პოლიტიკური პროგრამის გავლენა საკმაოდ შეზღუდული აღმოჩნდა, ალბათ იმიტომ - რომ მარქსმა და ენგელსმა თავიანთ ანალიზში არ გაითვალისწინეს არაერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი. საუბარია, პირველ რიგში, იმაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვს სოციალიზმს სახელმწიფოსთან.

ლასალის წანამძღვრები

სწორედ ეს საკითხები იქნა დასმული ფერდინანდ ლასალის მიერ. მისი მოსაზრებების მნიშვნელოვანი მომენტები ასეთი გახლავთ:

ლასალი, პირველ რიგში, იქიდან ამოდის, რომ ნებისმიერი სახელმწიფო-ებრივ-სამართლებრივი სისტემის საფუძველი ადამიანის თავისუფლება უნდა იყოს. მისი აზრით, აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოების ძირითადი კანონები მთელი ხალხის სამართლებრივ თვითშეგნებას უნდა ასახავდეს.

სახელმწიფოს ამგვარი მოდელის მიხედვით, ის, პრინციპში, თავისუფალი ადამიანების ერთობაა. იმ დროისთვის ამგვარი მოსაზრება ნამდვილი პროვოკაცია გახლდათ, ვინაიდან პრუსიის სახელმწიფო და რამდენიმე წლის შემდეგ შექმნილი გერმანიის იმპერია მონარქიულ-იერარქიული სტრუქტურით გამოირჩეოდნენ.
მეოთხე წოდების, ანუ, მუშათა კლასის, დანიშნულება, ლასალის მიხედ-

„ეს არის სახელმწიფო, რომლის ფუნქციაა, უზრუნველყოს თავისუფლების განვითარება, ადამიანის მოდგმის მისწრაფება თავისუფლებისკენ. სახელმწიფოს ამგვარი მოწოდება არის არა მხოლოდ პიროვნული თავისუფლებისა და ცალკეული ადამიანის ქონების დაცვა, რომლებთან ერთად, ბურჟუაზიის გაგებით, ის თითქოს უკვე სახელმწიფოს შემადგენელია, არამედ სახელმწიფოს დანიშნულება უფრო ის არის, რომ ამ ადამიანთა გაერთიანება მიიყვანოს იმ მდგომარეობამდე, იმ მიზნებამდე და ყოფის ისეთ საფეხურამდე, რომელთა მიღწევასაც ისინი ცალ-ცალკე ვერ შეძლებდნენ, რათა მათ შეეძლოთ განათლების, ძალაუფლებისა და თავისუფლების ისეთი მოცულობის ათვისება, რომელიც ცალკეული მათგანისთვის უბრალოდ მიუღწეველი იქნებოდა". სახელმწიფოს მიზანია „ადამიანის მოდგმის აღზრდა და განვითარება თავისუფლებისთვის„ (Lassale 1987, გვ. 222-223.)

ლასალის ძირითადი მოთხოვნები

ვით, სწორედ სახელმწიფოს შესახებ ამ კონცეფციის განხორციელება იყო. ამიტომ მისი ძირითადი მოთხოვნები გახლდათ საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების უფლება და მუშათა ემანსიპაცია მათი გაერთიანებების შექმნით.
ლასალის აზრით, ისინი სახელმწიფოს დახმარებით უნდა შექმნილიყვნენ.

ამ მოსაზრებით ლასალმა სოციალური დემოკრატიისა და დემოკრატიული სოციალიზმის შესახებ დისკუსიაში უკვე ორი საკვანძო პუნქტი შემოიტანა: პირველი იყო დემოკრატიული სახელმწიფოს და მისი სოციალური წინაპირობების საკითხი, ხოლო მეორე – რომელი სტრატეგიის საშუალებით შეიძლებოდა მუშათა ინტერესების საუკეთესოდ დაცვა.

ავგუსტ ბებელი და ვილჰელმ ლიბკნეხტი

ვილჰელმ ლიბკნეხტი (1826–1900) და ავგუსტ ბებელი (1840–1913) – გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მთავარი დამაარსებლები აიზენახში 1869 წელს. ისინი იყვნენ აგრეთვე (ჩრდილოეთგერმანული) რაიხსტაგის (1867–1870) პირველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატები. ლიბკნეხტი გახლდათ ასევე გაზეთ „ფორვერტსის„ მთავარი რედაქტორი 1890 წლიდან.

სახელმწიფოს შესახებ ლასალის კონცეფცია ვილჰელმ ლიბკნეხტმა და ავგუსტ ბებელმა გააკრიტიკეს. მათი კრიტიკის სამიზნე, პირველ რიგში, ლასალისეული არასრული პროგრამა გახდა: მათი აზრით, პრესის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების, ასევე სახელმწიფოს ძირეული გარდაქმნის გარეშე მუშათა ინტერესების დაცვა სახელმწიფოში ან სახელმწიფოს მიერ შეუძლებელი იყო.

1875 წლის გამაერთიანებელი პარტიული ყრილობა გოთაში

1875 წელს გოთაში გერმანიის საყოველთაო მუშათა კავშირი და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია გერმანიის სოციალისტურ მუშათა პარტიად გაერთიანდნენ. ამდენად, ბისმარკის დროს, სოციალისტების წინააღმდეგ მიღებული კანონების მიუხედავად, გერმანიის იმპერიაში სოციალ-დემოკრატიის გავრცელების საფუძველი შეიქმნა. თუმცა უკვე

არსებობდა მნიშვნელოვანი კონფლიქტური მომენტები, რომლებიც მოგვიანებით ღია დაპირისპირებაში გადაიზარდა და მუშათა მოძრაობის განხეთქილების მიზეზი გახდა.

3.4.2. განხეთქილება მუშათა მოძრაობაში

თეორიული კამათი და სამი ძირითადი ბანაკი

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 90-იან წლებში სოციალ-დემოკრატებმა წამოიწყეს კამათი ერთ-ერთ თეორიულ საკითხზე: მივა თუ არა კაპიტალიზმი (საბოლოო) კრიზისამდე, რის შედეგადაც მუშათა მოძრაობა პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის საშუალებით კაპიტალიზმს დაძლევს და სოციალიზმს მიაღწევს? და რა იგულისხმება სოციალ-დემოკრატიის სტრატეგიაში?

ამ „რევიზიონიზმის დისკუსიაში" შეიძლება უხეშად გამოვყოთ სამი ძირითადი ბანაკი (შდრ. Euchner/Grebing და სხვები, 2005, გვ. 168; Grebing, 2007, გვ. 66–94).

კარლ კაუცკისა და ავგუსტ ბებელის ირგვლივ გაერთიანებული ჯგუფი

კარლ კაუცკი (1854–1938) – გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თეორიული ბეჭდვითი ორგანოს, გაზეთ „დი ნოიე ცაიტ"-ის, დამფუძნებელი და გამომცემელი. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გსდპ-ში მარქსიზმის საფუძვლების გავრცელებაში. ედუარდ ბერნშტაინთან ერთად გახლდათ ერფურტის პროგრამის მთავარი ავტორი.

კარლ კაუცკისა და ავგუსტ ბებელის ირგვლივ გაერთიანებული ჯგუფი იმედოვნებდა, რომ სოციალიზმზე გადასვლა შესაძლებელი იქნებოდა საპარლამენტო უმრავლესობისა და კარგად ორგანიზებული მუშების საშუალებით. ამასთანავე, ის აღნიშნავდა, რომ კაიზერული ხელისუფლების მზარდ რადიკალურ პოლიტიკას და მის იმპერიალისტურ, მილიტარისტულ ხასიათს შეიძლებოდა წინააღმდეგობის, პარლამენტისგარე აქციებისა და მასობრივი გაფიცვების აუცილებლობა გამოეწვია. არ გამოირიცხებოდა, რომ სოციალიზმზე გადასვლა მუშათა მოძრაობის ძალისმიერი ზეწოლით მომხდარიყო.

რევიზიონისტები, მაგალითად, ედუარდ ბერნშტაინი

ედუარდ ბერნშტაინი (1850–1932) – „რევიზიონიზმის" ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატიაში. თავის 1899 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „სოციალიზმის წინაპირობები და სოციალ-დემოკრატიის ამოცანები" მარქსიზმს აკრიტიკებდა. კაუცკისთან ერთად იყო 1891 წლის ერფურტის პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი ავტორი.

ისტორიული განვითარების აღნიშნულ ხედვასთან ერთად წარმოიშვა ე. წ. რევიზიონიზმი, რომელიც ძირითადად ედუარდ ბერნშტაინის სახელთანაა დაკავშირებული და რომელიც არის მარქსისტული სწავლების კრიტიკული შეფასება სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. ამ რევიზიის ძირითადი დასკვნა ის იყო, რომ საზოგადოებისა და კაპიტალისტური სახელმწიფოს შეცვლა შესაძლებელია რეფორმების გზით. მათ მიაჩნდათ, რომ კაპიტალიზმი თავისთავად არ დაინგრევა; უფრო მეტიც, მისი კრიზისები კი არ გაღრმავდება, არამედ შესუსტდება. პროფკავშირებისა და კოოპერაციული სტრუქტურების გაძლიერებით შესაძლებელი იქნებოდა საზოგადოებაში ისეთი რეფორმების გატარება, რომლებიც მას საბოლოოდ სოციალიზმამდე მიიყვანდა. პროფკავშირის მოღვაწე ადოლფ ფონ ელმმა რევიზიონისტული პროგრამის არსი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

> *„ევოლუციის გზით რევოლუციამდე – თანამიმდევრული დემოკრატიზაციისა და საზოგადოებრივი სტრუქტურების სოციალიზაციის საშუალებით კაპიტალისტური საზოგადოების სრული გარდასახვა სოციალისტურად – ეს გახლავთ მოკლედ რევიზიონისტთა პოზიცია პარტიაში" (ციტირებულია: Euchner /Grebing და სხვები, 2005, გვ. 171).*

როზა ლუქსემბურგი

როზა ლუქსემბურგი (1871–1919) – პოლონეთისა და ლიტვის სამეფოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1899 წლიდან ის ბერლინშია. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთის წამყვანი თეორეტიკოსი; კერძოდ, შეიმუშავა იმპერიალიზმის თეორია. 1918 წელს მონაწილეობდა გერმანიის კომუნისტური პარტიის დაარსებაში. 1919 წელს ფრაიკორის ოფიცრებმა მოკლეს.

როზა ლუქსემბურგი

როზა ლუქსემბურგი ეწინააღმდეგებოდა ბერნშტაინის პოზიციას და მიუთითებდა, რომ კაპიტალიზმი თავისი შიდა სტრუქტურის გამო მიდრეკილია კაპიტალის მფლობელთა შორის არსებული მუდმივი კონკურენციისკენ.

წარმოების კაპიტალისტური საშუალება საჭიროებს მუდმივ ექსპანსიას და იმ სფეროების მიტაცებას, რომლებიც მანამდე კაპიტალისთვის საინტერესო არ იყო. ის არ ეთანხმებოდა რევოლუციისა და რეფორმების გამიჯვნას:

> *„სოციალ-დემოკრატიისათვის ყოველდღიური პრაქტიკული ბრძოლა სოციალური რეფორმებისთვის, მშრომელი ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ჯერ კიდევ არსებული წყობის პირობებში, დემოკრატიული ინსტიტუტებისთვის პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ალბათ ერთადერთი გზაა, რომელიც მიმართულია საბოლოო მიზნის მიღწევისკენ – პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისა და დაქირავებული შრომის სისტემის გაუქმებისკენ. სოციალ-დემოკრატიისათვის სოციალურ რეფორმებსა და სოციალურ რევოლუციას შორის უწყვეტი კავშირი არსებობს, როდესაც სოციალური რეფორმები საშუალებაა, ხოლო სოციალური გადატრიალება – მიზანი" (Luxemburg, 1899, გვ. 369).*

თუმცა სოციალიზმის მისაღწევად ის არასაკმარისად მიაჩნდა. იგი ასევე მნიშვნელობას ანიჭებდა პარლამენტისგარე მუშათა მოძრაობას.

განხეთქილება მუშათა მოძრაობაში

მუშათა მოძრაობისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეს სამი მიმდინარეობა ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ერთობას კაიზერული ხელისუფლების ზეწოლის ფონზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც გსდპ-ის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ომის კრედიტებს, გსდპ-ს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია გამოეყო და პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დადგა საკითხი, თუ როგორ უნდა შექმნილიყო დემოკრატიული საზოგადოება, მუშათა მოძრაობაში განხეთქილება მოხდა.

1919 წელი და ვაიმარის რესპუბლიკის შექმნა

მიუხედავად წინააღმდეგობისა კონსერვატიული, ნაციონალისტური და რეაქციული ძალების მხრიდან, ასევე კომუნისტების მხრიდან, 1919 წელს გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ვაიმარის პირველი რესპუბლიკის მთავრობა შექმნა. მემარცხენე ძალების ამ ისტორიულმა შანსმა, დამოუკიდებლად ჩამოეყალიბებინათ სახელმწიფო პოლიტიკა, კიდევ უფრო მეტად გამოააშკარავა სოციალისტურ მოძრაობაში არსებული წინააღმდეგობები.

სახელმწიფოს ფორმირების ორი შესაძლებლობა 1919 წელს

მაშინ, როდესაც კომუნისტები და სოციალისტების ნაწილი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების სახელმწიფოს შექმნას მოითხოვდნენ, სოციალ-დემოკრატები წარმომადგენლობითი დემოკრატიის დამკვიდრებას ცდილობდნენ და ამ მხრივ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში გარკვეულ წარმატებებსაც კი მიაღწიეს.

სოციალ-დემოკრატიულ არგუმენტაციას მკაფიოდ აყალიბებს ფრიც ნაფტალი:

> *„მაშინ, როდესაც კაპიტალიზმი ჯერ კიდევ სრულიად თავისუფალი იყო, არა-ორგანიზებული კაპიტალიზმის ალტერნატივად მხოლოდ ზოგადად ეკონომიკის სოციალისტური ორგანიზება მიიჩნეოდა. [...] შემდგომ თანდათანობით გაირკვა, რომ თავად კაპიტალიზმის სტრუქტურა ცვალებადია და, სანამ დაიმსხვრევა, მისი მოდრეკაც შესაძლებელია" (Naphtali, 1929; ციტირებულია: Euchner/Grebing და სხვები, 2005, გვ. 305).*

ისტორიის განსხვავებული ხედვები

მოკლედ რომ ვთქვათ, დისკუსიის ძირითადი საგანი გახლდათ რევოლუციისა და რეფორმების მიმართ დამოკიდებულება. ერთ („რევოლუციურ") მხარეს ბატონობდა აზრი, რომ საჭირო იყო არსებული საკუთრების ფორმისა და სახელმწიფოებრივი წყობის დანგრევა, რათა ახალი საზოგადოება შექმნილიყო. რეფორმისტული პოზიციის დამცველნი კი ამტკიცებდნენ, რომ არსებული საზოგადოება და სახელმწიფო მუდმივი რეფორმირების გზით დემოკრატიულ სოციალიზმამდე უნდა განვითარებულიყო.
განსხვავებული მიდგომები სახელმწიფოს სხვადასხვა მოდელშიც აისახებოდა:



სურ. 6. საბჭოების სისტემა და ორგანიზებული კაპიტალიზმი

დემოკრატიული სოციალიზმი, როგორც იდეა

„დემოკრატიული სოციალიზმი", გსდპ-ის წარმოდგენით, გულისხმობს საპარლამენტო დემოკრატიის განვითარებას, ასევე პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროების გამიჯვნას. ორივე სფეროში – როგორც პოლიტიკურში, ისე ეკონომიკურში – აუცილებელია დემოკრატიზაცია, მშრომელთა და მთელი საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. ამგვარად, „დემოკრატიული სოციალიზმი" გულისხმობს სოციალისტური ეკონომიკის კომპლექსურ ურთიერთშევსებასა და ურთიერთქმედებას მშრომელთა მძლავრ წარმომადგენლობებთან (პროფკავშირები, დასაქმებულთა თანამონაწილეობა საწარმოს თუ კომპანიის მართვაში, ასევე საპარლამენტო დემოკრატიასთან.

.1959 წლის გოდესბერგის პროგრამა: „კონკურენცია – რამდენადაც ეს შესაძლებელია, დაგეგმვა – რამდენადაც ეს საჭიროა!"

1959 წლის გერმანიაში გსდპ-ის გოდესბერგის პროგრამა ასახავდა „თავისუფალი ბაზრის" არსებით სოციალ-დემოკრატიულ ფორმულას: „კონკურენცია – რამდენადაც ეს შესაძლებელია, დაგეგმვა – რამდენადაც ეს საჭიროა!" (Dowe/Klotzbach, 2004, გვ. 332). ეს მიდგომა არ ეწინააღმდეგებოდა „დემოკრატიული სოციალიზმის", როგორც „ახალი სოციალური და ეკონომიკური წესრიგის", პრინციპებს, თუმცა, იმავდროულად, ითვალისწინებდა საბაზრო კაპიტალიზმის რეალობას მისი არსებითი რეგულირებისა და პოლიტიკის პრიმატის პირობებში. ამასთანავე, სოციალ-დემოკრატები ემიჯნებოდნენ გეგმურ ეკონომიკას, რომლის პრინციპები საბჭოთა კავშირში განხორციელდა.

3.4.3. დემოკრატიული სოციალიზმი თუ სახელმწიფო სოციალიზმი

მარქსიზმისგან გამიჯვნა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უფრო მკაფიო გახდა განსხვავება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დემოკრატიულ სოციალიზმზე ორიენტირებულ მიდგომებსა და სახელმწიფო სოციალიზმის იდეებს შორის. 1959 წლის გოდესბერგის პროგრამის მიღებით გსდპ ოფიციალურად გაემიჯნა მარქსიზმს, როგორც მსოფლმხედველობას (თუმცა არა ყველა მის პოსტულატს), მათ შორის, სოციალიზმისკენ მიმართული საზოგადოების „ბუნებრივი განვითარების" იდეას. სოციალიზმი უფრო მეტად განიმარტებოდა, როგორც „მუდმივი ამოცანა„, რომლის დასაბუთება შესაძლებელი იყო სხვადასხვა რელიგიური თუ ფილოსოფიური მოტივით. დემოკრატიული სოციალიზმის დახასიათებაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა სამი საბაზისო ღირებულება – „თავისუფლება, სამართლიანობა და სოლიდარობა". ამ საბაზისო ღირებულებებზე ააგეს სოციალ-დემოკრატებმა თავიანთი ძირითადი მოთხოვნები, მათ შორის, თავისუფლებისა და დემოკრატიის დაცვის კუთხით.

„არ არსებობს სოციალიზმი თავისუფლების გარეშე. სოციალიზმის განხორციელება მხოლოდ დემოკრატიის გზითაა შესაძლებელი, ხოლო დემოკრატიის დასრულება მხოლოდ სოციალიზმის საშუალებით შეიძლება" (სოციალისტური ინტერნაციონალის პრინციპების დეკლარაცია, მაინის ფრანკფურტი, 1951, ციტირებულია: Dowe/Klotzbach, 2004, გვ. 269).

თავისუფლების ამგვარი გაგებით დემოკრატიული სოციალიზმი ერთმნიშვნელოვნად ემიჯნებოდა ტოტალიტარულ რეჟიმებს, კერძოდ, აღმოსავლეთის ბლოკის ე. წ. სახალხო დემოკრატიებს.

3.4.4. გსდპ დღეს – ახალი გამოწვევები, ახალი პასუხები

დემოკრატიული სოციალიზმი, როგორც მიზანი - სოციალური დემოკრატია, როგორც მოქმედების პრინციპი

მუშათა მოძრაობის ისტორიის მიმოხილვით გამოიკვეთა სტრატეგიული დისკუსია სახელმწიფოსა და საზოგადოების ფუნქციების შესახებ. დღესაც „დემოკრატიული სოციალიზმი" რჩება გსდპ-ის მთავარ მიზნად, რომლის მისაღწევადაც იღვწის იგი. ის გაიგივებული იყო საზოგადოებასთან, სადაც რეალურად ბატონობდა თავისუფლება, სამართლიანობა და სოლიდარობა. ჰამბურგის პროგრამის თანახმად, გსდპ-ის მოქმედების პრინციპი სწორედ „სოციალური დემოკრატია" უნდა იყოს. აქ იგულისხმება დემოკრატიული სოციალიზმის მიღწევა დემოკრატიული გადაწყვეტილებების გზით და ძირითადი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების რეალიზებით.

„ჩვენი ისტორია გამსჭვალულია დემოკრატიული სოციალიზმის იდეით, თავისუფალი და თანასწორი ადამიანების საზოგადოების სულისკვეთებით, სადაც რეალიზებულია ჩვენი საბაზისო ღირებულებები. ეს იდეა მოითხოვს ისეთ ეკონომიკურ, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობას, სადაც ყველა ადამიანისთვის გარანტირებულია ძირითადი სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური უფლებები, სადაც ყველა ადამიანი ექსპლუატაციის, ჩაგვრისა და ძალადობის გარეშე, ე. ი. სოციალური და ადამიანური უსაფრთხოების პირობებში ცხოვრობს. დემოკრატიული სოციალიზმი რჩება ჩვენთვის თავისუფალი, სამართლიანი და სოლიდარული საზოგადოების პერსპექტივად, რომლის განხორციელება ჩვენთვის მუდმივი ამოცანაა. ჩვენი მოქმედების პრინციპი სოციალური დემოკრატიაა." (ჰამბურგის პროგრამა, 2007, გვ. 16-17).

დღევანდელი გამოწვევა

ამჟამად სოციალ-დემოკრატიის წინაშე დგას ახალი გამოწვევა, რომელიც დაკავშირებულია ბაზრების შემდგომ გლობალიზაციასთან და მოითხოვს ფინანსური ბაზრების ზეგავლენასა და შრომითი ბაზრის ცვლილებებზე რეაგირებას, ასევე გადაწყვეტილების მიღებას, თუ როგორ შეიძლება საბაზრო კაპიტალიზმსა და დემოკრატიას შორის ახალი ბალანსის მიღწევა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორ შეიძლება „დემოკრატიული სოციალიზმის" მიღწევა არსებულ პირობებში. გსდპ-ის ჰამბურგის პროგრამა მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ წარმოიშვა არა მარტო ახალი კითხვები, არამედ მათზე პირველი პასუხებიც (შდრ. ასევე მე-6 თავი).

კოორდინირებულ ეკონომიკას და წარმომადგენლობით დემოკრატიას ემატება პოლიტიკის პრიმატი, რასაც გსდპ-ის ჰამბურგის პროგრამაც აღნიშნავს და რაც მომავლის ხედვაა როგორც ევროპულ, ისე მსოფლიო დონეზე:

„ბაზრებს ესაჭიროება პოლიტიკური რეგულირება, გლობალიზაციის ეპოქაში კი – საერთაშორისო დონეზედაც. ჩვენი პრინციპია: კონკურენცია – რამდენადაც შესაძლებელია, სახელმწიფო რეგულირება – რამდენადაც საჭიროა" (ჰამბურგის პროგრამა, 2007, გვ. 43).

თუ სოციალ-დემოკრატიულ, ლიბერალურ და კონსერვატიულ იდეურ კონცეფციებს ყურადღებით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ საქმე გვაქვს ალტერნატიულ მოდელებთან და რომ მოსაზრება, ვითომდა სხვადასხვა პარტიის პროგრამები პრაქტიკულად მსგავსია, აბსოლუტურად მცდარი გახლავთ.

3.4.5. ექსკურსი: პარტია „მემარცხენეები" და მისი წინააღმდეგობები

„მემარცხენეები"

1990 წლის გარდატეხის შემდეგ აღმოსავლეთ გერმანიაში დაარსდა კიდევ ერთი მემარცხენე პარტია – დემოკრატიული სოციალიზმის პარტია, როგორც გერმანიის სოციალისტური ერთიანი პარტიის მემკვიდრე. მოგვიანებით ეს პარტია და პარტია „შრომა და სოციალური სამართლიანობა – საარჩევნო ალტერნატივა" გაერთიანდნენ პარტიად სახელწოდებით „მემარცხენეები", რომელმაც დასავლეთ გერმანიის რამდენიმე ფედერალურ მიწაზე გარკვეულ წარმატებებს მიაღწია.

პოლიტიკურ სპექტრში პარტია „მემარცხენეების" ადგილის განსაზღვრა საკმაოდ რთული ამოცანაა, ვინაიდან მისი იდეოლოგია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. 2007 წელს ამ პარტიამ მხოლოდ „საპროგრამო თეზისები" დაამტკიცა და არა პარტიის პროგრამა კლასიკური ფორმით.

საპროგრამო თეზისები

აღნიშნული თეზისების მიხედვით, პარტია „მემარცხენეები" დემოკრატიული სოციალიზმის იდეებს იზიარებს:

„დემოკრატია, თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანობა, ინტერნაციონალიზმი და სოლიდარობა ჩვენი ფუნდამენტური ღირებულებითი ორიენტირებია, რომლებიც განუყოფლად არის დაკავშირებული მშვიდობასთან, ბუნების შენარჩუნებასთან და ემანსიპაციასთან. პოლიტიკური მიზნების შემუშავებისას მემარცხენეების ძირითადი დასაყრდენი დემოკრატიული სოციალიზმის იდეებია.

მემარცხენეების პოლიტიკური ძალისხმევა მიზნების, გზებისა და ფუნდამენტური ღირებულებითი ორიენტირების ურთიერთდამოკიდებულებას ეფუძნება. თავისუფლება და სოციალური სამართლიანობა, დემოკრატია და სოციალიზმი ერთმანეთს განაპირობებს: თანასწორობა ინდივიდუალური თავისუფლების გარეშე დიქტატითა და ჩაგვრით მთავრდება. თავისუფლება თანასწორობის გარეშე არის თავისუფლება მხოლოდ მდიდრებისთვის. თავისუფალი არც ის ადამიანია, რომელიც ჩაგრავს და ექსპლუატაციას უწევს სხვა ადამიანებს.

მიზანი დემოკრატიული სოციალიზმისა, რომელმაც კაპიტალიზმი ტრანსფორმაციის პროცესში უნდა გადალახოს, გახლავთ საზოგადოება, სადაც სხვა ადამიანის თავისუფლება არის არა ზღვარი, არამედ პირობა საკუთარი თავისუფლებისა." (პარტია „მემარცხენეების" თეზისები, 2007, გვ. 2)

საპროგრამო თეზისების გარდა, ჩამოვთვლით კიდევ რამდენიმე პუნქტს, რომლებიც „მემარცხენეებს" და მათ საპროგრამო მიზნებს ახასიათებს:

პარტია „მემარცხენეების" დახასიათება

- პარტია „მემარცხენეები" არის კრებითი პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც აერთიანებს გერმანიის სოციალისტური ერთიანი პარტიის ყოფილ კადრებს, გულგატეხილ ყოფილ სოციალ-დემოკრატებს, ახალი სოციალური მოძრაობების ნაწილს, პროფკავშირლებს, საპროტესტო ელექტორატის წარმომადგენლებს, მეტად პრაგმატულად განწყობილ მუნიციპალური დონის პოლიტიკოსებს, კომუნისტებს და ა. შ. ყველა ამ ჯგუფს პარტიაში სხვადასხვა სოციალური იდეა შემოაქვს. ერთიანი ლოგიკური მოდელი თუ კონცეფცია მემარცხენეებს (ჯერ) არ გააჩნიათ.
- საზოგადოებრივ წრეებში „მემარცხენეებს" ხშირად „საპროტესტო პარტიად" მოიხსენიებენ. ეს ტერმინი არ გახლავთ ზუსტი, ვინაიდან ის გაუმართლებლად შეიცავს ორ ასპექტს. ჯერ ერთი, საუბარია იმაზე, ვინ არის პარტია „მემარცხენეების" ამომრჩეველი. აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიაში ეს ჯგუფები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მეორე ასპექტი მოიცავს პარტიის პოლიტიკურ სტრატეგიას და პოლიტიკურ მიზნებს, რომლებიც ასევე საკმაოდ განსხვავებულია გერმანიის ფედერალური მიწების დონეზე და ზოგადად ქვეყანაში.
- იმ მცირე რაოდენობის სამეცნიერო ნაშრომებში, რომლებიც „მემარცხენეებს" ეძღვნება, ის განიხილება არა ერთმნიშვნელოვნად ჰეტეროგენულ, არამედ წინააღმდეგობებით აღსავსე ორგანიზაციად. ერთი მხრივ, იგი თავს პრაგმატულ და ზომიერ თანამედროვე პარტიად წარმოადგენს, სხვა შემთხვევაში კი ემხრობა ორთოდოქსულ იდეოლოგიას თითქმის ექსტრემისტული ელემენტებით (შდრ. Decker და სხვები, 2007, გვ. 327). დიდი უფსკრულია, ერთი მხრივ, მათ მიერ განცხადებულ პრინციპულ განზრახვებსა და, მეორე მხრივ, სხვადასხვა მიწის პარლამენტში წარმოებულ პრაგმატულ პოლიტიკას შორის, რომელიც ხშირად მათი განცხადებების არსს ეწინააღმდეგება.

რაც შეეხება პარტია „მემარცხენეების" ფენომენს, გარკვეული დრო უნდა გავიდეს, რათა გაირკვეს, რა იქნება მისი მდგრადი პოლიტიკის შემადგენელი. ყველა შემთხვევაში საჭიროა მემარცხენეთა იდეოლოგიის შესახებ პოლიტიკური დისკუსიების წარმოება.

3.4.6. ადამიანის სოციალ-დემოკრატიული სახე?

რთული იქნებოდა ადამიანის სოციალ-დემოკრატიული სახის პოვნა. ამ სახისთვის მრავალი წყარო და მიდგომების პლურალიზმია დამახასიათებელი.

სხვადასხვა წყაროს შეფარდება „ადამიანის სოციალ-დემოკრატიულ სახეში"

სოციალ-დემოკრატიას აქვს შეხების წერტილები მუშათა მოძრაობის ტრადიციებთან, ლიბერალურ თეორიასთან, ქრისტიანულ და იუდაისტურ სწავლებებთან, ასევე ჰუმანისტურ და მარქსისტულ თეორიებთან. ის იღვწის ყოველი ადამიანის თავისუფლებისთვის, ისევე, როგორც ლიბერალიზი, ამავე დროს, მარქსისტული კონცეფციის მსგავსად აანალიზებს ძირითადი უფლებების რეალიზების გზაზე არსებულ საზოგადოებრივ ბარიერებს.

მაიერი და ბრაიერი თავიანთ ნაშრომში *„სოციალური დემოკრატიის მომავალი"* შეეცადნენ, ადამიანის ლიბერტარულ (ახალ ლიბერალურ) და სოციალ-დემოკრატიულ სახეებს შორის არსებული განსხვავებები ცხრილის სახით გადმოეცათ. ცალკე სვეტში საორიენტაციოდ დავამატეთ „ადამიანის სოციალისტური სახე":

	„ლიბერტარული დემოკრატია"	„სოციალური დემოკრატია"	„სოციალისტური დემოკრატია"
ანთროპოლოგია	**სკეპტიკური ანთროპოლოგია**	**რეალისტური ანთროპოლოგია**	**ნორმატიული, უტოპიური ანთროპოლოგია**
თავისუფლების გაგება	თავისუფლების ნეგატიური გაგება	თავისუფლების პოზიტიური გაგება	თავისუფლების პოზიტიური გაგება
ქცევის მოტივაცია	საკუთარი ინტერესები	საკუთარი და საზოგადოებრივი ინტერესები	საზოგადოებრივი ინტერესები როგორც,
ადამიანის სახე	რაციონალურ-ანგარიშიანი ეგოისტი	ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული პიროვნება	მებრძოლი და მომავლის „ახალ ადამიანზე" ორიენტირებული პიროვნება

*წყარო: **Meyer/Breyer**, 2005, გვ. 33 –*
ბოლო სვეტი დამატებულია ტ. გომბერტის მიერ.

ასეთი ცხრილები საკმაოდ გამარტივებულ სურათს ხატავს, თუმცა გარკვეულ ტენდენციაზე მიუთითებს:

- ლიბერალური თეორიები, როგორც წესი, ეფუძნება მოსაზრებას, რომ ადამიანს ეგოიზმი ამოძრავებს. ეს ეგოიზმი შეიძლება სიცოცხლისუნარიანი იყოს, თუ ის დაცული იქნება სხვა ადამიანების (და სახელმწიფოს) მიმართ, რათა ყოველ ადამიანს მიენიჭოს „სარგებლის მაქსიმიზაციის თავისუფლება".
- სოციალისტური თეორიები, ტრადიციულად, იქიდან ამოდის, რომ საზოგადოება, რომელსაც ადამიანი იმსახურებს, შეიძლება „ახალმა ადამიანებმა" შექმნან (შდრ. Adler, 1926 და Heinrichs, 2002, გვ. 308–314). ამ თეორიების მიხედვით, ადამიანები ისტორიულად იმდენად „გაფუჭებულები" არიან კაპიტალისტური საზოგადოებითა და სოციალური უთანასწორობით, რომ დაკარგეს უნარი, აღიქვან საზოგადოებრივი ინტერესები, როგორც საკუთარი, და სოლიდარულად დაიცვან ისინი. ამდენად, აღზრდისა და განათლების ამოცანა ის უნდა იყოს, რომ (ერთობლივად) გადაილახოს სოციალურ საარსებო პირობებსა და თავისუფალი, სოლიდარული ადამიანების მისწრაფებებს შორის არსებული განსხვავება.
- სოციალ-დემოკრატიული ანთროპოლოგია – ყოველ შემთხვევაში, ასე წერენ მაიერი და ბრაიერი – ცდილობს იპოვოს ბალანსი ადამიანის ეგოისტურ ინტერესებსა და მთელი საზოგადოების კეთილდღეობას შორის და ისინი საერთო მნიშვნელამდე მიიყვანოს. ამიტომ სოციალ-დემოკრატები „დასაბუთებული ინტერესების" დაბალანსებაზე საუბრობენ.

დამატებითი ლიტერატურა:

ვალტერ ოიჰნერი, ჰელგა გრებინგი და სხვები,

სოციალური იდეების ისტორია გერმანიაში. სოციალიზმი – კათოლიკური სოციალური სწავლება – პროტესტანტული სოციალური ეთიკა. ცნობარი, მე-2 გამოცემა, ვისბადენი, 2005, გვ. 13-595.

თომას მაიერი და ნიკოლ ბრაიერი, სოციალური დემოკრატიის მომავალი, ბონი, 2005.

დიტერ დოვე, კურტ კლოტცბახი (რედ.) (2004), გერმანიის სოციალ-დემოკრატიის საპროგრამო დოკუმენტები, 4, გადამუშავებული და აქტუალიზებული გამოცემა, ბონი.

4. თომას მაიერის სოციალური დემოკრატიის თეორია

საბაზისო ღირებულებების შესახებ არსებული დისკუსია და წინა თავებში მოცემული სხვადასხვა საზოგადოებრივი მოდელის მიმოხილვა იმაზე მიუთითებს, რომ სოციალურ დემოკრატიას თავისი იდეური ტრადიცია აქვს. ის ემიჯნება სხვა ლოგიკურ მოდელებს და იმდენად მრავალწახნაგოვანია, რომ მისი ახსნისთვის არ კმარა მხოლოდ საბაზისო ღირებულებების – თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის – როგორც სამართლიანი საზოგადოების საფუძვლის, ხსენება, ასევე ლიბერალიზმის, კონსერვატიზმისა და სოციალიზმის მოშველიება.

მოცემული ნაშრომის დასაწყისში საუბარი იყო სოციალური დემოკრატიის თეორიაზე. „სოციალური დემოკრატიის" თემაზე არგუმენტირებული დისკუსიის წარმართვისთვის მისი მკაფიო განმარტებაა საჭირო.

ამასთანავე, დასახელებული იყო ოთხი თვალსაზრისი სოციალურ დემოკრატიაზე. კიდევ ერთხელ მოკლედ შეგახსენებთ სამ მათგანს:

„სოციალური დემოკრატია – ნუთუ ეს ცნება თავისთავად გასაგები არ არის? ცნება, რომელიც გულისხმობს, რომ დემოკრატია საზოგადოების ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომია და სოციალურად დაბალანსებული. ნუთუ ეს ცხადი არ არის?", – ამბობს ზოგიერთი.

„სოციალური დემოკრატია – ეს ხომ უკვე განვახორციელეთ გერმანიაში? ეს სოციალური საბაზრო ეკონომიკა, ე. წ. გერმანული მოდელი არ არის?", – კითხულობენ სხვები.

„სოციალური დემოკრატია გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ნიშნავს და ეს მხოლოდ სოციალ-დემოკრატების საქმეა, ანუ, ეს მათი თეორიაა", – ფიქრობს მესამე.

ეს კითხვები – თუ თეორიას პრაქტიკულ-პოლიტიკური თვალსაზრისით განვიხილავთ – სავსებით კორექტულია. საჭიროა მათთვის პასუხების გაცემა, თუ *სოციალური დემოკრატიის თეორიის* პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოყენება გსურთ.

პირველ კითხვას *„სოციალური დემოკრატია – ნუთუ ეს ცნება თავისთავად გასაგები არ არის?"* – ზემოთ უკვე ვუპასუხეთ. საჭიროა „სოციალური დემოკრატიის" ცნების ზუსტი განსაზღვრა, ვინაიდან ის იწვევს სხვადასხვა ასოციაციას, რომელთა გარკვევა მხოლოდ ერთობლივი ძალებით შეიძლება. ამასთანავე, ეს ტერმინი უკვე შეიცავს არსებით ნორმატიულ ელემენტს: რა საერთო წესებსა და ნორმებს შეიძლება დავეყრდნოთ, თუ საქმე სოციალური დემოკრატიის განხორციელებას შეეხება.

რა არის სოციალური დემოკრატია? სამი პასუხი

საბაზისო ღირებულებების განხილვამ დაგვანახვა, რომ სხვადასხვა ფილოსოფიური არგუმენტი შეიძლება დაგვეხმაროს საკითხის გარკვევაში, თუმცა ეს არგუმენტები არასაკმარისია, როგორც ნორმატიული საფუძველი, ვინაიდან საუბარია მრავალწახნაგოვან და საკამათო დეფინიციებზე. სოციალური დემოკრატიის თეორიისთვის უნდა მოიძებნოს სპეციალური ნორმატიული საფუძველი, როგორც შემდგომი მსჯელობის ამოსავალი წერტილი.

მეორე კითხვა – *„სოციალური დემოკრატია – ეს ხომ უკვე განვახორციელეთ გერმანიაში?* ეს სოციალური საბაზრო ეკონომიკა, ე. წ. გერმანული მოდელი არ არის?" – შეიძლება განვიხილოთ დეტალურად, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების ფარგლებში (შდრ. გვ. 107 და მომდევნო გვერდები). ვფიქრობთ, მკითხველისთვის ცხადია, რომ შეუძლებელია „სოციალური დემოკრატიის ერთბაშად მიღწევა" (როგორც 100-მეტრიანი რბოლის შემთხვევაში). ამასთანავე, არსებობს სხვადასხვა საზოგადოებრივი მოდელის ფართო სპექტრი, რომელთა მიმართულებითაც განსხვავებულ ინტერესთა ჯგუფებს სურთ „ნავიგაცია". „გერმანულ მოდელზე" ან „სოციალურ საბაზრო ეკონომიკაზე" მითითება საკმარისი არ არის, ვინაიდან ამგვარი მითითება არ ითვალისწინებს სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებს.

მესამე თვალსაზრისი – *„სოციალური დემოკრატია გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ნიშნავს* და ეს მხოლოდ სოციალ-დემოკრატების საქმეა, ანუ, ეს მათი თეორიაა" – დიდ ეჭვს იწვევს.

„სოციალურ დემოკრატიაზე", როგორც პარტიასა და პოლიტიკურ მიმდინარეობაზე, მითითება, პრინციპში, მართებულია, თუმცა ის არ იძლევა ამომწურავ პასუხს:

„სოციალური დემოკრატია – დღევანდელ ლექსიკონში – გულისხმობს დემოკრატიის თეორიის საბაზისო ტერმინსაც და პოლიტიკური მიმდინარეობის პროგრამის დასახელებასაც. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორივე, ხშირად გამოყენებული გამოთქმა ურთიერთდაკავშირებულია, საქმე გვაქვს ორ, ერთმანეთისგან აშკარად განსხვავებულ ასპექტთან სხვადასხვა მიზნობრივი მიდგომით. სოციალური დემოკრატიის თეორია არ არის მიმართული რაიმე პოლიტიკური ძალისკენ – არც თავის ნორმატიულ საფუძველში, არც განმარტების კუთხით, არც მისი რეალიზების სხვადასხვა გზის შედარებისას – თუმცა, რასაკვირველია, მისი რეალიზების ყოველი ნაბიჯი დამოკიდებულია იმაზე, მოიძებნება თუ არა პოლიტიკური ძალა, რომელიც მხარს დაუჭერს ამ თეორიის შესაბამის პრაქტიკულ სამოქმედო პროგრამას. სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას შეუძლია, თავის მხრივ, გამოიყენოს ტერმინი „სოციალური დემოკრატია" იქ, სადაც მისი გამოყენება, მათი აზრით, მოგებიანია, იმის მიუხედავად, თუ რამდენად უპასუხებს სოციალური დემოკრატია მათ პოლიტიკურ მისწრაფებებს ან ზოგად მიდგომებს." (Meyer, 2005, გვ. 12)

სოციალური დემოკრატია, როგორც ლოგიკური მოდელი

ამგვარად, სოციალურ დემოკრატიას, როგორც ლოგიკურ მოდელს, და სოციალ-დემოკრატიას, როგორც პარტიას (ან მიმდინარეობას) სხვადასხვა შეხების წერტილი აქვს, თუმცა ისინი იდენტური არ არიან. როგორც ლოგიკური მოდელი, სოციალური დემოკრატია შემდეგ მიზნებს ემსახურება: მეცნიერულად შეისწავლოს ნორმები და ღირებულებები, მოახდინოს მათი ტრანსფორმაცია ძირითად უფლებებად და ამ უფლებების რეალიზება სხვადასხვა ქვეყანაში. რამდენად გაიზიარებენ პოლიტიკური პარტიები ამ იდეებს, ეს უკვე სხვა საკითხია.

ამდენად, მომდევნო გვერდებზე საუბარი იქნება არა სოციალ-დემოკრატიაზე, არამედ ლოგიკურ მოდელზე, რომელიც მე-20 საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლებიდან მიმდინარე დისკუსიაში ჩამოყალიბდა.

ამოსავალ წერტილად და მსჯელობის თემად განვიხილავთ თომას მაიერის *სოციალური დემოკრატიის თეორიას*, რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა იდეური მიმდინარეობა, რომლებიც მოქმედებდა და კვლავაც მოქმედებს სოციალური დემოკრატიის შესახებ წარმოებულ დისკუსიაზე.

4.1. ამოსავალი წერტილი

ამოსავალი კითხვა: რა კავშირია დემოკრატიასა და საბაზრო კაპიტალიზმს შორის?

მაიერის *სოციალური დემოკრატიის თეორიისთვის* ამოსავალი წერტილია (ზემოთ დასმული) კითხვა, თუ რა დამოკიდებულებაა დემოკრატიასა და საბაზრო კაპიტალიზმს შორის.

ორივე – დემოკრატიაც და საბაზრო კაპიტალიზმიც – ჩვენი საზოგადოებრივი სისტემის მნიშვნელოვანი ასპექტებია, რომლებიც დაძაბული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბდა.

სურ. 7. საბაზრო კაპიტალიზმისა და დემოკრატიის ურთიერთდამოკიდებულება

წარმოშობის წინაპირობა და არასტაბილურობის ფაქტორი? როგორ შეეფარდება საბაზრო კაპიტალიზმი დემოკრატიას?

ერთი მხრივ, მაიერი აცხადებს, რომ კაპიტალიზმი და დემოკრატია ერთმანეთს ავსებს და საბაზრო კაპიტალიზმი დემოკრატიის წარმოშობისა და სტაბილიზაციის წინაპირობა იყო. მეორე მხრივ, ის ადასტურებს მათ შორის არსებულ „ერთგვარ დაძაბულობას", ვინაიდან არარეგულირებული ბაზარი ეწინააღმდეგება საყოველთაო ჩართულობისთვის საჭირო წინაპირობებს.

ამდენად, მაიერი ეკონომიკური სისტემისა და დემოკრატიის ურთიერ-

თობას ორი თეზისის საშუალებით აღწერს: ის, ერთი მხრივ, აანალიზებს დემოკრატიების წარმოშობის ისტორიულ გარემოებებს და, მეორე მხრივ, ემპირიულად იკვლევს დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულებას დღევანდელ საზოგადოებებში.

ერთი შეხედვით, არც ერთი ეს თეზისი არ არის მარტივი: მიუხედავად იმისა, რომ თეორიული ხასიათისაა, ორივე, როგორც ეს უკვე ვნახეთ, პოლიტიკური კამათის საგანი გახლავთ.

როგორ ასაბუთებს მაიერი თავის თეზისს?

რატომ იცავს მაიერი ამ თეზისს, არაერთი არსებითი კონტრარგუმენტის მიუხედავად?

4.1.1. ისტორიული დასაბუთება

პირველ რიგში, საუბარია *ისტორიულ არგუმენტზე:* მაიერი ეყრდნობა იმას, რომ ისტორიულად, როგორც წესი, დემოკრატიები თავისუფალი ბაზრების წარმოშობის შემდეგ ან ამ პროცესთან უშუალო კავშირში იქმნებოდა. ევროპის ქვეყნებში სხვადასხვა ეტაპზე დემოკრატია „ბურჟუაზიული საზოგადოების მოდელად" ჩამოყალიბდა:

ისტორიული არგუმენტი

„ბურჟუაზიული საზოგადოება – ეს არის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური წესრიგის მოდელი, რომელმაც გადალახა აბსოლუტიზმი, მემკვიდრეობითი წოდებრივი პრივილეგიები და კლერიკალური მეურვეობა, რომელიც ამკვიდრებს სამართლებრივად რეგულირებად ინდივიდუალურ თავისუფლებას ყველასთვის, უზრუნველყოფს ადამიანების თანაცხოვრებას გონივრული წესების შესაბამისად, ახდენს ეკონომიკის ორგანიზებას კანონმდებლობით რეგულირებული კონკურენციისა და ბაზრის საფუძველზე, უზრუნველყოფს გონივრულ საარსებო შანსებს, ერთი მხრივ, ლიბერალური სამართლებრივი და კონსტიტუციური სახელმწიფოს შესაბამისად ზღუდავს სახელმწიფო ძალაუფლებას და, მეორე მხრივ, საზოგადოების, არჩევნებისა და წარმომადგენლობითი ორგანოების საშუალებით ქმედობაუნარიან მოქალაქეთა ნებაზე დამოკიდებულს ხდის მას." (Kocka, 1995, გვ. 23)

თავისუფალი ბაზრები, ეკონომიკური ბურჟუაზია და თავისუფლებები და მათი სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა ურთიერთკავშირში ვითარდებოდა – ისტორიული თვალსაზრისით, ისინი განუყოფელნი არიან.

4.1.2. დასაბუთება დემოკრატიების შედარებითი ანალიზის მიხედვით

დასაბუთება დემოკრატიების სტაბილურობის კვლევის საფუძველზე

თომას მაიერი ეყრდნობა ასევე სხვადასხვა ემპირიულ ანალიზს, რომლებიც დემოკრატიების *სტაბილურობის კვლევის* ფარგლებში ტარდებოდა.

ტრანსფორმაციის კვლევის ემპირიული შედეგებიც – შესწავლილ იქნა, პირველ რიგში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები – მიუთითებს, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა პოზიტიურ, მასტაბილიზებელ გავლენას ახდენს ახალგაზრდა დემოკრატიებზე. და პირიქით: ემპირიული შედეგები ცხადყოფს, რომ იქ, სადაც ეკონომიკა ერევა პოლიტიკურ სფეროში, სადაც დემოკრატიული ჩართულობა მონოპოლიებისა და კლანების ინტერესებს ემსახურება, დემოკრატია არასრულფასოვანი, უფრო ზუსტად – ფორმალური ხდება.

ამდენად, სოციალური დემოკრატიის თეორიის განზრახვაა, არა მხოლოდ შეისწავლოს სახელმწიფოს ფორმალური სტრუქტურა, არამედ ემპირიულადაც შეამოწმოს, რამდენად შეუძლიათ ადამიანებს დემოკრატიული სტრუქტურებისა და ძირითადი უფლებების გამოყენება.

მთლიანობაში, მაიერს მიაჩნია, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა „ხელს უწყობს" დემოკრატიის განვითარებას (შდრ. Dahl, 2000, გვ. 140; Meyer, 2005, გვ. 581).

ერთგვარი დაძაბულობა დემოკრატიასა და კაპიტალიზმს შორის

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ, მაიერის აზრით, დემოკრატიასა და კაპიტალიზმს შორის „მარტივი" და უპრობლემო ურთიერთობაა. ეს ზემოთ აღნიშნული წინააღმდეგობების გათვალისწინებითაც დასტურდება. ცხადია, საჭიროა დღეისთვის აქტუალური დისკუსია მისი ისტორიული ასპექტებისგან განვასხვავოთ.

სად ეწინააღმდეგება საბაზრო კაპიტალიზმი დემოკრატიას:

- *საბაზრო კაპიტალიზმს ადამიანებს შორის (ეკონომიკურ) უთანასწორობამდე მივყავართ.*
- *მატერიალური რესურსების განსხვავებულად გადანაწილების შედეგად წარმოიშობა არათანაბარი შესაძლებლობები საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობისთვის.*
- *საბაზრო კაპიტალიზმი სულ უფრო გლობალური ხდება, ამავე დროს, დემოკრატიული მონაწილეობა ნაციონალური ჩარჩოებით შემოიფარგლება.*
- *ამდენად, ცალკეულ ქვეყანაში საბაზრო კაპიტალიზმი დემოკრატიულ*
- *სტრუქტურებს ემუქრება.*

ბალანსი საბაზრო კაპიტალიზმსა და დემოკრატიას შორის, როგორც მხარეთა მოლაპარაკების მიღწევა

საბაზრო კაპიტალიზმი წარმოშობს ცენტრისკენულ ძალებს, რომლებიც ზრდის უთანასწორობასა და არასტაბილურობას, რაც საფრთხეს უქმნის დემოკრატიული ლეგიტიმურობისა და სტაბილურობის საფუძვლებს.

საზოგადოებაში თავისუფალ ბაზარსა და ყველა ადამიანის თავისუფლებას შორის ერთგვარი წინააღმდეგობაა.

საბაზრო კაპიტალიზმსა და დემოკრატიას შორის ერთგვარი დაძაბულობა არსებობს, – ამბობს მაიერი.

არ შეიძლება ამ დაძაბულობის გაუქმება ან მისთვის თავის არიდება, შეიძლება მხოლოდ მისი მართვა – ასეთია კვინტესენცია ისტორიული და ემპირიული კვლევისა, რომელსაც მაიერი თავისი არგუმენტაციისთვის იშველიებს.

სოციალური დემოკრატიის თეორიის ამოცანა: ლიბერალური ღირებულებების შენარჩუნება

ლიბერალიზმისა და სოციალური დემოკრატიის სხვადასხვა ლოგიკური მოდელის შესწავლის შედეგად მაიერი ასეთ დასკვნამდე მიდის: უარის თქმა თავისუფლებისკენ სწრაფვაზე, რომელიც ისტორიულად ლიბერალიზმის იდეურ ტრადიციასთანაა დაკავშირებული, ისეთივე საბედისწერო შეცდომა იქნებოდა, როგორიცაა ახალი ლიბერალიზმის შეზღუდვების გაზიარება. ლიბერალიზმისა და სოციალური დემოკრატიის ურთიერთობისადმი დიფერენცირებული მიდგომა აღნიშნული თეორიის მნიშვნელოვანი ელემენტია.

თავის თეორიაში მაიერი ასხვავებს „იდეალის ორ ტიპს", რომლებიც ლიბერალური თეორიიდან აღმოცენდა: ერთი მხრივ, „ლიბერტარიზმის" ტიპს და, მეორე მხრივ, „სოციალური დემოკრატიის" ტიპს.

სურ. 8. დემოკრატიის თეორიის პარადოქსი

4.2. ლიბერტარიზმი თუ სოციალური დემოკრატია

ნორმატიული, თეორიული და ემპირიული თვალსაზრისით, *სოციალური დემოკრატიის თეორია* განსხვავდება *ლიბერტარული დემოკრატიის თეორიისგან.* ორივეს სათავე ლიბერალურ დემოკრატიაშია, რომელიც განმანათლებლობის ეპოქაში, მე-17 და მე-18 საუკუნეებში ჩამოყალიბდა.

ცნებები „ლიბერტარული" და „ლიბერალური დემოკრატია" სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომში განსხვავებულად განიმარტება. ამიტომ დისკუსიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მკაფიო, ერთიანი დეფინიცია.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ლიბერტარიზმი და სოციალური დემოკრატია იდეალური კონცეფციებია, რომლებიც წმინდა სახით, ცხადია, არ გვხვდება. ლიბერტარიზმი და სოციალური დემოკრატია უფრო მეტად განიხილება, როგორც პოლუსები, რომელთა შორის შესაძლებელია

საზოგადოებების კონკრეტული მოწყობის შესაბამისად დალაგება.

სურ. 9. ლიბერალური, ლიბერტარული და სოციალური დემოკრატიების შედარება

ლიბერალური დემოკრატია

ლიბერალური დემოკრატიის საერთო სათავეები

- დაკავშირებულია ლიბერალიზმის ევროპულ ტრადიციასთან (შდრ. ზემოთ, გვ. 11 და მომდევნო გვერდები)
- და გულისხმობს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ და პლურალისტურ დემოკრატიას,
- რომელიც ადამიანის უფლებებს ეფუძნება.

ლიბერტარული დემოკრატია

ლიბერტარული დემოკრატიისთვის,[14] როგორც იდეალური ლოგიკური მოდელისთვის, დამახასიათებელია:

- სოციალურად შეუზღუდავი საკუთრება,
- თვითრეგულირებადი ბაზარი,
- დემოკრატიის პოლიტიკურ დონეზე შეზღუდვა და ამის შედეგად
- ნეგატიური თავისუფლებების (ცნებისთვის იხ. ქვევით, გვ. 102 და მომდევნო გვერდები) მინიჭება,
- ადამიანის უფლებების ფორმალური მოქმედება.

[14] ჩვენ ვხედავთ, რომ „ლიბერტარიზმი" ან ლიბერტარული მოდელი მთლიანობაში ემთხვევა იმას, რაზედაც ზემოთ საუბარი იყო, როგორც ახალ ლიბერალურ მიდგომაზე. ახალი ტერმინის შემოღებით მაიერს, პირველ რიგში, სურდა აღენიშნა, რომ ისტორიული ლიბერალიზმი არ უნდა იყოს გაიგივებული ახალი ლიბერალიზმის მარტივ შეზღუდვებთან, ამასთანავე, ლიბერალიზმი სოციალური დემოკრატიის თეორიის მნიშვნელოვანი შემადგენელია.

სოციალური დემოკრატია

სოციალური დემოკრატიის მახასიათებლებია:

- ძირითადი უფლებები საზოგადოებრივ და ეკონომიკურ სფეროებში,
- საზოგადოებრივი წყობა, რომელიც შეესაბამება ძირითად უფლებებს (როგორც ფორმალურად, ისე რეალურ მოქმედებაში!),
- ფორმალურად და რეალურად მოქმედი ნეგატიური და პოზიტიური თავისუფლებები (ამის შესახებ დეტალურად იხ. ქვევით).

კითხვა მხარეთა შესახებ

ამდენად, მაიერის აზრით, ლიბერტარული და სოციალური დემოკრატიების იდეალურ მოდელებს შორის თეორიული განსხვავებაა, რაც ცალკეული მიმდინარეობისა და პარტიის კონკრეტული პოლიტიკური მიდგომების მაგალითზე დასტურდება, თუმცა ეს განსხვავება ამით არ ამოიწურება.

დემოკრატიასა და საბაზრო კაპიტალიზმს შორის დაძაბულობის ნორმატიული მოწესრიგება შეუძლებელია. ის სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის ურთიერთქმედების საშუალებით გადაილახება. მათ შორის ძალთა თანაფარდობა მუდმივად იცვლება და ამის შედეგად სხვადასხვა ქვეყანაში საბაზრო კაპიტალიზმისა და დემოკრატიის ურთიერთობის ახალი ფორმა იქმნება.

მაგალითი: გერმანიის ძირითადი კანონის შემუშავება

საბაზრო კაპიტალიზმსა და დემოკრატიას შორის არსებული დაძაბული, რთული ურთიერთობისა და მისი ჩამოყალიბების მაგალითად შეიძლება განვიხილოთ გერმანიის ძირითადი კანონი ძირითადი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტებთან მიმართებით (შდრ. ქვევით, გვ. 99-100).

1949 წლის ძირითადი კანონი მკაფიოდ აფიქსირებს არსებით დამცავ თავისუფლებებს, ნაცისტური რეჟიმის გამოცდილების გათვალისწინებით. ამავე დროს, ახალგაზრდა ფედერაციულ რესპუბლიკაში, ერთი მხრივ, ბურჟუაზიულ ძალებსა და, მეორე მხრივ, მემარცხენეებს შორის ძალთა თანაფარდობამ განაპირობა ის, რომ შესაძლებლობების თავისუფლებებმა არასაკმარისი ასახვა ჰპოვა ძირითად კანონში. ამის შედეგია იურიდიულ წრეებში ძირითადი კანონის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია: ერთ მხარეს მთავარ საკითხად პირველ მუხლებში მოცემული ძირითადი უფლებების განმარტება მიაჩნია, ხოლო უფრო კრიტიკულად განწყობილი ნაწილის აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო და არის (კერძო)

საკუთრების საკითხი (შდრ. Haverkate, 1992) (გერმანიის ძირითად კანონში და საერთაშორისო პაქტებში ჩამოთვლილი ძირითადი უფლებების შესადარებლად აგრეთვე იხ. ცხრილი ქვევით, გვ. 99-100).

საერთაშორისო პაქტები შედარებისთვის

მე-20 საუკუნის 60-იანი წლების საერთაშორისო პაქტები ნეგატიური და პოზიტიური თავისუფლებების ბევრად ფართო ფორმულირებებს შეიცავს, რაც საერთაშორისო კონიუნქტურით, ასევე იმდროინდელი საზოგადოებრივი განვითარების ზემოქმედებით აიხსნება.

მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, როდესაც ბაზრისა და დემოკრატიის ურთიერთობაზეა საუბარი, სამეცნიერო თეორიებიც განსხვავებულ პასუხებს იძლევა.

პირველ რიგში, განსხვავებაა ე. წ. ლიბერტარიზმის თეორიულ მიმდინარეობებსა და *სოციალური დემოკრატიის თეორიას* შორის, როდესაც საუბარია იმაზე, თუ როგორია (ან როგორი უნდა იყოს) დემოკრატიისა და ბაზრის ურთიერთმიმართება და რა არგუმენტები არსებობს ამისთვის.

ორივე თეორიულ მიმდინარეობას ერთი სათავე აქვს: ლიბერტარიზმი, რომელიც ისტორიულად მე-17 საუკუნიდან ვითარდებოდა.

გადამწყვეტი კითხვა: როგორ რეალიზდება თავისუფლება საზოგადოებაში?

თუმცა საკვანძო საკითხად რჩება ის, თუ როგორ შეიძლება საზოგადოებაში ყოველი ადამიანის თავისუფლების რეალიზება. სხვადასხვა სამეცნიერო თეორია ამ კითხვას სხვადასხვაგვარად უპასუხებს.

იმისთვის, რომ ეს განსხვავებული პასუხები შევაფასოთ, საჭიროა „თავისუფლების" ცნების უფრო მკაფიოდ განსაზღვრა.

სანამ „თავისუფლების" განსხვავებულ დეფინიციებს განვიხილავთ, ერთი მხრივ, ლიბერტარიზმის და, მეორე მხრივ, სოციალური დემოკრატიის ფარგლებში, კიდევ ერთი რამ უნდა გავარკვიოთ: რატომ ვსაუბრობთ „თავისუფლებებზე"? რატომ არ ვამბობთ უბრალოდ „თავისუფლებას" ან „საბაზისო ღირებულებებს"?

4.3. ექსკურსი: საბაზისო ღირებულებების, ძირითადი უფლებებისა და ინსტრუმენტების ტრიადა

საბაზისო ღირებულებების, ძირითადი უფლებებისა და ინსტრუმენტების ტრიადა

პირველ ნაწილში დავინახეთ, რომ პოლიტიკური თეორია და ფილოსოფია სამი საბაზისო ღირებულების – თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის – საკმაოდ განსხვავებულ კონცეფციებს გვთავაზობს. ამდენად, საქმე გვაქვს „კონცეფციების პლურალიზმთან", რომელიც ყველა პოლიტიკურ ლოგიკურ მოდელსა და მიმდინარეობას საკუთარ დაღს ასვამს.

ყოვლისმომცველი თეორიის შემუშავებისთვის კონცეფციების პლურალიზმი გარკვეული პრობლემაა: თუ თეორია მხოლოდ ცალკეულ ასპექტს ან ლოგიკურ ჯაჭვს მოიცავს, მაშინ ის კარგავს ზოგად ხასიათს და მისი არგუმენტაცია პოტენციურად ემიჯნება სხვა ფილოსოფიურ, ეთიკურ ან რელიგიურ ტრადიციებს.

რა არის შეძლებისდაგვარად ფართო საარგუმენტაციო ბაზა?

აქედან გამომდინარე, სოციალური დემოკრატიის თეორია – თომას მაიერის აზრით – შეძლებისდაგვარად ფართო საარგუმენტაციო საფუძველს უნდა ირჩევდეს. თანაც უნდა ვიპოვოთ არგუმენტაციის ისეთი დონე, რომელიც თავისუფალია კულტურული სპეციფიკისგან, ამასთანავე, აღწერილია ყველაზე ფართო, დემოკრატიულად ლეგიტიმურ ფარგლებში.
ამდენად, საბაზისო ღირებულებების დონე, როგორც არგუმენტაციის საფუძველი, გამოირიცხება – მართალია, ისინი მნიშვნელოვან საარგუმენტაციო კონტექსტს ქმნიან, მაგრამ ცვალებადნი არიან და განსაზღვრულ კულტურას მიეკუთვნებიან.

სამი დონე

ამრიგად, სოციალური დემოკრატიის დასაბუთებისთვის სწორი არგუმენტაცია სხვა დონეზე უნდა მოიძებნოს. ზოგადად, სამი დონე იკვეთება:



სურ. 10. საბაზისო ღირებულებების, ძირითადი უფლებებისა და ინსტრუმენტების ურთიერთდამოკიდებულება

საბაზისო ღირებულებების – თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის – დონეზე უნდა დადგინდეს, რა დამოკიდებულება აქვს ცალკეულ ადამიანს საზოგადოებასთან და როგორ უნდა იყოს ორგანიზებული ცხოვრება საზოგადოებაში. წარმოდგენები საზოგადოებაზე, რომელიც თავისთვის ირჩევს და იყენებს საბაზისო ღირებულებებს, როგორც ზემოთ გამოჩნდა, სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საზოგადოებრივ-ფილოსოფიური მიდგომიდან მომდინარეობს.

ძირითადი უფლებების დონეზე საბაზისო ღირებულებები საზოგადოებისთვის სავალდებულო, დემოკრატიულად ლეგიტიმურ სამოქმედო ნორმებად ტრანსფორმირდება. ისინი (როგორც საბაზისო ღირებულებები) კონცეფციების პლურალიზმს კი არ შეესაბამებიან, არამედ აწესრიგებენ ადამიანების თანაცხოვრებას, მიუხედავად საზოგადოებრივი დასაბუთებისა.

ინსტრუმენტების დონეზე განისაზღვრება საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფორმები, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფოები და სახელმწიფოთა გაერთიანებები ახორციელებენ ქმედებას, რომელიც მოქალაქეებისთვის მინიჭებული ძირითადი უფლებებიდან გამომდინარეობს. სხვადასხვა ქვეყნის თუ კულტურის მაგალითზე ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ზოგ შემთხვევაში – საკმაოდ მკაფიოდ, როგორც ამას კვლევები ადასტურებს.

ამდენად, თუ მოვისურვებთ, სოციალური დემოკრატიის თეორიისთვის უფრო ფართო საარგუმენტაციო ბაზა ავირჩიოთ, საფუძვლად ძირითადი უფლებების დონე უნდა ავიღოთ. მაიერი თავისი არგუმენტაციისთვის ძირითადი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ ორ საერთაშორისო პაქტს ირჩევს. ამ არჩევნის სასარგებლოდ რამდენიმე მომენტი მეტყველებს:

- ეს პაქტები არის ძირითადი უფლებების საყოველთაოდ აღიარებული და სამართლებრივად სავალდებულო წყარო, რომელიც სცილდება სხვადასხვა კულტურისა და ქვეყნის სპეციფიკას. მათი რატიფიცირება მოხდა 140-ზე მეტ სახელმწიფოში, სადაც ისინი მოქმედი კანონმდებლობის ნაწილია.
- აღნიშნული პაქტები მიმართულია საზოგადოებრივი განვითარებისკენ და ძირითადი უფლებების რეალიზებისკენ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში. სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, გააუმჯობესონ ძირითადი უფლებების ფაქტობრივი რეალიზაცია.
- მითითებული პაქტები შეიცავს უფლებების განსაკუთრებულად ფართო და ზუსტ ფორმულირებებს, რომელთა განხორციელების მოთხოვნა შეიძლება ყოველმა ადამიანმა წამოაყენოს.

ბოლო არგუმენტი განსაკუთრებულად დამაჯერებლად აისახება გერმანიის ძირითადი კანონისა და საერთაშორისო პაქტების შედარებისას:

რეგულირების სფერო	გერმანიის ძირითადი კანონი	საერთაშორისო პაქტები
პიროვნების უფლება	„ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია. მისი პატივისცემა და დაცვა მთელი სახელმწიფო ხელისუფლების მოვალეობაა.” (მუხ. 1)	„სიცოცხლის უფლება თითოეული ადამიანის განუყოფელი უფლებაა. ეს უფლება დაცულია კანონით. არავის არ შეიძლება თვითნებურად წაერთვას სიცოცხლე.” (მუხ. 6, ნაწ. 1, გპსპუ)* „(1) ყველას აქვს პიროვნული თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.” (მუხ. 9, ნაწ. 1, გპსპუ)*
შრომის უფლება	„(1) ყველა გერმანელს აქვს უფლება, თავისუფლად აირჩიოს პროფესია, სამუშაო ადგილი და სასწავლებელი. პროფესიული საქმიანობა შეიძლება დარეგულირდეს კანონით ან კანონის საფუძველზე. (2) დაუშვებელია რაიმე სამუშაოს შესრულების იძულება, გარდა ზოგადად მიღებულისა, როგორც ყველასთვის თანასწორი საზოგადოებრივი შრომითი	„(1) ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები საკუთარი შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან თავისუფლად დასთანხმდება, და მიიღებენ სათანადო ზომებს ამ უფლების უზრუნველყოფისათვის. (2) ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა ღონისძიებანი ზემოაღნიშნული უფლების სრული განხორციელების მიზნით მოიცავს პროფესიულ-ტექნიკური სწავლებისა და მომზადების პროგრამებს, გზებსა და მეთოდებს განუხრელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისა და სრული საწარმოო დასაქმებისა ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის ძირითად პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებებს.„ (მუხ. 6, გპესკუ)**

* 1966 წლის 19 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ციტირებულია: Heidelmeyer, 1997, გვ. 235–244)

** 1966 წლის 19 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (ციტირებულია: Heidelmeyer, 1997, გვ. 244–250)

რეგულირების სფერო	გერმანიის ძირითადი კანონი	საერთაშორისო პაქტები
საკუთრება/ ცხოვრების დონე	„(1) საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება გარანტირებულია. მათი შინაარსი და ფარგლები განისაზღვრება კანონებით. (2) საკუთრება ავალდებულებს. მისით სარგებლობა იმავდროულად უნდა ემსახურებოდეს საზოგადოების კეთილდღეობას.” (მუხ. 14)	„(1) ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს სათანადო ცხოვრების დონე თავისთვის და თავისი ოჯახისთვის, ჰქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი და ბინა, აგრეთვე უფლებას, განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც აღიარებენ, რომ ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო თანამშრომლობას, მიიღებენ სათანადო ზომებს ამ უფლების განხორციელების უზრუნველყოფისათვის.” (მუხ. 11, გპესკუ)**
განათლება	„(1) ყველას აქვს უფლება საკუთარი პიროვნების თავისუფალ განვითარებაზე ისე, რომ არ შეიზღუდოს სხვათა უფლება, კონსტიტუციური წესრიგი ან ეთიკური ნორმები.” (მუხ. 2) „(1) სასკოლო საკითხებს მთლიანად სახელმწიფო ზედამხედველობს. (2) უფლებამოსილ აღმზრდელებს აქვთ უფლება, თავად გადაწყვიტონ, მიიღებს თუ არა ბავშვი მონაწილეობას რელიგიის გაკვეთილებში.” (მუხ. 7)	„(1) ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, მიიღოს განათლება. ისინი თანხმდებიან, რომ განათლება მიმართულ იქნეს ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსების შემეცნების სრულად განვითარებისაკენ და განამტკიცოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა. ისინი ასევე თანხმდებიან, რომ განათლებამ ყველას მისცეს თავისუფალ საზოგადოებაში ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობა, ყველა ხალხს და ყველა რასობრივ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის განავითაროს ურთიერთგაგება, შემწყნარებლობა და მეგობრობა, ასევე ხელი შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობას მშვიდობის შესანარჩუნებლად. (2) ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ზემოაღნიშნული უფლების სრულად განხორციელებისათვის საჭიროა: ა) დაწყებითი განათლება იყოს ყველასთვის სავალდებულო და უფასო. (...) გ) უმაღლესი განათლება გახდეს ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი, თითოეულის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ყველა შესაფერისი საშუალებით, კერძოდ, უფასო განათლების თანდათანობით შემოღების გზით.” (მუხ. 13, გპესკუ)**

** იხილეთ გვ.99

ორივე საერთაშორისო პაქტი შეიცავს მრავალმხრივ მიმოხილვას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ძირითადი უფლებები თანდათანობით, საერთაშორისო თანამშრომლობის გზით. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტში წერია:

„ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, დამოუკიდებლად და საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის გზით, განსაკუთრებით ეკონომიკურ და ტექნიკურ სფეროებში, მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით გადადგას ნაბიჯები ამ პაქტით აღიარებული უფლებების ყველა სათანადო საშუალებით, პირველ რიგში, საკანონმდებლო ზომების მიღებით, თანდათანობითი, სრული რეალიზაციისთვის.” (მუხ. 2, ნაწ. 1)

განვითარების პერსპექტივა, რომელსაც საერთაშორისო პაქტები შეიცავს

ამდენად, საერთაშორისო პაქტები განვითარების პერსპექტივას შეიცავს; ისინი ავალდებულებენ სახელმწიფოებს, „ყველა სათანადო საშუალებით” შეუწყონ ხელი ძირითადი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელებას მოქალაქეთათვის მინიჭებული პოლიტიკური უფლებების საფუძველზე. *ეს გულისხმობს სახელმწიფოებისადმი მოწოდებას ქმედებისკენ* და *აქტიური სახელმწიფოს მოდელს.*
სწორედ აქტიური, ქმედითი სახელმწიფო, რომელიც არა მხოლოდ ანიჭებს, არამედ აქტიური ქმედებებით უზრუნველყოფს კიდეც ძირითად უფლებებს, ეწინააღმდეგება ლიბერტარულ დემოკრატიას.

მაგრამ: საერთაშორისო პაქტები მთელ მსოფლიოში ირღვევა, ვინაიდან ძირითადი უფლებების განხორციელების მექანიზმები არასაკმარისია

მაგრამ ფრთხილად: ბევრ ქვეყანაში ძირითადი უფლებების რეალიზების მდგომარეობა სავალალოა. მათ დეკლარირებასა და განხორციელებას შორის დიდი უფსკრულია. ამდენად, სრულიად გასაგებია დასმული კრიტიკული შეკითხვები, თუ რამდენად ღირებულია საერთაშორისო პაქტები. აშკარაა ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტების ნაკლებობა, რომლებსაც ძალუძთ ამ უფლებების განხორციელების უზრუნველყოფა.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, გერმანიის ძირითად კანონთან შედარებით, საერთაშორისო პაქტები შეიცავს ძირითადი უფლებების ბევრად ზუსტ ფორმულირებებს, რომლებიც სოციალური დემოკრატიის ნორმების შემუშავების საფუძვლად გამოდგება.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი კანონის მე-20 მუხლი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას დემოკრატიულ და სოციალურ ფედერალურ სახელმწიფოდ აღიარებს, მასში ძალზე შეზღუდულადაა ასახული საერთაშორისო პაქტებში განსაზღვრული სამოქმედო ვალდებულებები.

ის, რომ სახელმწიფოს აქტიური როლი ძირითადი უფლებების განხორციელების საქმეში სადავოა, კარგად ჩანს ამ უფლებების უფრო დეტალური განხილვისას. აქვე აშკარა ხდება ისიც, რომ ლიბერტარიზმი თავის თავს ეწინააღმდეგება.

4.4. პოზიტიური თუ ნეგატიური თავისუფლებები

დეფინიცია: პოზიტიური და ნეგატიური თავისუფლებები

ლიბერალური დემოკრატია ემყარება, პირველ რიგში, თავისუფლებებს, რომლებიც საზოგადოების ყოველ წევრს უნდა მიენიჭოს. ისაია ბერლინი განასხვავებს ნეგატიურ (ფორმალურ, დამცავ) და პოზიტიურ (სოციალურ, შესაძლებლობების) თავისუფლებებს.

1958 წლის ნაშრომში „თავისუფლების ორი კონცეფცია" ისაია ბერლინი განასხვავებს თავისუფლებების ორ ტიპს:

- *ნეგატიურ თავისუფლებებს (მაგ., პირადი ხელშეუხებლობის უფლებას), რომლებიც უზრუნველყოფს მოქალაქის დაცვას სახელმწიფოსა და საზოგადოების გადამეტებული ძალაუფლებისგან;*
- *პოზიტიურ თავისუფლებებს (მაგ., განათლების უფლებას), რომლებიც ახორციელებს და ხელს უწყობს პიროვნების თავისუფლებას საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომებით.*

ლიბერტარულ და სოციალურ დემოკრატიებს განასხვავებს სწორედ ის, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ნეგატიურ და პოზიტიურ თავისუფლებებს ერთმანეთთან მიმართებით.

მაიერის *სოციალური დემოკრატიის თეორიაში* ეს მნიშვნელოვანი პუნქტია, რომელიც თავისუფლებების შესახებ უფრო კონკრეტული დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას იძლევა. ამასთანავე – როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა – აქ იგულისხმება ფილოსოფიური დისკუსია იდეალური მოდელების შესახებ, იმის მიუხედავად, რეალურად არსებობს თუ არა ეს იდეალური მოდელები სხვადასხვა ქვეყანაში (წმინდა სახით სწორედ რომ არ არსებობს).

ფილოსოფიური არგუმენტაციის კონტექსტში ლიბერტარული დემოკრატია სოციალური დემოკრატიისგან შემდეგით განსხვავდება:

ლიბერტარული თეზისი

ლიბერტარული თეზისი

პოზიტიური თავისუფლებების მინიჭება ზღუდავს (და ანადგურებს) ნეგატიურ თავისუფლებებს. ნეგატიურ თავისუფლებებს აბსოლუტური უპირატესობა აქვს – ასეთი გახლავთ (მოკლედ) ბერლინის თეზისი, რომელსაც დღეს ახალი ლიბერალიზმის ბევრი წარმომადგენელი იზიარებს.

სოციალური დემოკრატიის თეორიის თეზისი

სოციალური დემოკრატიის თეორიის თეზისი

ნეგატიური და პოზიტიური თავისუფლებები თანაბრად უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუ ფორმალურად მათი მოქმედება და განხორციელება *ყველასთვისაა* განსაზღვრული.



სურ. 11. ნეგატიური და პოზიტიური თავისუფლებები

ლიბერტარულ და სოციალურ დემოკრატიებს შორის ამგვარი განსხვავება მოითხოვს უფრო დეტალურ განხილვას იმისა, თუ როგორ შეეფარდება ერთმანეთს ნეგატიური და პოზიტიური თავისუფლებები.

მაიერი ლოგიკურად უარყოფს ლიბერტარულ არგუმენტაციას:

ლიბერტარიზმი: ნეგატიური თავისუფლებების აბსოლუტური უპირატესობა

ლიბერტარული არგუმენტაციით, ნეგატიურ თავისუფლებებს აბსოლუტური უპირატესობა ენიჭება პოზიტიური თავისუფლებების მიმართ, მაშინ, როცა *სოციალური დემოკრატიის თეორია* მათ ლოგიკურ, დაძაბულ და თანასწორუფლებიან თანაფარდობას ემხრობა.

ამდენად, *სოციალური დემოკრატიის თეორია* უარყოფს ლიბერტარულ თეზისს და ადასტურებს პოზიტიური და ნეგატიური თავისუფლებების ურთიერთკავშირს.

წინაპირობა

მაიერის არგუმენტაცია ოთხსაფეხურიან ლოგიკას ეყრდნობა: თავდაპირველად ის ამოდის წინაპირობიდან, რომ, ლიბერტარული თვალსაზრისითაც, ნეგატიური თავისუფლებების მოქმედება და განხორციელება უნივერსალური უნდა იყოს – ლიბერტარიანელთა არგუმენტის თანახმად, ნეგატიურ თავისუფლებებს მხოლოდ აბსოლუტური უპირატესობა უნდა მიენიჭოს.

როდის ხდება ლიბერტარული თეზისის უარყოფა?

ლიბერტარული თეზისის უარყოფა ხდება მაშინ, როდესაც იქმნება სიტუაცია, რომელშიც ვერ ხერხდება პიროვნებისთვის ნეგატიური თავისუფლებების ამოქმედება, ვინაიდან არ არის უზრუნველყოფილი პოზიტიური თავისუფლებები.

უარყოფა მაგალითის გამოყენებით

ამგვარი სიტუაციის წარმოდგენა საკმაოდ მარტივია: პიროვნება, რომელსაც არ აქვს ფორმალურად ძალაში მყოფი და რეალურად მოქმედი პოზიტიური უფლება განათლებაზე, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რათა მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, და რომელსაც არ მოეპოვება სახსრები საგანმანათლებლო მომსახურების შესაძენად, ვერ გამოიყენებს თავის ნეგატიურ უფლებას, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი. ნეგატიური თავისუფლება ამ შემთხვევაში მაკულატურად იქცევა.

დასკვნა: პოზიტიური და ნეგატიური თავისუფლებების ურთიერთქმედება

იმისთვის, რომ ნეგატიური თავისუფლებები მარტო ფორმალურად კი არ მოქმედებდეს, არამედ ყველა ადამიანისთვის ხორციელდებოდეს კიდეც, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პოზიტიური თავისუფლებები. ეს იმასაც ნიშნავს, რომ საზოგადოების შეძლებული წევრები თანხმდებიან რესურსების გადანაწილებაზე. ეს ასახავს ნეგატიური (საკუთრების) თავისუფლებების ძალზე მცირე შეზღუდვას.

თუ ამ ლოგიკას გავყვებით, ნეგატიური თავისუფლებების აბსოლუტური უპირატესობა ვერ ხორციელდება. ნეგატიური თავისუფლებების მოქმედება და რეალიზება ყველასთვის ვერ ხერხდება, თუ არ ხდება მათი გავრცობა პოზიტიური თავისუფლებებით.

ნეგატიური თავისუფლებები ყველასთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ პოზიტიური, ანუ „შესაძლებლობების" თავისუფლებებიც უზრუნველყოფილი იქნება. ფორმალურად მოქმედ თავისუფლებებს ფასი არ აქვს, თუ არ ხდება მათი რეალიზება ყოველი მოქალაქის მიერ სახელმწიფოსთვის წაყენებული მოთხოვნის სახით.

საზოგადოებრივი, როგორც წესი, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული კეთილდღეობის გადანაწილების გარეშე შეუძლებელია თავისუფლებების ყველასთვის განხორციელება. მაიერის დასკვნა ის არის, რომ ნეგატიური და პოზიტიური თავისუფლებების გათანაბრება სახელმწიფო დონეზე უნდა მოხერხდეს.

4.5. სახელმწიფოს სამოქმედო ვალდებულებები

სახელმწიფოს სამოქმედო ვალდებულებები

ყოველი ადამიანისთვის როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური თავისუფლებების რეალიზება სახელმწიფოს სამოქმედო ვალდებულებაა. ლიბერტარული სახელმწიფოსგან განსხვავებით, საკმარისი არ არის ძირითადი უფლებების მხოლოდ დეკლარირება და მათი რეალიზების ბაზრისთვის მინდობა. ყოველი ადამიანის ძირითადი უფლებების რეალური განხორციელება მეტწილად სახელმწიფოს ეკისრება.

ამდენად, სახელმწიფოს აქტიური როლი და სამოქმედო ვალდებულებები ენიჭება, პირველ რიგში, იმისთვის, რომ

უმნიშვნელოვანესი ვალდებულებები

- უზრუნველყოს თავისუფალი, ხელმისაწვდომი და პერსპექტიული ინფრასტრუქტურა ცხოვრების დონის ასამაღლებლად.
- საზოგადოებრივი გადანაწილების საშუალებით შესაძლებელი გახადოს ადამიანთა აქტიური და დამოუკიდებელი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში.
- მოახდინოს საბაზრო ეკონომიკის ფორმალური ორგანიზება ისე, რომ შესაძლებელი გახდეს დემოკრატიული სტრუქტურებისა და დასაქმებულთა ინტერესების თავისუფალი დაცვა.

სხვადასხვა მიმართულების ინსტრუმენტები

სახელმწიფო ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც ხდება მოქალაქეთა მოთხოვნების დაკმაყოფილება, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. ამაზე მეტყველებს მარტივი მაგალითი:

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სოციალური დაზღვევის სისტემა დასაბამს მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან იღებს. სოციალური დაზღვევის სისტემას არსებითი მნიშვნელობა მიენიჭა ადამიანების ღირსეული ცხოვრების მისაღწევად. ამასთანავე, ის მშრომელთა სოლიდარობას ეფუძნებოდა და მთავრობისთვის – როგორც ორგანიზატორისთვის – უზრუნველყოფდა მოქალაქეთა ლოიალობას წარმოქმნილი სახელმწიფოს მიმართ.

სხვა ქვეყნებში – მაგ., სკანდინავიის – გვხვდება გადასახადებზე დაფუძნებული სოციალური სისტემა. როგორც ქვეყნების შედარებითმა ანალიზმა (შდრ. ქვევით, გვ. 107 და მომდევნო გვერდები) დაგვანახვა, ამ შემთხვევაშიც შეგვიძლია ვისაუბროთ სოციალური სისტემის არსებობაზე და სახელმწიფოს მიერ ყოველი ადამიანის უფლების უზრუნ-

ველყოფაზე. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა სისტემის შედარებამ ცხადყო, რომ პოზიტიური და ნეგატიური თავისუფლებები გარკვეულწილად სხვადასხვაგვარი წარმატებით ხორციელდება.

განსხვავებული ინსტრუმენტები

სახელმწიფოს სამოქმედო ვალდებულება თავისუფლებების უზრუნველყოფის კუთხით (მეტ-ნაკლებად წარმატებულად) ხორციელდება ორგანიზების ორივე ფორმის საშუალებით.

თავისუფლებების განხორციელების თემა არ ამოიწურება კონკრეტული ინსტრუმენტების საკითხით, მაშინაც, როდესაც მათი შემოწმება შესაძლებელია და აუცილებელი.

სოციალური დემოკრატია არის ფართო ლოგიკური მოდელი, რომელიც არ კმაყოფილდება ადამიანის უფლებების ფორმალური მოქმედებით. ასევე მცირეა მასში გამოკვეთილი ფილოსოფიური კონსტრუქცია. ის უფრო ღია მოდელია, რომელიც გამოიყენება პოლიტიკური საქმიანობის კომპასის სახით, რომლის საშუალებითაც მიიღწევა კონკრეტული თავისუფლებების განხორციელება განსხვავებული ინსტრუმენტების მეშვეობით. ამგვარად, ასე შესაძლებელია საბაზისო ღირებულებების – თავისუფლების, თანასწორობის/სამართლიანობისა და სოლიდარობის – რეალიზებაც.

სოციალური დემოკრატია არ გახლავთ თეორიული ფუფუნება, ის საყოველთაო გამოწვევა და პრაქტიკული ამოცანაა.

5. ქვეყნების მოდელები

მოქმედების ვალდებულებები და სხვადასხვაგვარი განხორციელება

ძირითადი უფლებებიდან გამომდინარე სამოქმედო ვალდებულებებს სახელმწიფოები განსხვავებული ინსტრუმენტებით ახორციელებენ. სოციალური დემოკრატიის, როგორც ერთგვარი მზა შაბლონის, განხილვა დაუშვებელია – მას სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი სახე აქვს. მაგრამ ვინაიდან სოციალური დემოკრატია თავისუფლებების ფორმალური მოქმედებით არ კმაყოფილდება, ყოველი ქვეყნის მაგალითზე უნდა შემოწმდეს, რამდენად შეესაბამება მისი განვითარების გზა სოციალური დემოკრატიის მიმართულებას, ასევე რამდენად შედგა ქვეყანაში სოციალური დემოკრატია ან რამდენად მიისწრაფვის ქვეყანა მისკენ.

ამ მიზნით თომას მაიერმა და მისმა თანამშრომლებმა სხვადასხვა ქვეყნის ემპირიული მონაცემები შეადარეს; ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ამგვარ ემპირიულ შედარებას დემოკრატიის მრავალი თეორია უარყოფს.

ხუთი მაგალითი

აქ მოყვანილია ხუთი მოკლე მაგალითი, რომლებიც სოციალური დემოკრატიის რეალიზების განსხვავებულ დონეებს ასახავს:

- აშშ – თავისი ძირითადი მახასიათებლებით მეტწილად ლიბერტარული ქვეყანაა, სადაც შემდგარი სოციალური დემოკრატიის მხოლოდ მცირე ელემენტები არსებობს,
- დიდი ბრიტანეთი – სოციალური დემოკრატიის რეალიზების დაბალი ხარისხი,
- გერმანია – სოციალური დემოკრატიის რეალიზების საშუალო ხარისხი,
- იაპონია – სადაც ბევრ სფეროში დიდი განსხვავებებია დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით, სოციალური დემოკრატიის რეალიზების საშუალო ხარისხით ხასიათდება,
- შვედეთი – სოციალური დემოკრატიის რეალიზების მაღალი ხარისხი.

ჩვენს ნაშრომში ქვეყნების მოკლე დახასიათებით შემოვიფარგლეთ. ვისაც სურს უფრო საფუძვლიანად გაეცნოს სხვადასხვა ქვეყნის შედარებით ანალიზს, მაიერის თეორიის მეორე ტომს (Mayer, 2006) უნდა გადახედოს.

5.1. აშშ

ავტორი: იულია ბლეზიუსი

აშშ: თავისუფლება და სოციალური უთანასწორობა

ბევრი ჩვენგანისთვის აშშ არის როგორც თავისუფლების, ისე სოციალური უთანასწორობისა და სოციალური ექსკლუზიის სიმბოლო. მაგრამ რა იმალება ამ ასოციაციების უკან და რას ეფუძნებიან ისინი? სწორია, რომ აშშ გახლავთ ქვეყანა, რომლის მოსახლეობისთვის ინდივიდუალური თავისუფლება ბევრ სფეროშია პრიორიტეტული; ასე რომ, ტრადიციულად, საზოგადოება სკეპტიკურადაა განწყობილი ძლიერი სახელმწიფოს მიმართ. ამის მიზეზი ადრეული დემოკრატიზაციის პროცესსა და ამით განპირობებულ პოლიტიკურ კულტურაში უნდა ვეძებოთ. ეს გავლენას ახდენს მხარეებზე, პოლიტიკურ სისტემაზე, ძირითადი უფლებების მიმართ დამოკიდებულებაზე, ასევე სოციალური სახელმწიფოს მოდელზე.

აშშ გახლდათ ერთ-ერთი პირველი თანამედროვე მასობრივი დემოკრატია, რამაც საზოგადოებაში ძლიერი რესპუბლიკური ეთიკის ჩამოყალიბება განაპირობა. ჯერ კიდევ 1789 წელს კონსტიტუციით შემოღებულ იქნა საყოველთაო საარჩევნო უფლება. მაშინ, როდესაც ევროპაში დემოკრატიების უმრავლესობას წინ უსწრებდა მონარქიები თავიანთი ფესვებგადგმული ცენტრალისტური სახელმწიფო სტრუქტურებით, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკაში დემოკრატია ამერიკული სახელმწიფოს დაარსებასთან ერთად, დამოუკიდებლობისთვის მიმდინარე ომის შემდეგ წარმოიქმნა. ეს გარემოება დღემდე ახდენს გავლენას აშშ-ის სახელმწიფოებრივ შეგნებასა და პოლიტიკურ კულტურაზე. საზოგადოება მაღალ შეფასებას აძლევს ინდივიდუალურ თავისუფლებას და უპირატესობას პასიურ სახელმწიფოს ანიჭებს. ამას იმასთან მივყავართ, რომ სოციალური უთანასწორობა ადამიანთა თანაცხოვრების ბუნებრივ შედეგად აღიქმება.

თავისუფლება, როგორც მოქმედების უმაღლესი პრინციპი

პოლიტიკურ კულტურაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ასევე ლიბერალიზმი, რომელიც ინდივიდუალურ თავისუფლებას ანიჭებს უპირატესობას. ევროპისგან განსხვავებით, აშშ-ში ლიბერალიზმი არასდროს დასმულა კითხვის ნიშნის ქვეშ ისეთი მიმდინარეობის კონტექსტში, როგორიცაა კონსერვატიზმი ან სოციალიზმი. ამდენად, ის განვითარდა, როგორც უპირატესი პრინციპი ყოველგვარი ალტერნატივის გარეშე. დღესაც თავისუფლება ამერიკელი საზოგადოების უმაღლესი ღირებულებაა.

შესაბამისად, მთავრობას აქვს მცირე შესაძლებლობა და, პირველ რიგში, მცირე ამბიცია, გავლენა მოახდინოს ეკონომიკაზე ან ითანამშრომლოს დასაქმებულებთან და დამსაქმებლებთან. პროფკავშირები სუსტად არიან ორგანიზებული და არ აქვთ დიდი მნიშვნელობა; ასე რომ, შრომითი ხელშეკრულებებისა და ანაზღაურების საკითხი ინდივიდუალური მოლაპარაკებების დროს განიხილება. ამ თვალსაზრისით, აშშ პლურალისტური დემოკრატიის ტიპური ნიმუშია. მართალია, ვიწრო ინტერესებს განსაკუთრებული გავლენა აქვს, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კარგადაა ორგანიზებული და დაფინანსებული. ფართო ინტერესები, რომლებიც სუსტადაა ორგანიზებული, ნაკლებად ანგარიშგასაწევია. ეს თავს იჩენს ზოგიერთი ლობისტური ჯგუფისა თუ მეწარმეთა გაერთიანების დიდ გავლენასა და ეთნიკური უმცირესობების ნაკლებ მნიშვნელობაში.

რას ნიშნავს ეს კონკრეტულად?

როგორ აისახება ეს მოცემულობა პოლიტიკურ სისტემაში და ამერიკული სოციალური სახელმწიფოს არქიტექტურაში? და ძირითადი უფლებების რომელი კონცეფცია უდევს მას საფუძვლად?

პოლიტიკური სისტემა

საპრეზიდენტო მმართველობის სისტემა

აშშ-ზე საუბრობენ, როგორც საპრეზიდენტო მმართველობის სისტემაზე დუალისტური სტრუქტურით, რომელიც აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებებს მოიცავს. აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში დგას პრეზიდენტი, რომელიც იმავდროულად სახელმწიფოს მეთაურია. საკანონმდებლო ხელისუფლება შედგება წარმომადგენელთა პალატისა და სენატისგან, რომლებიც ერთად კონგრესს ქმნიან. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებები ერთმანეთისგან გამიჯნულია და იმავდროულად – ურთიერთდამოკიდებული. „შეკავებისა და გაწონასწორების" („checks and balances") პრინციპი სახელმწიფოს შესახებ მონტესკიესა და ჯონ ლოკის ფილოსოფიური კონცეფციებიდან მომდინარეობს და მისი ამოცანაა, წინ აღუდგეს ძალაუფლების გადამეტებას. ამ სისტემის მიზანია, ეფექტიანად დაიცვას მოქალაქეთა ინდივიდუალური თავისუფლებები ხელისუფლების გაუმართლებელი ჩარევისგან.

პარტიები, როგორც საარჩევნო კამპანიების ორგანიზატორები

ტრადიციულად, აშშ-ში პარტიებს არ აქვთ არსებითი გავლენა; ამდენად, მათ შორის კონკურენციას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება. პარტიები მეტწილად საარჩევნო კამპანიების ორგანიზატორის ფუნქციას ასრულებენ, რაც კონკრეტული კანდიდატების საარჩევნო კამპანიების ორგანიზებასა და ჩატარებას გულისხმობს. პარტიები ასევე არ გამოდიან განსაზღვრული სამთავრობო პროგრამებით, და საერთოდ, მათ ნაკლებად აქვთ მკაფიო პოლიტიკური პროგრამები. კონგრესში პარტიებს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებათ, ვინაიდან, ჯერ ერთი, მათ არ უწევთ მთავრობის მხარდაჭერა; და მეორეც – დეპუტატები ხმას უფრო პირადი მოსაზრებების შესაბამისად აძლევენ და არა იდეოლოგიური პლატფორმის გათვალისწინებით.

„სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ სწრაფვა"

კონსტიტუცია და ძირითადი უფლებების სისტემა
ამერიკის 1789 წლის კონსტიტუცია იწყება სიტყვებით „Life, liberty and pursuit of happiness" („სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ სწრაფვა"). ის აცხადებს ფედერალურ სახელმწიფოს საპრეზიდენტო მმართველობის სისტემით. ეს გახლავთ ერთ-ერთი უძველესი რესპუბლიკური კონსტიტუცია, რომელიც დღემდე ძალაშია. მან თავიდანვე შემოიღო საყოველთაო საარჩევნო უფლება, თუმცა მაშინ მისი გამოყენება მხოლოდ თეთრკანიან, მიწათმფლობელ მამაკაცებს შეეძლოთ.

„უფლებათა ბილი" („Bill of Rights"), რომელიც კონსტიტუციის პირველ ათ შესწორებას მოიცავს, ამერიკელ მოქალაქეებს დამატებით ანიჭებს სხვადასხვა განუყოფელ უფლებას. მათ ხშირად ძირითად უფლებებს უწოდებენ. ყველა ეს უფლება მიმართულია იმისკენ, რომ ინდივიდი სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისგან დაიცვას. საკონსტიტუციო სასამართლო სისტემა ყოველ მოქალაქეს აძლევს საშუალებას, სასამართლოს გზით მოითხოვოს ეს უფლებები.

ნეგატიური თავისუფლებები პოზიტიურის გარეშე

ე. წ. ძირითადი პოლიტიკური უფლებების ადრეული ტრადიცია დღემდე განსაზღვრავს ამერიკელი საზოგადოების მიერ ამ უფლებების აღქმას. მიუხედავად იმისა, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ განხორციელებული ანტიტერორისტული ღონისძიებების კონტექსტში ე. წ. ძირითადი სამოქალაქო უფლებები ან ნეგატიური თავისუფლებები ერთგვარად შეიზღუდა, ისინი აშშ-ში კვლავ მთავარ როლს ასრულებენ. ამასთანავე, შეინიშნება ეკონომიკური და სოციალური უფლებების, ე. ი. პოზიტიური თავისუფლებების დიდი დეფიციტი. მათ არც ამერიკის კონსტიტუცია აღიარებს და არც აშშ-ს არ აქვს ხელმოწერილი საერთაშორისო კონვენცია, რომელიც ამ უფლებების რეალიზებას გულისხმობს. ამერიკის კონსტიტუციაში სოციალური სახელმწიფოც არ არის ინსტიტუციონალიზებული. ამის შედეგად მოქალაქეებს ეძლევათ მხოლოდ სოციალური მომსახურების მიღების უფლება – იმ შემთხვევაში, თუ ისინი სადაზღვევო გადასახადს იხდიან ან ხელმოკლენი არიან. მაგრამ ხელმოკლე მოქალაქეებისთვის ეს უფლებები არ არის გარანტირებული; ასე რომ, კონგრესს ნებისმიერ დროს შეუძლია ტრანსფერების შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღება.

არაკოორდინირებული საბაზრო ეკონომიკა

პოლიტიკური ეკონომიკა
აშშ ლიბერალური ტიპის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არაკოორდინირებულ საბაზრო ეკონომიკებს განეკუთვნება. ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოები თავისუფლად კონკურირებენ ერთმანეთთან, ამასთანავე, არ თანამშრომლობენ ან არ აქვთ კოორდინაცია მთავრობასთან ან სოციალურ პარტნიორებთან. აშშ-ში ეკონომიკური აქტივობა ძირითადად მოგების მიღებისა და კეთილდღეობის გაზრდისკენაა მიმართული. (ზოგიერთი სფერო, როგორიცაა, მაგალითად, სოფლის მეურნეობა ან თავდაცვითი მრეწველობა, გამოთიშულია ამ წმინდა კონკურენტული მექანიზმიდან.)

აქციათა საბირჟო ღირებულებაზე ორიენტირება

პროფკავშირები და დამსაქმებელთა გაერთიანებები ბოლო წლებში სულ უფრო მეტ წევრს კარგავდნენ და ისინი არანაირ გავლენას აღარ ახდენენ სატარიფო მოლაპარაკებებსა თუ სამუშაო პირობების განსაზღვრაზე. ანაზღაურების თაობაზე მოლაპარაკებები აშშ-ში საწარმოო დონეზე მიმდინარეობს და დასაქმებულთა სამსახურიდან გათავისუფლებისგან დაცვის მექანიზმი ძალზე სუსტია. ეს ეკონომიკას და განსაკუთრებით დამსაქმებლებს მაღალი ხარისხის მოქნილობას ანიჭებს; ასე რომ, მათ შეუძლიათ სწრაფად დაასაქმონ და ასევე სწრაფად გაათავისუფლონ თანამშრომელი. ამის შესაბამისად მოქმედებს განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა, რომელიც დასაქმებულებს ზოგად უნარებსა და ცოდნას სთავაზობს.

აშშ-ის ფინანსური სისტემაც მთლიანად მოქნილობაზეა ორიენტირებული. საწარმოები, როგორც წესი, კაპიტალის ბაზრის საშუალებით ფინანსდება, რის გამოც აქციათა საბირჟო ღირებულებას და მოკლევადიან საწარმოო მოგებას უმაღლესი პრიორიტეტი ენიჭება. აშშ-ში თითქმის არ ხდება საწარმოებისა და ბანკების შერწყმა. საწარმოთა შორის ურთიერთობა საბაზრო პრინციპებს ან იურიდიული ძალის მქონე ხელშეკრულებებს ეფუძნება.

სოციალური სახელმწიფო – ამერიკული პრიორიტეტების სარკე

სოციალური სახელმწიფო
მე-20 საუკუნის დასაწყისამდე აშშ-ში ძალზე რუდიმენტული სოციალური უზრუნველყოფის სისტემა არსებობდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1937 წელს მიღებულ იქნა სოციალური უზრუნველყოფის კანონი („Social Security ct"), ეს სისტემა მთელი ქვეყნის მასშტაბით დაინერგა. ის მოიცავს შენატანებზე დაფუძნებულ საპენსიო სისტემას, სოციალურ დახმარებას ხელმოკლე ოჯახების, ბავშვებისა და მოხუცებისთვის, ასევე უმუშევრობის დაზღვევის ფედერალურ პროგრამას. მიუხედავად ამისა, აშშ-ში დღეს ლიბერალურ სოციალურ სახელმწიფოზე საუბრობენ, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული მომსახურება არ არის მოცულობითი და ნაკლებად უწყობს ხელს რესურსების გადანაწილებას. სოციალური მომსახურების მესამედს კერძო ფირმები უზრუნველყოფენ. ამის ერთ-ერთი მიზეზია ამერიკელი საზოგადოების პოლიტიკური კულტურა, ასევე ამასთან დაკავშირებული ფაქტი, რომ აშშ-ს ძირითადად მართავდნენ რესპუბლიკელები ან დემოკრატთა მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლები, რომელთა პრიორიტეტი ნაკლებად იყო სოციალური სახელმწიფო. შესაბამისად, სოციალური უზრუნველყოფის პრინციპი შეტანილი წვლილის ოდენობაზეა ორიენტირებული და საარსებო მინიმუმი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში გაიცემა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სიღარიბის გავრცელება.

უმუშევრობის დაზღვევა

უმუშევრობის დაზღვევა: მიუხედავად იმისა, რომ დახმარების ოდენობას და შესაბამის პროგრამებს ცალკეული შტატი განსაზღვრავს, უმუშევრობის დაზღვევას აშშ-ში ცენტრალური ხელისუფლება აფინანსებს. უმუშევრებს ექ-

ვსი თვის განმავლობაში ეძლევათ დახმარება, რომელიც გამონაკლის შემთხვევაში რამდენიმე კვირით შეიძლება გაგრძელდეს. უმუშევრობის შემწეობის ოდენობაა ბოლო ხელფასის 30%-იდან 40%-მდე.

სოციალური დახმარება

სოციალური დახმარება: აშშ-ში სოციალური დახმარება არის სიღარიბის წინააღმდეგ მიმართული საშუალება, რომელიც მხოლოდ ღატაკებს მოიცავს და ხშირად დაღის დასმასთანაა გაიგივებული. არსებობს ასევე პროგრამები განსაზღვრული ჯგუფებისთვის, როგორებიც არიან, მაგალითად, უმწეო ბავშვები ან ხელმოკლე ოჯახები. ფინანსური სახსრების გარდა, ისინი ხშირად იღებენ კონკრეტული სახის დახმარებას, როგორიცაა კვების ტალონები.

პენსია

პენსია: პენსია აშშ-ში შენატანების ხარჯზე ფინანსდება. მოქალაქეები იხდიან ე. წ. საშემოსავლო გადასახადს, რომელიც მათ საპენსიო უფლებას ანიჭებს. ეს უფლება მხოლოდ იმ ადამიანებს ეძლევათ, რომლებიც ადრე ხელფასს იღებდნენ და შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის გადახდა შეეძლოთ, დანარჩენები კი სოციალური დახმარების ამარა რჩებიან. ამასთანავე, არსებობს საშემოსავლო გადასახადის ზედა ზღვარი, რაც იმას ნიშნავს, რომ დიდი შემოსავლის მქონე ადამიანებს ნაკლები საგადასახადო ვალდებულება ეკისრებათ.

ჯანდაცვის სისტემა

ჯანდაცვის სისტემა: აშშ-ში არ არსებობს უნივერსალური, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ჯანდაცვის სისტემა. ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა მოიცავს მხოლოდ სამ ჯგუფს: სამხედროებს, 65 წელზე მეტი ასაკის ადამიანებს და ხელმოკლე მოქალაქეებს; ამასთანავე, მუდმივად იზრდება განსაკუთრებით ბოლო ჯგუფი. პრობლემა ისიც არის, რომ სულ უფრო მეტი ექიმი აცხადებს უარს აღნიშნულ პაციენტთა მომსახურებაზე, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო ანაზღაურება ამ ადამიანების მკურნალობისთვის ძალიან დაბალია და ექიმების ძალისხმევას არ შეესაბამება.

განათლების სისტემა

განათლების სისტემა

სასკოლო განათლების სისტემა აერთიანებს საეკლესიო და საჯარო სკოლებს; ამასთანავე, საჯარო სკოლების ორგანიზება და დაფინანსება ადგილობრივ დონეზე ხდება. თვითრეგულირებისა და ჩართულობის კუთხით, ეს სისტემა მოგებიანი გახლავთ, თუმცა მას დიდ მრავალფეროვნებასთან და ხარისხში უზარმაზარ განსხვავებებთან მივყავართ. ვინაიდან სკოლები საშემოსავლო გადასახადებით ფინანსდება, მდიდარი მუნიციპალიტეტები განათლების სისტემაში დიდი თანხების ინვესტირებას ახდენენ, მაშინ, როცა უფრო ღარიბ ადგილობრივ ხელისუფლებას განათლების დაფინანსების ნაკლები საშუალება აქვს. ამდენად, სასკოლო განათლების ხარისხს ძალიან ხშირად ის განსაზღვრავს, თუ სად და რა გარემოში იზრდება ადამიანი. მიუხედავად ამისა, ამერიკულმა განათლების სისტემამ მიაღწია უმაღლეს მაჩვენებელს უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების რაოდენობის მიხედვით.

დასკვნა

აშშ-ის პოლიტიკური სისტემისა და სოციალური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელია სუსტი, პასიური სახელმწიფო, რომლის მიზანია, ინდივიდებს მაქსიმალური (ნეგატიური) თავისუფლება მიანიჭოს. ძირითადი პოლიტიკური უფლებები პრიორიტეტით სარგებლობს, მაშინ, როცა სოციალურ და ეკონომიკურ ეფლებებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ამის შედეგია ის, რომ სახელმწიფო სუსტად არეგულირებს ბაზარსა თუ საზოგადოებას ან საერთოდ არ ახორციელებს რეგულაციას და თავს არიდებს შესაბამის საერთაშორისო შეთანხმებებს.

ეს გახლავთ ფრაგმენტული, ფედერალური პოლიტიკური სისტემისა და ლიბერალური, რელიგიური და რესპუბლიკური კულტურის შედეგი. ამან მიიყვანა აშშ იქამდე, რომ მას საკმაოდ მაღალი ეკონომიკური ინდიკა-

აშშ		
დასაქმების დონე 2006 წ.	**72,0%**	შრომისუნარიან (15–64 წლის) ადამიანთა წილი მთლიანი მოსახლეობის მიმართ (წყარო: **Eurostat**)
ქალთა დასაქმების დონე 2006 წ.	**66,1%**	შრომისუნარიან (15–64 წლის) ქალთა წილი მთლიანი მდედრობითი სქესის მოსახლეობის მიმართ (წყარო: **Eurostat**)
უმუშევრობის დონე 2006 წ.	**4,1%**	უმუშევართა წილი დასაქმებული მოსახლეობის მიმართ (წყარო: **Eurostat**)
ხანგრძლივი უმუშევრობის დონე 2006 წ.	**0,5%**	ხანგრძლივი (12 თვე და მეტი) უმუშევრობის წილი დასაქმებული მოსახლეობის მიმართ (წყარო: **Eurostat**)
შემოსავლების უთანასწორობა / ჯინის კოეფიციენტი 2006 წ.	**40,8%**	შემოსავლების არათანაბარი გადანაწილების მაჩვენებელი; რაც უფრო მაღალია იგი, მით უფრო დიდია უთანასწორობა (წყარო: **Human Development Report** 2006)
სიღარიბის ინდექსი 2006 წ.	**15,4%**	სიღარიბის ინდექსი დგება სხვადასხვა ინდიკატორისგან (სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, განათლების დონე, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და სხვ.), 0=მინ. **(min.)** სიღარიბე, 100=მაქს. **(max.)** სიღარიბე (წყარო: **Human Development Report** 2006)
განათლება: წარმატების სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე დამოკიდებულება 2006 წ.	**17,9%**	წარმატების სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე დამოკიდებულება (წყარო: OECD, PISA-კვლევა 2006)
პროფკავშირების ორგანიზებულობის ხარისხი, 2003 წ.	**12,4%**	პროფკავშირებში ორგანიზებული შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი (წყარო: **Visser, 2006 წ., 'Union Membership Statistics in 24 countries', Monthly Labor Review, vol. 129, no.1,** გვ. 38–49.)

ტორები აქვს, მაგალითად, ეკონომიკური ზრდის კუთხით, თუმცა მოსახლეობის სოციალური ჩართულობის ხარისხი მეტად დაბალია.
ამდენად, სხვა მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებთან შედარებით აშშ-ს სიღარიბის ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელი აქვს. საკმაოდ დიდია ასევე ჯინის კოეფიციენტი, რომელიც უთანასწორობის დონეს ასახავს. თუ აშშ-ს სოციალური დემოკრატიის კრიტერიუმებით, კერძოდ, პოზიტიური და ნეგატიური თავისუფლებების უზრუნველყოფის კუთხით შევაფასებთ, ქვეყანა საკმაოდ დაბალ საფეხურზე იმყოფება. ძირითადი უფლებების, პოლიტიკური სისტემისა და სოციალური სახელმწიფოს განხილვით დგინდება, რომ ყველა მიმართულებით უხვადაა ლიბერტარული ელემენტები. ინტერპრეტაციის საკითხია, თუ როგორ დავახასიათებთ აშშ-ს – როგორც დაბალი ხარისხის სოციალური დემოკრატიის თუ მაინც ლიბერტარულ ქვეყანას. ეს უკანასკნელი წმინდა სახით მხოლოდ თეორიაში გვხვდება, ვინაიდან აშშ-შიც კი არსებობს სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, თუმცა ძალზე რუდიმენტული.

ბუშის მთავრობა აშშ-ს ლიბერტარული იდეების სულისკვეთებით მართავდა, განსაკუთრებით ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში; გამონაკლისი იყო საშინაო და უსაფრთხოების პოლიტიკა 11 სექტემბრის მომდევნო პერიოდში. ამერიკის მთავრობის უახლესი ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, რომ კვლავ შემცირდეს სოციალური მომსახურება და მოხდეს მისი პრივატიზება. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს დაველოდოთ. მაგრამ ვინაიდან დემოკრატებს, ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიებისგან განსხვავებით, სოციალური საკითხები ნაკლებად პრიორიტეტულად მიაჩნიათ, პოლიტიკური თვალსაზრისით დიდ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ.

დამატებითი ლიტერატურა:

ლიუ ჰინჩმანი (2006), აშშ: რუდიმენტული სოციალური სახელმწიფო და ლიბერტარული დემოკრატია, წიგნში: თომას მაიერი (რედ.), სოციალური დემოკრატიის პრაქტიკა, ვისბადენი, გვ. 327–373.

ვინანდ გელნერი და მარტინ კლაიბერი (2007), აშშ-ის მმართველობის სისტემა. შესავალი. ბადენ-ბადენი.

5.2. დიდი ბრიტანეთი

ავტორი: კრისტიან კრელი

სოციალური დემოკრატიის დაბალი ხარისხი

სოციალური დემოკრატიის თეორიის ფარგლებში დიდი ბრიტანეთი სოციალური დემოკრატიის რეალიზების დაბალი ხარისხით ხასიათდება. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ მოქმედებს ძირითადი სოციალური და ეკონომიკური უფლებები სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან ერთად. ასევე ნაწილობრივ არსებობს ძირითად უფლებებზე დაფუძნებული სოციალური სახელმწიფოს ელემენტები. თუმცა სოციალური უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხრიდან დაბალ დონეზე ხორციელდება. ძირითადი უფლებები ფორმალურად ძალაშია, თუმცა რეალურად ხშირად არ მოქმედებს. ამიტომ დიდი ბრიტანეთი – თუ სოციალური და ლიბერტარული დემოკრატიის კატეგორიებით ვიხელმძღვანელებთ – სოციალური დემოკრატიის უკიდურეს ზღვარზეა.

სოციალური სახელმწიფოს ადრეული ფორმირება

ის ფაქტი, რომ სოციალური სახელმწიფო დიდ ბრიტანეთში საკმაოდ სუსტადაა წარმოდგენილი, გაკვირვებას იწვევს, ვინაიდან სოციალური სახელმწიფოს ელემენტები აქ უფრო ადრე განვითარდა, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში. ვაჭრობის გაფართოებასთან და ტექნიკური სიახლეების გავრცელებასთან ერთად მე-18 საუკუნიდან იმატა არა მარტო საწარმოო მოგებამ, არამედ ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებულმა სოციალურმა პრობლემებმაც, როგორებიცაა: სიღარიბე, ცუდი კვება და ჯანმრთელობის გაუარესება, ბავშვთა შრომა და სუსტი სოციალური დაცვა.

აღნიშნული სოციალური გამოწვევების დასაძლევად დიდ ბრიტანეთში საკმაოდ ადრე წარმოიშვა სოციალური სახელმწიფოს ელემენტები. თუმცა სრულყოფილი სოციალური სახელმწიფოს შექმნამდე საქმე არ მისულა. ამის მიზეზები, პირველ რიგში, დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ-კულტურული სტრუქტურების სიღრმეებში უნდა ვეძებოთ. ბრიტანულ პოლიტიკურ კულტურაში ლიბერალიზმს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და ახლაც უკავია. ამის საფუძველზე, მართალია, განვითარდა თავისუფალი ვაჭრობა და გაიზარდა ეკონომიკური კეთილდღეობა, გარკვეულწილად გაფართოვდა პოლიტიკური უფლებებიც, თუმცა სოციალურ საკითხებში სახელმწიფოს ჩარევა უარყოფილი იყო. მე-18 და მე-19 საუკუნეებში სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებით იმოქმედა ლიბერალების ჩაურევლობის კრედომ: „Government shall not interfere" („მთავრობა არ უნდა ჩაერიოს").

ამის მიუხედავად სუსტი სოციალური სახელმწიფო

სოციალური მომსახურების კუთხით სახელმწიფოს სისუსტის ნაწილობრივი კომპენსირება ქველმოქმედებითა და ფილანთროპიით ხდებოდა. მრავალი საქველმოქმედო ორგანიზაციისა და კერძო შემოწირულების საფუძველზე შეიქმნა გაერთიანებული სამეფოსთვის დამახასიათებელი და დღესაც მოქმედი არასა-

ხელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სტრუქტურა. თუმცა პრობლემური იყო და არის ის ფაქტი, რომ ეს სისტემა ვერ მოიცავს ყველა ხელმოკლე მოქალაქეს. მე-19 საუკუნეში დიდ ბრიტანეთში ჩამოყალიბდა მრავალრიცხოვანი, გარკვეულწილად საკმაოდ ძლიერი პროფკავშირები. გერმანიისგან განსხვავებით, ისინი ერთიან პროფკავშირად არ გაერთიანებულან და დღემდე ცალ-ცალკე მოქმედებენ.

პროფკავშირული მოძრაობიდან წარმოიშვა1900 წელს ლეიბორისტული პარტია – ბრიტანული სოციალ-დემოკრატია. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ლეიბორისტული პარტია დიდ ბრიტანეთში სიდიდით მეორე ძალა გახდა და 1945 წელს პირველად მოვიდა ხელისუფლებაში. მისი მმართველობის პერიოდში მნიშვნელოვანწილად მოხერხდა ბრიტანული სოციალური სახელმწიფოს გაძლიერება.

ომისშემდგომი კონსენსუსი და „საზოგადოებრივი კონტრაქტი"

ამ სოციალურ სახელმწიფოს მთლიანობაში მხარი დაუჭირა როგორც კონსერვატიულმა, ისე ლეიბორისტულმა პარტიამ. ამიტომ დიდ ბრიტანეთში ხშირად საუბრობენ ბრიტანულ ომისშემდგომ კონსენსუსზე, ანუ, საზოგადოების ყველა ფენას შორის „საზოგადოებრივ კონტრაქტზე" („social contract").

ტეტჩერის ერა

მე-20 საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს კონსერვატორმა პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა „საზოგადოებრივი კონტრაქტის" დასრულება გამოაცხადა და „სახელმწიფოს საზღვრების" („frontiers of the state") შეზღუდვა მოითხოვა. ომისშემდგომი პოლიტიკური კონსენსუსის საპირისპიროდ მან განაცხადა, რომ სახელმწიფო არ არის პასუხისმგებელი სრული დასაქმებისთვის. ტეტჩერის მოსაზრებით, სახელმწიფოს ნებისმიერი ჩარევა ეკონომიკური ძალების თავისუფალ კონკურენციაში მიუღებელი იყო. მისი აზრით, სახელმწიფო, პირველ რიგში, იმაზე უნდა ყოფილიყო კონცენტრირებული, რომ მოეხდინა ეკონომიკური აქტივობისთვის საჭირო გარემოს სტაბილიზაცია – განსაკუთრებით ფულადი მასის კუთხით. კონსერვატორთა, და კერძოდ, ტეტჩერის მმართველობის ფაზა (1979–1997)Aხასიათდებოდა პრივატიზაციით და დერეგულაციით ბრიტანეთის ეკონომიკის ბევრ სექტორში.

ტეტჩერის პოლიტიკის შედეგად დიდ ბრიტანეთში საგრძნობლად იმატა სიღარიბის მაჩვენებლებმა და სოციალურმა უთანასწორობამ. ეს და სხვა ინდიკატორები ცხადყოფს, რომ ტეტჩერის ერის ბოლო ეტაპს ნაკლებად შეიძლება ვუწოდოთ სოციალური დემოკრატია.

ტონი ბლერი და ლეიბორისტული პარტია

მხოლოდ 1997 წელს ტონი ბლერისა და ლეიბორისტული პარტიის არჩევის შემდეგ დაიწყო დიდმა ბრიტანეთმა კვლავ მზარდი განვითარება სოციალური დემოკრატიის მიმართულებით. ლეიბორისტთა განცხადებული მიზანი, სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში ყველა მოქალაქე ჩაერთოთ, მხარდაჭერილ იქნა მრავალი კონკრეტული ზომით; საჯარო სამსახურების მასობრივი გაფართოება, განსაკუთრებით ჯანდაცვისა და განათლების სექტორებში, გამიზნული ბრძოლა სიღარიბესთან და მინიმალური ხელფასის ოდენობის შემოღება – ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმის საჩვენებლად, რომ დიდი ბრიტანეთი კვლავ ინტენსიურად ვითარდებოდა სოციალური დემოკრატიის მიმართულებით.

განსაკუთრებულად ლიბერალური შრომითი ბაზრის შენარჩუნებამ და ტეტჩერის ერის ლიბერალურმა ეკონომიკურმა წყობამ, სახელმწიფოს ბლერისეულმა ავტორიტარულმა გაგებამ და – რაც ასევე მნიშვნელოვანია – დიდი ბრიტანეთის, როგორც აშშ-ის მჭიდრო მოკავშირის, ერაყის პოლიტიკამ განაპირობა ის, რომ ბრიტანული „მესამე გზა" სადავო გახდა.

პოლიტიკური სისტემა

დიდი ბრიტანეთი სამართლიანად არის მიჩნეული ევროპის ერთ-ერთ უძველეს დემოკრატიად. ამავე დროს, ბრიტანულ პოლიტიკურ სისტემას ახასიათებენ, როგორც „არჩევით დიქტატურას" („elective dictatorship"). როგორ ესადაგება ერთი მეორეს?

ბრიტანეთის პარლამენტი

თუ ინგლისის ისტორიას მოკლედ მიმოვიხილავთ, ეს მოჩვენებითი წინააღმდეგობა ადვილად გვარდება. „სახელოვანი რევოლუციის" („Glorious Revolution") (1688/89) დროიდან მუდმივად იზრდება ბრიტანეთის პარლამენტის მნიშვნელობა. საუკუნეთა განმავლობაში უფლებები, რომლებიც მონარქს განეკუთვნებოდა, გადადიოდა ბრიტანეთის პარლამენტზე, რომელიც ქვედა და ზედა პალატებისგან შედგება. ღრმა რევოლუციური ცვლილებები, რომლებმაც ევროპის ბევრ სახელმწიფოში ძალაუფლების გადანაწილება გამოიწვია, დიდ ბრიტანეთში არ მომხდარა. ძალაუფლებას, რომელიც მეტწილად მონარქის ხელში იყო კონცენტრირებული, ამჟამად ძირითადად ბრიტანეთის პარლამენტი ფლობს.

ამის გამო პარლამენტი სარგებლობს პრაქტიკულად განუსაზღვრელი სუვერენიტეტით, რომელიც არ იზღუდება არც უმაღლესი სასამართლო ხელისუფლებით და არც კონსტიტუციით. დღეს უმაღლესი სუვერენიტეტი, პირველ რიგში, ქვედა პალატის უმრავლესობის ფრაქციის ლიდერის – დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის – ხელშია კონცენტრირებული.

ძლიერი მთავრობა

მთავრობის ძალაუფლება უფრო მეტად ძლიერდება ორი დამატებითი ფაქტორით: ჯერ ერთი, ცენტრალისტური სახელმწიფო მოწყობის გამო ცენტრალური ხელისუფლების საკანონმდებლო საქმიანობა არ იზღუდება ძლიერი რეგიონებითა თუ ფედერალური მიწებით; და მეორეც – მარტივი მაჟორიტარული საარჩევნო უფლება განაპირობებს იმას, რომ საბოლოოდ არჩევნებში მუდამ ერთი

ძალა იმარჯვებს. კოალიციური მთავრობების ჩამოყალიბება – ზოგადეროვნული კრიზისების პერიოდების გარდა – დიდ ბრიტანეთში არც მიღებულია და არც აუცილებელი: ხელისუფლებაში რიგრიგობით მოდიან ხან კონსერვატორები, ხან ლეიბორისტები. ამ ორი დომინანტი პარტიის გარდა, აღნიშვნის ღირსია ლიბერალური პარტია, როგორც მესამე ანგარიშგასაწევი ძალა ბრიტანულ პარტიულ სისტემაში. სხვა პარტიებმა, არსებული მაჟორიტარული საარჩევნო უფლებიდან გამომდინარე, ვერ მოახერხეს ეროვნულ დონეზე დამკვიდრება.

სოციალური დემოკრატიის განვითარების პერსპექტივა

ცენტრალისტური სახელმწიფო მოწყობა, ერთი პარტიის დომინირება და სუვერენული პარლამენტი განაპირობებს იმას, რომ მთავრობას პოლიტიკის ფორმირების უაღრესად დიდი შესაძლებლობა აქვს. ამდენად, აქ შესაძლებელია პოლიტიკური კურსის სწრაფი და საფუძვლიანი ცვლილება. ასე რომ, სოციალური დემოკრატიის განვითარებას დიდ ბრიტანეთში უკეთესი პერსპექტივა აქვს, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

ადრეული ძირითადი უფლებები

ძირითადი უფლებების სისტემა

დიდ ბრიტანეთში ასევე ერთგვარი მოჩვენებითი წინააღმდეგობა არსებობს ძირითად უფლებებთან მიმართებით: ერთი მხრივ, „თავისუფლებათა დიდი ქარტიის" („Magna Charta") (1215) ან „უფლებათა შესახებ პეტიციის" („Petition of Rights") მიღებით პირველი ძირითადი უფლებები გარანტირებულ იქნა შედარებით ადრინდელ ეტაპზე – თავდაპირველად მოქალაქეთა მხოლოდ მცირე ჯგუფისთვის. აღნიშნული უფლებები, პირველ რიგში, თავნებობის წინააღმდეგ იყო მიმართული; ამდენად, ეს გახლდათ ნეგატიური თავისუფლებები. მეორე მხრივ, დიდ ბრიტანეთში არ არსებობს ქაღალდზე ჩამოყალიბებული კონსტიტუცია; ასე რომ, ძირითადი უფლებების ჩამონათვალი მასში ვერ იქნება მოცემული.

ამასთანავე, 1976 წელს დიდმა ბრიტანეთმა მოახდინა როგორც ძირითადი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების, ისე ძირითადი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ გაეროს პაქტების რატიფიცირება.1998 წელს ბრიტანულ სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაც აისახა.

ხორციელდება თუ არა ძირითადი უფლებები რეალურად?

ამ ფორმალური აღიარების მიუხედავად, ვერ დასტურდება, რომ დიდ ბრიტანეთში ძირითადი უფლებები ყველა სფეროში რეალურად ხორციელდება. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ტრადიციულად მაღალია სიღარიბის მაჩვენებლები, რაც წარმოშობს კითხვას – რამდენად რეალიზებულია აქ ღირსეული ცხოვრების უფლება.
მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში ლეიბორისტული მთავრობა მოვიდა, ზოგიერთი ძირითადი უფლება უფრო მეტად უზრუნველყოფილი გახდა, ვიდრე მანამდე იყო. მაგალითისთვის დავასახელებთ 1999 წლიდან მოქმედ მინიმალური ხელფასის ოდენობას, ან დამსაქმებელთა მიმართ მოთხოვნას, არასრულ განაკვეთზე დასაქმებულები უზრუნველყონ ისეთივე ხელფასითა და შრომის პირობებით, როგორიც სრულ განაკვეთზე დასაქმებულთათვისაა გათვალისწინებული.

ბაზრის დიდი მნიშვნელობა

პოლიტიკური ეკონომიკა

დიდი ბრიტანეთი ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის კლასიკური მაგალითია. კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკებისგან განსხვავებით, კონკურენტული ბაზრები აქ საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

ბაზრის დიდი მნიშვნელობა იკვეთება ანაზღაურების თაობაზე დამსაქმებელთა და დასაქმებულთა მოლაპარაკებების დროს. ვინაიდან დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებები სუსტად არის განვითარებული და თანაც დაქსაქსულია, ხშირად ანაზღაურების ოდენობა დასაქმებულსა და საწარმოს შორის ინდივიდუალური მოლაპარაკებით დგინდება. ამასთანავე, მისი ოდენობა შრომითი ბაზრის მდგომარეობაზეა დამოკიდებული. დიდ ბრიტანეთში პრაქტიკულად არ არსებობს წარმოების მართვაში დასაქმებულთა თანამონაწილეობის გამოცდილება, როგორიცაა, მაგალითად, გერმანიის სამთო-მეტალურგიულ მრეწველობაში.

მოქნილი შრომითი ბაზარი

დაცვის სუსტი სისტემის გამო დიდ ბრიტანეთში დასაქმებულთა სამსახურიდან გათავისუფლება საკმაოდ ადვილია. თუმცა კვალიფიციური მუშაკები, როგორც წესი, იოლად პოულობენ სამუშაო ადგილს მოქნილ შრომით ბაზარზე. მთლიანობაში, დასაქმებულები ერთსა და იმავე საწარმოში დიდხანს არ ჩერდებიან; ამიტომ დასაქმებულთა დაინტერესება, აიმაღლონ სპეციალური კვალიფიკაცია, რომელიც ამა თუ იმ ფირმას ან დარგს ესაჭიროება, დაბალია. ამით არის განპირობებული შრომის შედარებით დაბალი პროდუქტიულობა, რომელიც დიდ ბრიტანეთს საერთაშორისო დონეზე ახასიათებს.

ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკებში საწარმოები საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვას მეტწილად ფინანსური ბაზრების საშუალებით ახდენენ და ამიტომ ინვესტიციების სწრაფი უკუგებით არიან დაინტერესებული. ბანკების მეშვეობით მიმდინარე გრძელვადიანი დაფინანსების პრაქტიკა აქ ფაქტობრივად უცნობია. ამდენად, ბრიტანეთის ეკონომიკა უფრო მოკლევადიან პერსპექტივასა და სწრაფ მოგებაზეა ორიენტირებული.

სოციალური სახელმწიფოს ჰიბრიდული ხასიათი

სოციალური სახელმწიფო

დიდი ბრიტანეთის, როგორც სოციალური სახელმწიფოს, შედარებით კვლევებში ის ხშირად „ჰიბრიდულად" ხასიათდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრიტანულ სოციალურ სახელმწიფოზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ლოგიკური მიდგომა, რომლებიც, ჩვეულებრივ, ერთ სისტემაში ვერ თავსდება. მაგალითად, სოცია-

ლური სახელმწიფოს ზოგიერთი მომსახურება – ვთქვათ, ჯანდაცვის სფეროში – უნივერსალური პრინციპით, დიდ ბრიტანეთში მცხოვრები ყველა ადამიანისთვის ხელმისაწვდომია, სხვა მომსახურებების უზრუნველყოფა კი ხდება მხოლოდ მათი საჭიროების საფუძვლიანი შემოწმების შემდეგ, რომელიც მრავალ ადამიანს დამამცირებლად მიაჩნია. მიუხედავად ამ განსხვავებული ნიშნებისა, დიდი ბრიტანეთი ლიბერალურ სოციალურ სახელმწიფოდ განიხილება. აქ ელემენტარულ რისკებს სოციალური სახელმწიფო უზრუნველყოფს, ხოლო ყველა დანარჩენი მოთხოვნილება, რომლებიც მინიმალურ ზღვარს აღემატება, თავისუფალი ბაზრის საშუალებით კმაყოფილდება.

ჯანდაცვის სისტემა

ჯანდაცვის სისტემა: ჯანდაცვის ეროვნული სამსახური (National Health Service) ბრიტანული სოციალური სახელმწიფოს ღერძია. ის საგადასახადო სახსრებით ფინანსდება და მოსახლეობას უფასო სამედიცინო მომსახურებით, აუცილებელი დამატებითი საშუალებებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფს. აღნიშნული სამსახურის უპირატესობა, უნივერსალურობასთან ერთად, მისი მაღალი გამჭვირვალობაა, თუმცა ათწლეულების განმავლობაში სამსახური დაფინანსების ქრონიკული პრობლემის წინაშე დგას. ამის შედეგად წარმოიშვა უზრუნველყოფის დეფიციტი, რომელიც სხვადასხვა ოპერაციის მოლოდინში ხანგრძლივი რიგებით გამოიხატებოდა. ამის გამო 2000 წლიდან ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურს დიდი რაოდენობის დამატებითი სახელმწიფო სახსრები გამოეყოფა.

სოციალური დაზღვევა

სოციალური დაზღვევა: ეროვნული დაზღვევის სისტემა მოიცავს დაზღვევას სხვადასხვა რისკისგან, როგორებიცაა: სიბერე, უმუშევრობა, უბედური შემთხვევა, ინვალიდობა და ა.შ. ეროვნული დაზღვევის სისტემა ფინანსდება შენატანებით, რომელთა ოდენობა შემოსავლების სიდიდით განისაზღვრება. თუმცა მომსახურებების უზრუნველყოფა, როგორც წესი, ერთნაირი მოცულობით ხდება და საბაზისო მოთხოვნილებების დონეს გულისხმობს. ვისაც დამატებითი მომსახურება სურს, თავისუფალი ბაზრის არჩევანს უნდა მიმართოს.

სოციალური დახმარება

სოციალური დახმარება: ეროვნული დახმარების სისტემა უზრუნველყოფს იმ მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომ მომსახურებებს, რომლებსაც თავიანთი შენატანების მიხედვით არ აქვთ სარგებლობის უფლება და კერძო დაზღვევის შესაძლებლობასაც მოკლებული არიან. ეს მომსახურებები გადასახადებით ფინანსდება და მოთხოვნილებებზეა ორიენტირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მომსახურებებით სარგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ დადასტურდება, რომ მათი მიმღები პირები ნამდვილად ხელმოკლენი არიან და დახმარების მიღების არანაირი სხვა საშუალება არ აქვთ.

განათლების სისტემა

დიდი ბრიტანეთის სასკოლო განათლების სისტემა აერთიანებს საჯარო და კერძო – ფასიან – სკოლებს. ბრიტანული განათლების სისტემის ამგვარი დაყოფა წარმოქმნის სიტუაციას, როდესაც ზოგადი და პროფესიული განათლების დეფიციტია, თუმცა ხერხდება მცირე, მაღალკვალიფიციური ელიტის აღზრდა. მკვეთრია სოციალური სტატუსისა და მოსწავლეთა მოსწრების ურთიერთდამოკიდებულება. ამდენად, განათლების სისტემის რეფორმირება და შემდგომი განვითარება იყო და არის ლეიბორისტული მთავრობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. ამასობაში სახელმწიფომ უკვე მიმართა მნიშვნელოვანი ინვესტიციები განათლების სექტორში. ამავე დროს, განხორციელდა ისეთი სადავო ღონისძიება, როგორიცაა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გადასახადის შემოღება.

დიდი ბრიტანეთი		
დასაქმების დონე 2006 წ.	71,5%	შრომისუნარიან (15–64 წლის) ადამიანთა წილი მთლიანი მოსახლეობის მიმართ (წყარო: Eurostat)
ქალთა დასაქმების დონე 2006 წ.	65,8%	შრომისუნარიან (15–64 წლის) ქალთა წილი მთლიანი მდედრობითი სქესის მოსახლეობის მიმართ (წყარო: Eurostat)
უმუშევრობის დონე 2006 წ.	5,3%	უმუშევართა წილი დასაქმებული მოსახლეობის მიმართ (წყარო: Eurostat)
ხანგრძლივი უმუშევრობის დონე 2006 წ.	1,2%	ხანგრძლივი (12 თვე და მეტი) უმუშევრობის წილი დასაქმებული მოსახლეობის მიმართ (წყარო: Eurostat)
შემოსავლების უთანასწორობა / ჯინის კოეფიციენტი 2006 წ.	36%	შემოსავლების არათანაბარი გადანაწილების მაჩვენებელი; რაც უფრო მაღალია იგი, მით უფრო დიდია უთანასწორობა (წყარო: Human Development Report 2006)
სიღარიბის ინდექსი 2006 წ.	14,8%	სიღარიბის ინდექსი დგება სხვადასხვა ინდიკატორისგან (სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, განათლების დონე, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და სხვ.), 0=მინ. (min.) სიღარიბე, 100=მაქს. (max.) სიღარიბე (წყარო: Human Development Report 2006)
განათლება: წარმატების სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე დამოკიდებულება 2006 წ.	13,9%	წარმატების სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე დამოკიდებულება (წყარო: OECD, PISA-კვლევა 2006)
პროფკავშირების ორგანიზებულობის ხარისხი 2003 წ.	29,3%	პროფკავშირებში ორგანიზებული შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი (წყარო: Visser, 2006 წ., 'Union Membership Statistics in 24 countries', Monthly Labor Review, vol. 129, no.1, გვ. 38–49.)

დასკვნა

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან დიდი ბრიტანეთი კვლავ უფრო მეტად სოციალური დემოკრატიის მიმართულებით ვითარდება. იმავდროულად, ლეიბორისტული პარტიის მიზანია, ყველა მოქალაქე გაერთიანოს საზოგადოების რიგებში. ეს, პირველ რიგში, შრომით საქმიანობაში ადამიანების ჩართვით უნდა განხორციელდეს. სოციალური უზრუნველყოფა არ გულისხმობს მაქსიმალურად მეტი ადამიანისთვის მაღალი დონის მომსახურების გაწევას; იგი ორიენტირებულია ხელმოკლე მოქალაქეებზე, რომლებსაც დახმარება ნამდვილად ესაჭიროებათ. ამავე დროს, სოციალური მომსახურების უზრუნველყოფა ყოველთვის დაკავშირებულია იმ მოლოდინთან, რომ მისი მიმღები პირები აქტიურად იმოქმედებენ თვითდახმარების კუთხით.

სტაბილურმა ეკონომიკურმა ზრდამ და შრომითი ბაზრის გააქტიურებულმა პოლიტიკამ დიდი ბრიტანეთი, ერთი მხრივ, დასაქმების მაღალ მაჩვენებლებამდე და სიღარიბის შემცირებამდე და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდამდე მიიყვანა. მაგრამ ვინაიდან სიღარიბის მაჩვენებლები კვლავ მაღალია, სოციალური მომსახურების დონე – დაბალი და განათლების მიღების შანსი – არათანაბარი, დიდი ბრიტანეთი უწინდებურად არის დაბალი ხარისხის სოციალური დემოკრატიის ქვეყანა, რომელიც სოციალური დემოკრატიის უკიდურეს ზღვარზეა.

დამატებითი ლიტერატურა:

კრისტიან კრელი (2006), ჩამორჩენილი თუ ლიდერი – ბრიტანული სოციალური სახელმწიფო სოციალური დემოკრატიის სარკეში, წიგნში: თომას მაიერი (რედ.), სოციალური დემოკრატიის პრაქტიკა, ვისბადენი, გვ. 130–241.

ალექსანდერ პეტრინგი (2006), დიდი ბრიტანეთი, წიგნში: ვოლფგანგ მერკელი და სხვები (რედ.), სოციალური დემოკრატიის რეფორმირების უნარი, ვისბადენი, გვ. 119–153.

5.3. გერმანია

ავტორი: კრისტოფ ეგლე

სოციალური დემოკრატიის წარმატებული ისტორია?

იმ პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ იყო, ფედერაციული რესპუბლიკა[15] შეიძლება სოციალური დემოკრატიის „წარმატებული ისტორიის" ნიმუშად იქნეს მიჩნეული. თუ ზოგიერთს ნაცისტების ბატონობის დასრულების შემდეგ ეეჭვებოდა, რომ გერმანია ოდესმე (კვლავ) შეძლებდა მშვიდობიან და დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბებას, დღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დემოკრატიის სტაბილურობა და ადგილი, რომელიც მან მყარად დაიმკვიდრა ქმედით სამოქალაქო საზოგადოებაში, აღარავის აეჭვებს. ცხადია, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესი საბოლოოდ მხოლოდ მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს შედგა. ნაციზმიდან გამომდინარე სირცხვილი და ვაიმარის რესპუბლიკის მარცხი დღემდე ახდენს გავლენას გერმანიის პოლიტიკურ კულტურაზე. მისთვის დამახასიათებელია ნაციონალისტური რიტორიკის უარყოფა და ღრმად გამჯდარი სკეპტიციზმი ექსტრემიზმის ნებისმიერი ფორმის მიმართ. ამასთანავე, კომპრომისისა და „შუალედის" ძიება გერმანელებს მნიშვნელოვან სათნოებებად მიაჩნიათ.

„გერმანული მოდელი"

1945 წლის შემდეგ წარმატებულმა (რე)დემოკრატიზაციამ და მასთან ერთად „ეკონომიკურმა სასწაულმა" განაპირობა ის, რომ ეკონომიკური სიმძლავრის, პოლიტიკური სტაბილურობისა და სოციალური ბალანსის თითქმის უნიკალური შერწყმის საფუძველზე დიდი ხნის განმავლობაში გერმანია მიჩნეული იყო ნიმუშად დასავლეთის სხვა განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნებისთვის. გერმანული სოციალ-დემოკრატიაც ახდენდა საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ფედერაციული რესპუბლიკის სოციალურ და ეკონომიკურ წყობასთან და მას თავისი პოლიტიკური ღირებულებების რეალიზებად აღიქვამდა. 1976 წლის არჩევნებში სოციალ-დემოკრატიული პარტია „გერმანული მოდელის" მომხრედ გამოდიოდა. გერმანიის გაერთიანების შემდეგ გამოვლინდა სულ უფრო მეტი ნიშანი იმისა, რომ ფედერაციული რესპუბლიკა კარგავს ლიდერის პოზიციებს, ვინაიდან ის ჩამორჩა ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით. საგულისხმოა, რომ ნაწილი იმ ფაქტორებისა, რომლებიც მე-20 საუკუნის 80-იან წლებამდე „გერმანულ მოდელს" და მის წარმატებას განაპირობებდა, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში გერმანიის „ჩამორჩენის" მიზეზად განისაზღვრა. ეს, პირველ რიგში, ეხება სახელმწიფო მართვის სისტემას, რომელიც ვითომდა ანელებს ადაპტირებას

[16] ადგილის სიმცირის გამო, სამწუხაროდ, ვერ განვიხილავთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მაგალითს.

სახეცვლილ ეკონომიკურ პირობებთან (გლობალიზაციასთან) და სოციალური სახელმწიფოს გარკვეულ სტრუქტურებთან, რომლებიც ზოგიერთ დარგში დასაქმების შეფერხებას იწვევს (პირველ რიგში, დაბალკვალიფიციური მუშაკებისა და ქალებისთვის). თუმცა ისტორიულ წარმატებად არის მიჩნეული ძირითადი კანონის მოქმედება, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ გარდამავალი პერიოდის დოკუმენტად განიხილებოდა.

ნეგატიური და პოზიტიური უფლებები ძირითად კანონში

ძირითადი უფლებების სისტემა კონსტიტუციაში

ვაიმარის რესპუბლიკის მარცხიდან გამომდინარე, ძირითადი კანონის პირველ 20 მუხლში, როგორც ერთგვარი წინასახელმწიფოებრივი სამართალი, აისახა ფუნდამენტური პოლიტიკური თავისუფლებები და ადამიანის უფლებები, რომელთა არსის შეცვლა პარლამენტს არ ძალუძს. მათ განეკუთვნება ე. წ. ლიბერალური უფლებები, რომლებიც მოქალაქეების პირად ცხოვრებას სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისგან იცავს („ნეგატიური თავისუფლება"), და დემოკრატიული უფლებები, რომლებიც საზოგადოებაში ჩართულობას უზრუნველყოფს („პოზიტიური თავისუფლება"). სოციალური უფლებები, როგორიცაა, მაგალითად, შრომის, საცხოვრებელი ადგილის, განათლების ან მინიმალური შემოსავლის უფლება, ძირითად კანონში არ იხსენიება, თუმცა ისინი დაფიქსირებულია ზოგიერთი ფედერალური მიწის კონსტიტუციებში. ძირითადი კანონი არ აწესებს კონკრეტულ ეკონომიკურ სისტემას, თუმცა განსაზღვრავს გარკვეულ ბარიერებს როგორც არარეგულირებადი საბაზრო კაპიტალიზმის, ისე სოციალისტური გეგმური ეკონომიკის წინააღმდეგ. ძირითადი კანონის მე-14 მუხლში გარანტირებულია საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება, თუმცა ამავე დროს აღირებულია, რომ საკუთრებით სარგებლობა „უნდა ემსახურებოდეს საზოგადოების კეთილდღეობას". ამ პოსტულატმა „სოციალური საბაზრო ეკონომიკის" კონცეფციაში რეალისტური პოლიტიკური ასახვა ჰპოვა.

ძალაუფლების დანაწილებისა და ურთიერთკავშირის მაღალი ხარისხი

პოლიტიკური სისტემა

სახელმწიფო მართვის სისტემაც იმგვარად ჩამოყალიბდა, რომ დემოკრატიის რყევა სამომავლოდ გამორიცხულიყო. ამ მიზნით უზრუნველყოფილ იქნა ძალაუფლების დანაწილებისა და ურთიერთკავშირის მაღალი ხარისხი, რის შედეგადაც აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება შეზღუდულია ისე, როგორც მსოფლიოს არც ერთ სხვა დემოკრატიაში. აქვე უნდა აღინიშნოს ფედერალიზმი და ფედერალური მიწების მონაწილეობა ფედერალური კანონმდებლობის შექმნაში (ბუნდესრატის საშუალებით), ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი სტატუსი, ფედერალური ბანკის (მოგვიანებით – ევროპის ცენტრალური ბანკი) დამოუკიდებლობა, სახელმწიფო ადმინისტრაციული ფუნქციების საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე დელეგირება, და ბოლოს, სოციალური პარტნიორების მონაწილეობა სოციალური დაზღვევის სისტემების მართვაში. სახელმწიფო ძალაუფლების ამგვარი „შეზღუდვების" გამო ამერიკელმა პოლიტოლოგმა პეტერ კატცენშტაინმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას „ნახევრად სუვერენული" სახელმწიფო უწოდა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ 1990 წლამდე ფედერციული რესპუბლიკა საგარეო პოლიტიკის სფეროშიც არ იყო სრულად სუვერენული.

პოლიტიკური პარტიების მთავარი როლი

ინსტიტუციურად დაფიქსირებულ იძულებას, სხვადასხვა ინტერესს შორის ბალანსი დამყარებულიყო, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისთვის არანაირი ზიანი არ მოუტანია. მის მმართველობის სისტემას მაღალი ეფექტიანობა და წარმომადგენლობითობა ახასიათებს. პარლამენტარიზმი სხვადასხვა საზოგადოებრივი პროცესისადმი საკმაოდ ღია აღმოჩნდა (მაგალითად, ახალი პარტიების წარმოშობის კუთხით) და სტაბილური მთავრობის შექმნის საშუალებას იძლევა. საკანონმდებლო საქმიანობაში ჩართულია გარე ექსპერტიზა; ამასთანავე, სისტემატურად მიმდინარეობს კონსულტაციები მიზნობრივი ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლებთან. პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებაში მთავარი როლის შემსრულებლები მაინც პოლიტიკური პარტიები არიან – ისევე, როგორც სახელმწიფო თანამდებობებზე კანდიდატების განსაზღვრისას. ამით ისინი მნიშვნელოვან, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის შუამავლის ფუნქციას ასრულებენ. ვინაიდან პარტიები მონაწილეობენ არა მარტო ფედერალური მთავრობის, არამედ 16 ფედერალური მიწის მთავრობების ფორმირებაშიც, ისინი იშვიათად გვევლინებიან მთლიანად მმართველი ან ოპოზიციური პარტიების როლში. ეს, პირველ რიგში, ეხება ორივე მსხვილ სახალხო პარტიას (სოციალ-დემოკრატიული პარტია და ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი/ქრისტიან-სოციალური კავშირი). ასე რომ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მუდმივად ფორმალური თუ არაფორმალური „დიდი კოალიციის" ჩრდილში იმყოფება. თანამშრომლობის მუდმივმა საჭიროებამ განაპირობა „შუა გზის პოლიტიკის" (მანფრედ გ. შმიდტი) გატარება, განსაკუთრებით ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში, რაც მთლიანად შეესაბამება ქვეყნის ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ კულტურას.

გერმანიის სტაბილიზაციაზე ორიენტირების ძლიერი და სუსტი მხარეები

თუმცა პარტიებს შორის კონკურენციამ და მმართველობის ფედერალურმა სისტემამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების დაბლოკვა ან ნაკლებად ოპტიმალური კომპრომისების მიღწევა პარტიის პოლიტიკურ-ტაქტიკური მოსაზრებების გამო. მსგავსი პროცესები განსაკუთრებით 1990 წლიდან შეინიშნება, როდესაც გერმანიის გაერთიანების შემდეგ ფედერაციის სუბიექტების რაოდენობა გაიზარ-

და და დაჩქარებული გლობალიზაციით განპირობებული ღონისძიებები უფრო სწრაფ ქმედებებს ითხოვდა. სტაბილიზაციაზე ორიენტირებული პოლიტიკური სისტემა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში წარმატების ფაქტორად იყო მიჩნეული, პრობლემური გახდა. ფედერალიზმის რეფორმის ფარგლებში ბოლო წლებში აშკარაა ცდა იმისა, რომ ეს სისტემა გადაწყვეტილებების მიღების კუთხით უფრო მოქნილი გახდეს.

პოლიტიკური ეკონომიკა

„კაპიტალიზმის რაინის მოდელი"

გერმანია მიჩნეულია ტიპურ ნიმუშად ე. წ. კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკისა, რომლის ფარგლებშიც საწარმოები ფინანსდება არა კაპიტალის ბაზრის საშუალებით, როგორც ეს ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკაში ხდება, არამედ პარტნიორი ბანკების გრძელვადიანი კრედიტებით. ამან განაპირობა ის, რომ სამრეწველო და საბანკო სექტორები ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული, რაც „რაინის კაპიტალიზმის" უმთავრესი მახასიათებელია. „მომთმენი კაპიტალის" საფუძველზე ამ მოდელში შესაძლებელია სტრატეგიული ბიზნესგადაწყვეტილებების უფრო ხანგრძლივი პერსპექტივით მიღება, ვიდრე აქციათა საბირჟო ღირებულებაზე ხანმოკლე ორიენტირების შემთხვევაში. „გერმანიის სააქციო საზოგადოებისთვის" დამახასიათებელია სხვა ქვეყნებთან შედარებით დასაქმებულთა ფართო თანამონაწილეობა როგორც საწარმოს მართვაში (სამუშაო ადგილებისა და სამუშაო პროცესის ორგანიზება, საკადრო საკითხები), ისე კომპანიის მართვაში (სააქციო საზოგადოებებისა და სხვა მსხვილი კომპანიების სამეთვალყურეო საბჭოებში დასაქმებულთა წარმომადგენლების საშუალებით). ყოველივე ამას ახლავს სოციალური ურთიერთობები, რომლებიც პარტნიორული თანამშრომლობით ხასიათდება. ანაზღაურების ოდენობის საკითხი წყდება თავისუფალი მოლაპარაკებებით დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შორის (სატარიფო ავტონომია), რომელთა უმეტესობა გაწევრებულია სათავო გაერთიანებებში. საგაფიცვო ბრძოლა აქ სხვა ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ იშვიათია და მეტწილად ხანმოკლე.

წარმოების მართვაში თანამონაწილეობა და სატარიფო ავტონომია

თუმცა ბოლო წლებში კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკის ამ მოდელის ერთგვარი დაშლა შეინიშნება. ამის მიზეზია, ერთი მხრივ, გლობალიზაცია და გერმანიის საწარმოების შესაბამისი სწრაფვა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო საფინანსო ბაზარში, და, მეორე მხრივ, სატარიფო და სოციალური ურთიერთობების ეროზია, ვინაიდან როგორც პროფკავშირებმა, ისე დამსაქმებელთა გაერთიანებებმა დაკარგეს ქმედითობა და, აქედან გამომდინარე, – კოორდინირების უნარი.

სოციალური სახელმწიფო

კონსერვატიულ-კორპორაციული სოციალური სახელმწიფო

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა თვალსაჩინო მაგალითია ე. წ. კონსერვატიულ-კორპორაციული სოციალური სახელმწიფოსი, რომელსაც „ქრისტიან-დემოკრატიულს" ან „ბისმარკისეულს" უწოდებენ. ეს ტერმინოლოგია მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ გერმანული სოციალური სახელმწიფო შეიქმნა, პირველ რიგში, არა სოციალ-დემოკრატთა, არამედ კონსერვატორთა და ქრისტიან-დემოკრატთა მიერ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოციალური სახელმწიფოს განვითარებაზე ერთდროულად ზრუნავდა მისი მხარდამჭერი ორი პარტია (ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი/ქრისტიან-სოციალური კავშირი და სოციალ-დემოკრატიული პარტია).

დიდი ფინანსური მოცულობის მიუხედავად, გერმანულ სოციალურ სახელმწიფოს მხოლოდ ზომიერი გადანაწილება ახასიათებს, ვინაიდან არსებული სოციალური განსხვავებები ხშირად შენარჩუნებულია. ამის მაგალითია სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის სოციალური დაზღვევისა და უზრუნველყოფის განსხვავებული სისტემები. საყოველთაო სოციალური დაზღვევის ვალდებულება მხოლოდ დაქირავებით მომუშავეებზე ვრცელდება, დამოუკიდებელი მეწარმეები და სახელმწიფო მოხელეები კი სოციალური რისკების კერძო დაზღვევით ან უზრუნველყოფის სპეციალური სისტემით (მაგ., სახელმწიფო მოხელეთა საპენსიო უზრუნველყოფა) სარგებლობენ.

ხელფასებთან დაკავშირებული დამატებითი დიდი ხარჯები

გერმანული სოციალური სახელმწიფოს ცენტრშია ორგანიზაციულად დამოუკიდებელი სოციალური დაზღვევის სისტემები, რომლებიც დამსაქმებელთა და დასაქმებულთა სავალდებულო შენატანებით ფინანსდება. საჭიროებისამებრ ან რეგულარულად (საპენსიო დაზღვევის მსგავსად) გამოიყოფა სუბსიდიები ფედერალური ბიუჯეტიდან. ვინაიდან სოციალური სახელმწიფოს ხარჯები ძირითადად ხელფასებს უკავშირდება, რაც შრომის პროდუქტიულობის ფაქტორს აძვირებს, დაფინანსების ეს საშუალება აფერხებს სამუშაო ადგილების შექმნას, განსაკუთრებით მომსახურების სფეროში, სადაც მრავალრიცხოვანი პერსონალია საჭირო. სადაზღვევო ანაზღაურება ეკვივალენტობის პრინციპს ემყარება, ანუ, რაც უფრო დიდხანს იხდიდა დასაქმებული შენატანებს, ან რაც უფრო მაღალი შემოსავალი ჰქონდა მას, მით უფრო მეტი მომსახურება ერგება. სოციალური სახელმწიფოს ამგვარი ორიენტირება შრომით საქმიანობაზე პრობლემებს უქმნის, პირველ რიგში, ნაკლებად სტაბილური შრომითი ბიოგრაფიის მქონე პირებს, ვინაიდან მათ სოციალური დაცვის მიღების მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობა აქვთ.

პენსია

პენსია: *სავალდებულო საპენსიო დაზღვევით* გადახდილი სტანდარტული პენსია (საწარმოს მხრიდან დამატებითი უზრუნველყოფის გარეშე) შეესაბამება საშუალო დაუბეგრავი ხელფასის დაახლოებით 70%-ს. ცოტა ხნის წინ განხორციელებული საპენსიო რეფორმის შედეგად ეს მონაცემი მომავალში 50%-მდე დაიწევს. ამ კლების კომპენსირებისთვის სახელმწიფო მხარს უჭერს ინდივიდუალური დაგროვებითი საპენსიო ხელშეკრულებების დადებას სუბსიდიებისა და საგადასახადო შეღავათების საშუალებით. იმ შემთხვევაში, თუ საპენსიო თანხები სოციალური დახმარების დონეზე დაბლაა, პენსიონერი სტანდარტულ პენსიას იღებს.

უმუშევრობის დაზღვევა

უმუშევრობის დაზღვევა: უმუშევრობის დაზღვევის ფარგლებში გაცემული უმუშევრობის „შემწეობა I" შეადგენს წინა ხელფასის 60%-იდან 67%-მდე, ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით. მისი გადახდა ხდება შენატანების გადახდის ხანგრძლივობისა და მიმღების ასაკის შესაბამისად – 6-იდან 24 თვემდე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ უმუშევარს შეიძლება დაენიშნოს გადასახადებით დაფინანსებული უმუშევრობის „შემწეობა II" **სოციალური დახმარების** ოდენობით. უმუშევრობის „შემწეობა II"-ის ან სოციალური დახმარების (შრომისუუნაროთათვის) გაცემა მისი საჭიროების შემოწმებას მოითხოვს, შრომისუნარიანთაგან კი ასევე მოითხოვება და მოწმდება შრომისთვის მზადყოფნა. აღნიშნული აუცილებელი დახმარებების წყალობით სოციალურ-კულტურული საარსებო მინიმუმი ყველა მოქალაქისთვის გარანტირებულია.

ჯანდაცვის სისტემა

ჯანდაცვის სისტემა: *სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის* (სსდ) სისტემა სხვა ქვეყნებთან შედარებით კარგ, თუმცა საკმაოდ ძვირ სისტემად არის მიჩნეული. ბავშვები და დაუსაქმებელი მეუღლეები დაზღვეული არიან უფასოდ, შესაბამისად, თავიანთ მშობლებთან და დასაქმებულ მეუღლეებთან ერთად. სოციალური მომსახურების მიმღები პირები ავტომატურად ხდებიან სსდ-ის წევრები. დამოუკიდებელი მეწარმეები, სახელმწიფო მოხელეები და მაღალი შემოსავლის მქონე დასაქმებულები თავისუფლდებიან დაზღვევის ვალდებულებისგან და შეუძლიათ (ხშირად უფრო ხელსაყრელი პირობებით) კერძოდ დაეზღვიონ.

განათლების სისტემა

განათლების სისტემა

განათლების სისტემა თითქმის მთლიანად ფედერალური მიწების კომპეტენციას განეკუთვნება; მისი სტრუქტურა და ხარისხი რეგიონების მიხედვით განსხვავდება. ზოგიერთ მიწაზე განათლება საერთაშორისო დონის უმაღლეს სტანდარტებს შეესაბამება, დანარჩენ ფედერალურ მიწებზე კი მოსწავლეთა ცოდნის დონე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. საერთაშორისო კვლევამ მკაფიოდ აჩვენა, რომ სოციალური წარმომავლობა თითქმის არც ერთ ქვეყანაში არ ახდენს იმგვარ გავლენას მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე, როგორსაც გერმანიაში; ასე რომ, შანსების თანასწორობაზე საუბარი აქ ზედმეტია. სასწავლო ადგილების მუდმივი ნაკლებობის მიუხედავად, მსოფლიოში სამაგალითოა პროფესიული განათლების დუალისტური სისტემა, რომელიც შესაძლებელს ხდის პროფესიის უშუალოდ საწარმოში დაუფლებას და მის სასკოლო ზოგად განათლებასთან შეთავსებას.

გერმანია		
დასაქმების დონე 2006 წ.	67,5%	შრომისუნარიან (15–64 წლის) ადამიანთა წილი მთლიანი მოსახლეობის მიმართ (წყარო: **Eurostat**)
ქალთა დასაქმების დონე 2006 წ.	62,2%	შრომისუნარიან (15–64 წლის) ქალთა წილი მთლიანი მდედრობითი სქესის მოსახლეობის მიმართ (წყარო: **Eurostat**)
უმუშევრობის დონე 2006 წ.	9,8%	უმუშევართა წილი დასაქმებული მოსახლეობის მიმართ (წყარო: **Eurostat**)
ხანგრძლივი უმუშევრობის დონე 2006 წ.	5,5%	ხანგრძლივი (12 თვე და მეტი) უმუშევრობის წილი დასაქმებული მოსახლეობის მიმართ (წყარო: **Eurostat**)
შემოსავლების უთანასწორობა / ჯინის კოეფიციენტი 2006 წ.	28,3%	შემოსავლების არათანაბარი გადანაწილების მაჩვენებელი; რაც უფრო მაღალია იგი, მით უფრო დიდია უთანასწორობა (წყარო: **Human Development Report** 2006)
სიღარიბის ინდექსი 2006 წ.	10,3%	სიღარიბის ინდექსი დგება სხვადასხვა ინდიკატორისგან (სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, განათლების დონე, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და სხვ.), 0=მინ. **(min.)** სიღარიბე, 100=მაქს. **(max.)** სიღარიბე (წყარო: **Human Development Report** 2006)
განათლება: წარმატების სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე დამოკიდებულება 2006 წ.	19%	წარმატების სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე დამოკიდებულება (წყარო: **OECD, PISA**-კვლევა 2006)
პროფკავშირების ორგანიზებულობის ხარისხი 2003 წ.	22,6%	პროფკავშირებში ორგანიზებული შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი (წყარო: **Visser, 2006** წ., **'Union Membership Statistics in 24 countries', Monthly Labor Review, vol. 129, no.1,** გვ. 38–49.)

დასკვნა

„გერმანული მოდელი" დიდი ხნის განმავლობაში სანიმუშოდ იყო მიჩნეული და მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე გერმანია მაღალი ხარისხის სოციალური დემოკრატიის ქვეყანა გახლდათ. გაერთიანების შედეგებთან ადაპტაციისა და გლობალიზაციის პროცესში მან დაკარგა ლიდერის სახელი. მას შემდეგ გერმანია სოციალური დემოკრატიის რეალიზების საშუალო ხარისხით ხასიათდება. ეს მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმით, რომ სოციალური სახელმწიფოს დაფინანსების ფორმამ უარყოფითად იმოქმედა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე; ამასთანავე, სტაბილურობის შენარჩუნებისკენ მიმართული პოლიტიკური სისტემის გამო ვერ მოხერხდა საჭირო რეფორმების დროულად გატარება. 90-იანი წლების შუახანებში ჯერ კოლის მთავრობა და მოგვიანებით, გარკვეული ყოყმანის შემდეგ, შრედერის მთავრობაც შეეცადნენ განეხორციელებინათ სოციალური სახელმწიფოს გარდაქმნა და რეკონსტრუქცია, რათა აემაღლებინათ გერმანიის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა და მოეხდინათ სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ადაპტაცია საზოგადოების დაბერების ტენდენციისა და ოჯახის სტრუქტურის შეცვლის გათვალისწინებით. მოსახლეობის საკმაოდ დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ეს რეფორმები გატარდა, რითაც შეიქმნა და, სავარაუდოდ, კვლავ იქმნება დასაქმების დონის ამაღლების წინაპირობა. უნდა დაველოდოთ, შეძლებს თუ არა გერმანია, კვლავ განვითარდეს მაღალი ხარისხის სოციალური დემოკრატიის მიმართულებით.

დამატებითი ლიტერატურა:

კრისტოფ ეგლე (2006), გერმანია: დაბლოკილი „ხუთოსანი" ბიჭი, წიგნში: თომას მაიერი (რედ.), სოციალური დემოკრატიის პრაქტიკა, ვისბადენი, გვ. 273–326.

პიტერ ჯ. კატცენშტაინი (1987), პოლიტიკა და პოლიტიკის წარმოება დასავლეთ გერმანიაში. ნახევრად სუვერენული სახელმწიფოს ფორმირება, ფილადელფია.

მანფრედ გ. შმიდტი (2007), გერმანიის პოლიტიკური სისტემა, მიუნხენი.

5.4. იაპონია[16]

ავტორი: იუნ-ჩენგ ლი

იაპონია – განსაკუთრებული შემთხვევა

აკადემიურ დისკუსიებში იშვიათად თუ შეხვდებით ქვეყანას, რომელიც ისე სხვადასხვაგვარად ხასიათდება, როგორც იაპონია. განსაკუთრებით მისი, როგორც სოციალური სახელმწიფოს თუ საზოგადოების, შეფასების დიაპაზონია ფართო – მძლავრი „სოციალ-დემოკრატიული" ელემენტების მქონე ლიბერალურ-კონსერვატიული სოციალური რეჟიმიდან „მარქსისტული გაგების უკლასო საზოგადოებამდე".

სოციალური სახელმწიფოს დაბალი ხარისხი

იაპონიაში არსებული მდგომარეობის ჩვეული ცნებებით აღწერა ადვილი არ არის. 1955 წლიდან მოყოლებული, სულ მცირე გამონაკლისით 1993–1994 წლებში, პრემიერ-მინისტრს კონსერვატიული პარტია – ლდპ (ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია) – წარადგენს. იაპონია სახელმწიფო სოციალური ხარჯების ოდენობით მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალ საფეხურზეა. 2001 წელს აღნიშნული მონაცემი იყო 16,9%, რაც აშშ-ისა და ირლანდიის შემდეგ სოციალური სახელმწიფოს ყველაზე დაბალი ხარისხის მაჩვენებელია და რითაც იაპონია ბევრად ჩამორჩება გერმანიას (27,4%).

სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მაღალი ეფექტიანობა

იმავდროულად იაპონია გამოირჩევა მსოფლიოში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით, განსაკუთრებით ქალებში, ჩვილი ბავშვების უაღრესად დაბალი სიკვდილიანობით და შემოსავლების საკმაოდ გაწონასწორებული გადანაწილებით. ყოველივე ეს ცხადყოფს იაპონიის სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანობას. ამასთანავე, გამოკითხულ იაპონელთა დაახლოებით 90% თავს საშუალო ფენას მიაკუთვნებს.

ამგვარი რთული სიტუაციის გათვალისწინებით, იაპონიის საკითხის განხილვა განსაკუთრებულ დაფიქრებას საჭიროებს. ხშირად იაპონიის შესახებ წარმოებული დისკუსიები დიქოტომიურ შეკითხვამდე დაჰყავთ: არის თუ არა იაპონია უნიკალური? პასუხი შეიძლება იყოს როგორც „კი", ისე „არა". იაპონიაში, როგორც ყველა სხვა საზოგადოებაში, მოიძებნება უნიკალური, ასევე ზოგადი ელემენტები. აქ არ არის დიქოტომიური ალტერნატივები, აქ მხოლოდ თანაარსებობაა.

[16] ეს ტექსტი ეფუძნება ნაშრომს: იუნ-ჩენგ ლი (2006), სოციალური დემოკრატია იაპონიაში. სოციალური დემოკრატიის ელემენტები იაპონურ სისტემაში, წიგნში: თომას მაიერი (რედ.), სოციალური დემოკრატიის პრაქტიკა, ვისბადენი, გვ. 374–444. მასში მხოლოდ რამდენიმე ცვლილებაა შეტანილი.

პოლიტიკური სისტემა

პოლიტიკური სისტემის სამ ფაზად განვითარება

იაპონიის პოლიტიკური სისტემა თავისი არსით საპარლამენტო დემოკრატიაა. ერთი მხრივ, 1947 წლის კონსტიტუციამ მოქალაქეებს ძირითადი უფლებები მიანიჭა; მეორე მხრივ, პოლიტიკური კონკურენციისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საფუძველი პოლიტიკური პარტიებია.

პოლიტიკური სისტემის განვითარება ომისშემდგომ პერიოდში ზოგადად სამ ფაზად იყოფა. პირველი ფაზა (1945–1955) ომის შემდეგ აღდგენის ეტაპად არის მიჩნეული, მეორე ფაზას (1955–1993) „55 წლის სისტემას" უწოდებენ, ხოლო მესამე ფაზა (1993 წლის შემდეგ) პოლიტიკური რეფორმების ხანად განიხილება.

კონსერვატიული პარტიის დომინირება

სახელწოდება „55 წლის სისტემა" იმ ფაქტით აიხსნება, რომ 1955 წელს დაარსდა ამ სისტემის ორივე ძირითადი მამოძრავებელი ძალა – ლდპ და ისპ (იაპონიის სოციალისტური პარტია). 1955 წელს არა მარტო ლიბერალური პარტია და იაპონიის დემოკრატიული პარტია გაერთიანდნენ ლდპ-ში, არამედ ასევე მოხდა იაპონელი სოციალისტების მემარჯვენე და მემარცხენე ფრთების შერწყმა ისპ-ში. თავდაპირველად მოელოდნენ, რომ ჩამოყალიბდებოდა ორპარტიული სისტემა, ინგლისის მსგავსად. მე-20 საუკუნის 60-იან წლებში კი აშკარა გახდა, რომ წარმოიშვა სისტემა ერთადერთი დომინანტი პარტიით, მსგავსად სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჰეგემონიისა შვედეთში, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიისა – იტალიაში და ნაციონალური კონგრესის პარტიისა – ინდოეთში.

1955 წლიდან მოყოლებული, 1993 წლის აგვისტოდან 1994 წლის ივნისამდე ათთვიანი გამონაკლისის გარდა, ლდპ უცვლელად განსაზღვრავს პარლამენტის საქმიანობას და წარადგენს პრემიერ-მინისტრს.

კონსტიტუცია და ძირითადი უფლებების სისტემა

„პროგრესული" კონსტიტუცია

1947 წლის კონსტიტუცია, რომელიც გენერალ დაგლას მაკართურის ხელმძღვანელობით ამერიკის საოკუპაციო ძალების მიერ იქნა შემოღებული, ძალაში 1947 წლის 3 მაისს შევიდა. ეს კონსტიტუცია თავისთავად საკმაოდ პროგრესულია. მე-9 მუხლთან ერთად, რომელიც კრძალავს იაპონიის რემილიტარიზაციას, იგი შეიცავს 25-ე მუხლს, რომელიც ამბობს:

> *„ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება ჯანმრთელი და კულტურული ცხოვრების მინიმალურ დონეზე. ცხოვრების ყველა სფეროში სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს სოციალური კეთილდღეობის, სოციალური უსაფრთხოებისა და საერთო ჯანმრთელობის დონის განვითარებასა და ამაღლებაზე."*
>
> ამის გარდა, კონსტიტუციის 27-ე მუხლში წერია: „ყოველ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს შრომის უფლება და შრომის ვალდებულება."

სოციალური სახელმწიფოს ვალდებულება

იაპონიის უმაღლესმა სასამართლომ, როგორც უმაღლესმა სამართლებრივმა ინსტანციამ, არაერთხელ გაიმეორა, რომ არ შეიძლება 25-ე მუხლში დაფიქსირებული უფლების სასამართლოს გზით მოთხოვნა და რომ ის გაგებული უნდა იქნეს, როგორც საპროგრამო განცხადება. შესაბამისად, სოციალური სახელმწიფოს ვალდებულება სახელმწიფოს და კანონმდებლობის საფუძველია.

ვინაიდან კონსტიტუციაში დაფიქსირებულია შრომის უფლება და ძირითადი სოციალური უფლებები, იაპონური სახელმწიფო ვალდებულია გავლენა მოახდინოს დასაქმების პოლიტიკასა და სოციალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე. ამდენად, სამუშაო ადგილების უზრუნველყოფასა და შექმნას იაპონურ სოციალურ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, მაშინ, როცა სოციალური უზრუნველყოფის სისტემები – საპენსიო, სამედიცინო, ინვალიდობისა და უმუშევრობის დაზღვევა – სახელმწიფოს მხრიდან სოლიდურ დაფინანსებას უნდა იღებდეს.

პოლიტიკური ეკონომიკა

კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკა საწარმოების ქსელებს ეფუძნება

იაპონია ე. წ. კოორდინირებულ საბაზრო ეკონომიკებს განეკუთვნება. თუმცა იაპონიაში კოორდინირება ხდება საწარმოების ქსელების ფარგლებში, რომლებიც ხშირად მრავალდარგობრივ ჯგუფებს ან საწარმოთა ოჯახებს მოიცავს. ფირმების ამ ჯგუფებს „კეირეცუ" ეწოდება.

საგანმანათლებლო და ტექნოლოგიების სატრანსფერო სისტემები ასევე „კეირეცუს" სტრუქტურის გარშემოა თავმოყრილი. დასაქმებულებს ურჩევენ, განსაზღვრული ფირმების ჯგუფებისთვის დამახასიათებელ უნარებს დაეუფლონ, და სამაგიეროდ სიცოცხლის ბოლომდე დასაქმებას ჰპირდებიან. პროფკავშირებიც საწარმოების დონეზეა ორგანიზებული, რაც შრომით კოლექტივს ფირმების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებას აძლევს.

იაპონური საწარმოები გრძელვადიანი საბანკო კრედიტებით ფინანსდება, რაც მათ საკმაოდ უსაფრთხო დაგეგმვისა და, შესაბამისად, საწარმოო განვითარების ხანგრძლივ პერსპექტივაზე კონცენტრირების საშუალებას აძლევს.

უშუალოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე, სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული იყო შრომითი ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკა.მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში ლდპ-ის მთავრობამ, რომელიც თავდაპირველად „პროგრესულთა", ანუ, კომუნისტური თუ სოციალ-დემოკრატიული

ბურგომისტრების სოციალურ-პოლიტიკური აქციების ზეწოლას განიცდიდა, სოციალური სისტემების საფუძვლიანი გაფართოება დაიწყო. მე-20 საუკუნის 70-იანი წლების შუახანებში ნავთობის კრიზისმა ძლიერ ექსპანსიური სოციალური პოლიტიკის შეყოვნება გამოიწვია, თუმცა მისი მთლიანად უარყოფა არ მომხდარა. სოციალური პარტნიორები და სახელმწიფო მხარეები შეთანხმდნენ, რომ, მზარდი გლობალიზაციისა და მასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით, შრომითი ბაზრის აქტიური სახელმწიფო პოლიტიკა მომავალშიც უნდა იქნეს მხარდაჭერილი.

შრომითი ბაზრის აქტიური პოლიტიკა

შრომითი ბაზრის აქტიური პოლიტიკის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება, როგორებიცაა: ხელფასების სუბსიდირება, სწრაფი კრედიტები, ფინანსური დახმარება კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრამდე ზრდადი დასაქმება და უმუშევრობის ძალიან დაბალი დონე ამ პოლიტიკის წარმატებას ცხადყოფს.

ფართო სოციალური მომსახურება საწარმოების დონეზე

სოციალური სახელმწიფო

მართალია, იაპონიის კონსტიტუციის 25-ე მუხლი სოციალურ სახელმწიფოს აღიარებდა და ამ მუხლის შესაბამისად სხვადასხვა სფეროში 1947 წელს მიღებული ან შესწორებული იქნა კანონები, ეკონომიკური განვითარების დინამიკის მიუხედავად, იაპონია დიდი ხნის განმავლობაში სოციალურად ჩამორჩენილ ქვეყნად იყო მიჩნეული. ამასთანავე, მთლიან ეროვნულ პროდუქტთან მიმართებით სახელმწიფო სოციალური ხარჯების წილის მიხედვით იაპონია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ სხვა ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალ საფეხურზეა. მაგრამ სახელმწიფო სოციალური ხარჯების მიხედვით იაპონიაზე, როგორც სოციალურ სახელმწიფოზე, მხოლოდ ნაწილობრივ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ვინაიდან აქ ფართოდაა განვითარებული სოციალური მომსახურება საწარმოების დონეზე. ის მთლიანი ეროვნული პროდუქტის არანაკლებ 10%-ს მოიცავს. საწარმო ერთ დასაქმებულზე გასცემს თვეში საშუალოდ 570 ევროს სავალდებულო სოციალური შენატანების დასაფინანსებლად და თითქმის 1000 ევროს საწარმოს სოციალური პროგრამებისთვის.

გარდა ამისა, იაპონურ სოციალურ სისტემაში სოციალური თანასწორობა თუ სოციალური ინტეგრაცია მიიღწევა არა იმდენად ცალკეული მოქალაქისთვის განკუთვნილი სახელმწიფო სოციალური ტრანსფერების საშუალებით, რამდენადაც შრომითი ბაზრის სტაბილიზაციისა და დასაქმებისკენ მიმართული ღონისძიებებით.

პენსია

პენსია: 1973 წლის რეფორმის შედეგად დასაქმებულთა დაზღვევის სისტემის ფარგლებში ე. წ. საშუალო პენსიონერის პენსია საშუალო ხელფასის 45%-მდე გაიზარდა და ცხოვრების ღირებულების ინდექსს მიება. 1985 წლის საპენსიო რეფორმით თანდათანობით გაიზარდა საპენსიო შენატანის ოდენობა და მასთან ერთად შემცირდა პენსია, რაც გამოწვეული იყო იაპონიის საზოგადოების დაბერების სწრაფი პროცესით, რომელიც მოსალოდნელია 2025 წლამდე. შემოღებულ იქნა ე. წ. სახალხო საპენსიო დაზღვევა, რომელიც გულისხმობს ყველა მოქალაქის მიერ სა-

იაპონია		
დასაქმების დონე 2006 წ.	70%	**შრომისუნარიან (15–64 წლის) ადამიანთა წილი მთლიანი მოსახლეობის მიმართ (წყარო: Eurostat)**
ქალთა დასაქმების დონე 2006 წ.	58,8%	**შრომისუნარიან (15–64 წლის) ქალთა წილი მთლიანი მდედრობითი სქესის მოსახლეობის მიმართ (წყარო: Eurostat)**
უმუშევრობის დონე 2006 წ.	4,1%	**უმუშევართა წილი დასაქმებული მოსახლეობის მიმართ (წყარო: Eurostat)**
ხანგრძლივი უმუშევრობის დონე 2006 წ.	1,4%	**ხანგრძლივი (12 თვე და მეტი) უმუშევრობის წილი დასაქმებული მოსახლეობის მიმართ (წყარო: Eurostat)**
შემოსავლების უთანასწორობა / ჯინის კოეფიციენტი 2006 წ.	24,9%	**შემოსავლების არათანაბარი გადანაწილების მაჩვენებელი; რაც უფრო მაღალია იგი, მით უფრო დიდია უთანასწორობა (წყარო: Human Development Report 2006)**
სიღარიბის ინდექსი 2006 წ.	11,7%	**სიღარიბის ინდექსი დგება სხვადასხვა ინდიკატორისგან (სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, განათლების დონე, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და სხვ.), 0=მინ. (min.) სიღარიბე, 100=მაქს. (max.) სიღარიბე (წყარო: Human Development Report 2006)**
განათლება: წარმატების სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე დამოკიდებულება 2006 წ.	7,4%	**წარმატების სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე დამოკიდებულება (წყარო: OECD, PISA-კვლევა 2006)**
პროფკავშირების ორგანიზებულობის ხარისხი, 2003 წ.	19,7%	**პროფკავშირებში ორგანიზებული შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი (წყარო: Visser, 2006 წ., 'Union Membership Statistics in 24 countries', Monthly Labor Review, vol. 129, no.1, გვ. 38–49.)**

ვალდებულო სადაზღვევო შენატანის გადახდას. ამან უნდა უზრუნველყოს მინიმალური საპენსიო ანაზღაურება.
2000 წელს სახალხო საპენსიო დაზღვევის სისტემაში საშუალო პენსია თვეში დაახლოებით 440 ევროს შეადგენდა. 2001 წელს 65 წელს გადაცილებული ყველა მოქალაქის 98%-მა მიიღო სახალხო პენსია. ამას ემატება საწარმოო პენსია დაახლოებით 800 ევროს ოდენობით ან 64 თვიურ ხელფასამდე კომპენსაცია საპენსიო ასაკის მიღწევის შემთხვევაში.

ჯანდაცვის სისტემა

ჯანდაცვის სისტემა: ჯანდაცვის სისტემა უნივერსალობის პრინციპს ეფუძნება; სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფს ხელმოკლე მოქალაქეებსაც, რომლებიც არ არიან დაზღვეულები. რაც შეეხება დასაქმებულთა სამედიცინო დაზღვევას, 1984 წლის რეფორმით შემოღებულ იქნა დაზღვეულის თანამონაწილეობა 10%-ის ოდენობით, რომელიც შემდეგ 20%-იდან 30%-მდე გაიზარდა. ამგვარად, 1984 წელს მოხდა მისადაგება ეროვნულ სამედიცინო დაზღვევასთან, რომელიც ისეთ ადამიანებს აზღვევს, რომლებიც არ ან აღარ არიან დასაქმებულთა სამედიცინო დაზღვევის წევრები, მაგალითად, დამოუკიდებელი მეწარმეები, გლეხები, პატარა ფირმებში მომუშავენი და მათი ოჯახის წევრები. უკვე დიდი ხანია, ეროვნულ სამედიცინო დაზღვევაში თანამონაწილეობა 30%-ს შეადგენს.

განათლების სისტემა

განათლების სისტემა
განათლებას იაპონურ სოციალურ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. 2001 წელს იაპონიის მოსახლეობის 93,9% სავალდებულო ცხრაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სამწლიან საშუალო სკოლაში გადავიდა. თუ ამას დაუსწრებელ და საღამოს სკოლებს დავუმატებთ, ეს წილი 97,3%-მდე გაიზრდება. მიუხედავად ამისა, განათლების სფეროს სახელმწიფო დაფინანსების დონე სხვა ქვეყნებთან შედარებით ძალზე დაბალია. 1999 წელს ის მთლიან ეროვნულ პროდუქტთან მიმართებით მხოლოდ 3,5%-ს შეადგენდა. იაპონიის განათლების სამინისტრო ამ ფაქტს კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების საკმაოდ დიდი რაოდენობით ხსნის – იაპონიის უნივერსიტეტების 77,5% კერძოა.
დასკვნა
იაპონიაში სოციალური დემოკრატიის ყველა ელემენტი არსებობს. ამასთანავე, ეს სოციალური დემოკრატია, განხილული ქვეყნებისგან განსხვავებით, ძლიერი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიური ფუნდამენტის გარეშე ჩამოყალიბდა. იაპონიის ბიუროკრატიული, აკადემიური და პოლიტიკური ელიტებისთვის უფრო მეტად დამახასიათებელია მზადყოფნა, მიაგნონ იდეოლოგიისგან ან მეცნიერული დოგმატიკისგან დამოუკიდებელ, მყარ გადაწყვეტილებებს და ამ მიზნით მთელ მსოფლიოში მოიძიონ და დაამუშაონ ინფორმაციები, იდეები და კონცეფციები.
იაპონური სისტემის სისუსტე ის არის, რომ იგი ძირითადად იაპონიის მოქალაქეობაზეა მიბმული. ქვეყანას დღემდე არ აქვს კონცეფციები და პრაქტიკული მიდგომები უცხოელი უმცირესობების ინტეგრაციისთვის. ამასთანავე, სამუშაო ძალის იმიგრაცია დიდი ხნის დაწყებულია და მომავალში, სავარაუდოდ, გაიზრდება. ასევე გასაუმჯობესებელია მდგომარეობა სქესთა თანასწორობასთან დაკავშირებით.

ამ გადაუწყვეტელი პრობლემების გამო იაპონიის სოციალურ დემოკრატიას, რომელსაც ფართოდ განვითარებული და მძლავრი სოციალური უზრუნველყოფის სისტემა აქვს, გარკვეული ჩრდილი ადგება. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების სოციალურ-პოლიტიკური რეფორმების შემდეგ მათ პოლიტიკურ დისკუსიებში იაპონური ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის დამაბრკოლებელ ფაქტორად აღარ მოიხსენიებენ. 90-იან წლებში მეწარმეთა გაერთიანებები ეკონომიკის დერეგულირებასთან ერთად დასაქმების სტრუქტურების მოქნილობას და ძირითადი შტატების შემცირებას ითხოვდნენ, რათა რეცესიის პერიოდისა და გამწვავებული გლობალური კონკურენციისთვის წინააღმდეგობის გაწევა შესძლებოდათ. თუმცა მათ ვერ მოახერხეს შრომით ბაზართან დაკავშირებული მოთხოვნების პოლიტიკურ დონეზე რეალიზება. ამასობაში მეწარმეთა გაერთიანებებმა გადახედეს საკუთარ პოზიციებს და თავიანთი წევრი საწარმოებისა და სახელმწიფოსგან თავად ითხოვენ უფრო აქტიურ ქმედებებს დასაქმებისა და კადრების განათლების კუთხით. ერთი მხრივ, კარგად განვითარებული და მძლავრი სოციალური უზრუნველყოფის სისტემის წყალობით და, მეორე მხრივ, ჩრდილოვანი მხარეებისა და პრობლემების გამო იაპონია სოციალური დემოკრატიის რეალიზების საშუალო ხარისხით ხასიათდება. ამასთანავე, საინტერესოა, რომ მისი სახელმწიფო, სოციალური და ეკონომიკური მოდელი საფუძვლიანად განსხვავდება გერმანიის მოდელისგან, რომელიც ასევე საშუალო ხარისხის სოციალური დემოკრატიის ქვეყანა გახლავთ.

დამატებითი ლიტერატურა:

იუნ-ჩენგ ლი (2006), სოციალური დემოკრატია იაპონიაში. სოციალური დემოკრატიის ელემენტები იაპონურ სისტემაში, წიგნში: თომას მაიერი (რედ.), სოციალური დემოკრატიის პრაქტიკა, ვისბადენი, გვ. 374–444.

5.5. შვედეთი

ავტორი: ერიკ გურგსდისი

ტრადიციული სოციალური სახელმწიფოს შენარჩუნება

შვედეთმა, გლობალიზაციის მიუხედავად, დღემდე შეინარჩუნა ტრადიციული სოციალური სახელმწიფოს მოდელი, რომელსაც ახასიათებს სახელმწიფო დაფინანსების მაღალი დონე, ასევე სახელმწიფო მომსახურების ფართო სექტორი: განათლების სისტემა – დაწყებითი სკოლიდან უნივერსიტეტამდე – შვედებისთვის უფასოა. სახელმწიფო სამედიცინო მომსახურება ყველა შვედისთვის უფასოა, თუ არ ჩავთვლით მცირე (პირველად) გადასახადს. უმუშევრობის შემთხვევაში ანაზღაურდება ბოლო ხელფასის 80% – ზედა ზღვრამდე. სახელმწიფო საპენსიო სისტემა მოქალაქეებს სიბერეში უზრუნველყოფს პენსიებით, რომელთა სიდიდე შემოსავლის ოდენობაზეა დამოკიდებული; ამასთანავე, პირები, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი შემოსავალი, გარანტირებულ პენსიებს გადასახადების ხარჯზე იღებენ.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შვედეთის შრომისუნარიანი მოსახლეობის მესამედი სახელმწიფო სექტორშია დასაქმებული, რასაც გადასახადების სიდიდე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების ფარგლებში უმაღლეს მაჩვენებლამდე აჰყავს, და რომ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში შვედეთმა დიდი დეპრესიის შემდეგ უმძიმესი ეკონომიკური კრიზისი გადაიტანა, წარმოიშობა კითხვა – როგორ შეუძლია სოციალურ სახელმწიფოს, თითქმის ყველა სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, გაუმკლავდეს გლობალიზაციის შემოტევას?

სოციალურ-კულტურული ჰომოგენობა პოლიტიკურ კულტურას განსაზღვრავს

ამ კონტექსტში საინტერესოა შვედების პოლიტიკური კულტურა და მენტალიტეტი, რომლებსაც უკვე დიდი ხანია სოციალური თანასწორობის შეგრძნება ახასიათებს. ისინი დასაბამს იღებენ ჯერ კიდევ ძველგერმანული ტრადიციებიდან, რომლებზედაც სუსტად გამოკვეთილმა ფეოდალიზმმა ნაკლებად იქონია ზეგავლენა. აქვე აღსანიშნავია ბოლო პერიოდამდე არსებული სოციალურ-კულტურული ჰომოგენობის ფაქტორიც. ამასთანავე, ადგილებზე გადამწყვეტ როლს საკმაოდ დამოუკიდებელი მუნიციპალიტეტები ასრულებენ. ქვეყანაში, სადაც გეოგრაფიული სიდიდე მნიშვნელოვანი ფაქტორია, ადგილობრივი თვითმმართველობა უდიდეს გავლენას ახდენს ეროვნულ თვითშეგნებაზე. ამავე დროს, სახელმწიფო ზოგადეროვნული კანონებითა და მიზნობრივი დოტაციებით ზრუნავს იმაზე, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების ერთნაირი დონე იყოს შენარჩუნებული.

პოლიტიკური სისტემა

კონსენსუსი და ინტეგრაცია პოლიტიკურ სისტემას განსაზღვრავს

შვედეთის პოლიტიკურ სისტემაში კონსენსუსის, მოლაპარაკებისა და ინტეგრაციის ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. შვედეთის საკანონმდებლო პროცესს სამოქალაქო საზოგადოების მაღალი დონის ინსტიტუციონალიზებული თანამონაწილეობა ახასიათებს. თავდაპირველად მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას საკითხთან დაკავშირებული ვითარების შემსწავლელი კომიტეტის შექმნის შესახებ. როგორც წესი, ინიციატორი მთავრობა გახლავთ, თუმცა ამგვარი ინიციატივით შეიძლება გამოვიდეს ასევე პარლამენტი, სახელმწიფო უწყებები ან საზოგადოებრივი ჯგუფები (!). კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში, კანონის შესაბამისად, პოლიტიკოსები, ექსპერტები და დაინტერესებული საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლები შედიან, შეიმუშავებს პოზიციას, რომელიც დისკუსიის საფუძველს ქმნის. ამგვარი პროცედურა საზოგადოების კომპრომისსა და კონსენსუსზე ორიენტირებას ემყარება.

სოციალ-დემოკრატიის დომინანტური პოზიცია

შვედეთის პარტიულ ლანდშაფტში მე-20 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან სოციალ-დემოკრატიას დომინანტური პოზიცია უკავია. დიდი დეპრესიის პერიოდში ეკონომიკური მაინსტრიმის საწინააღმდეგოდ ის გამოვიდა წინადადებით, დასაქმების სახელმწიფო პროგრამა ინფრასტრუქტურისა და მრავალშვილიანი ოჯახების საბინაო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კრედიტებით დაფინანსებულიყო. „ცენტრალური ევროპის ქუჩებში ბარიკადებს აღმართავდნენ. შვედეთში კი გზაჯვარედინების მეშვეობით ცდილობდნენ წინსვლას", – ენამოსწრებულად აღნიშნა დასაქმების პოლიტიკაზე საუბრისას პრემიერ-მინისტრმა ტაგე ერლანდერმა. დასაქმების პროგრამის წარმატებამ განაპირობა არა მარტო სოციალ-დემოკრატიული შრომის პარტიის (სდშპ) შედეგები არჩევნებში, არამედ ასევე მისი წევრების რაოდენობისა და მუშათა პროფკავშირის, „ლოს" (Landsorganisationen), რიგების ზრდა, რომელიც მისი მჭიდრო იდეოლოგიური მოკავშირეა. სოციალ-დემოკრატიის დომინირებულ მდგომარეობას ხელი შეუწყო ასევე ბურჟუაზიული ოპოზიციის დაქსაქსულობამ: ე. წ. *სოციალისტურ ბლოკს*, რომელიც სოციალ-დემოკრატების, „მწვანეებისა" და მემარცხენეებისგან (ანუ, ყოფილი ევროკომუნისტებისგან) შედგება, ეპაექრება ე. წ. *ბურჟუაზიული ბლოკი* კონსერვატორთა, ლიბერალთა, გლეხთა ცენტრისა და ქრისტიან-დემოკრატთა შემადგენლობით, რომლებმაც 2006 წლიდან ერთიანი მთავრობა ჩამოაყალიბეს. 2006 წელს არჩევნებში ბურჟუაზიული ბლოკის გამარჯვების შემდეგ მასში შემავალი პარტიების დიდი უმრავლესობა მხარს სოციალურ სახელმწიფოს უჭერს.

კონსტიტუცია და ძირითადი უფლებების სისტემა

შვედეთის კონსტიტუციაში ასახულია არა მარტო ნეგატიური, არამედ

ნეგატიური და პოზიტიური თავისუფლებები კონსტიტუციაში

ფართო პოზიტიური თავისუფლებებიც. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები, ე. ი. პოზიტიური თავისუფლებები, ძირითადი პოლიტიკური უფლებებისგან განსხვავებით, იურიდიულად სავალდებულო არ გახლავთ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მისწრაფებებს ისინი განსაზღვრავენ. კონსტიტუციაში წერია: „ყოველი მოქალაქის პირადი, ეკონომიკური და კულტურული კეთილდღეობა უნდა იყოს სახელმწიფო ძალისხმევის ძირეული მიზანი. საზოგადოება ვალდებულია უზრუნველყოს შრომის, საცხოვრებლისა და განათლების უფლება, ასევე სოციალური უსაფრთხოება ცხოვრების კარგ პირობებში." (კონსტიტუციის თარგმანი) მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს იურიდიულად სავალდებულო, უკვე ის ფაქტი, რომ ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიზნებს კონსტიტუციაში ასეთი თვალსაჩინო ადგილი განეკუთვნება, მათ საზოგადოების თვითშეგნებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს ასევე აისახება შვედური სოციალური სახელმწიფოს წყობაში და მის საბაზრო ეკონომიკაში/პოლიტიკურ ეკონომიკაში.

პოლიტიკური ეკონომიკა

რენ-მაიდნერის მოდელი

მე-20 საუკუნის 50-იან წლებში მუშათა პროფკავშირმა „ლომ„ ე. წ. რენ-მაიდნერის მოდელი წარმოადგინა. ის ამოდიოდა იქიდან, რომ სრული დასაქმება არ უნდა განხორციელებულიყო კეინსიანური პოლიტიკის გზით, რომელიც გულისხმობს ზოგადეკონომიკურ მოთხოვნას კონიუნქტურის დაცვის ხარჯზე. ვინაიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგი ძირითადად სხვადასხვაგვარი ტემპით ვითარდება, სტაბილურად მაღალ ზოგადეკონომიკურ მოთხოვნას სწრაფად მივყავართ მიწოდების დეფიციტამდე. ამის შედეგად დეფიციტურ სექტორებში მატულობს ხელფასების ოდენობა, რაც, თავის მხრივ, პროდუქციის ფასების ზრდას იწვევს. საშუალოვადიან პერსპექტივაში ეს განაპირობებს ხელფასებისა და ფასების კომპენსატორულ ზრდას სხვა დარგებშიც. თუმცა ფასების ზოგადი, ე. ი. ინფლაციური ცვლილება ასუსტებს ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას.

სახელმწიფო სექტორის დიდი მნიშვნელობა

ზოგადეკონომიკური მოთხოვნის შეზღუდვისთვის სახელმწიფო სექტორმა კონიუნქტურის მთელი ციკლის განმავლობაში ჭარბი მოგება უნდა გამოიმუშაოს. იგი გამოყენებულ უნდა იქნეს, პირველ რიგში, სახელმწიფო ვალების დასაფარავად, მეორე რიგში, დაბერების ტენდენციის მქონე საზოგადოებაში სახელმწიფო სოციალური სისტემის გრძელვადიანი უზრუნველყოფისთვის და, მესამე რიგში, ანტიციკლური კონიუნქტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, რათა ეკონომიკური კრიზისის შემთხვევაში ახალი სახელმწიფო ვალები გარკვეულ ზღვარს არ გასცდეს.

თუმცა ზოგადეკონომიკური მოთხოვნის შეზღუდვა საფრთხეს უქმნის ყველა საწარმოს და სამუშაო ადგილს, რომლებიც დაბალი პროდუქტიულობით და, შესაბამისად, მაღალი ხარჯებით გამოირჩევა. მდგომარეობა იმითაც რთულდება, რომ მუშათა პროფკავშირი „ლო" მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ე. წ. სოლიდარულ სახელფასო პოლიტიკას ეწევა. პრინციპის „მსგავსი ანაზღაურება მსგავსი შრომისთვის" მიხედვით, ყველა ხელფასი შრომის საშუალო ნაყოფიერების მატებასთან ერთად უნდა იზრდებოდეს. საწარმოების მდგომარეობა, რომელთა პროდუქტიულობა საშუალოზე დაბალია, სოლიდარული ხელფასის მოთხოვნის გამო, რომელიც შრომის საშუალო ნაყოფიერებაზეა ორიენტირებული, კიდევ უფრო მძიმდება. ამის გამო მაღალპროდუქტიული საწარმოები დამატებით მოგებას იღებენ, ვინაიდან საშუალო სატარიფო შეთანხმებები მათ მაღალპროდუქტიულ გადანაწილებას არ ზღუდავს. ყოველივე ეს განაპირობებს ე. წ. ზემოგებას, რომელიც მაღალპროდუქტიული სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

უმუშევრობა, როგორც ადაპტაციის სახელმწიფო ამოცანა

ამდენად, შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკისა და სოლიდარული სახელფასო პოლიტიკის კომბინაციის გამო წაგებულები დაბალი პროდუქტიულობის საწარმოები და იქ დასაქმებული ადამიანები რჩებიან. აქედან გამომდინარე უმუშევრობა აღიქმება არა მარტო საზოგადოებრივ პრობლემად, არამედ ასევე ადაპტაციის მნიშვნელოვან სახელმწიფო ამოცანად, რომელმაც შრომითი ბაზრის აქტიური პოლიტიკა უნდა გაატაროს: საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და მობილურობის მრავალმხრივი სისტემის საშუალებით ხდება უმუშევარი ადამიანების გადამზადება პროდუქტიული და, შესაბამისად, კარგად ანაზღაურებადი სამუშაოსთვის. ამგვარად, შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკა, სოლიდარული სახელფასო პოლიტიკა და შრომითი ბაზრის აქტიური პოლიტიკა ხელს უწყობს შვედეთის ეკონომიკის მუდმივ განახლებას და მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებთან სტრუქტურულ ადაპტაციას.

ამით აიხსნება ასევემე-20 საუკუნის 90-იანი წლების კრიზისიდან შვედეთის სწრაფი გამოსვლა ექსპორტის განვითარების გზით: იქიდან გამომდინარე, რომ არსებობდა შრომითი ბაზრის აქტიური პოლიტიკის კარგად განვითარებული სისტემა, სოციალური პარტნიორები კი ტრადიციულად დაბალპროდუქტიული სამუშაო ადგილების დაცვას მაღალპროდუქტიულ დასაქმებას ამჯობინებენ, შესაძლებელი იყო სიახლეების სწრაფი დანერგვა საწარმოებში: სულ რაღაც ხუთი წლის განმავლობაში შვედეთმა შეძლო – კარგი საერთაშორისო კონიუნქტურის პირობებში – თავისი ექსპორტის წილი 33%-იდან 45%-მდე, ე. ი. ერთ მესამედზე მეტით გაეზარდა.

სოციალური სახელმწიფო
ომისშემდგომი ეკონომიკური ზრდის პროცესში შვედეთმა სწრაფი გარდაქმნა განახორციელა, როდესაც ღარიბი მუშებისა და გლეხების საზოგადოება მალე შეძლებული მოხელეების საზოგადოებით შეიცვალა. ამ სოციალურ-სტრუქტურული განვითარების ფონზე საბაზისო სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკა (მაგ., ერთნაირი სახალხო პენსია მეფისთვის და ღატაკისთვის) მმართველ პარტიას ხელისუფლების შესანარჩუნებლად ამომრჩევლის საკმარისი მობილიზების საშუალებას აღარ აძლევდა.

შვედური სოციალური სახელმწიფო მხოლოდ ფულადი დახმარების საშუალებით არ იცავს თავის მოქალაქეებს ელემენტარული სასიცოცხლო რისკებისგან; ამას ემატება სოციალური მომსახურების ფართო სექტორი, რომელიც ბავშვებისა და მოხუცების მოვლის, სამედიცინო მომსახურების და განათლების, ასევე შრომითი ბაზრის შესაბამისი კვალიფიკაციის ამაღლების (თითქმის) უფასო შესაძლებლობას იძლევა. „ყოველი ადამიანი იხდის გადასახადებს თავისი შემოსავლის შესაბამისად და სოციალური უზრუნველყოფა, რომელსაც საზოგადოება სთავაზობს, დამოკიდებულია უფრო საარსებო პირობებზე, ვიდრე მის მიერ გადახდილი შენატანის ოდენობაზე. დახმარება არ არის ბაზარზე მიღებული გადაწყვეტილებების შედეგი, ის პოლიტიკური პროცესის ფარგლებში განისაზღვრება.” (Meidner/Hedborg, 1984, გვ. 56)

მომსახურების სახელმწიფო სექტორის სწრაფი ექსპანსიის განხორციელება სრული დასაქმების პირობებში შესაძლებელი იყო ძირითადად ქალთა გააქტიურების ხარჯზე. 1960-იდან 1990 წლამდე შრომისუნარიანი შვედი ქალების დასაქმების წილი საშუალო ევროპული 50%-იდან მსოფლიოს მასშტაბით რეკორდულ 83%-მდე გაიზარდა. ვინაიდან მომსახურების სახელმწიფო სექტორში ძირითადად ქალები დასაქმდნენ, მათ შეავსეს სოციალ-დემოკრატების ამომრჩეველთა რიგები.

ამდენად, სოციალური სახელმწიფოს ძირითადი ელემენტები შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

პენსია: მუშათა პროფკავშირის, „ლოს”, ინიციატივით მე-20 საუკუნის 50-იანი წლების შუახანებში შემოთავაზებული იყო შემოსავლის ოდენობაზე დამოკიდებული დამატებითი პენსიის შემოღება. ამ წინადადების სტრატეგია ითვალისწინებდა ზოგადი საბაზისო საპენსიო უზრუნველყოფის შეცვლას (ცხოვრების) სტანდარტის ინდივიდუალური უზრუნველყოფით. სოციალ-დემოკრატებს სურდათ მოხელეთა დიდი ნაწილის გულის მოგება თავიანთი საარჩევნო ბაზის გაფართოების მიზნით.

უმუშევრობის დაზღვევა: სოციალური სადაზღვევო სისტემის სხვა ელემენტებისგან განსხვავებით, უმუშევრობის დაზღვევა ნებაყოფლობითობასა და სახელმწიფო მხარდაჭერას ეფუძნება. მისი ორგანიზება ხდება წევრთა ფონდების შექმნით, რომლებსაც პროფკავშირები განაგებენ. პროფკავშირის წევრობა უმუშევრობის ფონდში თანამონაწილეობასაც გულისხმობს, რაც პირიქით გამორიცხულია. დასაქმებულთა დაახლოებით 90% გაწევრებულია ასეთ ფონდებში. ისინი ნაწილობრივ საწევრო გადასახადებით, ძირითადად კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. ამის გარდა, სახელმწიფო ყველა შრომისუნარიან ადამიანს, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს, სახელმწიფო საბაზისო დახმარებას აძლევს.

სოციალური დახმარება: შვედეთში სოციალური დახმარება ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება, თუმცა მისი უზრუნველყოფა ადგილებზე, მუნიციპალიტეტების მეშვეობით ხდება და ძირითადად ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ფინანსდება. სოციალური დახმარების ოდენობას ადგენენ ეროვნული სოციალური უწყებები მიღებული საარსებო სტანდარტის მიხედვით.

ჯანდაცვის სისტემა: შვედეთის ყველა მცხოვრებს აქვს სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების უფლება. ამას უზრუნველყოფენ პროვინციების ლანდტაგები, ძირითადად პირდაპირი საშემოსავლო გადასახადების ხარჯზე. გადახდაში ნაწილობრივ მონაწილეობენ პაციენტებიც, რომელთა გადასახადის ოდენობები სხვადასხვა პროვინციაში განსხვავებულია. ამასთანავე, მოქალაქეებს, რომელთა წლიური შემოსავალი 6.000 კრონს აღემატება, აქვთ კომპენსაციის მიღების უფლება ავადმყოფობის გამო შემცირებული ანაზღაურების შემთხვევაში. ეს სამედიცინო დაზღვევა ფინანსდება დამსაქმებლის სავალდებულო წილით და სადაზღვევო შენატანებით, რომლებიც გადასახადებთან ერთად კავდება.

ის, რომ შვედეთი დღეისთვის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი გადასახადებით გამოირჩევა, არ ნიშნავს, რომ ეს სოციალური სახელმწიფო სისტემა განსაკუთრებულად ძვირია. ელემენტარული სასიცოცხლო რისკების (უმუშევრობა, ავადმყოფობა, სიბერე) კერძო დაზღვევისთვის ამერიკელებიც არანაკლებ გადასახადებს და სოციალურ შენატანებს იხდიან. არსებითი განსხვავება ის არის, რომ შვედეთში მთელი მოსახლეობა დაზღვეულია, ხოლო აშშ-ში ის, ვისაც კერძო დაზღვევისთვის სახსრები არ გააჩნია, მის გარეშე რჩება.
გლობალიზაციის პროცესებით განპირობებული ეკონომიკური საზღვრების გახსნით იმპორტული საქონელი ზეწოლას ახდენს დაბალპრო-

დუქტიულ შიგა საწარმოებში დასაქმებულებზე. თუ მსხვილი ფინანსური მხარდაჭერისა და კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებით შესაძლებელი ხდება დასაქმებულთა სამუშაო ადგილისა და სტატუსის დაკარგვის შიშით გამოწვეული წუხილის შემსუბუქება, იზრდება ეკონომიკურ-პოლიტიკური მოქმედების არეალის გაფართოებისა და გარეეკონომიკური ღიაობით გამოწვეული შიგაპოლიტიკური ხარჯების შემცირების შანსი. ამიტომ ეკონომიკური ურთიერთობების გლობალიზაციის პირობებში კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტატუსის შენარჩუნებაზე აღებული კურსი უფრო ქმედითი ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტრუმენტია, ვიდრე სოციალური პოლიტიკა, რომელიც ეკონომიკურად წარუმატებელი ადამიანების დაცვისკენ არის მიმართული.

შვედეთი		
დასაქმების დონე 2006 წ.	73,1%	შრომისუნარიან (15–64 წლის) ადამიანთა წილი მთლიანი მოსახლეობის მიმართ (წყარო: **Eurostat**)
ქალთა დასაქმების დონე 2006 წ.	70,7%	შრომისუნარიან (15–64 წლის) ქალთა წილი მთლიანი მდედრობითი სქესის მოსახლეობის მიმართ (წყარო: **Eurostat**)
უმუშევრობის დონე 2006 წ.	7,1%	უმუშევართა წილი დასაქმებული მოსახლეობის მიმართ (წყარო: **Eurostat**)
ხანგრძლივი უმუშევრობის დონე 2006 წ.	1,1%	ხანგრძლივი (12 თვე და მეტი) უმუშევრობის წილი დასაქმებული მოსახლეობის მიმართ (წყარო: **Eurostat**)
შემოსავლების უთანასწორობა / ჯინის კოეფიციენტი 2006 წ.	25%	შემოსავლების არათანაბარი გადანაწილების მაჩვენებელი; რაც უფრო მაღალია იგი, მით უფრო დიდია უთანასწორობა (წყარო: **Human Development Report** 2006)
სიღარიბის ინდექსი 2006 წ.	6,5%	სიღარიბის ინდექსი დგება სხვადასხვა ინდიკატორისგან (სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, განათლების დონე, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და სხვ.), 0=მინ. (**min.**) სიღარიბე, 100=მაქს. (**max.**) სიღარიბე (წყარო: **Human Development Report** 2006)
განათლება: წარმატების სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე დამოკიდებულება 2006 წ.	10,6%	წარმატების სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე დამოკიდებულება (წყარო: **OECD**, **PISA**-კვლევა 2006)
პროფკავშირების ორგანიზებულობის ხარისხი 2003 წ.	78%	პროფკავშირებში ორგანიზებული შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი (წყარო: **Visser, 2006 წ., 'Union Membership Statistics in 24 countries', Monthly Labor Review, vol. 129, no.1**, **გვ. 38–49.)**

განათლების სისტემა

ვინაიდან თანამედროვე ინდუსტრიულ და მომსახურების სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებებში ნამდვილი „ნედლეული" ცოდნა და მისი შემოქმედებითი გამოყენებაა, გლობალიზებული მსოფლიო ეკონომიკის გათვალისწინებით, განათლების სისტემას საზოგადოების შემდგომი განვითარებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. შვედეთში მოქმედებს განვითარებული, თუმცა ჯერჯერობით ფასიანი საბავშვო ბაღების სისტემა, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებები – დაწყებითი სკოლიდან უნივერსიტეტამდე – უკვე (თითქმის) უფასოა.

ინტეგრირებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მოქმედებს პრინციპით „ვიღებთ ყველას". ამ სკოლის დამთავრების შემდეგ თითქმის ყველა ნებაყოფლობით გადადის გიმნაზიის მოსამზადებელ საფეხურზე. 1970 წლიდან უმაღლესი სასწავლებლები მთელი საზოგადოებისთვის ღიაა: ყველას, ვისაც საშუალება აქვს ისწავლოს, შეუძლია გახდეს სასურველი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი, თუ სასწავლო ადგილების რაოდენობა საკმარისია. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედებს სხვადასხვა კრიტერიუმით შედგენილი მოლოდინის სია. ამის გარდა, არსებობს ზრდასრულთა განათლების კარგად განვითარებული სისტემა.

და ბოლოს: საშუალო ფენის სტრატეგიული მნიშვნელობა

სკანდინავიური სოციალური სახელმწიფო მანამ იარსებებს, სანამ მის მომსახურებას საშუალო ფენა დააფასებს. სწორედ ის იხდის სახელმწიფო ხარჯების ლომის წილს და, შესაბამისად, მაღალი დონის მომსახურებას მოელის. თუ მომსახურების ხარისხი იმაზე დაბლა დაეცემა, ვიდრე საშუალო ფენა მოელის, მას მისი ყიდვა კერძო ბაზარზე საკუთარი თანხებით მოუწევს. მაგრამ ვინაიდან ორჯერ გადახდა არავის უყვარს, ადრე თუ გვიან ამომრჩევლები ხმას მაღალი გადასახადების მქონე სოციალური სახელმწიფოს წინააღმდეგ მისცემენ. სახელმწიფო არ უნდა ახდენდეს ღარიბთა და წარუმატებელთა უზრუნველყოფას მინიმალური საარსებო ზღვრის შესაბამისად – მსგავსად გერმანული სისტემისა „ჰარტცი IV"; ის მაღალი ხარისხის მომსახურებას მთელ მოსახლეობას უნდა სთავაზობდეს – ასეთია სკანდინავიური პასუხი სოციალური სახელმწიფოს შესახებ შეკითხვაზე.

კონსტიტუციაში პოზიტიური და ნეგატიური თავისუფლებების დაფიქსირების საფუძველზე შვედეთში ძირითადი უფლებები არა მარტო ფორმალურად მოქმედებს, არამედ რეალურადაც ხორციელდება. ამდენად, შვედეთი სოციალური დემოკრატიის რეალიზების მაღალი ხარისხით ხასიათდება.

დამატებითი ლიტერატურა:

ერიკ გურგსდისი (2006), შვედეთი: სამოქალაქო საზოგადოება უნივერსალურ სოციალურ სახელმწიფოში, წიგნში: თომას მაიერი (რედ.), სოციალური დემოკრატიის პრაქტიკა, ვისბადენი, გვ. 47-129.

6. დასასრული

სოციალური დემოკრატია არ შეიძლება მარტივად დასრულდეს

როგორ შეიძლება დავასრულოთ წიგნი სოციალური დემოკრატიის საფუძვლების შესახებ? შედეგების შეჯამება, მათი მნიშვნელობის ხაზგასმა და ნაშრომის ამით დამთავრება – ერთ-ერთი ვარიანტი შეიძლება ეს იყოს. მაგრამ ამგვარი ვარიანტი მცდარი იქნებოდა, ვინაიდან ამ წიგნმა დაგვანახვა, რომ სოციალური დემოკრატია არ შეიძლება მარტივად დასრულდეს – არც როგორც აზრობრივი მოდელი და არც როგორც პოლიტიკური ამოცანა. პირიქით: სოციალური დემოკრატიის – როგორც იდეის და როგორც პოლიტიკური ქმედების – გზა მუდამ უნდა განიცდიდეს შემოწმებას, მისადაგებასა და ახლებურად გააზრებას, თუ გვსურს, რომ მან წარმატებასთან მიგვიყვანოს.

სოციალური დემოკრატიის შესახებ დისკუსიას ყოველთვის ახასიათებდა მუდმივი მოძრაობა, საზოგადოებრივი პროცესებისთვის თვალყურის დევნება, შანსებისა და რისკების გააზრება და შემდეგ მათი პოლიტიკური ნავიგაციისთვის გამოყენება. სწორედ ამით განსხვავდება სოციალური დემოკრატია სხვა პოლიტიკური მოდელებისგან: ის არ ებღაუჭება მემკვიდრეობას, არ ხუჭავს თვალს რეალობასა და ახალ გამოწვევებზე.

გამოწვევა: გლობალიზაცია

მომდევნო წლებისა და ათწლეულების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა გლობალიზაცია იქნება. ის მოიცავს როგორც შანსებს, ისე რისკებს. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ეს ამოცანა თავის „ჰამბურგის პროგრამაში" დასვა. მან პირველი პასუხები გასცა გლობალიზაციის არსებით შეკითხვებს სოციალური დემოკრატიის თვალთახედვით:

> კეთილდღეობა, სამართლიანობა და დემოკრატია
>
> *„21-ე საუკუნე არის პირველი ნამდვილად გლობალური საუკუნე. მანამდე არასდროს არ ყოფილან ადამიანები ერთმანეთზე ასე დამოკიდებული. (...) ეს საუკუნე იქნება ან სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური პროგრესის საუკუნე, რომელიც ყველა ადამიანს მეტ კეთილდღეობას, სამართლიანობასა და დემოკრატიას მოუტანს; ან ის გახდება გადანაწილებისთვის მიმდინარე დაძაბული ბრძოლისა და აღვირახსნილი ძალადობის საუკუნე. ჩვენი ინდუსტრიული საზოგადოებების დღევანდელი ცხოვრების წესი გადაჭარბებულ მოთხოვნებს უყენებს დედამიწის ეკოლოგიურ მდგრადობას (...). საფრთხის წინაშეა ადამიანის ღირსეული სიცოცხლე და მშვიდობა მთელ მსოფლიოში; ასევე მნიშვნელოვანია, რამდენად ვარგისი იქნება ჩვენი პლანეტა არსებობისთვის." (ჰამბურგის პროგრამა, 2007, გვ. 6)*

> კაპიტალისა და ფინანსების ქმედითი ბაზრები
>
> *„თანამედროვე, გლობალურად ურთიერთდაკავშირებული სახალხო ეკონომიკა კაპიტალისა და ფინანსების ქმედით ბაზარს საჭიროებს. ჩვენ გვინდა კაპიტალის ბაზრების პოტენციალი ხარისხობრივი ზრდისთვის გამოვიყენოთ. (...) იქ, სადაც საფინანსო ბაზრები მხოლოდ მოკლევადიანი მოგებისკენ ისწრაფვის, საფრთხე ექმნება წარმოების ზრდის გრძელვადიან სტრატეგიებს და ნადგურდება სამუშაო ადგილები. ჩვენ გვსურს, მათ შორის, საგადასახადო და სააქციო სამართლის დახმარებით, გავაძლიეროთ ინვესტორები, რომლებსაც სწრაფი მოგების ნაცვლად გრძელვადიანი ძალისხმევა აქვთ ჩაფიქრებული. (...) საქონლისა და ფინანსების ბაზრების მზარდი საერთაშორისო ქსელური კავშირით მათი საერთაშორისო რეგულირება სულ უფრო მნიშვნელოვანი გახდება." (ჰამბურგის პროგრამა, 2007, გვ. 47)*

> ღირსეული შრომა
>
> *„მხოლოდ მას, ვისაც ცხოვრებაში საიმედო პერსპექტივა აქვს, შეუძლია თავისი ტალანტისა და ქმედითობის სრულად წარმოჩენა. ღირსეული შრომა აკავშირებს მოქნილობასა და უსაფრთხოებას. მეცნიერული პროგრესის ტემპი, სულ უფრო სწრაფი ცვლილებები შრომის სამყაროში, გამძაფრებული კონკურენცია მეტ მოქნილობას მოითხოვს. იმავდროულად, ის სთავაზობს მეტ შანსს საკუთარი ცხოვრების ფორმირებისთვის. (...) იმისთვის, რომ უსაფრთხოება და მოქნილობა დავაკავშიროთ, ასევე უზრუნველვყოთ უსაფრთხოება ცვალებად დროში, ჩვენ გვსურს განვავითაროთ თანამედროვე პოლიტიკა სამუშაო დროის კუთხით და უმუშევრობის შემწეობა მშრომელთა დაზღვევად ვაქციოთ.*
>
> *მიუხედავად იმისა, რომ მოქნილობა საჭირო და სასურველია, მისი ბოროტად გამოყენება არ შეიძლება. ჩვენ გვინდა განვავითაროთ უვადო და სოციალურად უზრუნველყოფილი შრომითი ურთიერთობები. ჩვენ გვინდა გადავლახოთ საეჭვო შრომითი კავშირები, რათა დასაქმებულები დაუცველნი არ დარჩნენ." (ჰამბურგის პროგრამა, 2007, გვ. 54-55)*

ეს მოსაზრებები ცხადყოფს, რომ სოციალური დემოკრატია მუდამ უნდა ვითარდებოდეს და ახალ გამოწვევებს თვალს უსწორებდეს – თავისი საფუძვლების დავიწყების გარეშე და რეალობის მკაფიო აღქმით.

გიწვევთ სოციალური დემოკრატიის შესახებ დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად. ამგვარი დისკუსიის შესაძლებლობას ფრიდრიხ ებერტის

ფონდის სოციალური დემოკრატიის აკადემია გთავაზობთ. შვიდი სასწავლო კურსი საბაზისო ღირებულებებს და სოციალური დემოკრატიის პრაქტიკულ სფეროებს ეძღვნება:

- სოციალური დემოკრატიის საფუძვლები
- ეკონომიკა და სოციალური დემოკრატია
- სოციალური სახელმწიფო და სოციალური დემოკრატია
- გლობალიზაცია და სოციალური დემოკრატია
- ევროპა და სოციალური დემოკრატია
- კულტურული პლურალიზმი და სოციალური დემოკრატია
- სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური დემოკრატია

ბიბლიოგრაფია

Max Adler (1926), Neue Menschen. Gedanken über sozialistische Erziehung, 2., vermehrte Aufl ., Berlin.

Michel Aglietta (2000), Ein neues Akkumulationsregime. Die Regulationstheorie auf dem Prüfstand, übersetzt von Marion Fisch, Hamburg.

Detlev Albers und Andrea Nahles (2007), Linke Programmbausteine. Denkanstöße zum Hamburger Programm der SPD, Berlin.

Elmar Altvater (2006), Das Ende des Kapitalismus, wie wir ihn kennen. Eine radikale Kapitalismuskritik, 4. Aufl ., Münster.

Kurt Beck und Hubertus Heil (Hg.) (2007), Soziale Demokratie im 21. Jahrhundert. Lesebuch zur Programmdebatte der SPD, Berlin.

Dietrich Benner und Friedhelm Brüggen (1996), Das Konzept der Perfectibilité bei Jean-Jacques Rousseau. Ein Versuch Rousseaus Programm theoretischer und prak tischer Urteilsbildung problemgeschichtlich und systematisch zu lesen, in:
Otto Hansmann (Hg.), Seminar: Der pädagogische Rousseau, Bd. II: Kommentare, Interpretationen, Wirkungsgeschichte, Weinheim, S. 12–48.

Isaiah Berlin (1958), Two Concepts of Liberty, Oxford (u. a.).

Eduard Bernstein (1899), Die Voraussetzungen des Sozialismus und die Aufgaben der Sozialdemokratie, Stuttgart.

Hans-Jürgen Bieling, Klaus Dörre u. a. (2001), Flexibler Kapitalismus. Analysen, Kritik, politische Praxis, Hamburg.

Pierre Bourdieu u. a. (1997), Das Elend der Welt. Zeugnisse und Diagnosen alltäglichen Leidens an der Gesellschaft, Konstanz.

Ulrich Brinkmann, Karoline Krenn und Sebastian Schief (Hg.) (2006), Endspiel des Kooperativen Kapitalismus. Institutioneller Wandel unter den Bedingungen desmarktzentrierten Paradigmas, Wiesbaden.

Ulrich Brinkmann, Klaus Dörre u. a. (2006), Prekäre Arbeit. Ursachen, Ausmaß, soziale Folgen und subjektive Verarbeitungsformen unsicherer Beschäftigungsverhältnisse, hg. von der Friedrich-Ebert-Stiftung, Bonn.

Hubertus Buchstein, Michael Hein und Dirk Jörke (2007), Politische Theorien, Wochen-schau für politische Erziehung, Sozial- und Gemeinschaftskunde, Frankfurt am Main.

Erwin Carigiet (2001), Gesellschaftliche Solidarität. Prinzipien, Perspektiven und Weiterentwicklung der sozialen Sicherheit, Basel / Genf / München.

Robert Castel (2000), Die Metamorphose der sozialen Frage. Eine Chronik der Lohn- arbeit, aus dem Französischen von Andreas Pfeuffer, Konstanz.

Manuel Castells (2003), Das Informationszeitalter, Bd. 1: Der Aufstieg der Netzwerkge-sellschaft; Bd. 2: Die Macht der Identität; Bd. 3: Jahrtausendwende, Wiesbaden.

Robert A. Dahl (2000), Polyarchy: Participation and Opposition, New Haven.

Alex Demirovic (2007), Demokratie in der Wirtschaft. Positionen, Probleme, Perspektiven, Münster.

Die Linke (2007), Programmatische Eckpunkte der Partei Die Linke, in: www.die-linke.de, Stand: 14.10.2007.

Klaus Dörre (2005), Prekarität – eine arbeitspolitische Herausforderung, in: WSI-Mitteilungen 5 / 2005, S. 250–258.

Dieter Dowe, Kurt Klotzbach (Hg.) (2004), Programmatische Dokumente der Deutschen Sozialdemokratie, 4., überarbeitete und aktualisierte Aufl ., Bonn.

Hermann Duncker (1931), Einleitung, in: Max Beer, Allgemeine Geschichte des Sozialismus und der sozialen Kämpfe, mit Ergänzungen von Dr. Hermann Duncker, 7. Aufl ., Berlin, S. 9.

Fritz Erler (1947), Sozialismus als Gegenwartsaufgabe, Schwenningen.

Walter Euchner, Helga Grebing u. a. (2005), Geschichte der sozialen Ideen in Deutschland. Sozialismus – Katholische Soziallehre – Protestantische Sozialethik. Ein Handbuch, 2. Aufl ., Wiesbaden.

Helga Grebing (2007), Geschichte der deutschen Arbeiterbewegung. Von der Revolution 1848 bis ins 21. Jahrhundert, Berlin.

Görg Haverkate (1992), Verfassungslehre. Verfassung Gegenseitigkeitsordnung, München. 150

Nancy Fraser und Axel Honneth (2003), Umverteilung oder Anerkennung? Eine politisch-philosophische Kontroverse, Frankfurt am Main.

Hamburger Programm (2007), Grundsatzprogramm der Sozialdemokratischen Partei Deutschlands, beschlossen auf dem Hamburger Bundesparteitag der SP am 28. Oktober 2007.

Wolfgang Heidelmeyer (Hg.) (1997), Die Menschenrechte. Erklärungen, Verfassungsartikel, internationale Abkommen, 4., erneuerte und erweiterte Aufl . Paderborn / München / Wien /Zürich.

Thomas Heinrichs (2002), Freiheit und Gerechtigkeit. Philosophieren für eine neue linke Politik, 1. Aufl ., Münster.

Karl Otto Hondrich und Claudia Koch-Arzberger (1994), Solidarität in der modernen Gesellschaft, Frankfurt am Main.

Immanuel Kant (1963), Grundlegung zur Metaphysik der Sitten, in: Kants Werke in sechs Bänden, hg. von W. Weischedel, Bd. IV, Darmstadt.
Wolfgang Kersting (Hg.) (2000), Politische Philosophie des Sozialstaats, Weilerswist.

Jürgen Kocka (1995) (Hg.), Bürgertum im 19. Jahrhundert, Bd. 1: Einheit und Vielfalt Europas, Göttingen.

Ferdinand Lassalle (1987), Reden und Schriften, hg. von Jürgen Friederici, 1. Aufl ., Leipzig.

Detlef Lehnert (1983), Sozialdemokratie zwischen Protestbewegung und Regierungspartei 1848–1983, 1. Aufl ., Frankfurt a. M.

John Locke (1977), Zwei Abhandlungen über die Regierung, hg. von Walter Euchner, 1. Aufl ., Frankfurt am Main.

Rosa Luxemburg (1899), Sozialreform oder Revolution? Mit einem Anhang Miliz und Militarismus, Leipzig, in: Rosa Luxemburg, Gesammelte Werke, Bd. 1: 1893–1905, Erster Halbband, 7. Aufl ., Berlin 1990, S. 367–466.

Karl Marx (1998), Kritik der politischen Ökonomie (= MEW 23), Berlin. Montesquieu (1992), Vom Geist der Gesetze, hg. von Ernst Forsthoff, Bd. 1, Tübingen.

Wolfgang Merkel u. a. (2006), Die Reformfähigkeit der Sozialdemokratie. Herausforderungen und Bilanz der Regierungspolitik in Westeuropa, 1. Aufl ., Wiesbaden.

Thomas Meyer und Nicole Breyer (Mitarbeit) (2005), Die Zukunft der Sozialen Demokratie, Bonn.

Thomas Meyer (2005), Theorie der Sozialen Demokratie, 1. Aufl ., Wiesbaden.

Thomas Meyer (2006), Praxis der Sozialen Demokratie, 1. Aufl ., Wiesbaden.

Gero Neugebauer (2007), Politische Milieus in Deutschland. Die Studie der Friedrich-Ebert-Stiftung, Bonn.

Matthias Platzeck, Frank-Walter Steinmeier und Peer Steinbrück (Hg.) (2007), Auf der Höhe der Zeit. Soziale Demokratie und Fortschritt im 21. Jahrhundert, Berlin.

Julian Nida-Rümelin und Wolfgang Thierse (Hg.) (1997), Philosophie und Politik, 1. Aufl ., Essen.

Dieter Plehwe und Bernhard Walpen (2001), Gedanken zu einer Soziologie der Intellektuellen des Neoliberalismus, in: Hans-Jürgen Bieling, Klaus Dörre u. a. (2001), Flexibler Kapitalismus. Analysen, Kritik, politische Praxis, Hamburg, S. 225–239.

John Rawls (1979), Eine Theorie der Gerechtigkeit, Frankfurt am Main.

Jürgen Ritsert (1997), Gerechtigkeit und Gleichheit, 1. Aufl ., Münster.

Jean-Jacques Rousseau (1997), Diskurs über die Ungleichheit. Kritische Ausgabe des integralen Textes, übersetzt und kommentiert von Heinrich Meier, 4. Aufl ., Paderborn / München / Wien / Zürich.

Franz Schultheis und Kristina Schulz (Hg.) (2005), Gesellschaft mit begrenzter Haftung. Zumutungen und Leiden im deutschen Alltag, Konstanz.

Amartya Sen (1985), Commodities and Capabilities, Amsterdam.

Michael Walzer (1997), Pluralismus und Demokratie, in: Nida-Rümelin / Thierse (1997), Philosophie und Politik, 1. Aufl ., Essen, S. 24–40.

რეკომენდებული ლიტერატურა

ყველას, ვინც დაინტერესებულია უფრო საფუძვლიანი ცოდნით სოციალ-დემოკრატიის შესახებ, ვურჩევთ შემდეგ ლიტერატურას:

პოლიტიკური მიმდინარეობებისა და იდეების ისტორია

Grebing, Helga (Herausgeberin):
Geschichte der sozialen Ideen in Deutschland. Sozialismus. Katholische Soziallehre. Protestantische Sozialethik. [სოციალური იდეების ისტორია გერმანიაში. სოციალიზმი. კათოლიკური სოციალური სწავლება. პროტესტანტული სოციალური ეთიკა], 2005.
VS Verlag für Sozialwissenschaften. (ISBN: 978-3-531-14752-9)
ეს დიდი მოცულობის სახელმძღვანელო გთავაზობთ სოციალური მოძრაობებისა და იდეური მიმდინარეობების ურთიერთკავშირის დეტალურ მიმოხილვას. წიგნში ძირითადი ყურადღება ეთმობა სოციალიზმს, კათოლიკურ სოციალურ სწავლებასა და პროტესტანტულ სოციალურ ეთიკას.

Langewiesche, Dieter:
Liberalismus und Sozialismus. Ausgewählte Beiträge [ლიბერალიზმი და სოციალიზმი. რჩეული სტატიები], 2003.
Verlag J. H. W. Dietz Nachf. (ISBN: 978-3-8012-4132-2)
ცნობილი ტიუბინგელი ისტორიკოსი დიტერ ლანგევიშე თავის 17 სტატიაში ასახავს მეტად საინტერესო თემას – მე-19 და მე-20 საუკუნეების უდიდესი საზოგადოებრივი იდეოლოგიების – ლიბერალიზმისა და სოციალიზმის – დაპირისპირებისა და ურთიერთგავლენის ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ ასპექტებს.

საფუძვლები

Meyer, Thomas:
Theorie der Sozialen Demokratie [სოციალური დემოკრატიის თეორია], 2005.
VS Verlag für Sozialwissenschaften. (ISBN: 978-3-5311-4612-6)
თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში გავლენისთვის ორი ძალა იბრძვის: ლიბერტარული დემოკრატია და სოციალური დემოკრატია. თომას მაიერი ასახავს სოციალური დემოკრატიის პოლიტიკის თეორიულ საფუძვლებს, რომელთა ფარგლებშიც ძირითად სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან ერთად ყოველი ადამიანის ძირითადი ეკონომიკური უფლებებიც განიხილება.

Meyer, Thomas (Nicole Breyer):
Die Zukunft der sozialen Demokratie [სოციალური დემოკრატიის მომავალი], 2005.
Politische Akademie der Friedrich-Ebert-Stiftung. (ISBN: 3-89892-315-0)
ამ პუბლიკაციაში ასახულია წიგნების „სოციალური დემოკრატიის თეორია" და „სოციალური დემოკრატიის პრაქტიკა" ძირითადი იდეები.

სოციალური დემოკრატია გერმანიაში

Albers, Detlev / Nahles, Andrea:
Linke Programmbausteine. Denkanstöße zum Hamburger Programm der SPD [მემარცხენეთა პროგრამის სტრუქტურული ელემენტები. იმპულსები მსჯელობისათვის გსდპ-ის ჰამბურგის პროგრამის ირგვლივ], 2007

vorwärts Verlag. (ISBN: 9783866020)

ამ წიგნში გსდპ-ის საპროგრამო კომისიის წევრები და მოღვაწეები სხვადასხვა ფედერალური მიწიდან აქვეყნებენ სტატიებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: შრომითი ბაზრის პოლიტიკა, სოციალური, ენერგეტიკული, ევროპული და საერთაშორისო პოლიტიკა. მათი ჩანაფიქრით, ამ სტატიებს ახალი ძირითადი პრინციპების პროგრამის თაობაზე მიმდინარე დებატებში უნდა შეეტანა წვლილი, თუმცა მათ ჰამბურგის პროგრამის მიღების შემდეგაც არ დაუკარგავთ აქტუალობა.

Neugebauer, Gero:
Politische Milieus in Deutschland. Die Studie der Friedrich-Ebert-Stiftung [პოლიტიკური გარემო გერმანიაში. ფრიდრიხ ებერტის ფონდის კვლევა], 2007. Verlag J. H. W. Dietz Nachf. (ISBN: 978-3-8012-0377-1)
2006 წელს ფრიდრიხ ებერტის ფონდის დაკვეთით გამოიცა სამი კვლევა, რომლებსაც უნდა შეესწავლა, როგორ აღიქვამს საზოგადოება რეფორმებს და რა პრობლემები წარმოიშვა, როცა შეეცადნენ, ამ რეფორმების არსი მოქალაქეებისთვის განემარტათ. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გაანალიზდა ცხრა პოლიტიკური გარემო ღირებულებებისა და წარმოდგენების საფუძველზე. კატეგორიამ „მარგინალიზებული პრეკარიატი" საზოგადოებაში მაშინვე მწვავე დებატები გამოიწვია.

Platzeck, Matthias / Steinbrück, Peer / Steinmeier, Frank-Walter (Hg.):
Auf der Höhe der Zeit. Soziale Demokratie und Fortschritt im 21. Jahrhundert [დროის სიმაღლეზე. სოციალური დემოკრატია და პროგრესი 21-ე სა-

უკუნეში], 2007.
vorwärts Verlag. (ISBN: 978-3-86602-629-2)
ვილი ბრანდტი აფრთხილებდა თავის პარტიას, რომ წარმატების მისაღწევად „დროის სიმაღლეზე" ყოფნა იყო საჭირო. თავიანთი წიგნით გამომცემლებს სურდათ განეახლებინათ დებატები იმის შესახებ, თუ როგორ შეეძლო გსდპ-ს საკუთარი ღირებულებების – თავისუფლების, სამართლიანობისა და სოლიდარობის – ტრანსფორმირება პროგრესულ პოლიტიკაში, რომელიც მიმართული იქნებოდა საზოგადოების განვითარებისკენ, ადამიანების ცხოვრების დონისა და სოციალური დაცვის ამაღლებისკენ. ეს კრებული მაშინ გამოიცა, როდესაც გსდპ-ის ახალი ძირითადი პრინციპების პროგრამის თაობაზე დებატები მიმდინარეობდა.

Beck, Kurt / Heil, Hubertus (Hg.):
Soziale Demokratie im 21. Jahrhundert.
Lesebuch zur Programmdebatte der SPD [სოციალური დემოკრატია 21-ე საუკუნეში. საკითხავი გსდპ-ის საპროგრამო დისკუსიის ირგვლივ], 2007.
vorwärts Verlag. (ISBN: 978-3-86602-525-7)
სხვა ავტორებთან ერთად ამ პუბლიკაციის გამომცემლებიც ცდილობდნენ საპროგრამო დისკუსიის ფარგლებში ეპასუხათ სამომავლო ამოცანებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი კითხვებისთვის: როგორ და ვისთან ერთად ვიმოქმედოთ გლობალიზაციაზე? საით მიემართება ევროპა? როგორ განვაახლოთ დემოკრატია? როგორ შეიძლება ჩვენი ეკონომიკის განვითარება და იმავდროულად სამომავლო სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა? სად წარმოიშობა ახალი სამუშაო ადგილი და რისი გაკეთება შეუძლიათ სოციალური სახელმწიფოს სტრუქტურებს? შევძლებთ კი ენერგეტიკაში გარდატეხის მიღწევას? როგორ გამოიყურებიან დღეს სოციალური დემოკრატიის პოლიტიკური მოკავშირეები?

სოციალური დემოკრატია საერთაშორისო მასშტაბით

Meyer, Thomas:
Praxis der Sozialen Demokratie [სოციალური დემოკრატიის პრაქტიკა], 2005.
VS Verlag für Sozialwissenschaften. (ISBN: 978-3-531-15179-3)
ამ ნაშრომში ასახულია სხვადასხვა ქვეყნის აქტუალური ხარისხობრივი კვლევები, რომლებიც ჩაატარეს წამყვანმა ექსპერტებმა თომას მაიერის სოციალური დემოკრატიის თეორიის კონტექსტში. შესწავლილ იქნა შვედეთი, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდი და აშშ. წიგნში ასევე წარმოდგენილია სოციალური დემოკრატიის დონის შეფასების ახალი ინდექსი.

Politische Akademie der Friedrich-Ebert-Stiftung:
Soziale Demokratie in Europa [სოციალური დემოკრატია ევროპაში], 2005.
(ISBN: 3-89892-357-6)
ეს პუბლიკაცია მოიცავს მეცნიერთა და პოლიტიკოსთა ნაშრომებს, რომლებიც საპროგრამო დისკუსიის ფარგლებში შეიქმნა, თუმცა მათი მნიშვნელობა ამ დისკუსიას სცილდება. ძირითადი ყურადღება ეთმობა ევროპის სოციალურ სახელმწიფოთა უმნიშვნელოვანესი მოდელების შედარებით ანალიზს.

Merkel, Wolfgang / Egle, Christoph / Henkes, Christian / Ostheim, Tobias / Petring, Alexander:
Die Reformfähigkeit der Sozialdemokratie. Herausforderungen und Bilanz der Regierungspolitik in Westeuropa [სოციალ-დემოკრატიის რეფორმირების უნარი. სამთავრობო პოლიტიკის გამოწვევები და შედეგები დასავლეთ ევროპაში], 2005.
VS Verlag für Sozialwissenschaften. (ISBN: 978-3-531-14750-5)
მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ევროკავშირის უმეტესი ქვეყნის სოციალ-დემოკრატიული პარტიები მთავრობაში იყვნენ წარმოდგენილი. რამდენად წარმატებული იყო სხვადასხვა პარტიის რეფორმების პოლიტიკა? მიჰყვებოდნენ კი ისინი ერთიან „მესამე გზას"? ქვეყნების ძირეული ანალიზის შედეგად გამოკვლეულ იქნა და შეფასდა გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ნიდერლანდის, შვედეთისა და დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიები.

ისტორია

Dieter Dowe:
Von der Arbeiter- zur Volkspartei. Programmentwicklung der deutschen Sozialdemokratie seit dem 19. Jahrhundert. Reihe Gesprächskreis Geschichte **[მუშათა პარტიიდან სახალხო პარტიამდე. გერმანული სოციალ-დემოკრატიის საპროგრამო განვითარება, მე-19 საუკუნიდან დაწყებული]**, 2007, Heft 71 (http://library.fes.de/pdf-files/historiker/04803.pdf)
დიტერ დოვე ასახავს სოციალ-დემოკრატიის ისტორიას, 1848 წლის რევოლუციიდან დაწყებული. ის მოიცავს მის პროგრამულ ნაწილსა და პრაქტიკას, როგორც სახელმწიფოს და საზოგადოების თავისუფალი, დემოკრატიული და სამართლიანი მოწყობის შესახებ წარმოებული ხანგრძლივი და დაუმთავრებელი დებატების შემადგენელ მნიშვნელოვან ნაწილს.

Miller, Susanne / Potthoff, Heinrich:
Kleine Geschichte der SPD 1848–2002 [გსდპ-ის მოკლე ისტორია 1848-2002 წწ.], 2002.
Verlag J. H. W. Dietz Nachf. (ISBN: 978-3-8012-0320-7)
„გსდპ-ის მოკლე ისტორია" ამასობაში სამაგიდო წიგნი გახდა. მასში გადმოცემულია გერმანიის უძველესი პარტიის ისტორია დასაბამიდან გერჰარდ შრედერის მმართველობის პერიოდამდე. ქრონოლოგიური ცხრილი მკითხველს დროში ორიენტირებაში ეხმარება.

Schneider, Michael:
Kleine Geschichte der Gewerkschaften. Ihre Entwicklung in Deutschland von den Anfängen bis heute [პროფკავშირების მოკლე ისტორია. მათი განვითარების გზა გერმანიაში დასაბამიდან დღემდე], 2000.
Verlag J. H. W. Dietz Nachf. (ISBN: 978-3-8012-0294-1)
მიხაელ შნაიდერი დეტალურად და კომპეტენტურად ასახავს პროფკავშირების ისტორიას ინდუსტრიალიზაციის პერიოდში მათი დასაბამიდან დღევანდელი გლობალიზაციის ეპოქაში წარმოქმნილ აქტუალურ გამოწვევებამდე, რომელთა წინაშეც თანამედროვე პროფკავშირები აღმოჩნდნენ.

ავტორების შესახებ

იულია ბლეზიუსი (Julia Bläsius, *1981) – ფრიდრიხ ებერტის ფონდის პოლიტიკური აკადემიის სტაჟიორი. სწავლობდა უცხოურ ენებს, ეკონომიკასა და კულტუროლოგიას პასაუს უნივერსიტეტში. შემდეგ მიიღო დიპლომი „Master of Science in European Political Economy" ლონდონის ეკონომიკის სკოლაში.

ფრედერიკე ბოლი (Frederike Boll, *1983) – ვესტფალიის ქ. მიუნსტერის ვილჰელმის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტი. სწავლობს პოლიტოლოგიას, როგორც ძირითად სპეციალობას, ასევე კომუნიკაციასა და ფსიქოლოგიას – როგორც მეორეულ საგნებს.

დ-რი კრისტოფ ეგლე (Dr. Christoph Egle, *1974) – მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო ასისტენტი. სწავლობდა პოლიტოლოგიას, სოციოლოგიასა და ფილოსოფიას; დაიცვა დისერტაცია გერმანიისა და საფრანგეთის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური რეფორმების თემაზე. 2001-იდან 2004 წლამდე იყო ჰაიდელბერგის რუპრეხტისა და კარლის სახ. უნივერსიტეტის თანამშრომელი სამეცნიერო პროექტში დასავლეთ ევროპის ქვეყნების სოციალ-დემოკრატიული რეფორმების პოლიტიკის შესახებ.

ტობიას გომბერტი (Tobias Gombert, *1975) – პედაგოგი და სემინარების ორგანიზატორი საწარმოო საბჭოების წევრთათვის. 2003–2005 წლებში იყო „ახალგაზრდა სოციალისტების" ფედერალური თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 2005–2007 წლებში – „ახალგაზრდა სოციალისტების" გამგეობის წევრი. ამ პერიოდში მონაწილეობდა ახალგაზრდა სოციალისტთა სკოლის დაარსებაში. ავტორი სამეცნიერო ნაშრომებისა ჟან ჟაკ რუსოს, მარქსისტული თეორიისა და ეთიკის შესახებ.

დ-რი ერიკ გურგსდისი (Dr. Erik Gurgsdies, *1944) –1993 წლიდან ფრიდრიხ ებერტის ფონდის მეკლენბურგ-წინა პომერანიის ფედერალური მიწის ბიუროს ხელმძღვანელი. სწავლობდა ეკონომიკასა და სოციოლოგიას. იყო ეკონომიკის დოცენტი ბერგნოიშტადტისა და არენსბურგის უმაღლეს სახალხო სკოლებში, ასევე ჰამბურგის ეკონომიკისა და პოლიტიკის უმაღლეს სკოლაში.

მარკ ჰერტერი (Marc Herter, *1974) – გსდპ-ის ფრაქციის თავმჯდომარე ჰამის (ვესტფალია) საქალაქო საბჭოში. სწავლობს სამართალს ვესტფალიის ქ. მიუნსტერის ვილჰელმის სახ. უნივერსიტეტში. 2002 წლიდან

არის გსდპ-ის ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის ფედერალური მიწის განყოფილების გამგეობის წევრი, ხოლო 2006 წლიდან – იმავე განყოფილების პრეზიდიუმის წევრი.

კრისტიან კრელი (Christian Krell, *1977) – ფრიდრიხ ებერტის ფონდის თანამშრომელი – პასუხისმგებელია სოციალური დემოკრატიის აკადემიის მუშაობაზე. სწავლობდა პოლიტოლოგიას, ისტორიასა და სოციოლოგიას ზიგენისა და იორკის უნივერსიტეტებში. 2007 წელს დაიცვა დისერტაცია პოლიტოლოგიის დარგში თემაზე „გსდპ-ის, დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიისა და საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ევროპოლიტიკა".

დ-რი იუნ-ჩენგ ლი (Dr. Eun-Jeung Lee, *1963) – ჰალე-ვიტენბერგის მარტინ ლუთერის სახ. უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის პრივატ-დოცენტი. სწავლობდა სეულის ეხვას და გიოტინგენის გეორგ ავგუსტის სახ. უნივერსიტეტებში; ამ უკანასკნელში დაიცვა დისერტაცია. 2001 წელს დაიცვა მეორე დისერტაცია ჰალე-ვიტენბერგის მარტინ ლუთერის სახ. უნივერსიტეტში. იყო ალექსანდერ ფონ ჰუმბოლდტისა და იაპონური ფონდების სტიპენდიანტი, ასევე ტოკიოს ჩუოს უნივერსიტეტის მოწვეული თანამშრომელი. ამჟამად ასწავლის გერმანიასა და კორეაში.

მატიას ნაისი (Matthias Neis, *1976) – სწავლობდა გერმანისტიკას, პოლიტოლოგიასა და კომუნიკაციას ვესტფალიის ქ. მიუნსტერის ვილჰელმის სახ. უნივერსიტეტში. 2004–2006 წლებში იყო რეკლინგჰაუზენის კვლევითი ინსტიტუტის „შრომა–განათლება–ჩართულობა" მეცნიერი თანამშრომელი. 2006 წლიდან არის იენის ფრიდრიხ შილერის სახ. უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომელი ჰარვარდის ბიზნესის სკოლის პროექტში „მეცნიერების მხარდაჭერა, როგორც ეკონომიკური ფაქტორი".

კრისტინა რენტცში (Christina Rentzsch, *1982) – სტუდენტი – სწავლობს კომუნიკაციას, პოლიტოლოგიასა და ფსიქოლოგიას ვესტფალიის ქ. მიუნსტერის ვილჰელმის სახ. უნივერსიტეტში. უმაღლეს სასწავლებელში შესვლამდე კიოლნში მიიღო განათლება, როგორც რეკლამის სპეციალისტმა.

მარტინ ტიმპე (Martin Timpe, *1978) – სტუდენტი – სწავლობს პოლიტოლოგიას ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ოტო ზურის სახ. ინსტიტუტში. არის ბუნდესტაგში გსდპ-ის წარმომადგენელი დეპუტატის თანაშემწე, ხოლო 2007 წლიდან ხელმძღვანელობს სემინარებს სოციალური დემოკრატიის აკადემიაში. აქტიურად მონაწილეობს „ახალგაზრდა სოციალისტთა" მუშაობაში სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

Women's Information Center

ქალთა საინფორმაციო ცენტრის გამომცემლობა
მისამართი: თბილისი, 0102, წინამძღვრიშვილის ქ.N 40;
ტელეფონი: (995 32) 2 95 29 34;
ფაქსი: (995 32) 2 94 26 99
ელ-ფოსტა: **office@ginsc.net**

პოლიტიკას მკაფიო ორიენტირები სჭირდება. მხოლოდ ის, ვისაც გარკვევით შეუძლია ჩამოაყალიბოს დასახული მიზნები, მოახერხებს მათ მიღწევას და ამ მიზნების მხარდაჭერასაც მოიპოვებს. ამიტომ ამ წიგნში „სოციალური დემოკრატიის საფუძვლები" გვსურს განვიხილოთ ის, თუ რას წარმოადგენს სოციალური დემოკრატია 21-ე საუკუნეში, რა ფასეულობები უდევს მას საფუძვლად, რა მიზნები აქვს და როგორ შეიძლება მათი პრაქტიკაში განხორციელება.

მოცემული წიგნი განკუთვნილია სოციალური დემოკრატიის აკადემიის სასწავლო პროგრამებისთვის. სოციალური დემოკრატიის აკადემიის სახით ფრიდრიხ ებერტის ფონდი პოლიტიკურად აქტიურ და დაინტერესებულ პირებს კვალიფიკაციის ამაღლებას სთავაზობს.

დამატებითი ინფორმაცია აკადემიის შესახებ:
www.fes-soziale-demokratie.de

ISBN 978-9941-0-3792-4